

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

## სალომე გუმბერიძე

სახელთა ფორმაწარმოების თავისებურებანი  
ქართველ ებრაელთა მეტყველებაში

დარგი/სპეციალობა – ქართველური ენათმეცნიერება  
ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური  
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

**დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა**

სამეცნიერო ხელმძღვანელები:  
ფილოლოგიის დოქტორი,  
პროფესორი რუსუდან სალინაძე  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი რეუვენ ენოხი

ქუთაისი

2020

## შინაარსი

|   |     |
|---|-----|
| შესავალი .....  | 3   |
| <b>თავი I. არსებითი სახელის ფორმაცვალება ქართველ ებრაელთა მეტყველებაში</b>    |     |
| 1.1. არსებითი სახელის პარადიგმატული ანალიზი .....                             | 25  |
| 1.1.1. არსებითი სახელის ბრუნვები .....  | 28  |
| 1.1.2. მრავლობითი რიცხვის წარმოება .....                                      | 87  |
| 1.1.3. არსებითი სახელის დამატებითი სტრუქტურული ელემენტები .....               | 98  |
| 1.2. არსებითი სახელის სინტაგმატური ანალიზი .....                              | 140 |
| <b>თავი II. ზედსართავი სახელის ფორმაცვალება ქართველ ებრაელთა მეტყველებაში</b> |     |
| 2.1. ზედსართავი სახელის პარადიგმატული ანალიზი .....                           | 149 |
| 2.1.1. ზედსართავი სახელის ბრუნვები .....                                      | 151 |
| 2.1.2. ზედსართავი სახელის დამატებითი სტრუქტურული ელემენტები .....             | 158 |
| 2.2. ზედსართავი სახელის სინტაგმატური ანალიზი .....                            | 160 |
| <b>თავი III. რიცხვითი სახელის ფორმაცვალება ქართველ ებრაელთა მეტყველებაში</b>  |     |
| 3.1. რიცხვითი სახელის პარადიგმატული ანალიზი .....                             | 171 |
| 3.1.1. რიცხვითი სახელის ბრუნვები .....  | 171 |
| 3.1.2. რიცხვითი სახელის დამატებითი სტრუქტურული ელემენტები .....               | 176 |
| 3.2. რიცხვითი სახელის სინტაგმატური ანალიზი .....                              | 178 |
| <b>თავი IV. ნაცვალსახელის ფორმაცვალება ქართველ ებრაელთა მეტყველებაში</b>      |     |
| 4.1. ნაცვალსახელის პარადიგმატული ანალიზი .....                                | 186 |
| 4.1.1. ნაცვალსახელის ბრუნვები .....   | 187 |
| 4.1.2. ნაცვალსახელის დამატებითი სტრუქტურული ელემენტები .....                  | 214 |
| 4.2. ნაცვალსახელის სინტაგმატური ანალიზი .....                                 | 217 |
| დასკვნითი დებულებები .....  | 234 |
| გამოყენებული ლიტერატურა .....   | 238 |
| შემოკლებანი .....   | 258 |
| დანართი .....   | 259 |

## შესავალი

„ქართველი ებრაელის“ ფენომენი ქართველთა და ებრაელთა ხანგრძლივი ისტორიული ურთიერთობით, ოცდაექვსსაუკუნოვანი მშვიდობიანი თანაცხოვრებით ჩამოყალიბდა. ეს ეთნიკური ტერმინი სიმბოლურად ბიბლიური, უშორეულეს წარსულში ნაშობი ამ ორი კურთხეული ერის შვილს აღნიშნავს და მკაფიოდ მეტყველებს სხვადასხვა აღმსარებლობისა და მენტალობის ხალხთა სულიერ სიმტკიცესა და სიახლოვეზე. როგორც ზურაბ კვიციანი აღნიშნავს: „ქართულმა ებრაელობამ ქართველ ერს შემოუნახა მისი, როგორც ქრისტიანი ერის, დასაბამიერი ხანის მატთანე. თავად შემნახველი თავისი მრავალტანჯული ისტორიისა, ის თავის ტრადიციაში ინახავდა ჩვენი ისტორიის გარდამტეხი ეპოქის არა მხოლოდ ვითარებას, არამედ ამ ვითარების ცოცხალ სურათებს, ადამიანთა სახეებს, ადამიანურ ურთიერთობებს. ელიოზი, აბიათარი, სიდონია... ეს ღირსშესანიშნავი პირნი, ებრაელი ხალხის სისხლი და ხორცი, ქართველი ერის სულიერი კულტურის მშენებლები არიან“ (კვიციანი 2003: 7).

**ისტორიული წყაროები საქართველოში ებრაელთა განსახლების შესახებ.** პირველ უმნიშვნელოვანეს ცნობებს საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა შესახებ „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“ და ლეონტი მროველის ისტორიული ქრონიკა (IX სკ.) გვაწვდის. როგორც ლეონტი მროველისაგან ვიგებთ, ნაბუქოდონოსორის მიერ ებრაელთა სახელმწიფოს დაპყრობისა და გაუქმების შედეგად საკუთარი მიწა-წყლიდან გამოძევებულ ებრაელთა ერთი ნაწილი **ქართლში** დასახლდა (ქართლის ცხოვრება 1, 2011: 13). საქართველოში ებრაელთა ჩამოსახლების მეორე დიდი ეტაპი ქართლის მეფის – ადერკის (ახ. წ. I სკ.) შვილების – ბარტომისა და ქართამის ზეობის პერიოდს უკავშირდება, რაც განპირობებული ყოფილა რომის კეისარ ვესპასიანეს მიერ იერუსალიმის ახალი დარბევით (იქვე).

„ძველ ქართულ საზოგადოებაში ებრაელების თვალსაჩინო ადგილზე მიუთითებს IV საუკუნემდელი ებრაული სასაფლაოები და წარწერები ამ საფლავებზე, რომლებიც მცხეთასა და ქართლის სხვადასხვა ხეობაში გვხვდება. იუდეველები საქართველოში ქალაქური ტიპის დასახლებებს ქმნიდნენ; ვაჭრობდნენ, მოგზაურობდნენ და

ექსპორტ-იმპორტს მისდევდნენ, რითაც საქართველოს გარე-სამყაროსთან ურთიერთობის გაღრმავებას უწყობდნენ ხელს (რელიგიები საქართველოში, 2008: [http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/8483/1/Religiebi\\_Saqartveloshi.pdf/](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/8483/1/Religiebi_Saqartveloshi.pdf/)).

გვიანფეოდალურ ხანაში აღმოსავლეთ საქართველოში ებრაელთა ძირითადი სამოსახლო პუნქტები იყო: სურამი, ახალდაბა, ალი, ბაზალეთი, არაგვისპირი, ცხინვალი, ატენი, თამარაშენი, ძეგვი, ზანავი, ხერკი, მეტეხი, კასპი, მუხრანი, კავთისხევი და მთელი ტერიტორია არაგვისა და მტკვრის სანაპიროზე; სამცხე-ჯავახეთში – ფანასკერტი, არტანუჯი, ახალქალაქი, ახალციხე; კახეთსა და ქიზიყში – ბოდბისხევი, ზემო ხოდაშენი, ველისციხე, ურიათუბანი, საგარეჯო; დასავლეთ საქართველოში: იმერეთში – ქუთაისი, ვანი, კულაში (დაბა კულაში იმითაც არის გამორჩეული, რომ საქართველოში არსებულ ებრაულ დასახლებათა შორის ერთადერთია, სადაც XX საუკუნის 90-იან წლებამდე მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ქართველი ებრაელი იყო (ბერიძე 2017: <http://netgazeti.ge/news/231253/-სამეგრელოში> – ფოთი, ბანძა, სენაკი; რაჭა-ლეჩხუმში – ონი, ლაილაში, ხოტევი; გურიაში – ოზურგეთი, აჭარაში – ბათუმი).

ამჟამად ებრაელთა რაოდენობა საქართველოში ძალზედ არის შემცირებული. 2008 წელს ჩვენს ქვეყანაში დაახლოებით 4 ათასამდე ებრაელი ცხოვრობდა. მათი რიცხვი დღეს კიდევ უფრო შემცირდა. საქართველოში ქართველი ებრაელები, სამწუხაროდ, აქა-იქ შემორჩნენ, აღარა გვაქვს ებრაელთა კომპაქტური განსახლების ადგილები. სურათი დაახლოებით ასეთია: აღმოსავლეთ საქართველოში: თბილისი, გორი, სურამი... სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში: სამცხე-ჯავახეთი: ახალციხე; დასავლეთ საქართველოში: იმერეთი: ქუთაისი; რაჭა: ონი.

ქართველ ებრაელთა დიდი ნაწილი იმერეთში, კერძოდ, ქუთაისში ცხოვრობდა. მერაბ კეზევადის გამოკვლევის მიხედვით, ებრაელები „ქუთაისში, უფრო სწორად, ქუთაისის ახლოს მდებარე სოფელ მწვანეყვავილაში მცხოვრებლად XVII საუკუნიდან ჩანან, კერძოდ, 1644 წლის სიგელში, როცა გაენათელი მიტროპოლიტი ზაქარია ქვარიანი ჰყვება მისსა და მამამისის მიერ სოფელ მწვანეყვავილას დასახლებაზე, ახსენებს იქ დასახლებულ ოჯახს „ფიჩხაძე დანიელას კომლი ერთ“. მწვანეყვავილა არათუ იმ დროს, XIX საუკუნის შუა წლებამდე არ ეკუთვნოდა ქუთაისს, ამიტომაც,

ალბათ, რომ XVII-XVIII საუკუნეების არც ერთი უცხოელი მოგზაური არ ადასტურებს ქუთაისში ებრაელთა ცხოვრებას, რაც, ისტორიკოს დანიელ ხანანაშვილის, საქართველოს ებრაელთა ისტორიის დიდი მემკვიდრის, აზრით, იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ აქ, ამ პერიოდში ებრაელები ან ერთეულები იყვნენ, ან, რაც უფრო საფიქრებელია, არც კი სახლობდნენ“ (კეზევაძე 2014: 147). ქუთაისელი ებრაელები პირველად მოხსენიებული არიან ვახუშტი ბატონიშვილთან (1745). იგი წერს, რომ ქუთაისის მოსახლენი „არიან იმერნი, სომეხნი, ურიანი ვაჭარნი“ (ქართლის ცხოვრება 4, 1973: 662). ქუთაისელ ებრაელთა დასახლება „ებრაელთა უბნის“ სახელწოდებით დატანილია 1833 წელს შედგენილ დიუბუა დე მონპერეს გეგმაზე. იგი მოიცავს დღევანდელი ნიუ-პორტის ქუჩის ბოლო ნაწილს, გაპონოვისა და აზერბაიჯანის ქუჩების დასაწყისსა და იერუსალიმის ქუჩას.

XVIII საუკუნეში ქუთაისში მცხოვრები ებრაელების შესახებ წერს *იგბაკ დავიდი* თავის ცნობილ წიგნში „История евреев на Кавказе“ (1989). საქართველოში ებრაელთა განსახლებებზე მსჯელობს *კოტე ლერნერი* ნაშრომში „Евреи в Грузии“ (2008). მისი აზრით, ქართველ ებრაელთა ისტორიის შესწავლის სირთულე განაპირობა, უპირველეს ყოვლისა, საკუთრივ ებრაული ისტორიული წერილობითი ძეგლების არარსებობამ. ამიტომ ებრაელ ხალხის ცხოვრების შესახებ წყაროები უნდა ვეძებოთ ქართულ ისტორიულ ქრონიკებში. მეცნიერს ასეთად მიაჩნია ძველქართული ქრონიკა „მოქცევაი ქართლისაი“ და ამავე ქრონიკაში ჩართული „წმინდა ნინოს ცხოვრება“ (ლერნერი 2008: 6-7).

ბათუმში ებრაელთა დიდი ნაკადი 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ შემოსულა. „გადმოცემით, ქართველი ებრაელის იზეტ გაგულაშვილის წინაპარი აჭარაში დამკვიდრდა 1850 წელს. სწორედ მაშინ ყალიბდება აქ ებრაელთა ორი სათვისტომო: აშქენაზური (ევროპული) და ქართველი ებრაელების. უმრავლესობას წარმოადგენდნენ აშქენაზები. ანტიებრაულმა პოლიტიკამ და ებრაელთა დარბევებმა კიევში, ოდესაში, რუსეთის იმპერიის სხვა ქალაქებში ხელი შეუწყო საქართველოში და, მათ შორის ბათუმშიც, ებრაელთა ახალი ნაკადის შემოსვლას“ (გოგოლიშვილი, წაქაძე 2014: 71).

ქართულ-ებრაული კულტურათა ურთიერთქმედებისა და ურთიერთ-გამდიდრების პროცესი ხანგრძლივად და ინტენსიურად მიმდინარეობდა. ამ მხრივ მდიდარ მასალას შეიცავს ქართული ლექსიკა (განსაკუთრებით ტოპონიმიკა), ფოლკლორი და ეთნოგრაფია. ებრაელებმა საქართველოში მოიტანეს თორა და მონოთეიზმის იდეა, რამაც ნიადაგი შეუმზადა ქრისტიანულ მოძღვრებას (რელიგიები საქართველოში 2008: <http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/8483/1/Religiebi-Saqartveloshi.pdf/>).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ებრაელები წინათ, ფაქტობრივად, საქართველოს ყველა კუთხეში სახლობდნენ და აქტიურად იყვნენ ჩართული ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაში, რამაც განაპირობა კიდევ ებრაული თემით მეცნიერთა და ხელოვანთა დაინტერესება. იგი შესწავლილია სხვადასხვა, კერძოდ, ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ფოლკლორული, კულტურული, ლიტერატურული, ენობრივი ასპექტით. ამას მოწმობს გერშონ ბენ-ორენის, კოტე ლერნერის, იცხაკ დავიდის, რეუვენ ენოხის (რუბენ ენუქაშვილის), ელდარ მამისთვალაშვილის, თინა იველაშვილის, ცირა მესხიშვილის, ლილი მაგალ-მაღალაშვილის, ბელა წიწუაშვილის, ელგუჯა დადუნაშვილის, ელენე გოგიაშვილის, თამარ ლომთაძის, ეთერ თათარაიძისა და ამირან არაბულის, გურანდა გობიანისა და სხვათა ნაშრომები. ქართველ მწერალთა თვალთახედვით აღქმული და წარმოსახული ებრაელობა მონოგრაფიულად შეისწავლა და გააანალიზა პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილმა წიგნში „ებრაული თემა ქართულ მწერლობაში“ (2008), რომელშიც განზოგადებული სახით არის წარმოჩენილი ებრაული საკითხისადმი ქართველ მწერალთა დამოკიდებულების უმთავრესი არსი და მიზანსწრაფვა.

საქართველოში საუკუნეების განმავლობაში ცხოვრებამ ქართული აქცია ქართველ ებრაელთა სალაპარაკო ენად. სხვადასხვა ეპოქაში ისინი საქართველოს სხვადასხვა მხარეში სახლობდნენ და, ბუნებრივია, მათი მეტყველება ქართული დიალექტების გავლენას განიცდიდა. ამის შედეგად მათს სასაუბრო ენაში გამოვლინდა სპეციფიკური ფორმები, ენობრივი თავისებურებები, მაგრამ, სამეტყველო კოდთა შერევა-შერწყმის მიუხედავად, ქართველ ებრაელთა მეტყველებაში მაინც ჩანს ქართული ენისაგან რამდენადმე განსხვავებული ვითარება.

ამ დიასპორის მეტყველების თავისებურებებმა დიდი ხანია მიიქცია მკვლევართა ყურადღება. მიუხედავად იმისა, რომ ჩაწერილი ნიმუშები არასაკმარისია, არსებული მასალები და გამოკვლევები მაინც ბევრ საინტერესო დაკვირვებას შეიცავს ქართველ ებრაელთა მეტყველების შესახებ, რომლის ყველა სპეციფიკური (ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური) ნიუანსის დადგენა უფრო და უფრო ძნელდება, რადგან, როგორც რ. ენოხი (ენუქაშვილი) შენიშნავს, დღეს საქართველოში აღარ გვაქვს ებრაელთა კომპაქტური დასახლებები, ხოლო აქა-იქ შემორჩენილ ებრაელთა მეტყველებაში ბევრი მათთვის დამახასიათებელი ენობრივი მოვლენა უკვე ნიველირებულია. თუ ახლავე არ მოვკიდებთ ხელს ამ პრობლემის შესწავლას, მალე ქართველ ებრაელთა მეტყველების სრულყოფილი ენობრივი ანალიზი შეუძლებელი გახდება (ენოხი 2011: <http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe>).

**თემის აქტუალობა.** მიუხედავად იმისა, რომ ქართველ ებრაელთა მეტყველების შესახებ მნიშვნელოვანი გამოკვლევებია გამოქვეყნებული, არსებული მასალა ქართველ ებრაელთა მეტყველების სრულყოფილი სურათის შესაქმნელად და მკაფიო დასკვნების გამოსატანად მაინც არ არის საკმარისი. სახელთა ფორმაწარმოება დღემდე მონოგრაფიულად არავის შეუსწავლია, საგანგებო კვლევის საგანი აქამდე არ გამხდარა.

სახელთა ფორმაწარმოების თავისებურებათა კვლევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ქართველ ებრაელთა მეტყველების, ისე ქართული ენის ისტორიისა და დიალექტოლოგიისათვის, მაგრამ ჩანს საფრთხე იმისა, რომ საქართველოში ებრაელთა განსახლების ადგილების დაცლის გამო აღარ გვექნება საშუალება მათს მეტყველებაზე დაკვირვებისა და საკითხის შესწავლა თანდათან შეუძლებელი გახდება. სწორედ ამ ფაქტორებმა განაპირობა ჩვენ მიერ სადისერტაციო თემად ისეთი კონკრეტული საკითხის შერჩევა, როგორცაა „სახელთა ფორმაწარმოების თავისებურებანი ქართველ ებრაელთა მეტყველებაში“. თემის აქტუალობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რა გამოარჩევს ქართველ ებრაელთა მეტყველებას სტანდარტული ქართულისაგან სახელთა ბრუნების მხრივ.

**სადისერტაციო ნაშრომის მიზანი და ამოცანები.** სადისერტაციო ნაშრომი მიზნად ისახავს: სახელთა ფორმაწარმოების თავისებურებათა შესწავლას ქრონოლოგიურად

და ლოკალურად განსხვავებული ტექსტების მიხედვით; ქართველ ებრაელთა მეტყველებაში მსგავსება-განსხვავების გამოვლენასა და ქართული ენის ქვესისტემების მონაცემებთან შედარებას; ქართველ ებრაელთა მეტყველების სპეციფიკურობის არსის გარკვევას.

კვლევის მიზნების შესაბამისად განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

ა. ქართველ ებრაელთა მეტყველების შესწავლის ისტორია;

ბ. ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველი წყაროების კვლევა;

გ. სახელთა ფორმაწარმოების შესწავლა ქართველ ებრაელთა მეტყველებაში მათი საქართველოდან წასვლამდე შექმნილი ტექსტების მიხედვით;

დ. სახელთა ფორმაწარმოების შესწავლა ქართველ ებრაელთა მეტყველებაში მათი საქართველოდან წასვლის შემდგომი პერიოდის ტექსტების მიხედვით;

ე. ქართველ ებრაელთა მეტყველებაში სახელთა ფორმაცვალების თავისებურებათა გამოკვეთა და ანალიზი ქართული ენის ქვესისტემებთან მიმართებით.

**ნაშრომის პრაქტიკული და თეორიული ღირებულება.** ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება გამოიხატება იმაში, რომ კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს უმაღლეს სასწავლებლებში სპეცკურსებისა და სასემინარო მუშაობის ფარგლებში; ნაშრომს აქვს თეორიული მნიშვნელობაც: საკითხი შესწავლილია კომპლექსურად, რაც დაეხმარება დაინტერესებულ მკვლევრებს ქართველ ებრაელთა მეტყველებაში სახელთა ფორმაწარმოების თავისებურებებზე საჭირო ინფორმაციის მიღებაში.

**საანალიზო წყაროები (მასალები).** საანალიზოდ აღებული მასალები დაჯგუფებულია იმის მიხედვით, თუ რა ტიპისაა ტექსტი, რომელ პერიოდს განეკუთვნება და სად არის ჩაწერილი. შესაბამისად, აღნიშნული მასალა დისერტაციაში გაანალიზებული იქნება შინაარსობრივ-ჟანრობრივი, ქრონოლოგიური და ლოკალური ნიშნებით. კერძოდ:

ა. **ტექსტის ტიპები:** სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული მასალა მრავალფეროვანია. იგი მოიცავს როგორც ყოფითი ხასიათის ტექსტებს, ისე სხვადასხვა ჟანრის ფოლკლორულ მასალას, ასევე ქართველი ებრაელების წმინდა წიგნთა ზეპირ თარგმანებს, კერძოდ, „თავსილს“, „ფესახის აგადას“.



დამუშავებული გვაქვს ოფიციალური დოკუმენტები, სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ სხვადასხვა დროს განთავსებული ვიდეო- და აუდიომასალები, წერილები, აგრეთვე, შელოცვათა ჟანრის ტექსტები, ქართველ ებრაელთა ხალხური მკურნალობის ნიმუშები, პირადი წერილები, აკაკი წერეთლის პიესა „სცენა საპატიმროში“.

საანალიზო მასალა შედგება მონოლოგური და დიალოგური ტექსტებისაგან.

ტექსტების ენობრივი ანალიზისას იქმნება გარკვეული ხასიათის სირთულეები, რასაც განაპირობებს როგორც ჩამწერის მიზნობრიობა, ასევე ინფორმატორის დამოკიდებულება ჩაწერის პროცესისადმი.

გამოცემული ტექსტების ნაწილი უმთავრესად ფოლკლორისტების მიერ არის ჩაწერილი, ამდენად, ზოგჯერ თავს იჩენს გარკვეული ენობრივი უზუსტობებიც. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩამწერის ყურადღების მიღმა რჩება ქართველ ებრაელთა მეტყველების ზოგიერთი თავისებურება (ამ მხრივ არაერთგვაროვნება შეიმჩნევა რ. თავდიდიშვილის მასალაშიც).

ინფორმატორთა მეტყველებაში დასტურდება კოდთა გადართვის ფაქტები. როცა შეატყობენ, რომ ვინმე იწერს მათს ნათქვამს, ბუნებრივი მეტყველებიდან მყისვე გადადიან სალიტერატურო ქართულზე. სამეტყველო კოდთა გადართვას ადგილი აქვს მაშინაც, როცა ე. წ. „საშინაოს“ ცვლის „საგარეო“ მეტყველება, რაც ენათმეცნიერული თვალსაზრისით ნაკლებად ღირებულია, რადგან მასში იკარგება ქართველ ებრაელთა მეტყველების სპეციფიკური ნიშნები. კოდთა გადართვის შემთხვევები ფიქსირდება ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა საუბარშიც. თუკი ისრაელში წასვლამდე კოდთა გადართვა უმთავრესად ებრაული რელიგიური ტერმინების გამოყენებაში იგრძნობოდა, ახლა მათ მეტყველებაში გაჩნდა სხვა სახის ებრაული ტერმინებიც, რომელთაც ისინი, ჩვეულებისამებრ, ქართული გრამატიკული მარკერებით აფორმებენ. მაგალითად, ამბობენ: *მაზგანზე ვიყავი წასული* („მაზგანი“ = კონდენციონერი).

**ბ. ქრონოლოგიური ნიშანი:** საანალიზო მასალა უმთავრესად მოიცავს პერიოდს XX საუკუნის 20-30-იანი წლებიდან დღემდე. ეს ტექსტებია:

1. აკაკი წერეთლის მიერ XIX საუკუნეში ჟურნალ „აკაკის თვიურ კრებულში“ გამოქვეყნებული ქართველი ებრაელის მეტყველების ამსახველი ნიმუში „სცენა საპატიმროში“ (1898, №7: 19).

2. ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცული საქალაქო აღმასკომის მასალები, ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც განეკუთვნება XX საუკუნის 30-იან წლებს, აგრეთვე, ონის ებრაელთა ამხ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მასალები, კერძოდ, შრომა დღეების უწყისები 1936-1938 წწ. (ფონდი №25, არქ. №2, აღწ. №2).

3. იოსებ ქურჩიშვილის მიერ 1938 წელს ჩაწერილი ახალციხელ ებრაელთა ხალხური მკურნალობის ნიმუშები (ნაშრომს ახლავს ავტორის მცირე კომენტარი, რომ აღნიშნული მასალა ჩაწერილია მთხრობელის ენით).

4. როზა თავდიდიშვილის მიერ XX საუკუნის 30-40-იან წლებში ჩაწერილი ქუთაისელ ებრაელთა ყოფითი თუ ფოლკლორული ხასიათის ტექსტები. მათ შორის ყველაზე ადრინდელია ეთნოგრაფიული ხასიათის ნარკვევი „ქუთაისის ქართველ ისრაელ ქალთა ცხოვრება“ (1925), რომელიც დაცულია საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში. ეს ტექსტი გამოუქვეყნებელია. ნარკვევი მეტად ფასეულ ცნობებს შეიცავს ქუთაისელ ებრაელთა ყოფა-ცხოვრებიდან. მასში მოთხრობილია ქუთაისის დაბალი ფენების („მდაბიო ნაწილისა“ – რ. თავდ.) ყოფა-ცხოვრების შესახებ დაბადებიდან გარდაცვალებამდე.

5. 1982 წელს ონში თსუ ფოლკლორისტიკის კათედრის ზამთრის სამეცნიერო-ფოლკლორული ექსპედიციის (ხელმძღვანელი გიორგი ჯაფარიძე) მასალები, ჩაწერილი გ. ჯაფარიძისა და ექსპედიციის წევრთა მიერ. მათგან გამოქვეყნებულია რამდენიმე ტექსტი, რომლებიც გამოკვლეულია მხოლოდ ფოლკლორული ასპექტით.

6. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (დირექტორი პროფ. ტ. ფუტკარაძე) თანამშრომელთა მიერ 1998 და 2005 წლებში ჩაწერილი ქუთაისში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველების ნიმუშები, რომლებიც გამოქვეყნებულია (ე. დადიანის მიერ) სამეცნიერო ჟურნალში „ქართველური მემკვიდრეობა“ (ტ. XVIII, 2014; ტ. XX, 2016).

7. რ. ენოხის (ენუქაშვილის) მიერ ქართველ ებრაელთა რაბინებისაგან ჩაწერილი წმინდა წიგნთა ზეპირი თარგმანები: „თავსილი“ და „ფესახის აგადა“. ზეპირი თარგმანის ტექსტები გამოცემულია მის მიერვე იერუსალიმში („თავსილი“ – 2008 წ., „ფესახის აგადა“ – 2014 წ.).

„თავსილი“ მოსეს ხუთწიგნეულის პირველი წიგნის („ბერეშითის“) ზეპირი თარგმანია, რომელიც ასეულობით წლის განმავლობაში თაობიდან თაობას გადაეცემოდა ზეპირი გზით. როგორც რ. ენოხი აღნიშნავს, „თავსილის“ შესწავლას განუზომლად დიდი მნიშვნელობა აქვს „ქართველ ებრაელთა ისტორიისა და, შესაბამისად, საქართველოს ისტორიის საკითხების გასარკვევად, ქართველ ებრაელთა მეტყველების, ქართული დიალექტოლოგიისა და ქართული ენის ისტორიის შესასწავლად, რამდენადაც ეს არის იშვიათი ცოცხალი მოწმე საუკუნის წინანდელი სამეტყველო ქართულისა“ (ენოხი 2007: 44). „ბერეშითის“ ტექსტი ჩაწერილია სამი სხვადასხვა რაბინის მიერ. ესენია: აბრაამ გაგულაშვილი (სენაკი), სიმონ ელიშაყაშვილი (კულაში) და შალომ ხენი (წარმოშობით ქუთაისიდან). რაც შეეხება თარგმანის თარიღს, რ. ენოხის აზრით, ტექსტი თარგმნილი უნდა იყოს XI-XII საუკუნეებში (იქვე, 53).

„ფესახის აგადა“ – მოგონება ეგვიპტიდან ებრაელთა სასწაულებრივი გამოხსნის შესახებ – დაწერილია ივრითზე. ამ ენაზე მისი მოსმენა იყო სავალდებულო, მაგრამ „ბევრ ებრაელს საქართველოშიც და დიასპორის სხვა ქვეყნებშიც, თუმცა კი ებრაულად ლოცულობდა, პრაქტიკულად არ ესმოდა ეს ენა და იმისთვის, რომ მრევლისათვის გასაგები ყოფილიყო ესოდენ მნიშვნელოვანი ტექსტი, ქმნიდნენ მის თარგმანებს, ზუსტად ისევე, როგორც ბიბლიური წიგნებისას... სრულიად ბუნებრივია, რომ ასეთივე თარგმანი შესრულდა ქართველ ებრაელთა სალაპარაკო ენაზე“ (ენუქაშვილი 2012: 2). საუკუნეების განმავლობაში „ფესახის აგადა“ ზეპირად გადაეცემოდა თაობიდან თაობას, რადგან არ არსებობდა მისი ჩანაწერი. ის ჩაიწერა რ. ენოხმა და მანვე გამოსცა გამოკვლევითურთ. ტექსტი ჩაწერილია ორი მთქმელისაგან: ხახამ აბრაამ გაგულაშვილისა (A რედაქცია) და შალომ ჩიკვაშვილისაგან (B რედაქცია). ამასთან ერთად მეცნიერმა გამოსცა C რედაქციაც, რომელიც XX საუკუნის 60-იანი

წლების დასაწყისში იატაკქვეშა წესით ვრცელდებოდა მანქანაზე გადაბეჭდილი სახით.

8. დავით ბოთერას (ბოთერშვილის) მოგონებანი: „ჩანახატები რაბათის ებრაელთა ყაიდებისა“, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „არავში“ (2016).

9. ჩვენ მიერ 2016-2017 წლებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (თბილისი, ქუთაისი, ონი, ახალციხე...), აგრეთვე, ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელთაგან ჩაწერილი მასალა.

**გ. ლოკალური ნიშანი:** საკვლევო მასალა მოიცავს საქართველოს სხვადასხვა კუთხესა (იმერეთი: ქუთაისი, საჩხერე; რაჭა: ონი; სამცხე-ჯავახეთი: ახალციხე; ქართლი: თბილისი, სურამი...) და ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელთაგან ჩაწერილ მეტყველების ნიმუშებს, რომელთაგან მეტი წილი გამოქვეყნებულია სხვადასხვა დროს, ნაწილი კი გამოუქვეყნებელია.

მოკლედ მიმოვიხილავთ გამოქვეყნებულ ტექსტებს. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, დავასახელებთ რ. თავდიდიშვილის მიერ ჩაწერილ ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების ამსახველ შედარებით ვრცელ მასალას, რომელიც გამოცემულია სხვადასხვა დროს სხვადასხვა ავტორის მიერ. ეს ტექსტებია:

ა. როზა თავდიდიშვილის ეთნოგრაფიული ნარკვევი „ქართველ ებრაელთა ძველი ყოფა-ცხოვრებიდან“, რომელიც გამოიცა 1940 წელს. მასში შესულია ავტორის მიერ ქუთაისში ჩაწერილი ტექსტები, რომლებიც შეიცავს ქართველ ებრაელთა ყოფა-ცხოვრების, წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების ამსახველ საკმაოდ მდიდარ მასალას. ტექსტები მნიშვნელოვანია ენობრივადც. რ. თავდიდიშვილი აღნიშნავს, რომ ქუთაისელი ებრაელები იმერული კილოთი საუბრობენ, იმერელივით ილხენენ ქორწილებში, უმდერიან აკვნის ბავშვს და იმერელივით დასტირიან მიცვალებულს. ნაშრომის ავტორის დაკვირვებით, ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაში შეიმჩნევა ბოლომომხიანი ბგერის გაჭიანურება („მართლაა“, „უთქვიავე“, „ისე იცოცხლე“) ან სიტყვაში წინა მარცვლის განმეორება („უთხარი, უუ“; „მოიტანე, მოო“). გარდა ამისა, შენიშნულია, რომ ქართველ ებრაელთა მეტყველება, თავის მხრივ, გავლენას ახდენდა ქართველების მეტყველებაზე, რაც აისახებოდა ქართველთა მიერ ებრაული კუთხური გამოთქმების გამოყენებაში.

ბ. ელგუჯა დადუნაშვილის, სოლომონ ტაბუცაძის, ნინო დოლიძის მიერ შედგენილი წიგნი „ქართველ ებრაელთა ყოფა და ფოლკლორი“ (1999). ნაშრომში შესული ტექსტების ნაწილი ინახება შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივში, ონელი ებრაელების მეტყველების რამდენიმე ნიმუში კი დაცულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორის არქივში (თსუფა). მათი უმეტესობა გამოუქვეყნებელია; კრებულში ასევე შესულია ელგუჯა დადუნაშვილის ხელმძღვანელობით საექსპედიციო მუშაობის შედეგად მოპოვებული სურამში მცხოვრებ ებრაელთა მეტყველების ამსახველი ფოლკლორული მასალა, რომელიც დაცულია შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის არქივში.

გ. „ქართველ ებრაელთა ხალხური სიტყვიერება“ (2014), რომელშიც თავმოყრილია რ. თავდიდიშვილის მიერ ქუთაისში 1937 წ. სექტემბერ-ნოემბერში ჩაწერილი საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში დაცული უცნობი მასალა (გარდა სამი-ოთხი ნიმუშისა). კრებულის ავტორები გვაწვდიან ცნობებს ჩამწერის შესახებაც: „როზა თავდიდიშვილი გახლდათ ცნობილი მწერალი, ჟურნალისტი, მხარეთმცოდნე და მუხლმოუხრელი საზოგადო მოღვაწე. იგი თავგამოდებით ზრუნავდა ქალთა უფლებების დაცვაზე... ინტერესთა მრავალმხრივობისა და დიდად ფასეული პრაქტიკული მოღვაწეობის გამო თანამედროვეებმა მას „განმანათლებელი სიდონიაც“ კი შეარქვეს... და მისი მამულიშვილური მეშრომეობის კიდევ ერთი თვალსაჩინო გამოხატულებაა საბჭოური რეპრესიების მძვინვარების ჟამს ქუთაისში შეგროვილი ქართველ ებრაელთა ხალხური სიტყვიერება...“ (თათარაიძე, არაბული 2014: 4-5).

რ. თავდიდიშვილის მასალების ნაწილი შეტანილია არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართულ დიალექტოლოგიურ კორპუსში (რედაქტორები: მ. ბერიძე, ნ. სურმავა) (<http://corpora.co/#/texts>). როგორც ნ. სურმავა აღნიშნავს: ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველი მასალების დეფიციტის ფონზე დიდ მნიშვნელობას იძენს ქუთაისელ ებრაელთა ქართული მეტყველების ნიმუშები, ჩაწერ. 1939 წ. რ. თავდიდიშვილის მიერ. აღნიშნული ხელნაწერები ინახებოდა არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართულ

დიალექტოლოგიურ არქივში და მისი „გამომზიურება“, სხვა ადრინდელ ხელნაწერ დიალექტოლოგიურ მასალებთან ერთად, მოხდა ქართულ დიალექტოლოგიურ კორპუსზე მუშაობის პროცესში (სურმავა 2014: 59).

გარდა ამისა, საქართველოს ებრაელთა მუზეუმის შრომების ერთ-ერთ ტომში (1945) გამოქვეყნებულია იოსებ ქურჩიშვილის სტატია „ახალციხეში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა ხალხური მკურნალობა“.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია გიორგი ჯაფარიძის დამსახურება ფოლკლორული თვალსაზრისით მდიდარ ონელ ებრაელთა მეტყველების ნიმუშების ამსახველ მასალათა ჩაწერაში. ეს ტექსტები დაცულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორის არქივში სახელწოდებით „ებრაული ფოლკლორი“ (ექვსი რვეული). მათგან რამდენიმე ნიმუში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოცემულია ელგუჯა დადუნაშვილის მიერ 1999 წელს, ნაწილი კი დღემდე გამოუქვეყნებელია. გ. ჯაფარიძის მასალაში საყურადღებოა 71 წლის მთქმელი იონა ბუზუკაშვილი. როგორც გ. ჯაფარიძის ჩანაწერებიდან ირკვევა, იონა ებრაულის საუკეთესო მცოდნედ ითვლებოდა. ექსპედიციის დროს იგი კითხულობდა და პირდაპირ ზეპირად თარგმნიდა ებრაულიდან ამბებს. მისი მონათხრობი უმეტესწილად ეხება ბიბლიურ თემებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია „სამყაროს შექმნა“, რომელიც ვარშავაში გამოცემული ებრაული წიგნიდან თარგმნა ზეპირად. „იონა ამ თხელ წიგნს კითხულობდა პირდაპირ ქართულად, ხანდახან ამოილულლულეებდა ებრაულად“. ეს წიგნი, იონას თქმით, არის „გადმოცემები“ – „დგმები“. ი. ბუზუკაშვილის მონათხრობში შეინიშნება არაერთი საინტერესო ენობრივი ფორმა თუ მოვლენა.

**ნაშრომის მეთოდოლოგია.** ნაშრომში სახელთა ფორმაწარმოების თავისებურებათა კვლევისას გამოყენებულია აღწერითი, ისტორიულ-შედარებითი, ანალიზის მეთოდები. ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველი ტექსტების შედარებითი ანალიზისას ვითვალისწინებთ როგორც ქრონოლოგიურ, ისე ლოკალურ პრინციპს. ერთმანეთს ვუდარებთ, აგრეთვე, სხვადასხვა ტიპის ტექსტებს, კერძოდ, ყოფითს, ფოლკლორულ, საკანცელარიო (განცხადება), ეპისტოლარულ (პირადი წერილები) ტექსტებსა და ქართველ ებრაელთა წმინდა წიგნების ზეპირ თარგმანებს.

**სადისერტაციო ნაშრომის სიახლე:** სადისერტაციო თემის მეცნიერულ სიახლეს განაპირობებს ის, რომ ნაშრომში პირველად არის მონოგრაფიულად შესწავლილი და გაანალიზებული სახელთა ფორმაწარმოების თავისებურებანი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, აგრეთვე, ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში. პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცული მასალა, ასევე, პირველადაა ენობრივად შესწავლილი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ავტორის (იოსებ ქურჩიშვილის, გ. ჯაფარიძის, ელგუჯა დადუნაშვილის), ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ამჟამად ქართველოლოგიის ცენტრის) თანამშრომელთა მიერ ჩაწერილი ტექსტები, აგრეთვე, ჩვენ მიერ 2016-2017 წლებში საქართველოს სხვადასხვა კუთხესა (თბილისი, ქუთაისი, ონი, ახალციხე...) და ისრაელში ჩაწერილი ქართველ ებრაელთა მეტყველების ნიმუშები; სოციალური ქსელების, ინტერნეტის მეშვეობით მოპოვებული ვიდეო-აუდიო მასალები და სხვა.

**ნაშრომის აღწერა:** სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნითი დებულებებისაგან. ნაშრომს დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურის სია, წყაროები, შემოკლებანი, დანართი (2016-2017 წლებში ჩვენ მიერ ჩაწერილი ახალი მასალა).

**შესავალში** მიმოხილულია საკითხის შესწავლის ისტორია. აქვე წარმოდგენილია სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობა, მიზანი, ამოცანები, კვლევის მეთოდები, ნაშრომის პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა. **პირველი თავი** ეძღვნება არსებითი სახელის ფორმაწარმოების საკითხებს. არსებითი სახელი (საზოგადო, საკუთარი) შესწავლილია როგორც პარადიგმატული, ისე სინტაგმატური თვალსაზრისით; **მეორე თავში** მოცემულია ზედსართავი სახელის პარადიგმატული და სინტაგმატური ანალიზი; **მესამე და მეოთხე თავებში** ამავე პრინციპით არის გაანალიზებული რიცხვითი სახელი და ნაცვალსახელი. **დასკვნით დებულებებში** შეჯამებულია კვლევის შედეგები.

**საკითხის შესწავლის ისტორია.** ქართველ ებრაელთა მეტყველებისთვის დამახასიათებელმა სპეციფიკურმა ფორმებმა, ენობრივმა თავისებურებებმა დიდი

ხანია მიიქცია მკვლევართა ყურადღება. ამასთან დაკავშირებით როგორც საქართველოში, ისე ისრაელში გამოქვეყნდა რამდენიმე საინტერესო ნაშრომიც, სახელდობრ, გ. წერეთლის (ხელნაწერი), კ. წერეთლის, ნ. ბაბალიკაშვილის, კ. დუმბაძის, რ. ენოხის (რუბენ ენუქაშვილის), გ. ბენ-ორენის (როგორც ცალკე, ისე ვ. მოსკოვიჩთან ერთად), კ. ლერნერის, ი. პაპისმედოვის, ი. გაგულაშვილის, თ. ლომთაძის (როგორც ცალკე, ისე რ. ენოხთან ერთად), რ. ზექალაშვილის, ნ. სურმავასი, რ. ენოხისა (ენუქაშვილისა) და რ. სალინაძისა (ერთობლივი) და სხვათა ავტორობით.

ქართველ ებრაელებთან დაკავშირებული პირველი ნაშრომი ეკუთვნის ქართველ ლიტერატორსა და ისტორიკოსს *ზაქარია ჭიჭინაძეს*. 1904 წელს მან გამოაქვეყნა მრავალმხრივ საინტერესო ნარკვევი „ქართველთა ებრაელები“, რომელიც 1990 წელს გამომცემლობა „მეცნიერება“ ხელახლა გამოსცა სათაურით „ქართველი ებრაელები საქართველოში“. მისი ნარკვევი ეფუძნება ძველქართულ წყაროებს. ნაშრომში ავტორი წერს არაერთ მნიშვნელოვან საკითხზე, მათ შორის, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ქართველ ებრაელთა შემოსვლისა და მიგრაციის შესახებ, მათი საქართველოში განსახლების ადგილებზე, ასევე ქართველ ებრაელთა განათლებისა და ქართული ენისადმი მათი დამოკიდებულების შესახებაც. მკვლევარი ნარკვევში სრულიად სამართლიანად უსვამს ხაზს იმას, რომ ქართველმა ებრაელებმა შეინახეს ქართული ენა თვით აღმოსავლეთის უშორეს ქვეყნებში, ლაზისტანში, ტრაპიზონში.... ქართველ ებრაელებს იქ მიჰქონდათ ქართული ენა, სადაც მიდიოდნენ, წერილსაც ქართულად წერდნენ (ჭიჭინაძე 1990: 7, 10). ნაშრომში მეცნიერის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა ქართველ ებრაელთა სპეციფიკური მეტყველებაც, რითაც ისინი თავს განარჩევდნენ ადგილობრივი მოსახლეობისაგან. ზ. ჭიჭინაძე ყურადღებას ამახვილებს ქართველ ებრაელთათვის ქართული ენის მნიშვნელობაზე, დანიშნულებაზე და ფუნქციაზე: „როგორც ძველად, დღესაც ქართველი ებრაელები ყველგან თავის დედა ენათ ქართულს ენას ხმარობს. არც ძველად და არც დღეინდელ ებრაელს ქართული ენის მტერობა არ ქონია და არც აქვთ, ნაცვლად მტერობის, მათ უაღრესად აქვთ ჩაქსოვილი ამ ენის სიყვარული. საქართველოს გარეშე სადაც არ უნდა წავიდეს ქართველი ებრაელი, იგი ქართულს ენას არსად არ დასტოვებს, მას



ყველგან ამ ენაზედ ეხერხება ლაპარაკი. ამ ენით სცდილობს იგი, ამით ლაპარაკობს ყველგან, შინ, გარეთ, ვაჭრობაში და თვით სასამართლოში“ (ჭიჭინაძე 1990: 36-37). მკვლევარი ასევე საყურადღებო ინფორმაციას გვაწვდის ქართველ ებრაელთა დამოკიდებულებაზე ქართულად წერა-კითხვის შესწავლის კუთხით. მისი თქმით, ქართველ ებრაელებში დიდი ხნიდან გავრცელდა ქართული წერა-კითხვა, რომელსაც ისინი ხახმებისა და რაბინების მეშვეობით სწავლობდნენ თავიანთ ძველ ებრაულ ენასთან ერთად. ზ. ჭიჭინაძე მიიჩნევს, რომ ძველადაც და მის დროსაც ქართველმა ებრაელმა უსათუოდ ქართულ ენასთან ერთად ქართული წერა-კითხვაც იცოდა. მეცნიერს პირადად ჰქონია შეხება ქართველ ებრაელებთან. მას თავად დაურიგებია 1900 წელს ახალციხის ქართველი ებრაელობისათვის ქართული წიგნები. მისი დაკვირვებით, „ქუთაისსა და ზოგ დაბებშიც იშვიათად შეხვდებით ქართული კითხვის არმცოდნე ვაჭარ ებრაელს“ (ჭიჭინაძე 1990: 38-39).

ამავე ნაშრომში ზ. ჭიჭინაძე ყურადღებას ამახვილებს ქართველ ებრაელთა ლოცვის წიგნებზე: „ურიათ ზოგნი მოხუცებულნი ამბობენ, რომ ძველად ქართველთ ებრაელთა ქართულს ენაზედ ლოცვის წიგნებიც აქვდათ და იგინი ქართულად კითხულობდნენო“. კითხვაზე, – თუ რატომ კითხულობდნენ ებრაულად ლოცვებს, როცა მათთვის გაუგებარი იყო იგი, – ქართველი ებრაელი პასუხობს: „ბარე არ გვესმის, მაგრამ რა ვქნათ? რატომ ქართულათ არა სთარგმნით? ქართულს ენაზედ თარგმნას ჩვენი რაბინი ნებას არ გვაძლევს, რადგან ჩვენი დიდი რაბინი რუსის ურია არისო და გვეუბნებოდა, რომ ჩვენი სჯული ერთი არისო და ენაც ერთი უნდა იყოსო. მოშალეთ ქართულ ენაზედ ლოცვა და ერთმანეთში წიგნების მიწერ-მოწერაც... ძველად ნათარგმნი ლოცვის წიგნებიც გვაქვს, რომელიც ადრე ჩვენს მამა-პაპებს ქართულად უთარგმნიათ, მაგრამ სუყველა ისინი უქმად სძევს“ (ჭიჭინაძე 1990:57-58).

**გიორგი წერეთელი** ახალგაზრდობაში დაინტერესდა საჩხერის ქართველ ებრაელთა მეტყველებით და ამ საკითხზე შექმნა მნიშვნელოვანი ნაშრომიც „საჩხერელ ებრაელთა მეტყველების თავისებურებანი“, მაგრამ ის არ გამოქვეყნებულა და ვერც ხელნაწერის მივაკვლიეთ (ნაშრომის არსებობის შესახებ შევიტყვეთ რ. ენოხისაგან).

*ი. პაპისმედოვი* ერთ-ერთი პირველი ამახვილებს ყურადღებას ქართველ ებრაელთა საიდუმლო სავაჭრო ენაზე. ნარკვევში „საქართველოს ებრაელთა აღებმცემის ისტორიისათვის“ იგი წერს: „ყურადღების ღირსია ის მოვლენა, რომ დროთა განმავლობაში მოვაჭრე ებრაელებს შემუშავებული ჰქონდათ თავისებური პირობითი ენა, რაც თავის დროზე გარკვეული მნიშვნელობის მატარებელი იყო და ამჟამად კი, იგი ენათმეცნიერთათვის ფრიად საინტერესო მასალას წარმოადგენს... მის მთავარ დანიშნულებას უმთავრესად კლიენტებისაგან ვაჭრობის საიდუმლოების დაცვა შეადგენდა. ამის გამო ამ ენას შეიძლება პირობითად „სავაჭრო-საიდუმლო ენა“, ანუ „ჟარგონი“ ვუწოდოთ“ (*პაპისმედოვი 1945: 69*). როგორც ავტორი აღნიშნავს, ეს „ენა“ XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში გამოიყენებოდა ქართველ ებრაელი ვაჭრების წრეში, თუმცა შემდეგ შეაღწია ებრაელთა საყოფაცხოვრებო მეტყველებაშიც (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში – ქუთაისში). ავტორის აზრით, „საიდუმლო-სავაჭრო ენა“ ძირითადად ძველი ებრაული სიტყვებისაგან შედგება, რომელთა ერთი ნაწილი ქართული ენის ფორმებით გვხვდება (*პაპისმედოვი 1945: 70*).

*კონსტანტინე წერეთელმა* 1998 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც აღნიშნავს, რომ ქართველი ებრაელებისთვის არსებობს ორი „სხვადასხვა წარმოშობის დედაენა: ებრაული, დაცული ბიბლიის ტექსტების ტრადიციული კითხვისა და ღვთისმსახურების გზით, და ქართული ქართველ ებრაელთა სალაპარაკო და სამწერლობო ენა“; ქართველ ებრაელთა მეტყველების შესახებ კ. წერეთელი საუბრობს, აგრეთვე, „ბიბლიის ებრაულის“ შესავალში (2001). მეცნიერი საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ქართველ ებრაელთა საქართველოში შემოსვლისა და მათი ენის შესახებ. კერძოდ, ის მიიჩნევს, რომ საქართველოში ებრაელთა პირველი ემიგრაცია ივარაუდება ძვ. წ. VI საუკუნეში, როდესაც პალესტინაში მათი მშობლიური ებრაული ენა იყო გაბატონებული. ამიტომ, ცხადია, ამ ემიგრაციის სამეტყველო ენა ებრაული (ბიბლიის ენა) იყო. მეცნიერის აზრით, ებრაელთა მეორე ემიგრაცია საქართველოში ახ. წ. I-II სს.-ში უნდა მოსულიყო. ეს ის ხანაა, როდესაც პალესტინაში უკვე არამეული ენაა გავრცელებული და ებრაელთა დედაენის ფუნქციასაც სწორედ ის ასრულებს. პალესტინელ ებრაელთა

მშობლიურ ენას ცვლის არამეული ენის პალესტინის დიალექტი, რომელიც ამ დროიდან ხდება ებრაელთა დედაენა. კ. წერეთელი აკეთებს საყურადღებო დასკვნას: „ამ დროს საქართველოში შემოსული ებრაელები უცილობლად მეტყველებდნენ არამეულად, თუმცა, სავსებით შესაძლებელია, მათი ერთი ნაწილი ჯერ კიდევ ფლობდა მშობლიურ ებრაულსაც. არ არის გამორიცხული, რომ საქართველოში დამხვედურმა ებრაელობამ უკეთ იცოდა წინაპრების ენა და მათ წრეში ჯერ კიდევ ცოცხლობდა იგი, შესაძლებელია უკვე ქართულის გვერდით, რასაც ებრაული ტექსტების წაკითხვის დღევანდელი ტრადიცია ადასტურებს“ (წერეთელი 2001: 25). საინტერესოა მეცნიერის მოსაზრება ქართული ენის მიმართ ებრაელთა დამოკიდებულების შესახებ: საქართველოში დასახლებული ებრაელობის ქართულ ენობრივ გარემოში მოხვედრამ, ბუნებრივია, გამოიწვია ქართული ენის საკონტაქტო ენად გამოყენების აუცილებლობა, რის გამოც ებრაელები ითვისებენ ქართულ ენას, რომელიც შემდეგში საუკუნეების მანძილზე მათთვის დედაენის ფუნქციას ასრულებდა, ხოლო მშობლიური ებრაული ენა მხოლოდ სწავლულებისა და ღვთის მსახურთა წრეში შემორჩა. ამ დრომდე კი თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ძველთაგანვე მცხოვრები ებრაელებისათვის არსებობს სხვადასხვა წარმოშობის დედაენა: ებრაული, დაცული ბიბლიის ტრადიციული კითხვისა და ღვთისმსახურების მეშვეობით, და ქართული, ქართველ ებრაელთა სალაპარაკო და სამწერლობო ენა (ამ ენაზეა შექმნილი არაერთი შესანიშნავი მხატვრული თხზულება, არაერთი სამეცნიერო და სხვა ხასიათის ლიტერატურა) (იქვე: 27).

აღსანიშნავია *კოტე დუმბაძის* ნაშრომი „ლექსიკური ებრაიზმები ქართულ ქალაქურ ჟარგონში“, რომელშიც საუბარია ქალაქური ჟარგონული მეტყველებისათვის დამახასიათებელ ზოგიერთ ებრაული წარმოშობის სიტყვაზე. ამავე ნაშრომის შესავალ ნაწილში მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს ქართველ ებრაელთა მეტყველების შესწავლის მნიშვნელობაზე. იგი წერს: „...საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ებრაული დიასპორის ერთ-ერთი უძველესი დასახლების მეტყველება, იქნება ის ებრაული, ქართული, თუ შერეული, ზემოხსენებული ჟარგონის სახით, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. ქართველი ებრაელები იცავენ წარმოთქმის სეფარდული ტრადიციის ნორმებს, გვიჩვენებენ ძველი

ებრაულისათვის დამახასიათებელ წარმოებასა და ფორმებს. ამიტომ თანამედროვე ებრაული ენის ისტორიულად გამართლებული მოდელის ძიებასთან დაკავშირებული მუშაობა ქართველ ებრაელთა მეტყველების განხილვის გარეშე არასრულყოფილი იქნებოდა (დუმბაძე 1979: 29).

*გერშონ ბენ-ორენმა* არაერთი ნაშრომი უძღვნა ქართველ ებრაელთა მეტყველების შესწავლას, მათ შორის, დისერტაცია „ქართველ ებრაელთა სალაპარაკო ენის სპეციფიკური თავისებურებანი“ (იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტი, 1993). ჟურნალ „ნოსტალგიაში“ გამოქვეყნებული წერილის შესავალ ნაწილში გ. ბენ-ორენი მიმოიხილავს ქართველ ებრაელთა მეტყველებას: „მართალია, საქართველოს ებრაელებმა ამ ქვეყანაში მოსვლის შემდეგ აითვისეს ქართული ენა და ამ ენაზე მეტყველებდნენ საუკუნეების განმავლობაში, მაგრამ ებრაული ენა დარჩა სალოცავ ენად. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, აგრეთვე, არამეული ენის ელემენტების არსებობა მათ მეტყველებაში, რადგან საქართველოში მოსვლისას ეს ენა მათი მშობლიური ენა იყო. საქართველოს ებრაელთა სამეტყველო ენა სამ სფეროში ამჟღავნებს სპეციფიკას: 1. ყოველდღიურ მეტყველებაში; 2. საიდუმლო (სავაჭრო) ენაში ანუ ჟარგონში; 3. წმინდა წიგნების თარგმანისას (ბენ-ორენი 2008: 23).

გერშონ ბენ-ორენი ნაშრომში „ივრითულ-არამეული და ქართული კომპონენტები ქართველ ებრაელთა სამეტყველო ენაში“ (“The Hebrew-Aramaic And Georgian Components in the Spoken Language of Georgian Jews”) (თანაავტორი ვ. მოსკოვიჩი) აღნიშნავს: „ისევე როგორც ჩვეულებრივი ებრაული ენა, ქართველ ებრაელთა სამეტყველო ენაც აერთიანებს სხვადასხვა ენის (ქართული, ივრითული, არამეული, სპარსული და თურქული) ელემენტებს“ (მოსკოვიჩი, ბენ-ორენი 2018: <https://www.jstor.org/stable/pdf/23528722/>)

განსაკუთრებულია *რეუვენ ენობის (რუბენ ენუქაშვილის)* როლი ქართველ ებრაელთა მეტყველების შესწავლაში. იგი ერთ-ერთი საყურადღებო მკვლევარია ქართველ ებრაელთა მეტყველებისა. მეცნიერმა ამ თემას არაერთი ნაშრომი მიუძღვნა, რომლებიც პერიოდულად იბეჭდებოდა როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი ღვაწლი ებრაელთა წმინდა წიგნების კვლევაში, რომელთა ჩანაწერი უკანასკნელ დრომდე არ არსებობდა. ამ მხრივ მან

დიდი შრომა გასწია, ჩაიწერა და გამოსცა ქართველ ებრაელთა მიერ შესრულებული ზეპირი თარგმანები, რომლებიც შეისწავლა ენობრივადაც.

რ. ენოხმა ჟურნალ „ქართველოლოგში“ გამოაქვეყნა სტატია „ფესახის აგადა“ (პასეჟის ლეგენდა) ტრადიციული თარგმანი და მისი მნიშვნელობა ქართველოლოგიისათვის“. მიუხედავად იმისა, რომ თარგმანის ენამ განიცადა ცვლილებები, ავტორი მაინც ახერხებს მსჯელობას ძირითადი ენობრივი პლასტის შესახებ. ამ თარგმანის კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველ ებრაელთა ისტორიისა, და საერთოდ, ებრაელთა დიასპორის ისტორიის შესასწავლად, აგრეთვე ქართული ენის ისტორიის კვლევის თვალსაზრისითაც, რამეთუ მან, რ. ენოხის სამართლიანი შენიშვნით, როგორც „ცოცხალმა დოკუმენტმა“, ჩვენამდე მოიტანა საუკუნეების წინა ქართულის სუნთქვა (ენოხი 2014: 3).

ქართველ ებრაელთა მეტყველებას მიეძღვნა რ. ენოხის სხვა ნაშრომებში: „ქართველ ებრაელთა მეტყველების რამდენიმე სპეციფიკური თავისებურება ქუთაის-ბანძის რეგიონის ებრაელთა მეტყველების მაგალითზე“ (2005); „ებრაული საკუთარი სახელები ქართველ ებრაელთა მეტყველებაში“ (2005); „შენიშვნები არსებითი სახელის ბრუნვისა და მრავლობითის ფორმის შესახებ დასავლეთ საქართველოს ებრაელთა მეტყველებაში“ (2011); „ქართული დიალექტოლოგიის საკითხები – შენიშვნები ქართველ ებრაელთა სამეტყველო ინტონაციის შესახებ“ (2011); „ქართველ ებრაელთა მეტყველების რაობის საკითხისათვის“ (2014)...

ქართველ ებრაელთა საქართველოში დასახლების, ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ წერს ისაკ შამელაშვილი ნაშრომში, რომელიც დღემდე ხელნაწერის სახით არის შემონახული. ავტორს გაანალიზებული აქვს, აგრეთვე, ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური თავისებურებები. ხელნაწერის შესახებ გამოკვლევა „უცნობი ნაშრომი ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების შესახებ“ გამოაქვეყნა მისმა მძისშვილმა პროფესორმა *რუსუდან ზექლაშვილმა*, რომელიც სინანულს გამოხატავს იმის თაობაზე, რომ თავის დროზე არ შეუსწავლიათ ქუთაისელ ებრაელთა მეტყველება, ახლა კი, ცნობილი მიზეზების გამო, უკვე გამწვანდა ეს საქმე. მისივე ვარაუდით, ნაშრომი ი.

შამელაშვილის მოხსენების სახით წაკითხული უნდა ჰქონდეს სტუდენტთა კონფერენციაზე 1959 წელს (ზექალაშვილი 2014: 99).

მეტად ფასეულია *ვარლამ თოფურია*ს მიერ ონში მცხოვრებ ებრაელთა მეტყველების შესახებ გამოთქმული თვალსაზრისი: „მოსახლეობის მხრივ რაჭაში მხოლოდ ქართველები – რაჭველებია, ე. ონში (და ამბროლაურში) ებრაელებიც ცხოვრობენ, მაგრამ მათი მეტყველება **რაჭულია**“ (თოფურია 1961: 236).

ასევე საყურადღებოა *ბესარიონ ჯორბენაძის* დაკვირვება ონელ ებრაელთა მეტყველებაზე. მეცნიერი თავის მონოგრაფიაში „ქართული დიალექტოლოგია“ აღნიშნავს: „რაჭაში ძირითადი მოსახლეობა ქართველებია. ონში მკვიდრობენ ებრაელებიც, რომლებიც **რაჭულად უქცევენ**“ (ჯორბენაძე 1989: 399).

საყურადღებოა მკვლევარ *ზაალ კიკვიძის* მიერ გამოთქმული თვალსაზრისი ქუთაისში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველების შესახებ. მკვლევარი ქუთაისში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველების თავისებურებათა ერთობლიობას ეთნოსოციოლექტს უწოდებს. იგი კვალიფიცირებულია როგორც სუბდიალექტი (ქვედიალექტი), რაც გულისხმობს იმერულის სპეციფიკურ კილოკავს (კიკვიძე 2013).

ქართველ ებრაელთა მეტყველებას ეხება *ზაქარია ფურცხვანიძის* მოხსენება „ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების თავისებურება“, რომელიც 1991 წელს წაიკითხა რესპუბლიკურ დიალექტოლოგიურ სამეცნიერო სესიაზე გორში. მისი დაკვირვებით, ქუთაისელი ებრაელების მეტყველება გამოირჩევა ერთი წყება ფონეტიკური, მორფოლოგიური და ლექსიკური თავისებურებებით; კერძოდ, გაანალიზებულია: სიტყვის ბოლო ხმოვნის დაგრძელება, რის საფუძველზედაც გვევლინება ძლიერად გამოხატული მუსიკალური მახვილი; მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა და ა.შ.

ქართველ ებრაელთა მეტყველების შესწავლას ეძღვნება *თამარ ლომთაძის* ნაშრომები. მათ შორის აღსანიშნავია: „ქუთაისური ჟარგონი“ (2005), „ქუთაისური ქართული“ (2005), „თანამედროვე ქართული სოციოლექტები“ (2010); „ქართველ-ებრაელთა დიალექტი თუ ყოფილი ლინგვისტური კონტინიუმის განაპირა კუნძულაკი?“ (2014); „ქართველ ებრაელთა მეტყველების სტატუსისათვის“ (2014)...

თ. ლომთაძე ქართველ (ქუთაისში მცხოვრებ) ებრაელთა მეტყველებას მიიჩნევს **ქუთაისური მეტყველების ნაირსახეობად**. მისი აზრით, ქუთაისელი ებრაელები ქუთაისურად მეტყველებენ, მაგრამ ქართული ენობრივი საშუალებებით ახდენენ გამიჯვნას ქართველთაგან. ესაა გრამატიკული ფორმები, რომლებსაც იყენებენ მხოლოდ ისინი, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ ებრაელებთან გავრცელებული სპეციფიკური მოვლენები დასტურდება ქართული ენის სხვა დიალექტებში, უმეტესწილად ქართლურში, ზემოიმერულსა და მესხურში (ლომთაძე 2005: 19-20). ავტორის დაკვირვებით, ებრაელთა მეტყველებისათვის დამახასიათებელი მოვლენები უმეტესწილად გვხვდება დასავლურსა და აღმოსავლურ დიალექტებში, მაგრამ არა ქუთაისურში, რასაც მკვლევარი დიალექტთა ურთიერთგამიჯვნის ტენდენციით ხსნის (ლომთაძე 2005: 104). ნაშრომში „ზმნურ ფორმათა ზოგიერთი თავისებურებისათვის ქუთაისელ ებრაელებთან“ აღნიშნულია, რომ ქართველ ებრაელთა მეტყველება სხვადასხვა დიალექტში პოვნური ფონეტიკური და გრამატიკული ფორმების კონგლო-მერატია, შეზავებული ძველი ებრაულიდან მომდინარე ლექსიკური ერთეულებით (ლომთაძე 2017: <http://ice.ge/of/wp-content/uploads/2017/11/dialeqtologiuri/>)

2014 და 2016 წლებში ჟურნალ „ქართველურ მემკვიდრეობაში“ გამოქვეყნდა ქართველ ებრაელთა მეტყველების ნიმუშები. მასალა ჩაწერილია ქალაქ ქუთაისში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მომძიებელთა ჯგუფის (დ. შავიანიძე, რ. ხაჭაპურიძე, ლ. ხაჭაპურიძე) მიერ 1998 და 2005 წლებში პროფ. ტ. ფუტკარაძის ხელმძღვანელობით. მეტყველების ნიმუშები გამოსაცემად მოამზადა **კკა დადიანმა**. აღნიშნული ჩანაწერები მნიშვნელოვანი საკვლევო მასალაა ჩვენი დისერტაციისთვის.

საინტერესოა **მანანა ტაბიძის** ნაშრომი „როგორ მეტყველებენ ებრაელები ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებში“. ავტორის ვარაუდით: „...ებრაელთა მეტყველება შესაბამის ქართულ დიალექტში კილოკავად უნდა გამოიყოს და ისე დახასიათდეს, რათა მოხერხდეს იმ სოფლების (ან ქალაქური დასახლებების, ე.წ. ებრაელთა უბნების) სამეტყველო თავისებურებათა უკეთ შემჩნევა და გამიჯვნა იმავე

სოფლის, კუთხის დიალექტური (ან სოციოლექტური) მეტყველებისაგან (ტაბიძე 2014: 277-278).

ებრაელთა ენების მკვლევართა შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. გამოყოფენ ებრაელთა 16 ენას, რომელთა შორის დასახელებულია ქართველ ებრაელთა მეტყველებაც (ენოხი 2012: <http://kartvelologi.tsu.ge/index.php/journal/inner/21/>).

ებრაელთა ენების გამოჩენილი მკვლევარი *მ. ბარ-აშერი* მიიჩნევს, რომ ქართველ ებრაელთა მეტყველება არ შედის არაბულ თუ ისლამურ ქვეყნებში არსებულ ენების კატეგორიაში, მაგრამ პროფესორ *დ. ბუნისის* რედაქტორობით გამოსულ წიგნში „სეფარდი და აღმოსავლელი ებრაელები და მათი ლიტერატურა“ (იერუსალიმი, 2009), რომელშიც ცალკე განყოფილება აქვს დათმობილი „ქართველ ებრაელთა ენას“, აღნიშნულია, რომ თითქმის ყველა ის თავისებურება, რომლებიც ებრაელთა ენებისათვის არის დამახასიათებელი, მ. ბარ-აშერის თეორიული მოძღვრების მიხედვით, ქართველ ებრაელთა მეტყველებისთვისაცაა ნიშანდობლივი.

კვლავ უნდა გავიმეოროთ, რომ, მართალია, ქართველ ებრაელთა მეტყველების შესახებ მნიშვნელოვანი გამოკვლევებია გამოქვეყნებული, არსებული მასალა სრულყოფილი სურათის შესაქმნელად და მკაფიო დასკვნების გამოსატანად მაინც არ არის საკმარისი.



# თავი I. არსებითი სახელის ფორმაცვალება

## ქართველ ებრაელთა მეტყველებაში

### 1.1. არსებითი სახელის პარადიგმატული ანალიზი

ტრადიციული გრამატიკის მიხედვით, ტერმინი „სახელი“ გულისხმობს შემდეგ მეტყველების ნაწილებს: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი და ნაცვალსახელი, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც ლექსიკურად, ისე სტრუქტურულად და ფუნქციურად.

„რა არის ის, რითაც ცნება სახელი ამ ოთხი კლასის გამაერთიანებელი შინაარსის მატარებელია. ასეთი არის ბრუნება. ამდენად, სახელად შეიძლება მოვიხსენიოთ ისეთი სიტყვები, რომლებიც განარჩევს ბრუნვებს, ანუ ქმნის ბრუნების სისტემას“ (არაბული... 2011: 62). შესაბამისად, ყველა სახელი იბრუნვის. ბრუნება სახელთა საერთო კატეგორიაა. აქვე შევნიშნავთ, რომ ზოგიერთ ენაში, მაგალითად, ებრაულში, ინგლისურში... არ არის ბრუნება, მაგრამ სახელის კატეგორიასა და მის ჯგუფებს მაინც გამოყოფენ.

ზოგი მეცნიერის აზრით, რამდენადაც ბრუნება მორფოლოგიური კატეგორიაა, ხოლო ბრუნვაც მორფოლოგიური ცნება, ამდენად ბრუნვათა რაოდენობის განმსაზღვრელი უნდა იყოს სიტყვის მორფოლოგიური სტრუქტურა. ზოგი კი ბრუნვის გამოსაყოფად სინტაქსურ-სემანტიკურ მხარესაც მიიჩნევს აუცილებელ პირობად.

თანამედროვე სამწიგნობრო ქართულში გამოყოფენ ბრუნების პარადიგმის 7 ერთეულს. მათგან განარჩევენ პირდაპირ (სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი) და ირიბ (ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი) ბრუნვებს. ამას ემატება წოდებითი ბრუნვა. ქართულ ლინგვისტიკაში აზრთა სხვადასხვაობაა ზოგიერთ ბრუნვასთან, განსაკუთრებით წოდებით ბრუნვასთან, დაკავშირებით. კერძოდ:

1. წოდებითი ბრუნვა არ არის (არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია...);
2. წოდებითი დამოუკიდებელი ბრუნვაა (ა. შანიძე, ა. ონიანი, თ. უთურგაიძე...);
3. წოდებითი სახელობითი ბრუნვის ვარიანტია (გ. ნებიერიძე, ი. იმნაიშვილი...)

წოდებითი ბრუნვის საკითხი ეჭვის ქვეშ პირველად არნ. ჩიქობავამ დააყენა. მისი აზრით, სინტაქსური ურთიერთობის თვალსაზრისით წოდებითი ბრუნვა არ არის: „წოდებითი არასოდეს არ აღნიშნავს დამოკიდებულებას ზმნასთან“. „მეგობრებო, წინ, წინ გასწით!“ ზმნა ამგვარ გამოთქმებში მეორე პირის სახელს უკავშირდება („თქვენ გასწით!“), „მეგობრებო“ სიტყვა კი მიმართვას გამოხატავს და წინადადებაში განმხოლოებით დგას. ამგვარ სიტყვას შეიძლება მსაზღვრელი დაერთოს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ეს სიტყვა ვერ უკავშირდება ზმნას. თავის მსაზღვრელთან ერთად იგი განმხოლოებული რჩება. ამგვარი სიტყვები ბრუნვა არ არის, მიმართვის ფორმაა (ჩიქობავა 1952: 161-268).

ამავე აზრს ავითარებს ვ. თოფურიაც. მკვლევრის მტკიცებით, წოდებითი განსხვავდება სხვა ბრუნვათაგან წარმოშობით. ო ნიშანი არ შეიძლება ისეთივე ფორმანტი იყოს, როგორც ნათესაობითისა და მოქმედებითისა არის, რადგანაც მას არ შეუძლია არც ფუძის შეკუმშვა და არც ბოლოხმოვნის მოკვეცა. წოდებითის ადგილი წინადადებაში მყარი არ არის. წოდებითს ძახილის ინტონაცია ახასიათებს და ამით განსხვავდება იგი სხვა ბრუნვებისგან. წოდებითი არ იმართვის არც ზმნის, არც სახელისა და არც თანდებულის მიერ. წოდებითი არასოდეს არ აღნიშნავს დამოკიდებულებას ზმნასთან. სახელთანაც მას მხოლოდ შეთანხმება აკავშირებს. წოდებითი თავისი ფუნქციის გამო სინტაქსში უნდა იქნეს განხილული, ხოლო როგორც ფორმა – მორფოლოგიაში (თოფურია 1956: 42-47).

განხილულ მოსაზრებების საპირისპიროდ ა. შანიძე შენიშნავს: წოდებითში დასმული სახელისათვის, მსგავსად სხვა ბრუნვის ფორმისა, დამახასიათებელია სინტაქსურ კავშირში ყოფნა სხვა სახელებთან. გამონათქვამში „ჩემო კარგო მეგობარო“ ბრუნვაში შეთანხმებასთან გვაქვს საქმე. შეთანხმება ხომ ერთ-ერთი სახეა სინტაქსური კავშირის სისტემაში. „ექიმის მეგობარო“ მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა მართვით არის წარმოდგენილი (შანიძე 1956: 49-50).

განსხვავებული თვალსაზრისი ეკუთვნის გ. ნებიერიძეს. იგი წოდებითს ქართულში მიიჩნევს სახელობითი ბრუნვის ვარიანტად, რომელიც გარკვეულ პოზიციაში (როდესაც სახელი თანხმოვანზე ბოლოვდება), დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაშია სახელობითთან, ხოლო გარკვეულ პოზიციაში

(ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებში) – თავისუფალი ვარიანტების მიმართებაში. სახელობითსა და წოდებითს შორის არის სემანტიკური ხასიათის მსგავსება: ორივე მათგანისათვის საერთოა ნომინაციის ფუნქცია: „სახელობითი და წოდებითი ერთი და იგივე ბრუნვაა, უფრო ზუსტად, წოდებითი წარმოადგენს არა დამოუკიდებელ ბრუნვას, არამედ სახელობითი ბრუნვის პოზიციური ვარიანტია, რომლის დისტრიბუცია შეზღუდულია მხოლოდ მიმართვის შემთხვევებით“ (ნებიერიძე 1986: 247-249).

ამავე აზრისაა ი. იმნაიშვილი. მას მიაჩნია, რომ ძველ ქართულში არის ნაშთი სახელობითი ბრუნვის წოდებითის ფუნქციით გამოყენებისა (იმნაიშვილი 1957: 674). „წოდებითი, როგორც ცნობილია, ყველაზე ახალი ბრუნვაა ქართულში. უფრო ძველად მის ფუნქციას წრფელობითი ასრულებდა. ამის გადმონაშთი შემონახულია ძველ ქართულში, სადაც წრფელობითის შინაარსი წოდებითის ფორმითაა გადმოცემული: მოძღუარ, გუნებავს შენგან სასწაულისა ხილვაი“ (მ. 12, 38)(იქვე: 757).

ტრადიციული მოსაზრების გარდა, ბრუნვათა რაოდენობასთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც ბრუნვის ფორმა შედგენილობის თვალსაზრისით ორი სახის შეიძლება იყოს: მარტივი და რთული; მარტივი ბრუნვა ერთი ნიშნითაა გაფორმებული, ხოლო რთული ბრუნვა ორმაგ სუფიქსს დაირთავს, რომლებიც ერთიან ფორმანტად გაიაზრება. შესაბამისად, ქართულში გვაქვს 7 მარტივი ბრუნვა: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი, წოდებითი. რთულია: ორმაგსუფიქსიანი ბრუნვები, თანდებულიანი ბრუნვები (ფუტკარაძე 1997: 163 -164).

ჩვენ სახელის პარადიგმაში, ტრადიციული გრამატიკების მიხედვით, გამოვყოფთ შვიდ ბრუნვას (სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი, წოდებითი). რაც შეეხება სახელთა თანდებულთან ფორმებს, მათ ცალკე განვიხილავთ.

### 1.1.1. არსებითი სახელის ბრუნვები

#### საზოგადო არსებითი სახელები

არსებითი სახელის ფორმაწარმოების თვალსაზრისით ქართველ ებრაელთა მეტყველება უმთავრესად ქართულის მსგავს ვითარებას გვიჩვენებს. ეს ეხება როგორც ბრუნვათა რაოდენობას, ისე ფუნქციურ-სემანტიკურ ასპექტებს.

### **სახელობითი ბრუნვა**

**თანხმოვანფუძიანი სახელები.** ქართველ ებრაელთა მეტყველებაში თანხმოვანფუძიან საზოგადო არსებით სახელებს ფორმაწარმოების მხრივ არ ახასიათებთ რაიმე განსაკუთრებული თავისებურება. არსებითი სახელი სახელობითში უმეტესად წარმოდგენილია -ი ნიშნით, იშვიათად – Ø (ნულოვანი) ალომორფით:

-ი: *ახლაც დიდი ლხინი და წოვილობა გამართა ხენმწიფემ* (ქდკ: „ბატის მწყემსი“, №3939); *ყველიფერი ბებრი ქონდა, რაც ღმერთ გაუჩენია: ქონება და ცხოვრება, თეთრი და საქონელი, საჭმელი და სასმელი, ია და ვარდი...* (ქდკ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *ადამიანი მიწიდან არი შექმნილი* (ახალი მასალები, 2016, ჩამწ. ს. გუმბ.)...

Ø: *და ესე პარასკებ რო შემოდის შაბათი გადის შაბათ საღამოს...* (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.); *ქუდ სად არი?* (ისრაელში მცხოვრებ კულამელი ებრაელის მეტყველებიდან: ფბ, 2018)... აქ მოსალოდნელი არ იყო უნიშნო სახელობითი. ეს ფაქტი შეიძლება აიხსნას რესპოდენტის მეტყველების ინდივიდუალური თავისებურებით. უნიშნო სახელობითის შემთხვევა დადასტურდა რ. თავდიდიშვილის ჩაწერილ მასალაშიც: *ელამი ჭაპანაი, ღჯოლებიანი, მუხლუხოს ფერ არი* (იქვე). მუხლუხოს ფერ არი [ასეა. ნ. სურმავა.].

აქვე შევნიშნავთ, რომ უნიშნო სახელობითის ფორმები იშვიათად, მაგრამ მაინც არის ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში. მსგავსი ფაქტები დასტურდება ქართული ენის დიალექტებში (ფხოური, ქართლური, რაჭული...). მაგალითად: *ქალ წამართვით ხომო?* (რაჭ.); *ქალ წაიყვანეს* (ფშ.); *ნაოფლარს ჯვარ დაგვიწერი, აქ ვალ აღარ გვაქვ...* (ხევს.).

**ხმოვანფუძიანი სახელები.** ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ხმოვანფუძიანი საზოგადო სახელები მეტწილად ნულოვანი ალომორფითაა წარმოდგენილი, ზოგჯერ კი -ი ნიშანს დაირთავენ. ამ მხრივ განსხვავება არ არის ერთ- და მეტმარცვლიან სახელთა შორის. მაგალითები:

**უკვეცილი სახელები:** *შენი გათხუების დრო მოვიდაო* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); სურათებიც არ გვქონდა არც **ოქრო...** (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.); *მისმა ქალიშვილმა უნდა აირჩიოს საქმარო* (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944); *ყველიფერი ბებრი ქონდა, რაც ღმერთ გაუჩენია:... საზაფხულო და საზამთრო* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *რაბის თავში ერთი აზრი დეებადა, რომ საისრეელო გედერჩინა* (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941)...

**კვეცადი სახელები:** *გეიპო ე ზღვა და გაქრა* (ტექსტები 2014: 237); *ეფერებოდა მამა თავის ქალიშვილ, რადგანაც დედა არ ყავდა და ობოლი იყო ეცოდებოდა* (ქდვ: „სულამითი“, №3948); *სუდარა იცით, რაც არი...* (ახალი მასალები, 2016, ჩამწ. ს. გუმბ.)...

ანალოგიური ვითარებაა **აბსტრაქტულ სახელებთან:** *სანამ ეს ჩემი ქონება გეყოფათ, სჭამეთ, ალალი იყოს* (თათარაიძე, არაბული 2014: 11); *მეზობლებმაც თანხმობა გამოუცხადეს* (თავდ. 1940: 130); *დაიკრიფა გულზე ხელები და შვიდობა დატევა* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950); *ახლაც დიდი ლხინი და წოვილობა გამართა ხენმწიფემ* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *ძალიან ძნელი იყო ჩემთვის იქაური სწავლა* (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბერიძე)...

საანალიზო ტექსტებში, კერძოდ, რ. თავდიდიშვილის მასალაში, დასტურდება სახელობითში ხმოვანფუძიან სახელთან ბოლო ხმოვნის დაგრძელების შემთხვევები, რაც გამოხატულია ორმაგი ხმოვნით (აა, ეე, ოო). მაგალითად:

**აა:** *ამ ფაცხიდგან გამოდის ე ხმაა* (ქდვ: „უდარდელი კაცი“, №3949); *ამ დროოს ლოცვის კარში შემოვიდა ე უფროსი ძმაა* (ქდვ: „ორი ძმა“, №3946); *...დამილოცე გზაა, რომ მტერმა ჩემზე არ გაიხაროს* (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941); *აწია ი ქვაა* (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942); *მოჭრა ფთაა ქათამ* (ქდვ: „ვაშკაცის სიბრძნე“, №3943)...

**ეე:** *ვინც ირმის ხორცი და რძეე მოქცავავო, გაცინეს* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939)...

**ოო:** *ასე მიდის დროო და წელიწადები* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939)...

სახელობითში ხმოვანფუძიან სახელის ბოლოს ორმაგი ხმოვნის გაჩენა არის არა ბრუნების თავისებურება, არამედ ინტონაციური თავისებურება. როგორც რ.

ენუქაშვილი აღნიშნავს, „დასავლეთ საქართველოს ებრაელთა მეტყველების ინტონაციური თავისებურებები ამ მეტყველების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი „საცნობო“ ნიშანია და იგი რიგ შემთხვევაში არსებითად განსხვავდება ადგილობრივ მცხოვრებთა ინტონაციისაგან“ (ენობი 2011: <http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe>)

ერთ- და მეტმარცვლიან სახელურ ფუძეებთან -ი სუფიქსი დაჩნდება ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების ამსახველ ტექსტებშიც, თუმცა ამ მოვლენას სისტემური ხასიათი არა აქვს. -ი სუფიქსი გვხვდება როგორც უკვეცელ, ისე კვეცად სახელებთან. ასეთია მეტწილად კნინობითი სახელები. მაგალითად:

*ქალსა ყველას ქალი ქვია? ზოგი ქალი ქალუნაი* (თათარაიძე, არაბული 2014: 176); *კაცსა ყველას კაცი ქვია? ზოგი კაცი კაცუნაი* (იქვე)... *ჩამოუშვით ოქროს კავი, აიყვანეთ თქვენი დაი* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი,“ №3950); *იქავ ისევ საჩქაროდ მოვიდა დეიდაი* (იქვე); *რომა მზეთუნახავის დეიდაი მისი ჭკპანა ქალიშვილიანა ორივე ცხენების კუდებზე გემეებავე* (იქვე)...

რ. ენუქაშვილი მიუთითებს, რომ მსგავსი ვითარება შეიმჩნევა ბანძელ ებრაელთა მეტყველებაშიც როგორც საზოგადო, ისე საკუთარ სახელებთან და ასევე კნინობითის მაწარმოებელთა შემდგომაც: დედიკო მოდის, **დედიკოი** (ენუქაშვილი 2001: 78). უნდა ითქვას, რომ აქაც ინტონაციური თავისებურება იჩენს თავს.

ქართული ენის კილოთაგან იშვიათია -ი სუფიქსი რაჭულში. იგი შეგვხვდა -ობათი ნაწარმოებ აბსტრაქტულ სახელთან გ. ჯაფარიძის მიერ ჩაწერილ მასალაში: *შვიდი წელიწადი კი იქნება შიმშილობაიო* (თსუფა 1982: №25155).

-ი სუფიქსი არის, ასევე, სურამელ ებრაელთა მეტყველებაში როგორც ორ-, ისე მეტმარცვლიან კვეცად სახელებთან. მაგალითად:

*რა არიო, რაშია საქმეი, ბავშვები რათ ტირიანო?* (დადუნაშვილი... 1999: 35); *ეს შენი სიმდიდრეი უნდა გადავიდეს ამ ქალის ოჯახზეო* (იქვე)...

-ი ალომორფი გვხვდება -ო ნაწილაკის წინაც: *უნდა გამათეინო ამალამო ერთი ღამეიო* ( დადუნაშვილი... 1999: 35).

ჩვენს მასალაში სახელობითის ნიშნად -ი სუფიქსი არის, აგრეთვე, საკუთარ სახელებთან, ნაცვალსახელებთან, ზედსართავ სახელებთან, ზმნისართებთან. მაგალითები:

**საკუთარ სახელთან:** *ამ დღეებში ხომ გაცარცვით მისრაიმი და ფარყოი* [ეგვიპტე და ფარაონი] (ქდვ: „ძველების გამყიდველი“, №3952). ი. შამელაშვილი სახელობითი ბრუნვის სპეციფიკურ შემთხვევად მიიჩნევს -ი-ს ან -ი-ს დართვას საკუთარ სახელებში. მას დასახელებული აქვს რამდენიმე მაგალითი: **ბაბალეი, დავითოი, სარაი** (ზექალაშვილი 2014: 102).

**ნაცვალსახელთან:** *წაილე ისრელო, ე ძველები ყველაი* (ქდვ: „ძველების გამყიდველი“, №3952); *თქვენე ყველკანაი ჩემი შვილები ხართ* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *წამოდგენ სუყველკანაი, წავიდენ შახში* (ქდვ: „ღარიბი კაცის ამბავი (სიძმარის ახსნა)“, №3951); *ესე იმისთანა გოგო-ქალიშვილი იყო, იმისთანაი რომა* (ქდვ: „ღარიბი კაცის ამბავი (სიძმარის ახსნა)“, №3951); *რაცხაი შორიდგან ოქროსავით ბჭკინამს* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939).

**ზედსართავ სახელთან:** *ე კაცი ვინძალა უცხო იყო, ჭაპანაი, უმნო მამხით [ემშაკს] გავდა* (ქდვ: „ღარიბი კაცის ამბავი (სიძმარის ახსნა)“, №3951); *ვინძალა ელამი ჭაპანაი, ღჯოლებიანი, მუხლოუხოს ფერ არი* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950).

**ზმნისართებთან:** *მეფარჩხემ მეორე ქალიშვილსაც გამოუძებნა საძალაი ერთი ხნიერი და ბრმა კაცი* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950).

ადრეული პერიოდის სალიტერატურო ენაში ხმოვანფუძიან საზოგადო სახელებთან სახელობითი ბრუნვის ნიშნის ალომორფებად დასტურდება -ი/Ø. ნულოვანი ალომორფით ძირითადად წარმოდგენილია საკუთარი სახელები: **ევა, ადამ...** (ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი, ზ. სარჯველაძე, თ. უთურგაიძე...). ქართველურ ენაკილოებშიც სახელობითი ბრუნვა ძირითადად იმავე სუფიქსებით არის გაფორმებული, თუმცა მათი განაწილება დიალექტების მიხედვით მეტ-ნაკლებად განსხვავებულია: ხმოვანფუძიან სახელებთან სახელობითი ბრუნვის ნიშნის ალომორფებად გამოიყენება -ი/-ი/Ø, რომლებიც გამოვლინდება ქართულურში, კახურში, ფშაურში, მოხეურში, თუმურში, ხევსურულში, მთიულურ-გუდამაყრულში, იმერულში, აჭარულში, გურულში, სამცხურში, ჯავახურში,

ინგილოურში (კახურში)... თუმცა სხვადასხვაგვარია მათი გამოვლენის შემთხვევები: ქართლურში, ხევსურულსა და ფშაურში ხმოვანფუძიან სახელებთან სახელობითის -ი ნიშნის დართვა პოზიციურად არის შეპირობებული: ძირითადად ფრაზის ბოლოში გვხვდება, მაგალითად: რო გაითოხნება, მიწა სუ უნდა ამოყარო; მიყრილი რო აქს მიწაი, მაშინ კაი ძირ იკეთებს (ქართლ.) (ჯორბენაძე 1989: 301).

მოხეურში -ი დასტურდება ა-ზე გათავებულ სახელებთან, აგრეთვე, იშვიათად უ-ზე დაბოლოებულ ერთმარცვლიან სახელებთან: გუდა-ი, ქალა-ი, რუ(ვ)-ი, ყრუ(ვ)-ი, ბუ(ვ)-ი. ასეა მთიულურ-გუდამაყრულშიც.

გურულსა და აჭარულში სახელობითის ნიშნად -ი/-ჲ ფორმანტი გვაქვს ყველა ერთმარცვლიან ფუძესთან: ძმა-ი, და-ი, ხმა-ი, ხოლო ორ- და მეტმარცვლიანთაგან გამოვლინდება კნინობითის ან მქონებლობის -ა სუფიქსიან ფორმებთან: ტუმარა-ი, აბდალა-ი (გურ.), სარაკუნა-ი (აჭარ.) (ჯორბენაძე 1989:523).

ქვემოიმერულში ერთმარცვლიან ხმოვანფუძიან სახელებს შენარჩუნებული აქვთ -ი სუფიქსი: და-ი, ძმა-ი... გურულსა და ქვემოიმერულში ეს პროცესი თითქმის უგამონაკლისოდ გვხვდება (განსაკუთრებით ვანურ თქმაში).

განსხვავებული ვითარებაა ზემოიმერულში, სადაც სახელობითი ბრუნვის ნიშანი -ი გამოვლინდება ორ- და მეტმარცვლიან სახელებთან: ცხოვრებაი, კაცობაი, ქალობაი (შარაშენიძე 2016: 78).

ხმოვანფუძიან სახელებთან სახელობით ბრუნვაში -ი/-ჲ ვარიანტთა გამოვლენა, თ. უთურგაიძის შეხედულებით, უკავშირდება ქართული ენის ფონემატური სისტემის დაწოლას მორფოლოგიურ სისტემაზე (უთურგაიძე 1986: 29).

მაშასადამე, ქართველ ებრაელთა მეტყველებაში სახელობითში -ი ხმოვნის გამოვლენა ხდება ქართული ენის ქვესისტემების მსგავსად, თუმცა ამ მოვლენას არ აქვს სისტემური ხასიათი.

საანალიზო მასალაში გამოიკვეთა ერთი თავისებურება: ზოგი ხმოვანფუძიანი სახელის დაბოლოებაში ა-ს ნაცვლად გვხვდება ე. მაგალითად: კვირა > კვირე.

*სწორეთ ერთი კვირე ხო აკლია ამ ბიიჭ ცხრა წლის შესრულებას* (ქდკ 2017: „ბატონი სანატრელი“, №3940); *მე კი სანამდისინი კვირე დილა არ გათენდება ერთ კაპიკ არ მოგცემ იცოდუ* (იქვე); *მე კი სანამდისინი კვირე დილა არ გათენდება, ერთ*



*კაპიკ არ მოქცემ იცოდე* (იქვე). ეს ფორმა გვხვდება, აგრეთვე, ონში ჩვენ მიერ ჩაწერილ ახალ მასალაში. მაგალითად: კამპანია გრძელდებოდა კვირე ღამემდე ჩემ ბავშობაზე (ახალი მასალები, 2016, ჩამწ. ს. გუმბ.); *გაიარა ერთმა კვირემ* (იქვე)... **კვირე** ასევე დადასტურდა ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველებაშიც: *ერთი კვირე ჩვენ არ ვჭამთ პურს* (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.); *დავკეტავ ერთი კვირე კიდეო* (იქვე).

ამ მხრივ საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს ქართული ენის დიალექტები. კონკრეტულად, ქვემოიმერულში, ზემოგურულსა და ლეჩხუმურში -ა ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებთან (გარდა ერთმარცვლიანი ფუძეებისა) ზოგჯერ სახელობითი ბრუნვის ნიშანი ერწყმის ფუძისეულ ა-ს და ფონეტიკური ცვლილების შედეგად ვიღებთ -ე-ს: ბიცოლ-ე (< ბიცოლა-ი), ტომარ-ე (< ტომარა-ი), ბაღან-ე (< ბაღანა-ი). ამ შემთხვევაში ივარაუდება შემდეგი ცვლილება: აი > ეი > ე (ძიძიგური 1954: 169; შარაშენიძე 2016: 77). როგორც შ. ძიძიგური მიუთითებს, ამავე გზითაა მიღებული ფორმა **კვირე** (ამისთანე, აქანე, პეტერე...). მკვლევრის აზრით, „ამ წესს გასდევს არსებითად საკუთარი სახელები, რომელთაც ბოლოკიდურად ე მიუღიათ: სამსონე, ვასილე...“ (ძიძიგური 1954: 169). სალიტერატურო ქართულის „კვირა“ აჭარულში ბოლოკიდური ე ხმოვნითაა გავრცელებული: კვირესაა ტირილი; ერთ კვირე დღეს მესტუმრე... იგივე ფორმა დაუცავს „რუსუდანთანს“: „ერთსა კვირესა სულ გასაცემშია, რა ერთი კვირე გამოვიდა“ (ცინცაძე... 1989: 47). ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ ეს ქართული ენისათვის დამახასიათებელი მოვლენაა, რადგან იგი შემონახულია ძველი ქართული მწერლობის ძეგლშიც.

აქედანაც ჩანს, რომ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში დასავლურ დიალექტთა მსგავსი ენობრივი მოვლენებია: ა ხმოვანფუძიანი სახელი იქცა ე ხმოვანფუძიანად. შემდგომ ეს ყალიბი განზოგადდა: გადავიდა სხვა ბრუნვებში, გვხვდება თანდებულიან და ნაწარმოებ სახელებთანაც: *შენე ხომ მაინც კვირეს უნდა მამცე ფული, იწამე ღმერთი და დღეს მამეცი* (იქვე); *იოსეფი კი ჩვეულებრივათ კვირეობით შიმშილობდა* (ქდვ: „იოსეფი – დამაპატიოსნებელი შაბათისა“, №3945); *ცოლის ჩხუბით თავმოებურებული კვირეობით დაიკარგებოდა ხოლმე, ტყეში წავიდოდა*

(თავდ. 1940: 151); *როშაშანის მერე ერთ კვირეში მოდის ქიფური* (ახალი მასალები 2017, ჩამწ. ს. გუმბ.).

ანალოგიური შემთხვევები დადასტურდა ზეპირ თარგმანშიც: *შესრულდება კვირე ერთი ესე* (ბერეშ., თ. 29); *და შეასრულა იაყაკობმა ეგრეთ, და შესრულდენ კვირე ესე* (იქვე); *და შეასრულა იაყაკობმა ეგრეთ, და შესრულდენ კვირე ესე...* (იქვე). ზეპირი თარგმანის ენაში კვირე ფორმა ცოცხალი მეტყველების გზით ჩანს დამკვიდრებული.

კვირა ფორმასთან დაკავშირებით არსებობს სხვა შეხედულებაც. რ. ენოხის აზრით, კვირეში ე-ს განმაპირობებელი უნდა იყოს კვირა სახელის უკვეცელობა ებიან მრავლობითში: კვირა-ებ-ი > კვირე-ებ-ი (ასიმ.). ამ მოვლენას მეცნიერი არა დასავლეთ საქართველოს დიალექტების გავლენად, არამედ საკუთრივ ქართველ ებრაელთა მეტყველების თავისებურებად მიიჩნევს (ენოხი 2009: 174).

ამდენად, ქართველ ებრაელთა მეტყველებაში სახელობით ბრუნვაში გამოვლინდა შემდეგი ალომორფები: თანხმოვანფუძიანებში -ი, **ბ**; ხმოვანფუძიანებში -**ბ**, -ი.

#### მოთხრობითი ბრუნვა

თანხმოვანფუძიანი სახელები. ქართველ ებრაელთა მეტყველებაში, კერძოდ, ყოფითი და ფოლკლორული ხასიათის ტექსტებში, თანხმოვანფუძიან საზოგადო არსებით სახელებთან მოთხრობით ბრუნვაში უმეტესად გვხვდება -მა ალომორფი:

*ხო ნახა და გაშინჯა ამ ჯანიოს აქიმმა* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *ცოლმა უთხრა: სულ სახლში რომ ხარ, გაიარ-გამოიარეო* (თსუფა 1982: №25149); *რო შეიქნა გათენება, ამოიხწურა ღამე, უთხრა დათემა და მგელმა მელიას* (იქვე); *მაშინვე ხემწიფემ გასცა ბრძანება* (იქვე)...

იშვიათად გვხვდება ძველი წარმოებაც. -მან ნიშნიანი ფორმა დადასტურდა რ. თავდიდიშვილის მიერ ჩაწერილ მასალაში (მონათხრობი ეკუთვნის 60 წლის აბრაამ სეფიაშვილს): *უთხრა მას ყმამან ხენწიფისამან* (დადუნაშვილი... 1999: 80)... და *წაიყვანეს ის ამხანაგებმან მისმა და უთხრეს მას* (იქვე: 79); და *თვალეებმან მისმა წვეთა ცრემლები* (იქვე: 81). ტექსტში ნათლად იგრძნობა ზეპირ თარგმანთა ენის გავლენა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ელგუჯა დადუნაშვილის მოსაზრება, რომლის

მიხედვითაც მოცემული საანალიზო ტექსტი შესაძლოა წარმოადგენდეს ზეპირ თარგმანთა ფიქსაციას (იქვე: 7).

ქართველ ებრაელთა ზეპირ თარგმანებში გავრცელებულია მოთხრობითის ძველი ქართულისებური წარმოება:

**-მან:** ასე ბძანა **შვილმან** შენმან იოსებმან: დამსვა მე **ღმერთმან** ბატონად თელი მიცრაიმისათვის; ჩამოდი იმათ ჩემსა, ნუ შეჩერდები (ბერეშ., თ. 45); დამსვა მე **ღმერთმან** ბატონად თელი მიცრაიმისათვის; იმა **ანგელოზმან**, **დამხსნელმან** ჩემან იმის ყოველი სიავისაგან, აკურთხოს იგი ყმარწვილები (ბერეშ., თ. 48)... და შვილი რვა დღეებისა დაიცივითოს თქვენში, ყოველმა **ვაჟმან** თანა-დარაებით მათითა (ბერეშ., თ. 17); და აილო ორმა შვილმა იაყაკობისამ, შიმყონ და ლევიმან, **ძმებმან** დინასამან, **კაცმან** ხმალი მისი (ბერეშ., თ. 34); ...ან გამოგვცადოს **ღმერთმან** მოსავალად ასაყვანლად მისთვის ერად იმის შუა ერებისაგან შინა გამოცდილობაებითა... („ფესახის აგადა“, ენობი 2014: 30).

არის ახალი წარმოების ფაქტებიც. ზოგჯერ ერთსა და იმავე ფრაზაში გვხვდება პარალელური ფორმები (-მან || -მა):

და ბძანა **ღმერთმან:** ამოიძრიოს იმა **წყალმან** ამოსანძრევი სულისა ცოცხლიერისა და **ფრინველმა** იფრინოს ზედა იმა დედამიწაზედა ზედა პირსა სამყაროსა იმის მცისასა (ბერეშ., თ. 1). როგორც რ. ენობი წერს, „ფესახის აგადის“ თარგმანში „ერთმანეთის გვერდითაა **-მან** დაბოლოებიანი და გამარტივებული **-მა** ბრუნვისნიშნისანი ფორმები. მაგალითად, **a** რედაქციაში გვაქვს: **მთებმან** იხტუნეს ერკემელისებრივ, **b** რედაქციაში კი იგივე სახელი წარმოდგენილია **მთებმა** ფორმით“ (ენობი 2012: <http://kartvelologi.tsu.ge/index.php/journal/inner/21>).

როგორც ვხედავთ, წმინდა წიგნების ზეპირ თარგმანებში პარალელურად გვხვდება **-მან** და **-მა** ნიშნისანი ფორმები. „თავსილთან“ დაკავშირებით აღსანიშნავია რ. ენუქაშვილის კიდევ ერთი ნაშრომი „ძველი ქართულის ელემენტები „თავსილში“. მასში ავტორი მსჯელობს არა მარტო თარგმანის შექმნის ისტორიაზე, არამედ აანალიზებს მას ენობრივადაც და გამოაქვს ფრიად მნიშვნელოვანი დასკვნები. იგი წერს: „...ძველი ქართულის ელემენტთა გვერდით „თავსილში“ წარმოდგენილია სხვა ფორმები, და, რა თქმა უნდა, ამგვარი ვითარების მიზეზი ორია: ერთი მხრივ, თვით

ენაში უკვე თანაარსებობდა ნაირგვარი ფორმები, და მეორეც, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, თავსილის გადმომცემნი, მის შემქმნელთა ანდერძის მიუხედავად, რომ იგი უცვლელად უნდა გადავიდეს თაობებში, ცვლიდნენ ფორმებს ნებისთ თუ უნებლიეთ – ზოგი ფორმა უკვე თვითონვე არ ესმოდათ, ზოგი კი, მათი აზრით, პირვანდელი სახით გაუგებარი იქნებოდა მრევლისთვის“ (ენუქაშვილი 2007: 54-55).

მოთხრობითის არქაული წარმოების შემთხვევები დასტურდება ქართული ენის ზოგიერთ კილოში, მაგალითად, ფხოურში, აგრეთვე, სამცხურში, ჯავახურში, კახურში, ქსნის ხეობის ქართლურში: ერთხენ დაგვიჭამ **მგელ-მან** ცხვრები (ფშ.); **ქალ-მან** დაუძახა (ჯავახ.), გადმასახლა **მეფე-მან** გლეხები (ქართლ.)...

**ხმოვანფუძიანი სახელები.** ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ხმოვანფუძიან სახელთა მოთხრობითი ბრუნვა ძირითადად გამოხატულია -მ ნიშნით როგორც ერთ-, ისე მეტმარცვლიან სახელებთან. მაგალითები:

*ამ ცოლის დამ არც კი იკადრა ამ ღარიბი სიძის გამოლაპარაკება* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950); *მამამ კი იცოდა, თუ ქონებას არ მიემატებოდა, ძაღვ გამოილეოდა, ამის გამო ეცოდებოდა შვილები* (თათარაიძე, არაბული, 2014: 11)... *ღამე იქვე გაათია, დილით წასვლა დააპირა, მეცხვარემ არ გაუშვა* (იქვე); *იმ გოგოს სიმშვენიერემ და სილამაზემ ბნედა მოგვარავე ყველა იმის შემხედვარეს* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950)...

ფრაზის ბოლოკიდურ პოზიციაში ხმოვანზე დაბოლოებულ სახელს მოთხრობით ბრუნვაში იშვიათად დაერთვის -მ-ა: *და მოახსენა იმათ მისა იმა ყმამ* (ბერემ., თ. 24); *მივიდა შუა ზღუაში მოიმატა ზღუამა, სუყუელა ჩა... ჩაახჩო ი წყალმა* (ახალი მასალები, 2016, ჩამწ. ს. გუმბ.)... ამ მოვლენას სპეციფიკურს ვერ ვუწოდებთ, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, -მ-ა დაბოლოება ხმოვანფუძიან სახელებთან დასტურდება ქართული ენის დიალექტებშიც. მაგალითად: **მესხურში** (და-მ-ა); **რაჭულში** (მმა-მ-ა); **გურულში** (ხე-მ-ა); **აჭარულში** (ურე-მ-ა)... (შარაშენიძე 2016: 79).

მოთხრობითი ბრუნვის გავრცობილ ფორმასთან გვხვდება სხვათა სიტყვის -ო-ც:

*შენმა მზემაო ის არ უკადრებიავე ერთი მეორესთვინ* (ქდვ: „ბატის მწემსი“, №3939); *იქნებო მე მომიწონოსო ამ გოგომაო* (იქვე); *არ ისუნტლა თქვენზე არაფერმა გლახამაო* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940)...

-მან დაბოლოება ძირითადად დადასტურდა ფიცის ფორმულებსა და სასულიერო ხასიათის ტექსტებში: *კვდარიც მის ხელში ვაართ, მისმა მზემან, და ცოცხალიცაო* (ქდკ 2017: №3940); *მისი გადაწყვეტილობა არ დაირღოვა მისმან მზემან* (ქდკ: „ლარიზი კაცის ამბავი (სიმძარის ახსნა)“, №3951); *მისი გადაწყვეტილობა არ დაირღოვა მისმა მზემან* (იქვე); *და უთხრა მან ყმამან ხენწიფისამან* (დადუნაშვილი... 1999: 80).

ქართველ ებრაელთა ზეპირ თარგმანებში ხმოვანფუძიანი სახელების მოთხრობით ბრუნვაში უფრო მეტად გვხვდება -მან ნიშნიანი ფორმები, თუმცა გამორიცხული არ არის გამარტივებული -მა-ც. მაგალითები:

-მან: *და დასდვა იმა ყმამან იგი ხელი მისი ქვეშეთ ცხვირბარკალსა აბრაამისა* (ბერემ., თ. 24); *ამითი გამოიცდებით: მზემან უფლისამან, თუმც გახვალთ იმისა ამისაგან* (ბერემ., თ. 42); *და ვერ შეძლო ქვეყანამან ცხოვრება მათი ასაზიდავად მათთვის იმის პირისა ჯოგის მათისაგან* (ბერემ., თ. 36);

-მ: *და მოახსენათ ძმამა მისმან და დედამ მისმან, გაჩერდება იგი ყმაწვილი გოგო ჩვენ თანა წელიწადსა ან ათსა თვესა, უკანით წამოვა* (ბერემ., თ. 24)...

„თავსილში“ უმეტესად დასტურდება ხმოვანფუძიან სახელთა მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის გავრცობილი ვარიანტი:

*და მოახსენა იმათ მისა იმა ყმამა: ეგებიც არ ისურვოს იმა დედაკაცმა წამოსავალათ უკანით ჩემსა იმათ ქვეყანასა ამასა* (ბერემ., თ. 24); *და მოახსენათ ძმამა მისმან* (იქვე).

საანალიზო მასალის მიხედვით, მოთხრობითი ბრუნვის დაბოლოება განსხვავებულია ტექსტთა ტიპების მიხედვით: ყოფითი და ფოლკლორული ხასიათის ტექსტებში ძირითადად გავრცელებულია -მა/-მ, ხოლო ზეპირ თარგმანებში – -მან.

როგორც მიუთითებენ, ბრუნვის ნიშნის გამარტივების პროცესი ძველ ქართულშივე დაიწყო (სარჯველაძე 1984: 361-362), რამაც საბოლოოდ მიგვიყვანა მოთხრობითის ალომორფებამდე: -მა თანხმოვანფუძიანებში და -მ ხმოვანფუძიან სახელებში. რ. ენუქაშვილის აზრით, „თავსილი“ მნიშვნელოვანი მოწმობაა ენაში მიმდინარე ცვლილებების პროცესისა, რამდენადაც მასში წარმოდგენილია ძველი ფორმებიცა და ახალიც“ (ენუქაშვილი 2007: 59).

ამდენად, ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში მოთხრობითი ბრუნვის წარმოებაში დადასტურდა როგორც ძველი, ისე ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი ვითარება. ახალი წარმოება ჭარბობს ფოლკლორული და ყოფითი ხასიათის ტექსტებში, ზეპირ თარგმანებში კი ძველიც არის და ახალიც.

### მიცემითი ბრუნვა

**თანხმოვანფუძიანი სახელები.** ქართველ ებრაელთა მეტყველებაში თანხმოვანფუძიან არსებით სახელებთან მიცემით ბრუნვაში არის -ს/-ს-ა/0.

ყოფითი და ფოლკლორული ხასიათის ტექსტებში თანხმოვანფუძიან სახელებთან გავრცელებულია გაუფორმებელი მიცემითის ფორმები, განურჩევლად იმისა, თუ წინადადების რომელ წევრს წარმოადგენენ ისინი. ამ მოვლენის შესახებ მითითებულია ისაკ შამელაშვილის დღემდე გამოუქვეყნებელ ნაშრომშიც. მისი აზრით, თანხმოვანფუძიანი საზოგადო სახელები მხოლოდობითა და მრავლობითში მიცემით ბრუნვაში კარგავენ -ს ალომორფს, რასაც სისტემური ხასიათი აქვს (ზექალაშვილი 2014: 102).

რ. ენუქაშვილი ნაშრომში „შენიშვნები ქართველ ებრაელთა სამეტყველო ინტონაციის შესახებ“ ვრცლად განიხილავს თანხმოვანფუძიან სახელებთან მიცემითი ბრუნვის -ს ნიშნის დაკარგვის შემთხვევებს. გამოკვლევის მიხედვით, მიცემითი ბრუნვის ნიშანი -ს იკარგება ყოველგვარ ვითარებაში: ა) როცა არსებითი სახელი ქვემდებარის ან დამატების როლშია; ბ) როცა იგი გარემოების მოვალეობას ასრულებს; გ) მრავლობითის ფორმაში; დ) ნაცვალსახელთან; ე) სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკის წინ (ენუქაშვილი 2011: <http://www.nplg.gov.ge/gsd/ cgi-bin/library.exe?>).

ამავე საკითხს ეხება პროფ. თ. ლომთაძე ნაშრომში „ქუთაისური ქართული“. ავტორის აზრით, მიცემითი ბრუნვის ნიშანი -ს თითქმის ყოველთვის იკარგება ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაში თანხმოვანფუძიან სახელებთან: **საჭმელ** ჭამს; **თვალეზ** არ უჯერი; **წყალ** არ დაგაღვეიებს. გამონაკლისად მიჩნეულია ემფატიკური ხმოვნით გავრცობილი სახელები (ლომთაძე 2005: 107).

ისაკ შამელაშვილის ნაშრომშიც აღნიშნულია იმავე მოვლენის შესახებ: თანხმოვანფუძიანი საზოგადო სახელები მხოლოდობითა და მრავლობითში მიცემით

ბრუნვაში კარგავენ -ს ალომორფს, რასაც სისტემური ხასიათი აქვს (ზექალაშვილი 2014: 102).

ჩვენი მასალების მიხედვითაც, **ქუთაისელ, საჩხერელ, კულაშელ, ონელ** ებრაელთა მეტყველებაში თანხმოდანფუძიან საზოგადო არსებით სახელებთან მიცემითი ბრუნვის ნიშანი -ს, ჩვეულებრივ, იკარგება როგორც **უკუმშველ**, ისე **კუმშვად** სახელებთან. მაგალითები:

*მამამ გაიგონა ხმა, მოუსვა ხელი შვილ დაძახა* (თსუფა 1982: №25155); *დადიან წყესად ცხვრი ჯოგ წყესობენ* (იქვე); *მერე ჩვენ ვალიდან ამოვდივართ, ჩვენ ვალ ვასრულებთ* (თსუფა 1982: №25127); *ნაზირი – კაცი, რომელიც ღვინოს არ დაღევდა, თავ არ გაიპარსავდა, მიცვალებულ ვერ მიეკარებოდა* (თსუფა 1982: №25144); *გაინდავეს დანიშნული სამსონის – დააცდენიოს ქმარ, რო რაშია საქმე* (იქვე); *მის ცოლ ძალიან უკვირდა, სიდან გამდიდრდა ჩემი ქმარიო* (ფა №17749); *ველოსიპეტს დადებდა საღაცა და ხალხს ხვრიტავდა. და ამის ბოდიშ იხდის ახლა გერმანია* (ტექსტები 2014: 217); *დაასახლა ე მეორე ქალიშვილიც და გაატანა ვეზირ* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *როგორც უმფროს ქალიშვილ მიცა ოქროს ბურთი, უნცროსსაც ისევ ისე მიცა ხელში* (იქვე); *ასე ეგონავე ჩვენისთანა ბედნიერიო ცას ქვეშეთ ღმერთ არავინ არ ყავსო* (იქვე); *იმ შაფათ უწევს კორკოტობა* (თსუფა 1982: №25145); *თუ აიღებს ბრილიანტ, ჭკუით გაუკეთებიაო, თუ წააკლებს ნაკვერცხალ, მაშინ უჭკუობითაო და გადავარჩინოთო* (თსუფა 1982: №25140); *რამდენ ხელფას, აღარ მახსოვს... პენსიასავით იღებდა* (ტექსტები 2014: 221); *ჩემ გალავან ორი კარი ააქ* (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941); *რო ვინმე გაჩდებოდეს, ხელ აუქნებდეს* (თსუფა 1982: №25149).

მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვის რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა ახალციხელ ებრაელთა მხატვრული პროზის ნიმუშშიც: *ხო გეუბნები, არ გიყაბულებ მანათ, ქოსა მორდებასი არა იყოს რა* (ბოთერა 2016: 29).

მსგავსი ფაქტები დასტურდება ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველებაშიც: *ძალიან მწამს შაბათ სანთელ არ გავაცდენ* (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.); *ნუ ტელევიზორ ვტეებ ჩართულ და არის ტელევიზორი ჩართული, მაგრამ ამ ბოლო დროს ძალიან ძალიან ვინახამ რო შაბათ არ ვიარო მანქანით ძალიან*

მინდა შევასრულო (იქვე); აქ ებრაელ მიძახოდნენ და იქ ქართველ მიძახიან (იქვე); მაცას რო ვჭამთ, ვაკეთებთ წვენიულს, მუჟუჟს ვეძახით ჩვენ, ნიგვზის წვენ ვუძახით (იქვე); პური არ არი, პურ ვერ შეჭამ (იქვე); ჩვეულებრივად – ხორც ვაკეთებ, ყველ ვაკეთებ (იქვე). დაფიქსირდა საინტერესო შემთხვევაც: ...რო უყიდიან დედოფალ კაბას, „ტუფ“ (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.); თავისთავად ბაღში ივრითული იყო, თავისთავად სახლში უკვე ნახევარ ქართულ ვლავარაკობთ, მარა უფრო მეტად ქართულ ვლავარაკობდით (იქვე). აქ თითქოს მოსალოდნელი იყო ვითარებითი ბრუნვა, მაგრამ, რამდენადაც ვითარებითში არ დასტურდება -ად ბრუნვის ნიშნის სრული დაკარგვა (შდრ. ცოლშვილიანა), ამდენად, მოცემულ შემთხვევაში შეიძლება აღვადგინოთ სახელის სრული ფორმა: ნახევარ ქართულს ვლავარაკობთ...

-ს ფორმანტი დაკარგულია -იან სუფიქსიან სახელებთან, თუმცა ფრაზაში გვხვდება -ს ნიშნიანი და უნიშნო მიცემითის ფორმები: ვაკეთებთ ფახლავას, ლეკებ, თაფლიანს, ვაშლიან, ნიგვზიან (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.). ეს ფაქტები უნდა შეფასდეს, როგორც სალიტერატურო ენის გავლენა.

მიცემითი ბრუნვის ნიშანი ზოგჯერ გაუჩინარებულია ჩვენ მიერ ჩაწერილ ონელ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაშიც: ნათქვამ ვამზობ (ახალი მასალები, 2016, ჩამწ. ს. გუმბ.); ჩაადგამ, მოქაფამ, დამყამ ნიგოზ (იქვე); დედოფალ პირველად სალოცავ გამოარონიებდენ (იქვე).

აღსანიშნავია თანხმოვანფუძიან სახელებთან მიცემით ბრუნვაში ხმოვნის დაგრძელების შემთხვევა. ამასთან დაკავშირებით მსჯელობს რ. ენუქაშვილი ნაშრომში „ქართველ ებრაელთა მეტყველების ზოგიერთი თავისებურება“. მეცნიერი ყურადღებას ამახვილებს ინტონაციურ თავისებურებათა განმაპირობებელ ფაქტორებზე, კერძოდ, გამოყოფს ხმოვნის დაგრძელების ერთ სახეობას, რომელსაც „საკომპენსაციო დაგრძელებას“ უწოდებს. მისი აზრით, სწორედ მიცემითი ბრუნვის ნიშნის -ს-ს დაკარგვას უკავშირდება ხმოვნის დაგრძელება. ამ მხრივ საინტერესოა ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების ამსახველი ფოლკლორული თუ ყოფითი ხასიათის ტექსტები, რომლებშიც თანხმოვანფუძიან სახელებთან დაკარგულია -ს და ამავდროულად დაგრძელებულია ფუძისეული ხმოვანიც. მაგალითები:



აა: გაუვარდა ახლა ამ დაკვირებულ კააც ჭკვიანის სახელი (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942); კარისკაცებმა მუახსენეს თავის ბატონ რომა, ვინძალა უცხო კააც უნდაო თქვენი ნახვაო (იქვე); მერე დაჯა და თავის თაავ ელაპარიკება (იქვე); როგორც თააფლ ბზიკიო ისე მესევიანო (იქვე); ხენწიფე მიადგა გალავანსა და უნდა გაუძღვეს თავის ჯაარ (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3941); პირდაპირ მიაგნო იმ საახლ (ქდვ: „ვაშკაცის სიბრძნე“, №3943)...

ოო: მაგრამა ძალუან გულმტკივანი არი ორივე სიძეებიდგან, ვერც ერთი ვერ იჩენ შნოონ (იქვე)...

უუ: თავის გუულ ასკდებოდა ხენწიფე (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939)...

ზოგჯერ ერთსა და იმავე ფრაზაში არის პარალელური ფორმები: დაუწყეს სიცილი ამ მწყეეს, მაგრამა არც არაფერი უპასუხავე (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); კოჭლ ბატების მწყეს გეეცინა (იქვე).

თანხმოვანფუძიან სახელთა მიცემით ბრუნვაში გაფორმების მხრივ ჩვენ მიერ ჩაწერილი ტექსტები არაერთგვაროვან ვითარებას გვიჩვენებს. შესაბამისად, მასალა შეიძლება დაჯგუფდეს ასე: 1. ტექსტები, რომლებშიც ხშირია მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვის შემთხვევა, 2. ტექსტები, რომლებშიც საერთოდ არ დასტურდება უნიშნო მიცემითის ფორმები.

ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაში თანხმოვანფუძიან სახელებში უნიშნო მიცემითის ფორმები თითქმის აღარ გვხვდება, რაც, ვფიქრობთ, სალიტერატურო ენის გავლენით უნდა აიხსნას. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ საკუთრივ ქუთაისური მეტყველებისათვის არ არის დამახასიათებელი თანხმოვანფუძიან სახელთა **ღ**-ალომორფიანი მიცემითის ფორმები. „მიცემითი ბრუნვის ნიშნად, ისევე როგორც სალიტერატურო ქართულში, ყოველთვის გვაქვს -ს“ (ლომთაძე 2005: 53).

მიცემითი ბრუნვის -ს ნიშანი იკარგება ქართული ენის დიალექტებშიც (კახური, ქართლური, აჭარული, ჯავახური, ლეჩხუმური, იმერული...): ას ნაბიჯზე კვერცხ-0 არტყამდა, ირმებ-0 ქამანდო იქერდა (ქართლ.); ცხენ-0 სამოვარი მისცა, თათრებ-0 დაუძახა, ხურჯინ-0 პირი მოხსნა (ჯავახ.); მატყუარა ხალხ-0 ვერ იპონი იქა. ვექსილ-0 დოუწერდენ (ზ. იმერ.); მეზობლეფ-0 დურიგეს (რაჭ.)... მსგავსი ფაქტები

დასტურდება სამხრულ კილოებშიც: შავში: პატარა წისქვილ ვიტყვით ბუჭულასა (ჩოხარაძე 2017: 68); ტაოური: აქ ქართულ, ყველ, ერბოს ვიჯებით (იქვე: 70); სახლ ვაკეთეფ, წყალ ვასვამთ; კაცი ქოხებ აშენეფს; ობლევარ ვდგები (დადიანი 2011: 61-62); იმერბ.: ცაცხვ უხლამურ ვეტყვით... (მიქაუტაძე 2010: 145).

ჩანს, თანხმოვანფუძიან სახელებთან მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა საერთო მოვლენაა ქართული ენის დიალექტებისათვის. იგი მეტ-ნაკლები სიხშირით ყველგან იჩენს თავს.

მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვასთან დაკავშირებით მსჯელობს არ. მარტიროსოვი ნაშრომში „ქართული ენის ჯავახური დიალექტი“. მკვლევარი არ იზიარებს ვ. ჯანგიძის მოსაზრებას, რომ ინგილოურში ეს მოვლენა აზერბაიჯანული ენის გავლენით უნდა იყოს შეპირობებული, რადგან ანალოგიურ შემთხვევაში აზერბაიჯანულში გაუფორმებელი ბრუნვა იხმარება. „მოსაზრება გასაზიარებელი იქნებოდა, რომ მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვის სათანადო შემთხვევები მხოლოდ ინგილოურისა და საერთოდ უცხო ენობრივი გარემოს გავლენის ქვეშ მოქცეული დიალექტებისათვის ყოფილიყო დამახასიათებელი (მარტიროსოვი 1984: 51-52). ეს დასკვნა ამყარებს ჩვენს თვალსაზრისს, რომ ქართველ ებრაელთა მეტყველებაშიც თანხმოვანფუძიან სახელებში გაუფორმებელი მიცემითის არსებობა ქართული დიალექტების შინაგანი განვითარების შედეგია.

მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა თანხმოვანფუძიან სახელებთან ქვემოიმერულში უფრო იშვიათია, ვიდრე ზემოიმერულში (მოწინიძე 1973: 20). თ. ლომთაძე მიუთითებს, რომ იმერულში მიცემითი ბრუნვის ნიშნად, ისევე როგორც სალიტერატურო ქართულში, ყოველთვის გვაქვს -ს (ლომთაძე 2005: 53), თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ქუთაისელ და ონელ ებრაელთა მეტყველებისათვის ნიშანდობლივია გაუფორმებელი მიცემითი. როგორც ჩანს, ონელ ებრაელთა შემთხვევაში ეს მოვლენა რაჭული დიალექტის გავლენითაა განპირობებული, რასაც ვერ ვიტყვით ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაზე.

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში, ჩვენი მასალების მიხედვით, თანხმოვანფუძიან საზოგადო სახელებთან დასტურდება -ს ნიშნის გამოყენების შემთხვევებიც. მაგალითები:

*ძმარს მივცემ, პიმპილს, მარილს და უცხო სუნელს* (ტექსტები 2014: 226); მოვხარშავ ქათამი იქნება თუ ინდაური, ავდგები, ნახარშს ამოვიღებ ამას და შევწვავ. შემდეგ მოვამზადებ ნიგოსს, ზაფრანას (იქვე); გერმანიამ მიწის ქვეშ ქარხნები ააშენა და ტყვია-წამალს და ტანკებს და ამისთანა ამბეფს, რაც მაშინ ტეხნიკა შეიძლებოდა, უახლესი ქონდა (იქვე, 217); ხუთ წელიწათს ომს არ დეიწყებდა არც გერმანია, არც საჰქოთა კავშირი (იქვე); არ იხრის ქეთს (იქვე); ყველა ეროვნების ხალხს ბოდიშს უხთის (იქვე); ფული ათამამეფს ადამიანს და სიგლახეს ჩადის (იქვე); იმ პერიოთს დავანებოთ თავი (იქვე). თანხმოვანფუძიან სახელებში -ს ნიშნის გამოყენება ამ ტექსტებში, ვფიქრობ, სალიტერატურო ენის გავლენის შედეგია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქუთაისში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველება შეცვლილია, მასში ნაკლებად ჩანს სპეციფიკური ფორმები.

ზოგჯერ ერთსა და იმავე ფრაზაში გვხვდება როგორც ნიშნიანი, ისე უნიშნო მიცემითის ფორმები: *ისესხებდა ყველადღე სხვადასხიდგან... იყიდიდა, გაყიდიდა და მოგებით ცოლსა და შვილ გაჭირვებულ ლუკმა-პურ აჭმევდავე* (ქდკ: „ძველების გამყიდველი“, №3952); მიცემითის ნიშანი ბუნებრივად არის დაცული.

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში თანხმოვანფუძიან საზოგადო სახელებთან მიცემით ბრუნვაში გვხვდება ფონეტიკურად შეპირობებული ვარიანტიც. ასეთია, მაგალითად, აფრიკატიზაციის გზით მიღებული -ც:

*მადლობა ღმერც: რო გადავრჩით* (ტექსტები 2014: 213); *წამევიდა თეატრი და თუ მომცემ ას ათ მანეც ო, გაგიკეთებ და გექნება დენი, ბაბუაო* (იქვე, 6); *ქორწილი ახლა ვიცით ჩვენ სამშაბაც და ქალმა იცის სამშაბაც...* (იქვე); *ყოველი დღე რამდენ წუთაც იმატეფს* (იქვე, 233); *თუ მეორე დღეს არა, შაბათც გადმევიდოდნენ* (იქვე, 237).

ს > ც დამახასიათებელია ქართველური ქვესისტემებისთვის ს > ც პროცესი, ი. ყიფშიძისა და ს. ჟღენტის აზრით, ერთნაირად კანონზომიერია როგორც ხმოვნის, ისე თანხმოვნის შემდეგ (ყიფშიძე 1914: 024; ჟღენტი: 1953: 156). შდრ. ა. ლომთაძე: „ს სპირანტის აფრიკატიზაცია (ს > ც) მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ის ხშულ თანხმოვნებს ხვდება. არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ როგორი ბგეროვნობისაა თანხმოვანი: სონორია ის თუ მჟღერი, ფშვინვიერია თუ მკვეთრი. მთავარია ხშვის პროცესი ახასიათებდეს მას“ (ლომთაძე 1987: 17-18).

გურულში მიცემითის -ს ნიშნის აფრიკატიზაცია შეიმჩნევა განსაზღვრულ პოზიციაში, კერძოდ, **ლ** თანხმოვნის ახლოს: **კბილ-ც, ბალ-ც...** აგრეთვე, **დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ** თანხმოვნების შემდეგ, მაგრამ უმთავრესად იმ შემთხვევაში, როცა ამ თანხმოვნების წინ მოცემულია რომელიმე ნარნარა ბგერა (**ლ, რ, ნ**): **წალ-ც < წალდ-ს, ვარ-ც < ვარდ-ს, სტუდენ-ც < სტუდენტ-ს** (მეგრელიძე 1938: 19-20); **ს > ც** შეინიშნება აჭარულშიც: **ბღავილ-ც...** (ნიჟარაძე 1957: 31).

საინტერესოა, რა ვითარებაა მიცემითი ბრუნვის ნიშნით გაფორმების მხრივ ქართველ ებრაელთა ზეპირ თარგმანებში. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა რ. ენუქაშვილის ნაშრომი „ფესახის აგადა და მისი მნიშვნელობა ქართველოლოგიისათვის“. როგორც ავტორი აღნიშნავს (III რედაქციის შესახებ), „ძირითადად ეს თანამედროვე თარგმანია და მხოლოდ ტექსტის დასაწყისში წარმოგვიდგენს ტრადიციული ზეპირი თარგმანის ზოგიერთ ნიშანს“ (ენუქაშვილი 2012: <http://kartvelologi.tsu.ge/index.php/journal/inner/21>). ქართველ ებრაელთა მეტყველებისათვის დამახასიათებელი თავისებურება, როგორცაა თანხმოვანფუძიან სახელებში მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა, ამ თარგმანისათვის არ არის დამახასიათებელი. თარგმანის ტექსტის **B** რედაქციაში დადასტურდა ამის ერთადერთი მაგალითი: „აკეთებდა გამჩენი ყველაფერ თავის სიძლიერითა შინა მიცრიმშიდა“. ამასთან დაკავშირებით რ. ენუქაშვილი აკეთებს საყურადღებო დასკვნას: „საინტერესოა, რომ ყველაფერ სიტყვა, როგორც ჩანს, თავდაპირველად არ ყოფილა თარგმანში. იგი არ მოითხოვებოდა დედანის მიხედვით და ამიტომ არ არის წარმოდგენილი **A** რედაქციაში, **B** რედაქციაში კი მთქმელებმა (იქნებ, სულაც ჩვენმა მთქმელმა) დაამატეს სიტყვა განმარტებისთვის და ამჯერად გამოიყენეს მათთვის ბუნებრივი ფორმა მიცემითი ბრუნვის ნიშნის გარეშე. თუ ჩვენი მსჯელობა სწორია, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ თარგმანის განხორციელების დროისათვის მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვის პროცესი ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, რაც, ჩვენი ღრმა რწმენით, საინტერესო დასკვნაა ქართული ისტორიული დიალექტოლოგიის მკვლევრებისათვის“ (იქვე).

მსგავსი ვითარებაა „თავსილის“ – მოსეს ხუთწიგნეულის ზეპირ თარგმანშიც. მიცემითი ბრუნვა ძირითადად გაფორმებულია და მეტწილად გავრცობილი:

და დაავადო უფალმა ღმერთმან სვიბათი ზედა იმა ადამიანსა და დააძინა (ბერეშ., თ. 2); ზედა ეგრე დასტეოს კაცმა იგი მამამისი და იგი დედამისი და მიეკრას ცოლსა მისსა და იყვნენ ხორცად ერთად (იქვე); ზედა ზურგით შენით დაიარებოდე და მტვერსა შუამდე ყოველ დღეებსა სიცოცხლის შენისას (ბერეშ., თ. 3)... ძალზედ იშვიათია უნიშნო მიცემითი: და დეებადა **ნოახ** სამი შვილები: იგი შემი, იგი ხამი და იგი იაფეტი (ბერეშ., თ. 6).

რ. ენუქაშვილის აზრით, მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვას საკუთრივ ქართული ენის დიალექტებში სხვა ნიადაგი აქვს. აქ ორ სხვადასხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე. კერძოდ: ქართული ენის ქვესისტემებში მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა გამოწვეულია სხვა ფაქტორით, ხოლო ქართველ ებრაელებთან ამის განმსაზღვრელია მახვილი ან ინტონაცია, ხმოვანთა დაგრძელება...

შეიძლება დავასკვნათ, რომ გაუფორმებელი მიცემითი ბრუნვა ქართველ ებრაელთა მეტყველების ერთ-ერთი მთავარი თავისებურებაა და საერთოა როგორც საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა, ისე ისრაელში „ამოსულთა“ მეტყველებისათვისაც. მართალია, ქართველ ებრაელთა უდიდესი ნაწილი დიდი ხანია, რაც აღარ ცხოვრობს საქართველოში, მაგრამ მათს მეტყველებაში ეს სპეციფიკურობა მეტ-ნაკლებად მაინც იჩენს თავს.

ქრონოლოგიურად განსხვავებული მასალა ამ თვალსაზრისით ნაირგვარ სურათს იძლევა. განსხვავებულია მიცემითი ბრუნვის ნიშნის დართვა-დაურთველობის დინამიკა. კერძოდ, ადრეული პერიოდის ტექსტებში თანხმოვანფუძიან სახელთა უნიშნო მიცემითის ფორმებს სისტემური ხასიათი აქვს (ვგულისხმობთ რ. თავდიდიშვილისა და გ. ჯაფარიძის მიერ ჩაწერილ მასალას), ხოლო შედარებით ახალი, თავის მხრივ, შეინიშნება არაერთგვაროვანი ვითარება. კერძოდ, ქუთაისში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში ეს მოვლენა ნიველირებულია ადგილობრივი მეტყველების გავლენით, ხოლო ისრაელში „ამოსულ“ ებრაელთა მეტყველებაში სისტემურად დასტურდება (როგორც ჩანს, ქართველი ებრაელები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ მათი მეტყველებისათვის დამახასიათებელ ამ თავისებურებას).

ამასთან დაკავშირებით, ზოგადად, საინტერესოა კ. წერეთლის შეხედულება. მისი აზრით, „ისრაელში დაბრუნებულ ქართველს „თან მიჰყვება“ ქართული ენა, რომელიც ჯერ კიდევ ინარჩუნებს საშინაო ენის ფუნქციას“ (წერეთელი 2001: 27). მეცნიერი მიუთითებს ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა ორენოვნებაზეც, კერძოდ, იმაზე, თუ როგორ იცვლება თანდათან ქართული და ებრაული ენების ურთიერთშეფარდება: „ჯერ ადგილი აქვს ქართულის მკვეთრ უპირატესობას, შემდეგ ეტაპზე ამ ენათა ხმარება-ერთგვარად გაწონასწორებულია, დაბოლოს, საქმე გვაქვს ებრაულის მნიშვნელოვან უპირატესობასთან ქართულთან შედარებით. პერსპექტივაში – ოდესღაც მშობლიური ქართული ენა მთლიანად შეიცვლება ებრაულით და ქართველი ებრაელებისთვის იგი უცხო ენის სტატუსს მიიღებს“ (იქვე). კ. წერეთელს მიაჩნია, რომ ებრაულის გავლენა პირველ რიგში ჩანს ლექსიკაში. „მათ ქართულ მეტყველებაში შემოდის ებრაული სიტყვები, ზოგიერთი ებრაული სიტყვისა და გამოთქმის კალკები. ის, რასაც ცნება **ებრაიზმი** მოიცავს. ეს კარგად ჩანს ისრაელში დაბეჭდილ ლიტერატურაში, პირველ ყოვლისა, ჟურნალ-გაზეთებში“ (იქვე).

შედარებით იშვიათია უნიშნო მიცემითის ფორმები ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაში, რაც, ჩვენი აზრით, განპირობებული უნდა იყოს ქალაქური მეტყველების, უფრო სწორად სალიტერატურო ქართულის გავლენით. ასევე, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ქუთაისში, რომელიც ადრე ქართველ ებრაელთა კომპაქტური დასახლების ადგილი იყო, დღეს უკვე მხოლოდ აქა-იქ თუ არიან შემორჩენილი ქართველი ებრაელები.

ამდენად, ქართველ ებრაელთა მეტყველებაში მიცემით ბრუნვაში თანხმოდანფუძიან სახელებთან მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა ხშირია მხოლოდობით რიცხვსა და ებიან მრავლობითში.

**ხმოდანფუძიანი სახელები.** ქართველ ებრაელთა მეტყველებაში მიცემითი ბრუნვის ნიშანი ხმოდანფუძიან სახელებში ძირითადად არის -ს , -ს-ა:

-ა ხმოდანფუძიანი: *გახარებული ვაჭრები სიხარულით ცას ეწეოდენ და დიდი მადლობით წავიდენ* (თავდ., 1940: 133); *სანამდისინი ზღვას მიადგებოდნენ, ცხენებით იგზავრეს* (იქვე, 131); *დილის ცისკარზე წამოდგა, ახსენა ღმერთი,*

შემოახტა ცხენს და გაუდგა შარას (ფა №17749); გამოიცვალა, თუკი მამას უშველიდა (თათარაიძე, არაბული 2014: 15); ის ინდური ხურმას უძახოდით, ის კი გუინახია (ტექსტები 2014: 226); მავდივარ ჩემ ოჯახში, ცოლი დამახვთერებს თბილ კერიას (ქდვ: „უდარდელი კაცი“, №3949); თავის ბახში რა ჯობდა იქანა სიარულ და გავლა-გამოვლას (ქდვ: „სულამითი“, №3948).

ო ხმოვანფუძიანი: ეგონათ, ოქროს ინახამსო და თავის სახში ექნებო შენახულიო (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944); ვიყიდი სარჩოს, ლობიოს, ჭაად, მწვანილ (ქდვ: „უდარდელი კაცი“, №3949); თელი წლის სარჩო-სახარჯოს ერთად წაუღებდა ხოლმე ცოლ-შვილ (ქდვ: „ვაშკაცის სიბრძნე“, №3943); მამულეებსა და ეზო-გარემოს გადაყურებდა (ქდვ: „იოსეფი – დამაპატიოსნებელი შაბათისა“, №3945); მე ბრმასა და უსინათლოს ყური მათხვიე (ქდვ: „ორი ძმა“, №3946).

ე ხმოვანფუძიანი: ხენწიფეს შვილი არ ყავდა (ქდვ: „ორი ძმა“, №3949); ცოლის ხათრმა დაძლია მეფარჩხეს და წავიდა (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950).

გვხვდება -ა ხმოვნით გავრცობილი მიცემითის ვარიანტიც:

თაბდახურულ საწნახელში ჩაგდებულ მზესა გავს (თათარაიძე, არაბული 2014: 77); ერთი მეორეს აშუქებენ, მიჩერებიავე თელი ქვეყანა და თვალ აღარ ამორებენ, მზესა და თვარეს გავლან ნეფე-დედოფალი (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950); გაუდგნენ გზასა და მივიდენ თავის ქვეყანაში (თათარაიძე, არაბული, 1940: 132); ჩაგაგდებ ქვეყანასა, არ ამოგიშვებ ზენასა (იქვე); ქალაქის თავსაც ეტყვის ხოლმე ძალიან დიდ მადლოზასა (ქდვ: „ძველების გამყიდველი“, №3952).

გავრცობილ ფორმასთან წარმოდგენილია სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკი:

ჩემ დასაო ბევრი ექნებო მჟავეულიო (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950); ახლაო ამ გაჭივრების დროსაო, მამაჩემი ჩემდგან ნაწყენი კი არი (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); ჯერეც კიდე ნურაფერ გაამხელო და მე ისე მოვაწყობ საქმესაო (იქვე).

-ა ხმოვნით გავრცობილი მიცემითი ჭარბად არის ქართველ ებრაელთა ზეპირ თარგმანებშიც:

და მოახსენა კაინმა იმათ ებელსა, ძმასა მისა (ბერეშ., თ. 4); და გაჰყო ღმერთმან შუა იმა სინათლესა და შუა იმა სიბნელესა (ბერეშ., თ. 1); და დაარქვა ღმერთმან თანა სამყაროსა მცები (იქვე);

ქართული ენის დიალექტთაგან მიცემითის სავრცობიანი ფორმები ხშირია მესხურში (ქვასა, ტახსა), აგრეთვე ქართლის მომიჯნავე რეგიონში (ძმასა, დასა), ხოლო ქვემოიმერულში, აჭარულსა და გურულში სავრცობიანი ფორმები იშვიათია.

ამგვარად, ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ხმოვანფუძიანი სახელები მიცემით ბრუნვაში ძირითადად გაფორმებულია -ს, -ს-ა ალომორფებით.

### **ნათესაობითი ბრუნვა**

**თანხმოვანფუძიანი სახელები.** ბოლოთანხმოვნიანებთან გვხვდება ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ალომორფები: -ის, -ისა, -ისი.

-ის: *ცხვრის თავი არ დაგვიდვია ჩუნ* (ტექსტები 2014: 231); *კასრულში ჩავ... ჩავაწყობ ქათმის დაჭრილ ხორცს* (იქვე, 227); *მიათხოვეს სოვდაგრის ქალიშვილი* (თათარაიძე, არაბული 2014: 56); *ირმის თავფეხი და გულყიათი დავინახეთ* (ქდკ: „ბატის მწყემსი“, №3939); *ხო იცის იმისი გავლისა და გამავლის დროო...* (იქვე); *ადამიანიშვილის თვალი ვერაფერ ვერ გაარჩევდა* (იქვე); *უნდა აილოს ამ ყმარწვილის ნემამ* (ქდკ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *ქას მიადგა წყლის ამოსაღებად* (თათარაიძე, არაბული 2014: 81); *დამხმარე შპილკა იყო უწინ ლუსმნის მაგიურათ* (ტექსტები 2014: 222); *დედამთილი თავის ხელით დამზადებულ სადილ რძლის გაკეთებულათ ასაღებდა, თავის შეკერილსაც რძლის შეკერილათ, აქებდა, კარქი რძალი მყავს ოჯახშიო* (თავდიდ. 1940: 158); *ალიკ ვაჩუქებ სალონის ფულ* (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.). -ის (-ისი) დასტურდება ასაკის აღნიშვნისას: *როიცა ე ბიჭი ცხრა წლიის უნდა შესრულდეს* (ქდკ: „ბატონი სანატრელი“, №3940); წელთან დაკავშირებით გვხვდება ორმაგი ბრუნების შემთხვევები: *ერთი თვის ერთი წლისას გამდეს, ერთი წლის – ათი წლისას და ხენწიფე-მელების შვილის ზიული გახდეს... ერთი თვისას გამს, ერთი თვის რო გახთა, ერთი წლისას დეემზგამსა და ერთი წლისა – ათი წლისას* (ქდკ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950).

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში -ის ხშირად მონაცვლეობს თანდებულიან (-თვის/-თვინ) სახელებთან: *ღმერთო, შენ ნუ შეინახამო ნურა დედას სიმწრისთვინაო* (ქდკ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *ან ზიარათებზე ვილოცოთო შვილის გულისთვინაო* (იქვე); *დიდი მადლობა გადაუხადა ამ კაცმა დარიგებისთვინ* (ქდკ: „დაკვირებული კაცი“, №3942); *არც ვიყავი მეე ომისთვინ მომზადებული* (ქდკ:



„ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941); *შაბათისთვის ხარჯამ ერთათერთ მანათ და იმაზეაც ტირი* (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944).

-ისა დასტურდება -გან თანდებულიან ფორმებთან:

*ქვეყნათ ცხოვრობდა ერთი ღარიბი და ლატაკი, ხვთისაგან შეწყალებული ისრეელი-იოსეფი* (ქდვ: „იოსეფი – დამაპატიოსნებელი შაბათისა“, №3945)...

გავრცობილი -ისა ვარიანტი გვაქვს და, თუ კავშირების წინ: *ხენწიფის ორი უმფროსი ქალიშვილები – ნაზირისა და ვეზირის ცოლები* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *ვაშკაცი არი მზისა და თვარის ზგავსი* (იქვე); *ღარიბისა და ქვრივ-ობოლის შემბრალე იყო* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *მკითხავმა უთხრა რაბისა და იმის ცოლს* (ქდვ: „ორმოცი წლის თავზე“, №3947).

-ისა გვხვდება სუბსტანტიურ მსაზღვრელთან როგორც პირდაპირი, ისე შებრუნებული წყობის დროს. მაგალითად:

*მალა მერცხლისა ბოლოსა* (იქვე); *რომლითაც მოხთა განათება ტაძრისა* (ტექსტები 2014: 235); *ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ამ დღესასწაულისა* (იქვე).

ნათესაობითში გავრცობილია განმარტოებული მსაზღვრელი შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილის წინ: *თქვენ ხვთისა ხართ და ღმერთი თქვენია* (ქდვ: „ორი ძმა“, №3946)...

ნათესაობითში ერთი და იგივე სახელი გვხვდება როგორც შეკუმშული, ისე შეუკუმშავი სახით: *ვერ წარმოუდგენია, რანაირათ მოხდა მკვდარის გაცოცხლება* (იქვე); *წარჩინებული ქმარის უერთგულისი მეგობარი* (თავდ. 1940: 133); *დაუძახა კარისკაცებ, ურძანათ გეერღვიავე კედელი გალავანის* (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941); *ჩვენ ქონდათ ერთი აი რვეულის ფურცელის ხელა სპრავკა* (ტექსტები 2014: 214); *იმ პირობით შეპირდავე ირემის ხორცისა და რძის გატანებას* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939).

მსგავსი შემთხვევა არცთუ იშვიათია ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაში. შეუკუმშავი ფორმები გვხვდება ქვემოიძერულშიც: *კედელ-ის, ქმარ-ის* (შარაშენიძე 2016: 82). როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, უმეტესად დასავლური

დიალექტებისთვის ნათესაობითი დამახასიათებელია უკუმშველი (უკვეცელი) ფუძე და არარედუცირებული ბრუნვის ნიშანი (იქვე).

**ხმოვანფუძიანი სახელები.** ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ხმოვანფუძიან კვეცად სახელებთან ნათესაობით ბრუნვაში არის -ის, -ს, -ს(ი).

-ის გვხვდება ფუძეკვეცად სახელებთან: დედ-ის, მმ-ის, აგრეთვე, ერთადერთ უკვეცელ სახელთან – დრო-ის; მხოლოდ -ს ალომორფი არის ხმოვანზე დაბოლოებულ სხვა სახელებში, ფუძეუკვეცელებთან: წყარო-ს წყალი, გოგო-ს სახელი...

-სი არის უ, ო, ი ხმოვნებზე დაბოლოებულ სახელებთან, ა/ე ხმოვანფუძიან უკვეცელ სახელებთან: რუ-სი, რკო-სი... აგრეთვე, ანთროპონიმებთან: პავლე-სი, პეტრე-სი, ლუკა-სი. -სი სუფიქსი, თ. უთურგაიდის აზრით, თანამედროვე ქართულში -სი არის ერთი განუყოფელი მორფოლოგიური ერთეული, ძირითადი ალომორფის -ის სუფიქსის პოზიციური ვარიანტი (უთურგაიძე 1986: 54; ონიანი, 1989: 181).

ძველ წერილობით ძეგლებში ხმოვნის მომდევნო პოზიციაში (ე. ი. ფუძეუკვეცელ სახელებთან) -სი/-ს ალომორფთა ნაცვლად გამოიყენება -ის/-ისა: წყარო-ის/წყარო-ისა, ძუძუ-ის/ძუძუ-ისა (შანიძე 1976: 38-39; იმნაიშვილი 1957: 145-146).

ანალოგიურ პოზიციებში გვხვდება ნათესაობითი ბრუნვის ალომორფები ქართველ ებრაელთა მეტყველებაშიც. მაგალითები:

-ა ხმოვანფუძიანი: *სანამ მამის დატოვებული ქონდათ, არ მოგონებიათ მამის ანდერძი, არც გარჯილან...* (თათარაიძე, არაბული 2014: 11); *ვაჟი დედის მსგავსია* (თავდ. 1940: 150); *მოგროვდა ზღვის პირათ მრავალი თებზი* (თავდ., 1940: 131); *გამამადგება ძმაო, ჩემთვის ესე საჭიროა, შეშის მაგიერობას გამიწევს* (იქვე; 132); *ერთ დღეობის დღეეს, ამ ბატონ ესტუმრა ერთი სხვა ქვეყნიდგან ჩამოსული კარქს მოხუცებული შალიახი* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *ჯეელობის დროს გვირჩვენია, თვარა მოხუცებულობაში ძნელია სიღარიბე მისცა* (თათარაიძე, არაბული 2014: 32); *არა მგონია მთაურობის დავალებით იყუნ* (ტექსტები 2014: 213)...

-ე ხმოვანფუძიანი: *მეფემ სიძის ძმებსაც კარგი თანამდებობა მისცა* (თათარაიძე, არაბული 2014: 15); *რაც კი იმ ქვეყანაში საუკეთესო სასმელ-საჭმელია და ტკბილეული მოიპოვება, ყველაფერი ხენწიფის სუფრაზეა მიტანილი* (თავდ. 1940:

150); დიდი სიმდიდრის პატრონი იყო, მაგრამ გარჯა მაინც უყვარდა მისცა (თათარაიძე, არაბული 2014: 11)...

-ო ხმოვანფუძიანი: აბრაამ აბინუს ჩამამავალი, სულ წყაროს წყალივით მიდიოდენ წინ (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); ხენწიფემ დასვა ტახტზე ოქროს ქოჩრიანი სიძე (იქვე); იმისი ნაბანი სულ ოქროს ზოდებათ გადმოვიდა (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950)...

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა უცვლელია როგორც სახელის ფუძე, ისე ბრუნვის ნიშანი:

აბა, ვილაპარაკოთ ჩვენი დღეის თავზე გადასავალიო (თსუფა 1982: №25149). შდრ. გამოთქმა: „დღეის ამას იქით“; შენ დაგეცა რუის კლდე (თათარაიძე, არაბული 2014: 158). მოცემულ კონტექსტში რუის ძველი ქართულისებური წარმოებაა.

არცთუ იშვიათად იკარგება ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმონითი ელემენტი, რაც დასტურდება რ. თავდიდიშვილის მიერ ჩაწერილ ტექსტებში, აგრეთვე, ონელ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში. მაგალითად: მოადგა ზღვი პირას (თსუფა 1982: №25134); სად იყო ოქრო ბეჭედი, მიდღემში არ წამომიცივია (ფა №5149); სამსონისა კი იყო დედი მუცლიდგან (თსუფა 1982: №25144). როგორც სამეცნიერო ლიტერატურში მიუთითებენ, საკუთრივ რაჭულში, კერძოდ, ლებურ-ჭიორულში, ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის -ს ელემენტი იკარგება, როცა სახელი ნათესაობითში პრეპოზიციული მსაზღვრელია. ანალოგიური შემთხვევა დასტურდება გლოლურშიც, თუმცა იშვიათად, ისიც მყარ შესიტყვებებში: გოჭი ხუთშაბათი (თოფურია 1961: 244).

მსგავსი ფაქტები ხშირია ქართული ენის დიალექტებშიც: გზ-ი პირას (ჯავახ.); რუ-ი პირზე (კახ.), პურ-ი ჭამა (იმერ.)...

### მოქმედებითი ბრუნვა

თანხმოვანფუძიანი სახელები. მოქმედებითი ბრუნვა თანხმოვანფუძიან სახელებთან -ით/-ით-ა ალომორფებით აღინიშნება განსაზღვრულ პოზიციებში:

-ით: გაამსეს ე ბატონი საგძლით (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); ქათამ მოჭრა თავი კისრით და ოჯახის უფროს მიაართვა (ქდვ: „ვაშკაცის სიბრძნე“, №3943); ლოცვა-კურთხებით გაისტუმრა თავის ოჯახში (იქვე); შენ რო მიდიოდი თოხით და

იმით, *ჯობით*, იგი (იგი – ასეა გამოცემაში – ს. გუმბ.) მოდიოდა ავტომატით (ტექსტები 2014: 217); *მერე ხელს დავასველებ და ზეთით ამ გუნდას დავასველებ* (იქვე, 228); *დათვმა თქვა: სულ ქონით იყო სავსეო* (თსუფა 1982: №25149); *მეტისმეტი წუხარობითა და ტირილით თვალეზდებრმავებული, მძიმე ავით გახთა* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939).

-ითა (ა ხმოვნით გავრცობილი ვარიანტი) ქართველ ებრაელთა მეტყველებაში გვხვდება შემდეგ შემთხვევებში:

1. -ც ნაწილაკის დართვისას:

*ამ გზობით თქვენეც გამარჯვებული დაბრუნდებით, სულ წაღმა იარეთ, თქვენი სახენწიფოთი და თქვენი ერთგული ჯარითაც. ამენ* (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941)...

2. და, თუ კავშირების წინ:

*გულითა და სულით დამლოცე, რაბი* (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941); *ძალიან რო დაიღალა და მოიქანცა ე ხენწიფე ხეტიალითა და კარკარა სიარულით* (ქდვ: „უდარდელი კაცი“, №3949); *აზანო დაანთებინავე, სუნელებითა და მუშკამბრებითა და მანამდისინი ორივეს თითონ ელაპარიკავე და გამოკითხავე სათითოკაკლაოთ სუყველიფერი, რაშიაც იყო იმათი საქმე* (ქდვ: „ღარიბი კაცის ამბავი (სიმძარის ახსნა)“, №3951)...

3. ატრიბუტულ მსაზღვრელთან: *ეს ადამი, პირველი გასახული ჩვენებითა, იყო დასრულებული მთელ სიბრძნეებში* (თსუფა 1982: №25148); *ე მესამე სიძე კი ბატების მწყემსი თავისი რაშითა და ორი ხმალით რანაირათ ებგერა იმ მტეერ და გაანადგურავე* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939)...

4. სუბსტანტიურ მსაზღვრელთან: *სადღესასწაულო სუფრა იწყობა ხის ნაყოფითა და მაგიდაზე მარილის მაგივრათ უნდა იყოს თავლი* (ტექსტები 2014: 231); *მეო ბებრ ვარჩენო ასე ირემის რძითა და ხორციტაო და ვისაც კი გავატანო, ყველას ნიშანი უნდა გავუკეთოვო* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939).

მოქმედებით ბრუნვაში მდგომი მსაზღვრელი გავრცობილია უფრო მეტად სუბსტანტიურ მსაზღვრელთან, ვიდრე ატრიბუტულთან.

სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკთან:

ოღონდ გამჩენმა კი მაღირსოს ვაიშვილიო და დავინახაო **თვალითაო** (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *ოღონ გამჩენმა კი მაღირსოსო ვაიშვილიო და დავინახაო თვალითაო და მერე კი მისი ნება არიო* (იქვე).

ზოგან ერთმანეთს ენაცვლება გავრცობილი და გაუვრცობელი ფორმები, ზოგან კი მხოლოდ გაუვრცობელი ვარიანტი გვხვდება.

მოქმედებით ბრუნვაში არსებითი სახელები ზეპირ თარგმანებში არის როგორც სავრცობით, ისე მის გარეშეც. მაგალითად: *უბძან მას: ესერა შენ მოკვდები ზედა იმა დედაკაცზე, რომ შეგირთვია შენ, და ის დარქმეული ქრმობითა* (ბერეშ., თ. 20); *და ახლა შემამფიცე მე შინა ღმერთითა ამაზედა* (ბერეშ., თ. 21); *შინა ხელითა ძლიერითა... შინა კლავითა გაწვდილითა...* („ფესახის აგადა“, ენობი 2014: 84);

რ. ენუქაშვილის დაკვირვებით, უბრალო დამატების როლში წარმოდგენილ სახელებს „თავსილში“ არ ერთვის სავრცობი მაშინ, როცა მათი მსაზღვრელები ემფატიკური ხმოვნითაა. ეს ფაქტი, მეცნიერის აზრით, „მშვენიერი დადასტურებაა ენაში მიმდინარე პროცესის თანდათანობითი განვითარებისა“ (ენუქაშვილი 2007: 63).

აღსანიშნავია, რომ ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში დადასტურდა „თავით“ ტიპის ფორმები, რომლებიც ფუნქციურად ენაცვლება -თან თანდებულის ფორმას. მაგალითად:

*სულამითი წევს ლოგინში, მამამისი რაბი თავით დაჯდომია, თორა ხელში დაუკავებია და ჭინახულობს* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *სიძმარში ვითამ თავით მზე უდგა, ფეხით – მთვარე, მარჯვნივა და მარცხნივაც – მასკვლავები* (ქდვ: „ღარიბი კაცის ამბავი (სიძმარის ახსნა)“, №3951); *ახლა რო გამოვიღვიძე, შევხედე რომა ფეხით ბობში წევს და ისინი აღარ არიან* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950); *სადაც ი ბობში წევს, ცოლის ფეხით, სულ თვალითა და მარგალიტით არი სამსე იქაურობა* (იქვე); *თავით და ფეხით: ...არც ხელისგულების დაკრეფა, არც სანთლის დანთება თავით და ფეხით* (დადუნაშვილი... 1999: 65).

ამ ტიპის მაგალითები არის ქართველ ებრაელთა ზეპირ თარგმანებშიც: *აილო იგი ქვებისა ადგილისაგან და დასდვა თავით მისა...* (ფარაშათ ვაიეცე); *და ადრე ადგა იაკობი დილაზედა და აილო იგი ქვა, რომ დასდვა თავით მისა* (იქვე).

მსგავსი შემთხვევებია ქართული ენის დიალექტებშიც. მაგალითად, ქართლ.: *დაუჯდა თავითა, უნდა ამაძროს სული* (ქდვ: №3448); ყიზლარ-მოზდოკ.: *დაიწყეს ახლო შვილები მისულა ზოგი ფეხით, ზოგი თავით* (ქდვ: №483).

აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში -ით ბრუნვის ნიშანი შეიძლება დაერთოს -თ სუფიქსიანი მრავლობითის ფორმას და გამოხატოს დროის, ვითარებისა და ადგილის სემანტიკა. მაგალითად: ხევს.: *საწოლ-თ-ით „საწოლიდან“...* ანალოგიური ვითარება შეინიშნება ძველ ქართულშივე: *ფერხ-თ-ით...* (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988: 228).

**ხმოვანფუძიანი სახელები.** ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ა-სა და ე-ზე დაბოლოებული კვეცადი სახელები მოქმედებით ბრუნვაში დასტურდება -ით/-თ-ი ალომორფებით:

*აკანკალებული ხმით განაგრძო ქმარმა, მაპატიეთ, მეფეო, ვერ მოვკლავ* (თავდ., 1940: 134); *დიდი ხანი იცადა, დაიღალა ცდით* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950); *ზოგი დროს უშობდა ამ ხელობით* (ტექსტები 2014: 221); *სულ იმას თხოვდა ზიარათებ, როგორც შვიდობით დავტევეო ჩემი ჯამათიო, ისევე შვიდობით დამახვეთერევეო* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *გადასცა მამამისის დატევებული ქონება სულ ერთიანა და ლოცვა-კურთხებით გაისტუმრა თავის ოჯახში* (ქდვ: „ვაშკაცის სიბრძნე“, №3943); *რითია ახლა კაი ცხოვრება სურსათი-სანოუაგით, ტეხნიკით* (ტექსტები 2014: 225).

-ა ხმოვნით გავრცობილი ფორმები ხშირია და კავშირის წინ:

*სამოთხის მსგავსი ბალი ქონდა ამ ბატონ ხითა და ხინართ სამსე* (ქდვ: „სულამითი“, №3948); *დიდი გაჭივრებითა და შეწუხებით ატარებენ იქანაი ხალხი თავის სიცოცხლეს* (იქვე); *მეფარჩხეს გეეხარდა ცოლის შვიდობითა და უმიზეზოთ მორჩენა* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950)...

უკვეცელ სახელებთან მოქმედებით ბრუნვაში არის -თი:

*ამ გზობით თქვენეც გამარჯვებული დაბრუნდებით, სულ წაღმა იარეთ, თქვენი სახენწიფოთი და თქვენი ერთგული ჯარითაც. ამენ* (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941); *ბატონი იმას ხშირათ ცემდა კიდეც, აწამებდა, ძალიან ტვირთამდა მეტისმეტი სამუშაოთი და ჯამაგირსაც მიდღემჩი თავის დროზე არ*

მიცემდა (ქდვ: „იოსეფი – დამაპატიოსნებელი შაბათისა“, №3945); *ორივეს თავისი ძუბუთი ინახამდა* (ქდვ: „უდარდელი კაცი“, №3949).

ქართველ ებრაელთა წმინდა წიგნებში, ზეპირ თარგმანებში ხმოვანფუძიანი სახელები გაფორმებულია -ით/-ით-ა ალომორფებით. მაგალითები:

-ით: *და იცოცხლა ადამმა ას ოცდაათი წელიწადი და დეებადა მსგავსით მისითა და ვითარცა სახით მისითა* (ბერემ., თ. 5); *და შენ მიბძანე მე: სიკეთით გეკეთილება შენ* (ბერემ., თ. 32)...

-ით-ა (გვხვდება პოზიციის შეუზღუდავად):

ა) ფრაზის ბოლოს: *და გაირყვნა იგი ქვეყანა წინაშე იმათ ღმერთსა და აივსო იგი ქვეყანა უსამართლობითა* (ბერემ., თ. 6); *და აიყვნა მისთვის იგი ყოველი ესენი და დააშვა ისინი დაშვიებითა* (ბერემ., თ. 15);

ბ) ფრაზის შიგნით: *ბოლო ყოველი ხორციელისა მოვიდა წინაე ჩემსა, ნამეტურ აივსო იგი ქვეყანა უსამართლობითა იმით წინაშე მათგან* (ბერემ., თ. 6); *უკანით იმა საუბრებსა ამეებსა იყო ბძანება უფლისა იმათ აბრამსა შინა სანახაულობითა ამნაირად* (ბერემ., თ. 15); *შინა სახითა ღმერთითა გაჩდა ისი, ვაჟი და ქალი გააჩინა ისინი* (ბერემ., თ. 1).

ამდენად, ქართველ ებრაელთა მეტყველებაში მოქმედებით ბრუნვაში თანხმოვანფუძიან სახელებთან დასტურდება -ით/-ით-ა, ხოლო ხმოვანფუძიანებთან -ით/-თ-ი ალომორფები.

### ვითარებითი ბრუნვა

თანხმოვანფუძიანი სახელები. საანალიზო მასალების მიხედვით, ქართველ ებრაელთა მეტყველებაში თანხმოვანფუძიან საზოგადო სახელებთან ვითარებით ბრუნვაში ვლინდება ორი თავისებურება: 1. ბრუნვის ნიშნისეული მჟღერი თანხმოვანი ყრუვდება: -ად > -ათ, 2. -იან სუფიქსიან სახელებთან ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ნაწილი ზოგჯერ იკარგება.

ვითარებითი ბრუნვის ნიშნის ალომორფთა განაწილება განსხვავებულია ტექსტების მიხედვით. კერძოდ, ყოფითი და ფოლკლორული ხასიათის ტექსტებში გავრცელებულია -ათ, იშვიათია -ად, გვხვდება -ა-ც. მაგალითად: -ათ: *ხან მიწას მუშაობდა, ხან ვინმეს დღიურათ მიეჭირავებოდა* (ქდვ: „იოსეფი –

დამაპატიოსნებელი შაბათისა“, №3945); *ამ კალიშვილ სახელათ ერქვა სულამითი* (ქდვ: „სულამითი“, №3948); *ერთ დღეს სანადიროდ წავიდა, მინდვრათ რომ გავიდა* (თათარაიძე, არაბული 2014: 34); *...მეორეს კი ნიჩბათ* (იქვე, 98); *კაისმთქმელი ყამდა, იმის ჭირი ჭირათ მიაჩდა ჯამათ და ლხინი ლხინათ* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *...ძროხა სასმელათ მივიდა* (თათარაიძე, არაბული 2014: 12)...

-ად: *ცოლ-შვილი სოფლად ყავდა* (თათარაიძე, არაბული 2014: 123); *ფულად გადაეხადნა თვითეულს ერთი თუმანი* (იქვე); *დადიან წყესად ცხვრი ჯოგ წყესობენ* (თსუფა 1982: №25155)... ყველა ეს მაგალითი ბადებს ეჭვს, რადგან აუსლაუტში არა მარტო ებრაელთა შორის, არამედ საერთოდ ქართულ მეტყველებაშიც ყველგან თ ისმის. ამ შემთხვევაში შეიძლება ვიფიქროთ ჩაწერის სიძნელეებზე.

-ად/-დ ალომორფთა დაყრუბული ვარიანტები (-ათ/-თ) გვხვდება ქართული ენის თითქმის ყველა კილოში (განსაკუთრებით დასავლურში). -დ-ს -თ-დ ქცევა დამახასიათებელია საყოველთაო სამწერლობო ენისთვისაც (სალინაძე 2011: 84).

თანხმოვანფუძიანი სახელის ვითარებითის გავრცობილ ფორმასთან გვხვდება -ო ნაწილაკიც: *მეო ბებრ ვარჩენო ასე ირემის რძითა და ხორცითაო* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *გალავანთან დეემზადონო საომრათაო* (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941); *შენ ვინ გირჩენიაო ქმარათაო* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950).

როგორც საანალიზო ტექსტები გვიჩვენებს, ქართველ ებრაელთა მეტყველებაში თანხმოვანფუძიან საზოგადო სახელებთან ვითარებითი ბრუნვის ნიშნად იშვიათად არის -დ თანხმოვანმოკვეცილი ვარიანტი. ასეა როგორც ძველ, ისე ახალ მასალაშიც: *თავისი ცოლშვილიანა გადაიკარქენ* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *ყველას წამოსვლა უნდა თავის ქმარშვილიანა რო ნახოს ეს შორაშები, ფესვები, რო ნახონ ეს ფესვები სიდან წარმოიშვა* (ახალი მასალები, 2016, ჩამწ. ს. გუმბ.)... -დ-ს მოკვეცას, ჩვენი აზრით, ეკონომიურობის (შემოკლების) პრინციპი უნდა განაპირობებდეს. მსგავსი ფაქტები გვხვდება ქართული ენის კილოებშიც. მაგალითად, ქვემოიმერულში -ა დადასტურებულია არა მარტო -იან სუფიქსით წარმოქმნილ სახელებში (ცოლშვილიანა, ხურჯინიანა...), არამედ სხვა შემთხვევებშიც: ჩუმა, სწორა, კარქა..



(კუბლაშვილი 1985: 95), ჯავახურში: ამოიგავა მისი გვარეულობა ძირიან-ა; ძირ-ფესვიან-ა ამოგდო (მარტიროსოვი 1984: 52).

ქართველ ებრაელთა წმინდა წიგნებში ვითარებითი ბრუნვის ნიშნად თანხმოდანფუძიან საზოგადო არსებით სახელებთან მეტწილად არის -ად:

და ბძანა ღმერთმან: იქნეს მანათლობლები შინა სამყაროსა იმის მცისასა თანა-გასაყოფლად შუა იმა დღესა და შუა იმა ღამესა, და იქნენ თანა-ნიშნებად და თანა-დღეებად და წლებად (ბერეშ., თ. 1); და ბძანა ღმერთმან: მათესლებელი თესლისა, თქვენთვის იქნეს თანა-საჭმელად (იქვე); ზედა ეგრე დასტეოს კაცმა იგი მამამისი და იგი დედამისი და მიეკრას ცოლსა მისსა და იყვნენ ხორცად ერთად (ბერეშ., თ. 2); ძენი ისრაელისა... გაძლიერდნენ ერთად დიდად და აივსო ქვეყანა მათითა... („ფესახის აგადა“, ენოხი 2014: 82).

წმინდა წიგნთა ზეპირი თარგმანები ამ მხრივ ახლოს დგას მწიგნობრულ ენასთან, რასაც ვერ ვიტყვით ყოფითი და ფოლკლორული ხასიათის ტექსტებზე.

რ. ენუქაშვილს „თავსილში“ შენიშნული აქვს ერთი თავისებურება. საინტერესოა მისი მსჯელობა აშურა, სუქოთა, სედომა ტიპის ფორმებთან ა-ს კვალიფიკაციასთან დაკავშირებით. მეცნიერი გამოთქვამს ვარაუდს: „...თუ ჩვენი დაშვება სწორია, რომ აშურა, სუქოთა, სედომა ტიპის ფორმები არა მხოლოდ ივრითის გავლენითაა შემონახული, არამედ ქართულში არსებულ ფორმებთან დამსგავსების გამო, შესაძლებელია ვილაპარაკოთ იმაზე, რომ უძველეს ქართულში ვითარებითის -ა ნიშანი შეიძლება გამოვლინდეს არა მხოლოდ -ეთ დაბოლოების მქონე მცირეოდენ სახელებში, არამედ სხვა სახელებშიც“ (ენუქაშვილი 2007: 65).

ძველ წერილობით ძეგლებში ვითარებითი ბრუნვის ნიშნად, გარდა -ად/-დ/-და ალომორფებისა, სხვა აფიქსებიც არის, კერძოდ, გეოგრაფიულ სახელებთან, აგრეთვე, ზმნისართებად გამოყენებულ მიმდებარებში, გვხვდება -ა სუფიქსი: ჯოჯოხეთ-ა, საბერძნეთ-ა, სადიდებელ-ა (ჩიქობავა 1956: 18; შარაშენიძე 1956: 420-421). მსგავსი წარმოება ქართველ ებრაელთა ზეპირ თარგმანებში არ დასტურდება.

**ხმოვანფუძიანი სახელები.** ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ხმოვანფუძიანი (უკვეცელი და კვეცადი) საზოგადო სახელების ვითარებითი ხდება ბრუნვის ნიშნისეული მჟღერი თანხმოდანის დაყრუება:

ყველაგანა მეულოდა გაბედნიერებას და ხენწიფის სიძეთ გახთომას (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); რომენიც მე მამწონს და საქმაროთაც მინდა (იქვე); მესამე ქალიშვილის ქმარი უნდა დატევოს ხენწიფეთ (იქვე); მასწავლებელ მაშინ მიცემდა შაბათის ულუფის ფულ – ერთ მანათიან და წავიდოდა სამუშაოთ (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944); უჭკუო იყავი ამ წუთისოფელზე და იმ სოფელსაც უჭკუოთ წებვედი (იქვე); შენეც მოქცემენ უფულოთ და დააყენე შაბათი (იქვე); უწყლოთ არი დაფქვილი (ტექსტები 2014: 236); ...მიწათ უნდა იქცეს... (ახალი მასალები, 2016, ჩამწ. ს. გუმბ.).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართველ ებრაელთა ზეპირ თარგმანებში ხმოვანფუძიან სახელებში, თანხმოვანფუძიანთა მსგავსად, ვითარებითი ბრუნვის ნიშნად ყველგან არის -დ:

და შეიქნა მათთვის იგი ალიზები ქვად (ბერემ., თ. 11); და იქნება სახელი შენი აბრაამი, ნამეტურ მამად ჯა რისა ერებისათვის მიგეცი შენ (ბერემ., თ. 17); და ადგა იგი მინდორი და იგი გამოქვაბული, რომ შინა მისა, აბრაამისათვის სამკვიდროდ საფლავად იმის სიახლისა შვილებისა ხეთიელისაგან (ფარაშათ ბერემ., თ. 23); და მე ვიარები უშვილოდ... (ბერემ., თ. 15); და ამოიყვანე ის იქ საღმრთოდ ზედა ერთსა იმა მთებსა (ბერემ., თ. 22); ღმერთი გამოაჩენს მას, იმა კრავსა საღმრთოდ, შვილო ჩემო... (იქვე); ... და შეიქმნა იქ ერად დიდად, ძლიერად და მრავალრიცხოვან საზოგადოებად („ფესახის აგადა“, ენოხი 2014: 80).

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ვითარებითი ბრუნვის -ათ-/თ ალომორფი პირველად გამოვლინდა ადიშის ოთხთავში. შემდგომ ამგვარი ფაქტები აღმოჩნდა IX-X საუკუნეთა ძეგლებში. ზ. სარჯველაძის აზრით, ამ დროს ცოცხალ მეტყველებაში -ათ-/თ უნდა ყოფილიყო (სარჯველაძე 1984: 363).

ქართველ ებრაელთა ზეპირი თარგმანებისთვის ვითარებით ბრუნვაში დამახასიათებელია -ად/-დ ნიშნები. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს ამ თარგმანების სიძველეს.

**წოდებითი ბრუნვა**

**თანხმოვანფუძიანი სახელები.** ქართველ ებრაელთა მეტყველებაში თანხმოვანფუძიან ყველა ტიპის საზოგადო სახელებთან წოდებითი ბრუნვის ნიშნად წარმოდგენილია -ო სუფიქსი:

*კაცო* ან ჩამეიწიე ვილაცა, აამუშაოს ე ქარხანა და აქედან მოგებული ფულით მიეცი პენსია (ტექსტები 2014: 220); *დიახ, ის დაჯავშნული იყო, შვილო* (იქვე, 212); *არა, ქალო, ხეშვანი ოქტომბერიო? აბა, სექტემბერს რაღა ჯანდაბა ქვია?* (იქვე); *ისრეელო, მე გამიგონია, რომა თქვენ თორაში გიწერიავე – ბრძენი ჯობია წინასწარმეტყველსაო* (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941); *ადამიანო, მინდა გავიგო თუ რით ხარ ამ ქვეყნად უკმაყოფილო* (თავდ. 1940: 134); *ხენწიფემ ხმამაღლა დაიძახა: ჩემო ერთგულო ჯამათო* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939). ასეა ქართველ ებრაელთა წმინდა წიგნების ზეპირ თარგმანებშიც: *გამჩენო ღმერთო ჩვენო...* („ფესახის აგადა“, ენოხი 2014: 67); *მთებო, რატომ იხტუნეთ ერკემლებისებრივ, ქედებო, რად დაბრუნდით შვილებისა ცხვრისებრივ* (იქვე).

როგორც ირკვევა, წოდებითი ბრუნვის ნიშნის მხრივ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ქრონოლოგიურად არ იყო ერთგვაროვანი ვითარება. ამას მოწმობს ისაკ შამელაშვილის ნაშრომი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაში „ყველა ტიპის საზოგადო და საკუთარ არსებით სახელთან -ო გამოიყენება: დედაო ჩემო, მომხედე შენ შვილ; გაბრიელო, გაუკეთე ისი“ (ზექალაშვილი 2014: 103).

**ხმოვანფუძიანი სახელები.** ხმოვანფუძიანი საზოგადო სახელები წოდებით ბრუნვაში გაფორმებულია -ო/-ვ/ღ ალომორფებით. ხმოვანფუძიანებთან უმეტესად გვხვდება -ო როგორც ერთ-, ისე მეტმარცვლიან სახელებთან. მაგალითები:

*ძმაო – გადაუშალა ხელები მეცხვარემა* (ქდვ: „ღარიბი კაცის ამბავი (სიმძარის ახსნა)“, №3951); *არა ძმაო, მე არ გირჩევ ვინმეს მიბარებას* (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942); *ზღვაო, რად გარდიხვეწე, იარღენო, რად დაბრუნდი უკულმა* („ფესახის აგადა“, ენოხი 2014: 67); *ოთხი კუთხის მბრძანებლო ხელმწიფეო!* (თათარაიძე, არაბული 2014: 87); *მოგახსენებთ დიდო და დიდებულო ხენწიფეო!* (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941)...

-ვ არის ერთზე მეტმარცვლიან ხმოვანფუძიან საზოგადო სახელებთან:

ეს ყოფილა, მამავ, ჩემი ყისმათი, დაგვლოცე (თათარაიძე, არაბული 2014: 13);  
სიძვე შენი ქისაო, ფერად ნარინჯისაო (იქვე, 173)...

იმვითად საზოგადო სახელები წოდებითში გაუფორმებელია:

მამა, თუ სადმე იცი აქნაი წყალი ხო იყოს (ქდვ: „სულამითი“, №3948) (უნდა იყოს რო – ს. გუმბ.). ხომ ხწოათ გამიყვია, ჩემო ბიძია, აბა რაღას მენდური? – უპასუხა სტუმარმა მაინძელსა და გაიცინა (ქდვ: „ვაშკაცის სიბრძნე“, №3943)...

ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაში წოდებითი ბრუნვის შესახებ საინტერესოა ისაკ შამელაშვილის ხელნაწერი ნაშრომი, რომელიც სავარაუდოდ, ავტორს წაკითხული უნდა ჰქონდეს სტუდენტთა კონფერენციაზე 1959 წელს. ხელნაწერი გამოაქვეყნა მისმა ძმისშვილმა პროფ. რ. ზექალაშვილმა, რომელიც სინანულს გამოხატავს იმის თაობაზე, რომ თავის დროზე არ შეუსწავლიათ ქუთაისელ ებრაელთა მეტყველება, ახლა კი, ცნობილი მიზეზების გამო, უკვე გაძნელდა ეს საქმე. ი. შამელაშვილის ნაშრომში ასახულია ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური თავისებურებანი. მისი აზრით, ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ყველა ტიპის საზოგადო და საკუთარ სახელთან წოდებითში გამოიყენება -ო ნიშანი: „დედაო ჩემო, მომხედე შენ შვილ“ (ზექალაშვილი 2014: 103).

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, ასეა ქართული ენის დასავლური დიალექტების ნაწილში (იმერული, ლეჩხუმური): წოდებითი ბრუნვის ნიშნად საზოგადო სახელებში მხოლოდ -ო გვევლინება და არასოდეს არ გვხვდება -ვ. (შარაშენიძე 2016: 84).

ამგვარად, ქართველ ებრაელთა მეტყველებაში საზოგადო არსებითი სახელის ფორმაწარმოება უმთავრესად სალიტერატურო ქართულის მსგავსია. აღსანიშნავია რამდენიმე თავისებურება: ა) ხმოვანფუძიან საზოგადო სახელებთან სახელობითში -ი სუფიქსის დართვა (დაი, საქმეი...) როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ (სურამი) საქართველოში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში; ბ) თანხმოვანფუძიან სახელთა გაუფორმებლობა მიცემითში: დანაყამ ნიგოზ; ნათქვამ ვამბოზ... გაუფორმებელი მიცემითი ქართველ ებრაელთა მეტყველების ერთ-ერთი მთავარი თავისებურებაა. ქრონოლოგიურად განსხვავებული მასალა ამ მხრივ ნაირგვარ

სურათს იძლევა; ადრეული პერიოდის (რ. თავდიდიშვილისა და გ. ჯაფარიძის მიერ ჩაწერილ) ტექსტებში უნიშნო მიცემითის ფორმებს სისტემური ხასიათი აქვს, ხოლო შედარებით გვიანდელ, საუკუნის მასალაში შეინიშნება არაერთგვაროვანი ვითარება. კერძოდ, უნიშნო მიცემითის ფორმები სისტემურ იხმარება ისრაელში „ასულ“ ებრაელთა მეტყველებაში, ხოლო ქუთაისში ამჟამად მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ეს მოვლენა იშვიათია, რაც განპირობებული უნდა იყოს ადგილობრივი დიალექტისა და სალიტერატურო ქართულის გავლენით. გაუფორმებელი მიცემითის ფორმები იშვიათია ქართველ ებრაელთა წმინდა წიგნების ზეპირ თარგმანებშიც.

### **საკუთარი არსებითი სახელები**

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „საკუთარი სახელი ენის ლექსიკური ფონდის სპეციფიკურ ფენას წარმოადგენს, სპეციფიკურს როგორც მნიშვნელობა-დანაშინულებით, ასევე ფორმაწარმოებითაც. ყურადღებას იქცევს იგი თავისი წარმომავლობისა და ისტორიული თვალსაზრისითაც“ (ჯორბენაძე 1993: 3).

საკუთარ სახელთაგან განვიხილავთ ანთროპონიმებსა და გეოგრაფიულ სახელებს.

#### **ა. ანთროპონიმები**

**ადამიანის (პირის) სახელები.** საკუთარ სახელებში გამოიყოფა ერთი ჯგუფი სახელებისა, რომელთაც საზოგადოებაში აკისრია განსაკუთრებული ფუნქცია: ესაა მითითება მოქალაქის, პიროვნების ვინაობაზე: „სულიერი არსებისა თუ საგნის მთელი შინაარსი პირდაპირ არის დაკავშირებული მის სახელთან. ეს განსაკუთრებით ადამიანის (პირთა) სახელთა ანუ ანთროპონიმთა შესახებ ითქმის. ადამიანი ცდილობს, რაღაც ნიშნით გამორჩეული, განსაკუთრებული სახელი დაარქვას, პირველ ყოვლისა, საკუთარ შვილს“ (სადინაძე 2013: 156). ესაა ადამიანის (პირის) სახელები. ამგვარ სახელთა კვლევას მიემდვნა არაერთი ნაშრომი, მათ შორის: ი. მაისურაძის „ქართული გვარსახელები“ (1990), ზ. ჭუმბურიძის „რა გქვია შენ“ (1992-2003), ალ. ლლონტის „ქართველური საკუთარი სახელები“ (1967), რ. თოფჩიშვილის „ქართული გვარსახელების ისტორიიდან“ (2003).

ქართველ ებრაელთა საკუთარ სახელებს ეხება ნაშრომები: რ. შამელაშვილის „ებრაელთა ქართული გვარსახელები“ წიგნში „არ გავცვლი სალსა კლდეებსა“ (1983), ელდარ მამისთვალაშვილის „ქართველ ებრაელთა გვარსახელები“ წიგნში „ქართველ ებრაელთა ისტორია“ (1995), ი. გაგულაშვილის „ებრაულ საკუთარ სახელთა მცირე ლექსიკონი“ (1998), „ქართველ ებრაელთა გვარების ლექსიკონი“ (1998); რ. ენოხის „ებრაელთა საკუთარი სახელები ქართველ ებრაელთა მეტყველებაში“ (2011); ქართველ ებრაელთა საკუთარ სახელებზე მსჯელობს კოტე ლერნერი მონოგრაფიაში „Евреи Грузии (От Еллинизма до роздного феодализма)“.

ნაშრომის ამ ნაწილში მიმოვიხილავთ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში არსებულ ადამიანის (პირის) სახელთა ფორმაწარმოებას. ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში დასტურდება სხვადასხვა წარმოშობის (ებრაული, ქართული...) ადამიანის (პირის) სახელები. აღსანიშნავია ბიბლიური წარმოშობის ისეთ სახელთა სიმრავლე, როგორცაა: **აბშალომი, მოსე, იოსები, იონათანი, სულამითი, შიმშონი...** შეიძლება ითქვას, რომ ქართველ ებრაელთა შორის საკუთრივ ებრაულ სახელთა სიმრავლე მათი ეროვნული და კულტურული იდენტობის გამომხატველია.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ვ. ლერნერის მსჯელობა. მისი აზრით, ქართველ ებრაელთა შორის გავრცელებულ საკუთარ სახელთა რიცხვი განსაზღვრულია. უმთავრესად აქ ვხვდებით ტრადიციულ ბიბლიურ სახელებს, რომელთა დიდი ნაწილიც გაფორმებულია ქართული დიალექტისათვის სახასიათო „ა“ სუფიქსით (მაგალითად, **არონა**). გვიანი შუასაუკუნეების ეპოქაში ქართველ ებრაელებში არცთუ იშვიათია ქართველებისათვის სახასიათო ქრისტიანული სახელები. ქართველ ებრაელთა ანთროპონიმის ისტორიული თუ ტიპოლოგიური თვალსაზრისით განსაკუთრებულ შესწავლას მოითხოვს. ვ. ლერნერი ასახელებს რამდენიმე საკუთარ სახელს, რომლებიც სხვადასხვა ისტორიულ წყაროსა და დოკუმენტშია დადასტურებული. ასეთია, მაგალითად, **აბდალა, აბონ|აბონა, აბრამა, აბრამია, ბერი, ბესიკა, გლახუა, მამულა, მიხაკო, ციცა, ელუა, შალვა, იაკობა** და ა.შ. (ლერნერი 2008: 237-241).

ჩვენს საანალიზო მასალაში ერთი და იგივე სახელი გვხვდება სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტით: **მოსე/მოშე, იოსები/იოსეფი, იაკობი/იაცაკობი, აბელი/ებელი,**

**იაფეთი/იეფეტი.** ფონეტიკურად შეპირობებულ ფორმათა სიმრავლე განსაკუთრებით თვალშისაცემია ქართველ ებრაელთა წმინდა წიგნების ზეპირ თარგმანებში, რაც შესაძლოა თარგმანის ებრაული დედნის გავლენით იყოს განპირობებული.

შევეცდებით ამ თვალსაზრისითაც მიმოვიხილოთ ჩვენს საანალიზო ტექსტებში არსებული ბიბლიური სახელები. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა **რ. თავდიდიშვილის** მასალა, რომელიც გამოირჩევა ბიბლიურ სახელთა სიუხვით.

ადამიანის (პირის) სახელთა ფორმაწარმოების მხრივ ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში ისეთივე ვითარებაა, როგორც საზოგადო არსებით სახელებში: საკუთარი სახელები გვხვდება ყველა ბრუნვაში, თუ არ ჩავთვლით ვითარებითს. შეიმჩნევა ზოგიერთი სხვა თავისებურებაც.

ყოფითი და ფოლკლორული ხასიათის ტექსტებში ადამიანის (პირის) სახელები იშვიათად არის გაუფორმებელი. მაგალითად: *შესხდენ ზედ დავით და მისი ამაღა და გასწიეს* (თათარაიძე, არაბული 2014: 125). სამაგიეროდ, ქართველ ებრაელთა ზეპირ თარგმანებში ადამიანის (პირის) სახელები მეტწილად ფუძის სახით, -ი ნიშნის გარეშეა წარმოდგენილი:

*და დაუძახა წინაშე მისა აბრეხ* (ბერეშ., თ. 41); *ისახარ სახედარისებრივ მაგარი იქნება...* (ბერეშ., თ. 49); *დაარქვა იგი სახელი მისი ყერ* (ბერეშ., თ. 38); *ზედა ენგრეთ დაარქვა სახელი მისი გალყედ* (ბერეშ., თ. 31)...

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა რ. ენუქაშვილის ნაშრომი „ძველი ქართულის ელემენტები თავსილში“, რომელშიც მეცნიერი საუბრობს წრფელობითი ბრუნვის ერთი ფუნქციის შესახებ: „ამ ფორმითაა წარმოდგენილი **შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი**, განსაკუთრებით, როგორც ამას მიუთითებს ი. იმნაიშვილი, იმ ზმნებთან, რომლებიც სახელთა დარქმევას უკავშირდება. მაგალითად: *სახელი იმის ერთისა ფიშონ*“. აქვე მეცნიერი აკეთებს კომენტარს, რომლის მიხედვითაც საანალიზო წინადადებაში შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილის არარსებობა ახსნილია ივრითის გავლენით (ენუქაშვილი 2007: 55).

როგორც ჩანს, რ. ენუქაშვილი „თავსილში“ მოცემულ გაუფორმებელ ადამიანის (პირის) სახელს მიიჩნევს წრფელობით ბრუნვად განსაკუთრებით იმ ზმნებთან, რომლებიც სახელთა დარქმევას უკავშირდება.

აზრთა სხვადასხვაობის საგანია წრფელობითი ბრუნვის საკითხი ძველ ქართულში: წრფელობითთან დაკავშირებით ძირითადად ორი თვალსაზრისი არსებობს:

1. წრფელობითი დამოუკიდებელი ბრუნვის ფორმას წარმოადგენს (ნ. მარი, ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი, ვ. თოფურია, კ. დანელია, კ. გაბუნია...);

2. წრფელობითი ცალკე ბრუნვად არ გამოიყოფა (არნ. ჩიქობავა, გ. დეეტერსი, ჰ. ფოგტი, ზ. სარჯველაძე, თ. უთურგაძე, ტ. ფუტკარაძე...). შდრ. ძველი გრამატიკოსები (ზ. შანშოვანი, ანტონი...) წრფელობითს იყენებდნენ სახელობითის მნიშვნელობით.

წრფელობითი დამოუკიდებელ ბრუნვად პირველად ნ. მარმა გამოყო. მან წრფელობითს გაუფორმებელი ბრუნვა უწოდა (მარი, 1925: 29).

ი. იმნაიშვილისთვის ტერმინი „გაუფორმებელი“ მიუღებელია. ამ ბრუნვის ნიშანი სწორედ **უნიშნობაა** (იმნაიშვილი, 1956: 59). მეცნიერის აზრით, ადამიანის (პირის) სახელსაც აქვს წრფელობითი ბრუნვა განსაკუთრებით **რქმევა, წოდება** ზმნებთან.

ვ. თოფურიას მიაჩნია, რომ წრფელობითი ძველ ქართულში სინტაქსური ფუნქციით უდრის სახელობითს და დროთა ვითარებაში კიდევ შეცვალა იგი უკანასკნელმა (თოფურია 1965: 506).

კ. გაბუნიას შეხედულებით, დამოუკიდებელ ბრუნვად წრფელობითის მიჩნევა ძველი სალიტერატურო ქართული ენის დონეზე გამართლებულია, ვინაიდან იგი სრულიად აკმაყოფილებს ბრუნვის გამოყოფისათვის სავალდებულო ორივე ნიშანს (ფორმოზრივ – ნულოვანი ნიშნით უპირისპირდება ბრუნების პარადიგმის სხვა წევრებს; შინაარსობლივ – გააჩნია ფუნქცია, რომლის სხვა რომელიმე ბრუნვის ფორმით ჩანაცვლება დაუშვებელია. წრფელობითი ბრუნვის გამოყოფა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში შესაძლებელი და აუცილებელიცაა (გაბუნია 1998: 28).

ძველი წერილობითი ძეგლების შესწავლის შედეგად ზ. სარჯველაძეს გამოტანილი აქვს დასკვნა, რომ „წრფელობითს“ არ მოეპოვება სახელობითისაგან განსხვავებული ფუნქცია. ის სინტაქსური ფუნქციით უდრის სახელობითს. წრფელობითისა და სახელობითის ფორმები თავისუფლად მონაცვლეობენ



ერთმანეთთან, რაც სხვადასხვა ბრუნვათა შემთხვევაში გამორიცხულია (სარჯველაძე, 1984: 359-360).

წრფელობითს დამოუკიდებელ ბრუნვად არ მიიჩნევს თ. უთურგაიძეც. იგი წერს: „წრფელობითი ცალკე ბრუნვას არასოდეს წარმოადგენდა. ქართულ ენაში იგი ან იყო სახელდებითი ბრუნვის განუსაზღვრელი ფორმა უძველეს ქართულში – სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვების ჩამოყალიბებამდე, ან სახელობითი ბრუნვის თავისუფალი ვარიანტი (სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვების ჩამოყალიბების შემდეგ) (უთურგაიძე 1986: 23).

ცნობილია ისიც, რომ IX საუკუნიდან ქართულ წერილობით ძეგლებში დასტურდება წრფელობითისა და სახელობითის მონაცვლეობის შემთხვევები. ასევეა ქართველ ებრაელთა ზეპირ თარგმანებშიც (XI-XII სს.). ზოგჯერ ერთსა და იმავე ფრაზაში შეიძლება სახელი გაფორმებულიც იყოს და გაუფორმებელიც. მაგალითად:

*ესენი შვილები ეცერისა: ბილანი, ზაყავანი და ყაკან* (ბერემ., თ. 36); და *გადიცვალა ბალაყ და დახემწიფდა ქვეშეთ მისა იობაბი, შვილი ზერახისა იმის ბოცრასაგან* (ბერემ., თ. 36).

პარალელურად დასტურდება **ისრაელი/ისრაელ** ფორმები: და *უბძანა მას ღმერთმან: სახელი შენი იაყაკობი, არ გერქმევა შენ სახელი შენი კიდევ იაყაკობი, არამედ მხოლოდ ისრაელი იქნება სახელი შენი; და დაარქვა სახელი მისი ისრაელ* (ბერემ., თ. 35).

საანალიზო მასალაში აღნიშნული სახელის სხვადასხვა ფორმა განსხვავებული კონოტაციებით გვხვდება. ის შეიძლება იყოს: ა) ეთნიკური სახელი, ებრაელის აღმნიშვნელი: *იყო ერთი ძველების გამყიდველი ისრაელი* (ქდვ: „ძველების გამყიდველი“, №3952); *ქალაქის თავმა მაინც დაუძახა ისრაელ* (იქვე); ახლათ *ისრაელების* ფესახი არიო (იქვე). ბ) ქვეყნის აღმნიშვნელი: *იწამეთ ღმერთი ერთი უკვდავი და უცვალებელი ისრაელის* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939). აღსანიშნავია, რომ გ. ჯაფარიძის მიერ ჩაწერილ ონელ ებრაელთა ტექსტებში დასტურდება **ისრაელა**.

რ. ენუქაშვილს მიაჩნია, რომ ეს მოვლენა (გაუფორმებელი და გაფორმებული სახელების პარალელური გამოყენება) „მეტად მნიშვნელოვანი მოწმობაა როგორც

ქართველ ებრაელთა მეტყველების განვითარების, ისე სალიტერატურო ენის განვითარების თვალსაზრისითაც“ (ენუქაშვილი 2007: 57). მეცნიერის აზრით, „თავსილში“ სახელთა ფუძის სახით არსებობა, ერთი მხრივ, არის ძველი ქართულის ნაშთი და, მეორე მხრივ, ივრითის გავლენა (იქვე). თუ ივრითის გავლენაზე ვისაუბრებთ, მაშინ უნდა გავიხსენოთ სხვა მოვლენებიც, კერძოდ, მიცემითში სახელის გაუფორმებლობა, რაც ნიშანდობლივია ქართველ ებრაელთა მეტყველებისათვის, მაგრამ ძალზედ იშვიათია ზეპირ თარგმანთა ენისთვის. ჩვენი აზრით, აქაც იგივე ვითარებაა, რაც შეიმჩნევა IX საუკუნიდან ქართულ წერილობით ძეგლებში (ფორმათა მონაცვლეობა).

ქართული ენის ქვესისტემებიდან ადამიანის (პირის) სახელთა გაუფორმებლობა დამახასიათებელია მთარაჭულისთვის. ამის შესახებ წერს შ. მიძიგური: „როგორც პროზაულ მეტყველებაში, ისე ნამეტურ პოეტურ მეტყველებაში სახელები (უმთავრესად საკუთარი სახელი) სახელობითსა და მოთხრობითში ხშირად სუფთა ფუძით გვხვდება“: დაარქვა **ზურაბ**; დაათვრეს **ბეჟან** (მიძიგური 1954: 188). მსგავსი მოვლენა დადასტურებულია გურულში, მაგალითად: **იორა** თქუა, **კურმუზო** თქუა (ჟღენტი 1936: 59).

„თავსილში“ ყურადღებას იპყრობს **ნაწევრიანი** ადამიანის (პირის) სახელები. როგორც წესი, საკუთარი სახელი ისედაც მოიაზრებს განსაზღვრულ პირს და მას ამისათვის აღარ სჭირდება გრამატიკული მარკერი, თუმცა ნაწევრიანი სახელები უხვად გვხვდება „თავსილში“. საკვლევ მასალაში ნაწევარი პირის სახელს ერთვის წინა პოზიციაში. ნაწევარი ძველ ქართულში ორი სახისა იყო: განსაზღვრული და განუსაზღვრელი. „თავსილში“ ადამიანის (პირის) სახელებთან სისტემებრ დასტურდება იგი განსაზღვრული ნაწევარი:

*და დეებადა ყადას ყესავისთვის იგი ელიფაზი და ბასემათ დეებადა იგი რეყულ* (ბერემ., თ. 36); *აოლიბამას დეებადა იგი იეყუში, იგი იაყლამ და იგი კორახ* (იქვე); *და დეებადა ელიფაზსა იგი ყამალევ* (იქვე).

## სახელობითი ბრუნვა

თანხმოვანფუძიანი ადამიანის (პირის) სახელები. ქართველ ებრაელთა მეტყველებაში თანხმოვანფუძიანი საკუთარი სახელები (როგორც ადამიანთა, ისე გეოგრაფიული) სახელობითში ისევეა გაფორმებული, როგორც მსგავსი ფუძის საზოგადო სახელები, დაერთვის -ი სუფიქსი. მაგალითები:

*შეუდგა იოსეფი ღმერთის სახელზე ცხოვრებას* (ქდვ: „იოსეფი – დამაპატიოსნებელი შაბათისა“, №3945); *და დასდგა იგი მოახლეები და იგი ყმარწვილები მათი პირველად, იგი ლეა და ყმარწვილები მისი შემდეგ და იგი რახელი და იგი იოსეფი უკანით* (ბერემ., თ. 33); *დელილამ დააძინა შიმშონი* (თსუფა 1982: №25144). სახელი **შიმშონი** დადასტურდა ონელ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში (ჩამწ. გ. ჯაფარიძე); *თქვენზე ბეყეზრათელი ვერ ისუნტლებს* (თათარაიძე, არაბული 2014: 82); *იეკუთიელი დიდ საქმეებს აკეთებდა* (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944). ეს სახელი საანალიზო მასალაში გაფორმებულია. *იეკუთიელი გვხვდება მხოლოდ რ. თავდიდიშვილის ტექსტში*); *და მოუმატა თანა-საშობრად იგი ძმა მისი აბელი* (ბერემ., თ. 4). გვხვდება **ებელი** ვარიანტიც: *და იყო ებელი მწყემსი ცხვარისა* (იქვე); *კაინი იყო მუშა მიწისა* (იქვე); *და გადიცვალა სამლა და დახემწიფდა ქვეშეთ მისა შაული იმის იმის ნაპირისა რეხოვოთისაგან* (ბერემ., თ. 36); *და ესენი გვარიშვილობაები შვილები ნოახისა: შემი, ხამი და იაფეთი, და ებადებოდათ მათ შვილები უკანით იმა ღრმობასა* (ბერემ., თ. 35). გვხვდება ამ სახელის ფონეტიკური ვარიანტი **იეფეტი**: *და შემს დეებადა, კვლავ-დე მას, მამა ყოველი შვილები ყებერისა, ძმა იეფეტი იგი დიდი* (ბერემ., თ. 36).

თანხმოვანფუძიან საკუთარ სახელებთან დასტურდება -ო ნაწილაკი: *ისედაც მეზარებოდა ის მოჯამაგირე იოსეფიო* (ქდვ: „იოსეფი – დამაპატიოსნებელი შაბათისა“, №3945).

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში, კერძოდ, ონის ფოლკლორულ მასალაში დადასტურდა ადამიანის (პირის) სახელთა ფორმაწარმოების ისეთი განსაკუთრებული შემთხვევა, როცა მოთხრობითის -მა ნიშნიანი ფორმის ნაცვლად გამოყენებულია სახელობითის -ი ნიშნიანი ფორმა: *ბოლოს ეს ისხაკი შეატყო თავითავ, რო კვდებოდა* (თსუფა 1982: №25155).

**ხმოვანფუძიანი ადამიანის (პირის) სახელები.** ხმოვანფუძიანი ადამიანის (პირის) სახელები სახელობით ბრუნვაში წარმოდგენილია როგორც -*Ø* (ნულოვანი) ალომორფით, ისე -*ი* ნიშნით. საინტერესოა დავით ბოთერაშვილის (ბოთერა) მოგონებანი ახალციხელ ებრაელებზე (ინფორმაცია მოგვაწოდა პროფესორმა **მერაბ ბერიძემ**). მასალა დაბეჭდილია ჟურნალ „არავში“. მაგალითები:

ვის არ ნახავდით ამ სახელდახელოდ გაწყობილ გრძელ სუფრებზე, აქ იყო: ქოსათ მორდებსაც ცოლი **ნათელაი**, ლალოთ **სონიკოი**, შაოთ **ხაისარაი**, კონცოლაათ **სიკაი**, ფიტიმათ **სიმაი**, ქოსათ ბესას ცოლი ყვითელათ **სიმხაი**, ქორბინოთ აშერას ცოლი **თამარაი**. ბიცოლაჩემი **მაროი**. ჰაჯიათ **მაზალტობაი**, ბულბულაანთ **ჟუჟუნაი**, პუტეთ **სონაი**... მათ შორის იყვნენ **კომტოი**, **კოწიკოი**, **პაჭოი**, ტყუპის ცალები **გულსუნდაი** და **სულსუნდაი**... თორის მასწავლებელი, მეღამედი ხახამ **იონათანაი**, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლებამ დეკასთან მიწები გამოუყო (ბოთერა 2016: 23, 25).

აღნიშნული მოვლენა დადასტურდა, აგრეთვე, კულაშელ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში. მაგალითად: **შალიკოი**, *სლავას მამა, მაგენ ძმები ხო იყვენ, ჟორაი?* (ფბ, 2018); *აქანა ცხორობდა ტული, მირზაი* (იქვე); *ლუბა თუ გახსოვს აქანა, ლუბაი?* (იქვე) (ვიდეომასალა განთავსებულია სოციალურ ქსელში: <https://www.facebook.com/mario.tzur.7/> ფბ, 2018). ამგვარი ფაქტები გაანალიზებულია რ. ენუქაშვილის, თ. ლომთაძის, ი. შამელაშვილის შრომებში.

მსგავსი წარმოება არ დასტურდება წმინდა წიგნების ზეპირ თარგმანებში.

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში გაცილებით ჭარბობს გაუფორმებელი ხმოვანფუძიანი ადამიანის (პირის) სახელები: **დაინახა ლია თავი გვერდში** (თსუფა 1982: №125155); **და დაარქვა ადამიანმა სახელი ცოლის მისისა ხავა** (ფარაშათ ბერემ.: თ. 3); **და დასდვა იგი მოახლეები და იგი ყმარწვილები მათი პირველად, იგი ლუა და ყმარწვილები მისი შემდეგ** (ბერემ., თ. 33); **გაუწმინდურდა იგი დინა, ქალიშვილი მისი** (ბერემ., თ. 34); **ნამეტურ დაინახა, რომ გაიზარდა შელა** (ბერემ., თ. 38).

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში, ქართული ენის კილოთა მსგავსად, ზოგჯერ გარდაუვალ ზმნასთან ხმოვანფუძიანი ადამიანის (პირის) სახელები სახელობით ბრუნვაში მოთხრობითი ბრუნვის ფორმით გვხვდება: **მოსემ წამოვიდა, ღმერთს**

შეხედა... (ტექსტები 2014: 237); უდაბნოში წავიდა მოშემა და იშოვა ფეკილი (ოსუფა 1982: №25153).

### მოთხრობითი ბრუნვა

ერგატიული კონსტრუქცია, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია ქართველური და კავკასიური სისტემებისთვის, ფორმობრივ ასახულია ქართველ ებრაელთა მეტყველებაშიც. მოთხრობით ბრუნვაში თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი ადამიანის (პირის) სახელები გაფორმებულია -მა, -მ, -მან ნიშნებით. -მა, -მ გვხვდება ყოფითი და ფოლკლორული ხასიათის ტექსტებში, ხოლო ზეპირ თარგმანებში არის როგორც ახალი, ისე არქაული, -მან ნიშნიანი, წარმოება.

თანხმოვანფუძიანი ადამიანის (პირის) სახელები. სხვადასხვა ტიპის ტექსტებში მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის ალომორფები მეტ-ნაკლებად განსხვავებულია.. ფოლკლორული და ყოფითი ხასიათის ტექსტებში თანხმოვანფუძიან ადამიანის (პირის) სახელებთან ძირითადად გვხვდება -მა: ილოცა იაყაკობმა და ეყოლა იოსები (ოსუფა 1982: №125155); რეუბენმა ძმებს უთხრა (იქვე); უთხრა რახელმა იაყაკობ (იქვე); შიმშონმა უთხრათ: თქვენ ნუ მახლებთ ხელ იმათ მე გავუსწორდებიო (ოსუფა 1982: №25141); იოსებმა ჩამოუყვა როგორც იყო საქმე (ქდვ: „იოსეფი – დამაპატიოსნებელი შაბათისა“, №3945).

ზეპირ თარგმანებში, კერძოდ, „თავსილში“, თანხმოვანფუძიან სახელებთან მოთხრობით ბრუნვაში არაერთგვაროვანი ვითარებაა: დასტურდება როგორც ახალი, ისე ძველი წარმოება. მაგალითები:

-მა: და იცოცხლა შეთმა ას ხუთი წელიწადი (ბერეშ., თ. 5)...

-მან: და შეიტყო ონანმან, რამეთუ არა მისთვის იქნება იგი თესლი (ბერეშ., თ. 38); და დაავედრა იოსებმან (ბერეშ., თ. 42)...

ზოგჯერ საკუთარ სახელებთან, საზოგადო სახელთა მსგავსად, პარალელურად დაჩნდება -მა||-მან ალომორფები:

და დაასახლა იოსებმან შინა მიცრაიმშიდა ის და სახლეური მამის მისისა. და იცოცხლა იოსებმა ას ათი წელიწადები (ბერეშ., თ. 50).

ზეპირ თარგმანში დასტურდება ისეთი შემთხვევაც, როცა გარდაუვალი ზმნის ქვემდებარე დგას მოთხრობით ბრუნვაში: და იყო, როცა რომ მივიდა იოსებმა ძმებსა

მისა, და გახადეს იმათ იოსეფსა იგი პერანგი მისი, იგი პერანგი აბრეშუმისა, რომ ზედა იმისა (ბერეშ., თ. 37).

**ხმოვანფუძიანი ადამიანის (პირის) სახელები.** ხმოვანფუძიან სახელებთანაც ანალოგიური ვითარებაა: ფოლკლორული და ყოფითი ხასიათის ტექსტებში ძირითადად გვხვდება -**მ**. მაგალითად:

*იუდამ უთხრა ძმას* (თსუფა 1982: №25155); *ამ რიბკამ ჩააცვა ბალნიანი შუბა იაკაკობ* (იქვე); *ხახამ ბაბომ უხშირა სალოცავში სიარულს* (თათარაიძე, არაბული 2014: 143); *მოშემ ხალხი არ წაიყვანა* (იქვე); *დელილამ დააძინა შამშონი* (თსუფა 1982: №25141); *და ბძანა ლეამ: მოვიდა მაზალი* (ბერეშ., თ. 30). *და იუარა სარამ ამნაირად: არ გამიცინია მე, ნამეთურ შემეშინდა* (ბერეშ., თ. 18); *და გაიცინა სარამ შუა იმის ამნაირად* (იქვე)...

ქართული ენის დიალექტებშიც ნაირგვარი ვითარებაა. მაგალითად, რაჭულში (გლოლურში), გურულში თანხმოვანფუძიან ადამიანის (პირის) სახელებთან მოთხრობითი ბრუნვის -**მა** სუფიქსი იკარგება და სახელი ფუძის სახით არის წარმოდგენილი: **ბეჟან** ესროლა ისარი და ტახი იქავ წააქცია; **ამირან** წიხლი ჩაჰკრა (რაჭ.) (მიძიგური 1970: 198)... გაუფორმებელია ხმოვანფუძიანი სახელებიც: **იორა** თქუა, **კურმუზო** თქუა (გურ.) (ჟღენტი 1936: 59).

როგორც ცნობილია, ძველი ქართულის ნორმის მიხედვით მოთხრობით ბრუნვაში ადამიანის (პირის) სახელი გაუფორმებელი იყო. ზ. სარჯველაძე მიუთითებს, რომ ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში -**მან** ნიშნის ხმარების არც ერთი შემთხვევა არ დადასტურდა. იგი პირველად საკუთარ სახელებთან სინურ მრავალთავეში გამოვლინდა (სარჯველაძე 1984: 365).

### **მიცემითი ბრუნვა**

**თანხმოვანფუძიანი ადამიანის (პირის) სახელები.** ქართველ ებრაელთა მეტყველებაში თანხმოვანფუძიანი ადამიანის (პირის) სახელები მიცემით ბრუნვაში გვხვდება როგორც -**ს** ნიშნით, ისე მის გარეშე. ჩვენს საკვლევ მასალაში აღნიშნული ბრუნვა უმთავრესად -**ს** სუფიქსითაა წარმოდგენილი.

დასავლეთ საქართველოს ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ ყოფითი და ფოლკლორული ხასიათის ტექსტებში, საზოგადო სახელთა მსგავსად, უხვად დასტურდება გაუფორმებელი მიცემითის შემთხვევები. მაგალითები:

*სულამით ვერცხლის სურით რაც წყალი ქონდა წამოღებული სახლიდგან გამოსვა* (ქდვ: „სულამითი“, №3948); *დიდმა კი შეუტია აბშალომ* (იქვე); *ეს ამბავი შიმშონ არ მეეწონა* (თსუფა 1982: 25144); *ისხაკ ეყოლა იაკობი და ყესავი* (იქვე); *რახელ არ ეყოლა შვილი* (თსუფა 1982: №25155); *იოსებ არ უშვებს მამა არსად, არც ბენიამინ* (იქვე); *რიბკამ ჩააცვა ბალმიანი შუბა იაყაკობ და მიიყვანა მამასთან* (იქვე); *უთხრა რახელმა იაყაკობ* (იქვე). ასეა ჩვენ მიერ ჩაწერილ ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაშიც: *ხაიმ ვაჩუქებ ექვსას შეკელ* (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.); *ალიკ ვაჩუქებ სალონის ფულ* (იქვე).

**იაყაკობ** ფორმის შესახებ რ. ენუქაშვილი მსჯელობს ნაშრომში „ქართველ ებრაელთა მეტყველების ზოგიერთი თავისებურება“ (სოფელ ბანძის მკვიდრთა მეტყველების მაგალითზე). მეცნიერი ამ სახელში **კ-ყ** მონაცვლეობის შესახებ გამოთქვამს ვარაუდს, რომ ეს შესაძლოა ებრაული **იაყაკობ** ფორმის არსებობით იყოს განპირობებული და **იაკობ/იაყაკობ** ფორმათა კონტამინაციით იყოს მიღებული **იაყობ**. იგი მიუთითებს ამ ფორმათა არსებობაზე ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაშიც. ჩვენ **იაყაკობ** ფორმა შეგვხვდა არა მხოლოდ ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაში (რ. თავდიდიშვილის მიერ ჩაწერილ ტექსტებში), არამედ ონელ ებრაელთა მეტყველებაშიც (გ. ჯაფარიძის მიერ ჩაწერილ მასალაში). ონურ მასალაში დადასტურდა **იაყაკოფიც**.

გაუფორმებელი მიცემითის ფორმები დამახასიათებელია „თავსილისთვისაც“:

*და უკანით მიახლოვდა იოსეფ და რახელსა და ეთაყვანენ* (ბერემ., თ. 33); *უბძანა ისრაელმა იმათ იოსებ* (ბერემ., თ. 37); *და დეებადა ნოახ სამი შვილები* (ბერემ., თ. 6); *და უბძანა ფარყომ იმათ იაყაკობ* (ბერემ., თ. 47); *და უბძანა იაყაკობმან იმათ შიმშონ და იმა ლევის* (ბერემ., თ. 34)...

ზეპირ თარგმანებში ადამიანის (პირის) სახელები მიცემით ბრუნვაში მეტწილად გავრცობილია:

და უყაბულა უფალმან იმათ ებელსა და იმათ ძღვენსა მისა (ბერემ., თ. 4); და იმათ კაინსა და იმათ ძღვენსა მისა არ იყაბულა (იქვე); და გააგზავნა იაყაკობმა მოციქულები წინაშე მისა იმათ ყესავსა, ძმასა მისა, ქვეყანასა სეყირისას, მინდვრებსა ედომისას (ბერემ., თ. 32); და უბძანა ფარყომ იმათ იოსეფსა (ბერემ., თ. 41); გააგზავნა იაყაკობმა და დაუძახა რახელსა და ლეასა იმა მინდორშიდა იმათ ცხვრებსა მისა (ბერემ., თ. 31). „თავსილი“ ამ მხრივ უმეტესად მიჰყვება ძველი ქართულისებურ წარმოებას, თუმცა მასში, გარდა -სა ვარიანტისა, იშვიათად გვხვდება გაუვრცობელი მიცემითის ფორმებიც:

და მოახსენა იმათ იაყაკობს (ბერემ., თ. 31); და გეეცხადა თამარს ამნაირად: (ბერემ., თ. 37); და უბძანა ფარყომ იმათ იოსეფს (ბერემ., თ. 41)...

„თავსილში“ ერთსა და იმავე ფრაზაში დასტურდება მიცემითის გაუფორმებელი და გაფორმებული ადამიანის (პირის) სახელები: და უკანით მიახლოვდა იოსეფ და რახელსა და ეთაყვანენ (ბერემ., თ. 33).

ამ მოვლენის შესახებ მიუთითებს რ. ენუქაშვილი: „ძველ ქართულში, როგორც წესი, საკუთარ სახელებს მიცემითში ემფატიკური ხმოვანი არ დაერთვის, მაგრამ ცვლილების პროცესი აქაც დაიწყო და ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ სავრცობი დაერთვის ამგვარ სახელებს“ (ენუქაშვილი 2007: 61).

**ხმოვანფუძიანი ადამიანის (პირის) სახელები.** მიცემით ბრუნვაში ხმოვანფუძიანი ადამიანის (პირის) სახელები ყოველთვის -ს ნიშნითაა წარმოდგენილი.

და სარას ესმოდა კარებსა იმის კარვისას (ბერემ., თ. 18); და იყო იმის ბოლოსა ორი წლისასა დღეებსა, და ფარყოს დეესიზმრა: და ესერა იდგა ზედა იმა ნილოსზედა (ბერემ., თ. 41); ...და უთხრეს ფარყოს, დასასადგურებლად მოვედით ამ მიწა-წყალზე... („ფესახის აგადა“, ენოხი 2014:82); და დეებადა ელიფაზსა იგი ყამალეკ (ბერემ., თ. 36)...

### **ნათესაობითი ბრუნვა**

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ადამიანის (პირის) სახელებთან ნათესაობით ბრუნვაში განსაკუთრებული თავისებურება არ შეიმჩნევა. საკუთარი სახელები ნათესაობითში, ჩვეულებრივ, -ის/-ს/-ის-ა ალომორფითაა გაფორმებული.



თანხმოვანფუძიანი ადამიანის (პირის) სახელები. ყოფითი და ფოლკლორული ხასიათის ტექსტებში თანხმოვანფუძიან ადამიანის (პირის) სახელებში ძირითადად გვხვდება -ის სუფიქსი:

*ეს მარხვა არის დედოფალ ესთერის* (ტექსტები 2014: 236); *ამოჩნდა დანაშაული შიმშონის სიმამრი, რომ გაუთხოვა შიმშონ პირველი დანიშნული* (თსუფა 1982: №25144); *იაცაკოფის ამბავი გინდათ, დაგენაცვლეთ* (თსუფა 1982: №25135). შდრ.: ზეპირ თარგმანებში ნათესაობით ბრუნვაში გავრცელებულია -ის-ა ვარიანტი:

*და დაინახა შვილებმან ანგელოზებისამან იგი ქალიშვილები ადამისა* (ბერეშ., თ. 6); *ღმერთი აბრაამისა და შიში იცხაკისა იყო ჩემთვის* (ბერეშ., თ. 31); *შინა გადასავალსა მდინარისასა ცხოვრობდნენ მამები თქვენი უკუნისამდინ – თერახ, მამა აბრაამისა და მამა ნახორისა...* („ფესახის აგადა“, ენოხი 2014: 11); *და მოისმინა ადონაიმ კენესა ჩვენი და გაიხსენა ღმერთმა თავისი აღთქმა აბრაჰამისა, იცხაკისა და იაცაკობის მიმართ* („ფესახის აგადა“, ენოხი 2014: 84).

ხმოვანფუძიანი ადამიანის (პირის) სახელები. ყოფითი და ფოლკლორული ხასიათის ტექსტებში ძირითადად გვხვდება -ს ნიშნიანი ნათესაობითი:

*ემეთ [ჭემმარიტად] როგორც არ უღალატებ ღმერთსა და მოშეს თორას, ისე სიმართლეს გეუნები ყველიფერ* (ქდვ: „ლარიბი კაცის ამბავი (სიმმარის ახსნა)“, №3951).

ზეპირ თარგმანებში პოსტპოზიციური წყობის დროს დასტურდება -ს-(ი):

*და გამოვიდა დინა, ქალიშვილი ლუასი* (ბერეშ., თ. 34); *და გადიცვალა დებორა, ძუძუმწუხებელი რიბკასი* (ბერეშ., თ. 35); *შვილები ბილასი, მოახლე რახელისა: დანი და ნაფთალი* (იქვე); *შვილები ზილფასი, მოახლე ლუასი, გადი და აშერი* (იქვე).

### მოქმედებითი ბრუნვა

მოქმედებით ბრუნვაში ძალზე იშვიათია ადამიანის (პირის) სახელები. ზეპირ თარგმანებში დადასტურდა -ით-ა ვარიანტი: *და შეფიცა იაცაკობმა შიშითა მამის მისითა იცხაკითა* (ბერეშ., თ. 31).

ვითარებით ბრუნვაში ჩვენს საანალიზო მასალაში საკუთარი სახელები არ დადასტურდა.

### წოდებითი ბრუნვა

თანხმოვანფუძიანი ადამიანის (პირის) სახელები. ქართველ ებრაელთა მეტყველებაში თანხმოვანფუძიანი ადამიანის (პირის) სახელები წოდებით ბრუნვაში, ჩვეულებრივ, გაუფორმებელია:

*დავით, ღმერთმა მიიღო შენი ლოცვა* (თათარაიძე, არაბული 2014: 126); *გომენ, ებ ცილისწამებაა* (იქვე, 87); *მამაჩემო, ბეხაბათ, შენია სანდაკობა* (იქვე); *იეკუთიელ, დღესე პარასკევი არი, შაბათის ულუფისთვინ ერთი მანათი მაკლია* (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944).

ასეა ზეპირ თარგმანებშიც: *და მიბძანა იმათ ჩემსა ანგელოზმან ღმერთისამან სიზმარში: იაყაკობ! და მოვახსენე: აგერ მე* (ბერემ., თ. 31); *და უბძანა: აგარ, მოახლე სარაისაო, იმის საიდან მოსულხარ შენ და სად შენ მიდიხარ?* (ბერემ., თ. 16)...

საანალიზო ტექსტების მიხედვით, ქართველ ებრაელთა მეტყველებაში შეინიშნება თანხმოვანფუძიანი პირის სახელების -ო ალომორფით გაფორმების ტენდენციაც:

*რა ეკუთვნის წმინდა დავითო, ასი ცხვრის პატრონს* (თათარაიძე, არაბული 2014: 126); *რისთვის ბატონო გომენო* (იქვე, 86); *ხახამ დანიელო ჭკუა ცარიელო* (იქვე, 158); წოდებით ბრუნვაში თანხმოვანფუძიან ადამიანის (პირის) სახელებთან -ო ნიშანი დამახასიათებელია ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებისთვისაც. ანალოგიურ ვითარებაზე მიუთითებს ი. შამელაშვილი. ავტორს ადამიანის (პირის) სახელებთან წოდებით ბრუნვაში ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაში დადასტურებული აქვს მხოლოდ -ო. მაგალითად: *გაბრიელო*, გაუკეთე ისი (ზექალაშვილი 2016: 103). განხილული მაგალითი საშუალებას გვაძლევს, თვალი გავადევნოთ ქართველ (ქუთაისელ) ებრაელთა მეტყველების დინამიკას. ის ფაქტი, რომ ი. შამელაშვილის მასალაში „ყოველგვარ სახელთან“ წოდებით ბრუნვაში მხოლოდ -ო დასტურდება და ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში წოდებით ბრუნვაში ადამიანის (პირის) სახელებში არის როგორც გაუფორმებელი, ისე გაფორმებული წოდებითი, მეტყველებს იმაზე, რომ იმ დროს, როცა ეს ტექსტები იწერებოდა, ქუთაისელი ებრაელები კომპაქტურად იყვნენ დასახლებული და მათი მეტყველება გამოირჩეოდა გარკვეული თავისებურებებით. ეს თავისებურებები მათ მიჰყვებოდათ ისრაელშიც, რადგან ისინი იქაც განაგრძობდნენ ქართული ენით საუბარს. დღეს კი საქართველოში მცირე

რაოდენობით მოსახლე ებრაელების ქართული საკმაოდ დასცილდა ათეული წლის წინ მოსაუბრე ებრაელების მეტყველებას და განიცადა ადგილობრივი დიალექტებისა თუ ქალაქური მეტყველების, აგრეთვე, სალიტერატურო ენის გავლენა.

საინტერესოა სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ განთავსებული საარქივო მასალა, რომელიც გადაღებულია 1984 წელს. ისრაელში დაბადებული ქართველი ებრაელი რაფი ბალუაშვილი ჰყვება ოჯახის ისტორიას. მისი მშობლები ქუთაისელი ქართველი ებრაელებია. საუბრისას რესპონდენტი იმასაც აღნიშნავს, რომ მისი ოჯახი ისრაელში ერთ-ერთი პირველი მოსახლე ქართველი ებრაელია. ეს ჩანაწერი მხოლოდ ენობრივი თვალსაზრისით როდია მნიშვნელოვანი; მასში ნათლად ჩანს ჩვენი ენის სიყვარული და პატივისცემა. რაფი ბალუაშვილმა ქართული ენა ისრაელში, საკუთარ ოჯახში ისწავლა. მასში, ისევე როგორც საქართველოში მცხოვრებ ქართველ ებრაელებში, იკვეთება მათი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ენობრივი თავისებურებები, მათ შორის ერთ-ერთია მიმართვისას ალერსობითი სემანტიკის თანხმომავანადიანი ადამიანის (პირის) სახელის შემოკლებულ ფორმასთან -**ო** სუფიქსის გამოყენება. მაგალითად: *შვილო, რაფო... არა ახლა... ათი დღე, ათი წელი* (1984 წ., ვიდეომასალა, მთქმელი რაფი ბალუაშვილი, მოძიებულია ფეისბუქზე 2018 წელს: ჯგუფი „მსოფლიოს ქართველი ებრაელები“). ამგვარ ფორმათა შესახებ მიუთითებენ, რომ „რიგ შემთხვევებში წოდებითისეული -**ო** გამოყენებულია საკუთარ სახელთა ფამილარული ფორმის საწარმოებლად: ვანო, დათო, მიტო...“ (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988: 335). ამ ტიპის ფორმები, ჩვენი აზრით, არ უნდა იქნეს განხილული **დავითო, ეთერო** ტიპის სახელების რანგში. ამ შემთხვევაში -**ო** სუფიქსი დაერთვის თანხმომავანადიან საკუთარ სახელთა ფუძეს.

**ხმომავანადიანი სახელები.** ჩვენს საკვლევ მასალაში, კერძოდ რ. თავდიდიშვილის ტექსტებში, რომლებშიც ასახულია ქუთაისელ ებრაელთა მეტყველება, წოდებით ბრუნვაში ადამიანის (პირის) სახელებთან ერთგან დადასტურდა -**ვ**: *ნანახავ, სულო და გულო, მითხარ გვარი რისა გაქვს?* (თათარაიძე, არაბული 2014: 17).

-**ო/-ვ** ნიშნიანი წოდებითი დამახასიათებელია ქართული ენის დიალექტებისთვის: საზოგადო სახელების მსგავსად არის გაფორმებული როგორც თანხმომავანადიანი, ისე ხმომავანადიანი საკუთარი სახელები. მაგალითად:

ნუ წახვალ, მზევინარ-ო (ფშ.); დავით-ო, ქვევრა მოვხადოთ; ილარიონ-ო, შენ ბევრის მოსწრე ხარ; ნუ სწუხარ, ქეთევან-ო (იმერ., ძოწენიძე, 1973: 235); ფანდურა-ვ, ვიძახით მე და შენაო; გიორგა-ო, დედა შაგენაცვლაო; ლელა-ვ, მიშველე! ვიძახდიდიო (ხევს.). აიშე-ვ/აიშა-ვ, ფიქრიე-ვ/ფიქრია-ვ (აჭარ., ნოღაიდელი 1960: 29); გულიზარა-ვ (იმერხ., ფუტკარაძე 1995: 8).

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა რ. სალინაძის თვალსაზრისი: „ქართული ენის დიალექტებში არსებული ვითარება გამოხატავს ენის ტენდენციას, წოდებითში გაფორმდეს ადამიანის (პირის) სახელი და ამგვარად დასრულდეს საუკუნეების წინათ დაწყებული საზოგადო სახელებთან ფორმოზრივი გათანაბრების პროცესი, თუმცა ამას აფერხებს ტრადიცია და თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმათა ძლიერი გავლენა. ამას გვიჩვენებს ისევ და ისევ დიალექტებში არსებული წრიული მოვლენები: ვგულისხმობთ -ო ფორმანტით გაფორმებულ სახელთა ფუძედ აღქმასა და მისგან მიღებულ პარადიგმას: დავითო, დავითომ, დავითოს. აგრეთვე -ა ხმოვანმოკვეცილ მიმართვის ფორმებს: მაყვალ! მანან!“ (სალინაძე 2013: 159).

ხმოვანფუძიან ადამიანის (პირის) სახელებს წოდებითში ბოლოკიდური ხმოვანი ეკვეცებათ, ასევე, კილოებში: მაყვალ, ნათელ... (ქართლ., ცოცანიძე 2016: 62), მანან... (კახ., ჯორბენაძე 1989: 323), ლამარ... (მესხ., შარაშენიძე 2016: 84, ბერიძე); მაყვალ... (მთ.-გუდ., ჯორბენაძე 1989: 281).

წოდებითის -ო სუფიქსი დიალექტებში მეტ-ნაკლებად უხორცდება თანხმოვანფუძიან ანთროპონიმთა ფუძეს და ამის შემდეგ სხვა ბრუნვაშიც გადადის: ეთერო-~~ო~~, ეთერო-მ, ეთერო-ს.

ამდენად, ადამიანის (პირის) სახელების ფორმაწარმოება ქართველ ებრაელთა მეტყველებაში მეტწილად ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტების მსგავს ვითარებას უჩვენებს. შეიძლება გამოიყოს რამდენიმე თავისებურება: ა) ხმოვანფუძიან სახელთა სახელობითში -ი სუფიქსის დართვა (სიმაი, თამარაი, ნათელაი, ლალოი, სონიკოი...). ბ) „თავსილში“ თანხმოვანფუძიან სახელებთან მოთხრობით ბრუნვაში გვხვდება როგორც ახალი, ისე ძველი წარმოება (იოსებმა, იოსებმან...); გ) თანხმოვანფუძიანი სახელები მიცემით ბრუნვაში დასტურდება -ს, -~~ო~~ ალომორფებით (სულამით, შიმშონ, აბშალომ, რახელ...). -~~ო~~ ალომორფი გვხვდება

„თავსილშიც“ (იაცაკობ, იოსებ, ნოახ...); დ) ყოფითსა და ფოლკლორულ ტექსტებში წოდებითში შეინიშნება ანთროპონიმთა გაფორმების ტენდენცია (დავით-ო, დანიელ-ო, გომენო...).

**გვარები.** ქართველ ებრაელთა გვარები, შეიძლება ითქვას, ცალკე მსჯელობის საგანია. ქართველ ებრაელთა გვარების კვლევას ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში არაერთი ნაშრომი მიეძღვნა რ. შამელაშვილი (1983), ზ. ჭუმბურიძე (1992; 1999), ი. გაგულაშვილი (1998), ე. მამისთვალაშვილი (1995), თუმცა, როგორც ზ. ჭუმბურიძე მიუთითებს: „ქართველ ებრაელთა გვარები ჯერჯერობით არამცთუ სათანადოდ შესწავლილი არ არის, მათი სრული ნუსხაც კი არ მოგვეპოვება“ (ჭუმბურიძე 1999: 99). უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ნუსხა უკვე არის. კერძოდ, რ. ენოხმა 2014 წელს გამოაქვეყნა სტატია: *Forms of family names of Georgian Jews*, მასში წარმოდგენილია იმ დროისათვის დადასტურებული 493 გვარი. ავტორისვე განცხადებით, დღეისათვის დაემატა კიდევ რამდენიმე გვარი და მათი რიცხვი 510-ს აღწევს (ენოხი 2014: 5-37). ნუსხის ადრინდელი ვარიანტი თელ-ავივის დიასპორის მუზეუმის საცავშიც არის შენახული.

ზ. ჭუმბურიძე ზემოთ ხსენებულ სტატიაში გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ ზოგი ებრაული წარმოშობის გვარი გაქრობის საშიშროების წინაშეა, რადგან ისრაელში მცხოვრებმა ბევრმა ქართველმა ებრაელმა „გადაიკეთა (შეამოკლა) ან სულაც შეიცვალა თავისი გვარის ძველი ტრადიციული ფორმა“. ავტორი მოუწოდებს სხვადასხვა სფეროში მოღვაწე მკვლევრებს, სათანადო ყურადღება დაუთმონ გვარების სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებებს, რათა „არ გაწყდეს გენეალოგიური კავშირი ძველსა და ახალს შორის“ (ჭუმბურიძე 1999: 111). ამავე ნაშრომში დასახელებულია 220-მდე ქართველ ებრაელთა წრეში გავრცელებული გვარი (ჭუმბურიძე 1999: 100-101).

ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში ქართველ ებრაელთა გვარები ფორმაწარმოების მხრივ არ გამოირჩევა რაიმე თავისებურებით. მეტიც, სხვადასხვა ბრუნვის ფორმით გვარები იშვიათად დასტურდება. მასალაში შეგვხვდა რამდენიმე გვარი (უმეტესად ებრაული წარმოშობისა) როგორც ცალკე, ისე ადამიანის (პირის) სახელთან ერთად:

**სახელობითი:** *ონში გადმოცემაა, რომ კიკოშვილები სოფელ სხვაგვიდან არიან* (თსუფა 1982: №25133).

**მოთხრობითი:** *ღებელმა ლობჯანიძემ მოიყვანა ჩვენი ქალი* (თსუფა 1982: №25131).

**ნათესაობითი:** *...რა იცით ენუქაშვილისა და რიჟინაშვილის შესახებ, უამბეთ სასამართლოს* (თავდ. 1940: 177).

**წოდებითი:** *სარა რიჟინაშვილო* (თავდ. 1940: 177).

მართალია, საანალიზო ტექსტებში გვარების სხვადასხვა ბრუნვის ფორმები იშვიათია, მაგრამ მათში საკუთრივ ქართველ ებრაელთა გვარების შესახებ საინტერესო მასალაა მოცემული. როგორც რ. შამელაშვილი აღნიშნავს, ქართველ ებრაელებში ძირითადად ორი ტიპის გვარი გვაქვს **ძე** დაბოლოებიანი და **-შვილი** ფუძე-სუფიქსიანი. „ქართველ ებრაელებში ძე-თი ბოლოვდება ორი გვარი – ფიჩხაძე და ბერიძე. პირველი (ფიჩხაძე) ქუთაისში გვხვდება, მეორე (ბერიძე) – ახალციხეში“ (შამელაშვილი 1983: 116-117). რ. ენოხმა იუდაისტის მსოფლიო კონგრესზე წარდგენილ მოხსენებაში (იერუსალიმი, 2014) ქართველ ებრაელთა გვარები განიხილა დაბოლოებათა მიხედვით და გამოყო 14 ჯგუფი. მათგან ზოგი მრავალრიცხოვანია და ზოგიც – მეტად მცირერიცხოვანი.

ქართველი ებრაელების გვარებთან დაკავშირებით მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ქუთაისის ცენტრალური არქივის მასალებიც. მათი წყალობით საშუალება გვეძლევა, თვალი გადავავლოთ XX საუკუნის 30-40-იან წლებში ქუთაისსა და ონში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა წრეში გავრცელებულ გვარებს. ქუთაისელ ებრაელთა ათეულობით გვარი ფიქსირდება აღმასკომის საქმეთა მასალებში. აქვე აღვნიშნავთ, რომ ყველა გვარი მოცემულია სახელობითი ბრუნვის ფორმით. ეს დოკუმენტები (განცხადების ნიმუშები) საშუალებას იძლევა, დავაკვირდეთ მორწმუნე ებრაელთა ცხოვრებას. განცხადებები ეხება სინაგოგების, მათი სალოცავი სახლების აღდგენის მოთხოვნებს. განცხადებებს თან ერთვის ასობით ქუთაისელი ებრაელის ხელმოწერა, სახელობითი სია. მათ შორისაა **როზა თავდიდიშვილის** ხელმოწერა, მისი სახელი და გვარი. რ. თავდიდიშვილი არა მარტო ხელმომწერია, არამედ ერთ-ერთი განმცხადებელიც. ის აქტიურადაა თავისი ხალხის (ქუთაისელი ქართველი ებრაელების) საქმეებში ჩართული. ნაშრომში შემოგვაქვს საარქივო მასალის, კერძოდ,

ქუთაისელი ებრაელების სახელობითი სიის მცირე ნაწილი, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ქუთაისში იმ დროისათვის მცხოვრებ ქართველ ებრაელთა გვარ-სახელებზე. ესენია: ისაკ აბრამისძე ელიგულაშვილი, რეფაელ იაყოზიშვილი (წერა არ იცის), გაბრიელ ფიჩხაძე, არონ იაკობის ძე მაწონაშვილი, შაფათ ფილხასძე იაკობიშვილი, იაკოვ ხანანაშვილი შაფათასძე, შაფათა ბოთერაშვილი, სიმონ ფიჩხაძე, მოისეი ვარდენის ძე ფიჩხაძე, დანიელ შალომის ძე ხანანაშვილი, შაბათა აბრამისძე ჩახვაშვილი, რუბენ ფიჩხაძე, სიმონ შაფათას-ძე ხანანაშვილი, ხაიმ ფიჩხაძე, არონ იაკობის ძე იაკობიშვილი, შამუელ ისრაელის ძე კრიხელი.

ზემოთ ნახსენები ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცული ონელ ებრაელთა გვარ-სახელები დაფიქსირებულია ონელ ებრაელთა კოლმეურნეობის მასალებში, კერძოდ, შრომა-დღეების აღრიცხვის უწყისებში. სახელწოდებით „ონის ებრაელთა სტალინის სახელობის კოლმეურნეობა“ (საინვენტარო აღწერილობა, 1936-1938 წწ, ფონდი №25; აღწერა №2). ეს დოკუმენტები ფასეულია, რადგან შესაძლებლობა გვძლევს თვალი გადავავლოთ 1940-იან წლებში ონში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა გვარ-სახელებს. აქ წარმოვადგენთ მხოლოდ ნაწილს: ამშიკაშვილი შიმყონ – ამშიკაშვილი შიმყონა; შიმშილაშვილი გაბო, შიმშილაშვილი შათო, შიმშილაშვილი ნონია, შიმშილაშვილი რუთოია, შიმშილაშვილი გაბო, შიმშილაშვილი გაბო, ჩაჩაშვილი წაწა, ჩაჩაშვილი პატარია, ჩაჩაშვილი რეფელო, ჩაჩაშვილი მენაშე, ჩაჩაშვილი ხაიმა, ჩაჩაშვილი სარა, ჩაჩაშვილი ფიხა, ხახიაშვილი მიხეილი, ხახიაშვილი დავით, გვხვდება ხახიაშვილი დავითოც; ხახიაშვილი ფილხაზია, ხახიაშვილი მეირ/ხახიაშვილი მეირა...

ონელ ებრაელთა გვარები გვხვდება გ. ჯაფარიძის მიერ XX საუკუნის 80-იან წლებში ჩაწერილ ტექსტებშიც. საანალიზო მასალაში ცალკე ადგილი აქვს დათმობილი ონში მცხოვრებ ებრაელთა გვარების ჩამონათვალს. ესენია: ამშიკაშვილი, ბუზუკაშვილი, დავითაშვილი, ბესიკაშვილი, გაგულაშვილი, თოთიაშვილი, კიკოშვილი, ტატიკიშვილი, ქოსაშვილი, ქონაშვილი, ყოყუაშვილი, შიმშილაშვილი, ჩაჩაშვილი, ხეტუაშვილი, ხახიაშვილი, ხანანაშვილი, ხიტბაშვილი. იქვე ვხვდებით ონელ ებრაელთა საინტერესო მონათხრობს გვარების ისტორიასთან დაკავშირებით: „ონში ებრაელთაგან პირველი მოსულა ხიტბაშვილთა გვარის

ხალხი. **ხიტიბაშვილები** გადმოსულან ხოტევიდან. ხოტევი ახლაც არის მათი ნამოსახლარი. **ტატიკაშვილები** ამბობენ, სოფელ ღებიდან ვართო. ადრე ებრაელებს გვარები არ გვქონდა. ეს გვარები ახალია, როცა გვარების ჩამოყალიბება იწყებოდა (შერქმევა), მაშინ უკვე ონში ვიყავით“ (ჩაწერილი ებრაელთა უბანში, ებრაელთა ბიბლიოთეკაში თავყრილობისას“ ებრაელების ჯგუფისაგან) (თსუფა 1982: №25123).

გ. ჯაფარიძის მასალაში დასტურდება ისეთი გვარიც, რომელიც არ გვხვდება ე. მამისთვალაშვილისა და ზ. ჭუმბურიძის მიერ გამოქვეყნებულ ქართველ ებრაელთა გვარების ნუსხაში. ესაა: **კიკოშვილი**.

როგორც ვხედავთ, ქუთაისის არქივში დაცული გვარები როგორც ქუთაისელი, ისე ონელი ებრაელებისა, ძირითადად ბოლოვდება **-შვილ-**ით (**კრიხელისა** და **ხოტოველის** გარდა) ზოგიერთი გვარი წარმომდგარია ადამიანის (პირის) სახელისაგან. მაგალითად: **დავითა-შვილი**, **ბესიკა-შვილი**, **ხანანა-შვილი**, **იაკობი-შვილი**... ჩვენ მიერ ჩაწერილ ტექსტებში რესპონდენტებს უდასტურდებათ შემდეგი გვარები: **ბინაურიშვილი**, **ელიგულაშვილი**, **ლევინიშვილი**, **სეფიაშვილი**, **ხოტოველი**, **ტატიკიშვილი**, **შიმშილაშვილი**...

ამდენად, ქართველ ებრაელთა მეტყველებაში გვარები ფორმაწარმოების მხრივ არ გამოირჩევა რაიმე თავისებურებით. უმეტესად გვხვდება ქართველ ებრაელთა წრეში გავრცელებული გვარები.

## **ბ. გეოგრაფიული სახელები**

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში საკმაოდ ვრცელია გეოგრაფიულ სახელთა არეალი. ვხვდებით როგორც საქართველოს, ისე მის ფარგლებს გარეთ არსებულ გეოგრაფიულ პუნქტთა სახელებს. ყოფითსა და ფოლკლორული ხასიათის ტექსტებში გვხვდება როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ არსებული ტოპონიმები. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს „თავსილში“ დადასტურებული გეოგრაფიულ სახელთა სიუხვე და არეალი (ეს ბუნებრივია, რადგან „თავსილი“ ძველი აღთქმის – მოსეს ხუთწიგნეულის ზეპირი თარგმანია). როგორც რ. ენუქაშვილი მიუთითებს, გეოგრაფიული სახელები თარგმანში დედნისა და ქართველ ებრაელთა მეტყველების შესაბამისადაა გადმოტანილი. იგივე ითქმის „ფესახის აგადის“ შესახებაც (ენოხი 2008: 177).



მზ. შანიძე წერს: „გეოგრაფიული სახელების გადმოცემისას ქართულში ყველაზე ხშირია ასეთი შემთხვევა: სახელის ფუძეა ის, რაც ებრაულში მთლიანად წარმოადგენს გეოგრაფიულ სახელს (ბრუნვის ნიშნები ებრაულში სახელს საერთოდ არ აქვს). მაწარმოებელი სუფიქსი ასეთ სახელს ქართულში ჩვეულებრივ არ დაერთვის“ (შანიძე 1956: 162).

ქართველ ებრაელთა მეტყველების ნიმუშებში გვხვდება ერთი და იმავე გეოგრაფიული სახელის ფონეტიკურ ნიადაგზე გაჩენილი ვარიანტები. მაგალითად: **ფელიშტიმი, ფელისტიმი**, რომელიც დადასტურდა რაჭველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში: *შიშმონ უნდოდა რამენაირად ჩეთერია ფელიშტიმი ომში* (თსუფა 1982: №25144); *პირველად რომ დეესიდა ამ ფელისტიმში* (იქვე); გვხვდება ამავე ვარიანტისაგან ნაწარმოები სადაურობის აღმნიშვნელი სახელი **ეზიან** მრავლობითში სხვადასხვა ბრუნვის ფორმით: *და შეთაკილდენ მასა ფელიშტიმელები* (ბერემ., თ. 26); *დაფარეს ისინი ფელიშტიმელებმა და ამომსეს ისინი მტვერითა* (ბერემ., თ. 26); *რომ გათხარეს დღეებსა აბრაამისა მამის მისისას და ამომსეს ისინი ფელიშტიმელებმა უკანიდან აბძანებასა აბრაამისას* (იქვე).

„თავსილში“ არის **ფელიშთიმიც**: *...და წავიდა იცხაკი იმათ აბიმელებთან, ხემწიფე ფელიშთიმისა, გირარაში* (ბერემ., თ. 26).

გვხვდება მსაზღვრელ-საზღვრულთანაც: *ხემწიფე ფელიშთიმისა, გირარაში* (ბერემ., თ. 26); *ხემწიფემ ფელიშტიმელებისამან, შინა შუა იმის ფანჯრისაგან და დაინახა, და ესერა იცხაკი ეთამაშებოდა იმათ რიბკასა, ცოლსა მისა* (იქვე).

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გეოგრაფიული სახელი **ფელიშტიმი/ფელიშთიმი** ონელ ებრაელთა მეტყველებაში ებრაული დედნის გავლენის შედეგია, ან კიდევ ზეპირი თარგმანებიდან შესული ფორმაა.

ამასთანავე, ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში ყურადღებას იქცევს **იერუსალიმის** ვარიანტები: **ერუშალაიმი, ერუსალიმი**. რომლებიც გვხვდება როგორც საქართველოში, ისე ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში. ასევე, რ. თავდიდიშვილის ფოკლორულ მასალაში დასტურდება საბერძნეთის დედაქალაქ ათენის ძველი სახელწოდება **ათინა**. ასევე ეგვიპტის ისტორიული სახელი **მიცრაიმი** და **მისრაიმი**. ამ ფორმასთან დაკავშირებით

მსჯელობს რ. ენოხი ისრაელში გამოცემულ წიგნში „THE PASSOVER HAGGADAN IN JUDEO-GEORGIAN: A CRITIKAL EDITION“. მეცნიერის აზრით, Micraim = ეგვიპტე, როგორც წესი, ქართულ თარგმანში ებრაული ფორმა გამოიყენება. ა: xemcipe micraimisa, ბ ვერსიაში დეზაფრიკატიზაციის ფონეტიკური პროცესი ვლინდება: gadicvala xemcipe misraimisa. Micraimisa > misraimisa. **c > s**, რაც ქართველ ებრაელთა წარმოთქმის გავლენით უნდა მომხდარიყო. ეს ფორმა დასტურდება ბ ვერსიის კიდევ ერთ მონაკვეთში: misraimisagan, შემდეგ კი მთქმელი უბრუნდება წყაროს ფორმას: micraimisagan. გ ვერსიაში ყველგან არის გამოყენებული micraim (ენოხი 2014: 178-179).

ფორმაწარმოების მხრივ ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში გეოგრაფიულ სახელებს არ ახასიათებს რაიმე თავისებურება. ისინი ისევე იბრუნვიან, როგორც შესაბამისი ფუძის საზოგადო სახელები. მათი ფუძეები ისევე იკუმშება და იკვეცება, როგორც საზოგადო სახელებისა. მათაც არ ეწარმოებათ მრავლობითი. გეოგრაფიული სახელიც შეიძლება იყოს მარტივფუძიანი და რთულფუძიანი. „თავსილში“ გვხვდება ერთ- და მეტმარცვლიანი გეოგრაფიული სახელები.

გეოგრაფიული სახელი თარგმანში არცთუ იშვიათია **ფუძის** სახით: *სახელი იმის ერთისა ფიშონ* (ბერემ., თ. 2); და *სახელი იმის მდინარისა იგი მეორე გიხონ* (იქვე); *იყო იქა კარავი მისი პირველად შუა ბეთ-ელ და შუა ყაინს* (ბერემ., თ. 13).

ებრაულში გეოგრაფიული სახელები უმეტესად თანხმოვანზე ბოლოვდება. ამიტომაც შესაბამისი სახელები თარგმანში ძირითადად ფუძის სახითაა გადასული.

რა ვითარებაა ამ მხრივ ძველი აღთქმის ქართულ თარგმანებში? ამის შესახებ მზ. შანიძე წერს: „გეოგრაფიული სახელები ებრაულში უმეტესად თანხმოვანზე ბოლოვდება, ამიტომ შესაბამისი სახელები ქართულში თანხმოვანფუძიანია და ტექსტში სათანადო ბრუნვის ნიშანს დაირთავს“ (შანიძე 1956: 162). იგი ასახელებს სათანადო მაგალითებს ძველი აღთქმის თარგმანთა ქართული ვერსიებიდან:

**ბეთელ-**: და უწოდა იაკობ სახელი ადგილისა მის, სადა-იგი ეტყოდა მას ღმერთი, **ბეთელ** (ოშკ., მცხ.: დაბ. 35,15. შდრ. ებრ. **bet-el**).

**დან-**: დევნა უყო ვიდრე **დანმდე** (მცხ. დაანადმდე): დაბ. 14,14. შდრ. ებრ. **dan** (შანიძე 1956: 164).

სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ გეოგრაფიულ სახელებს ებრაულში რაიმე საგანგებო მაწარმოებელი არ დაერთვის. ხანდახან, მაგრამ არა ყოველთვის, გეოგრაფიულ სახელს გარკვეული შინაარსი აქვს, მაგალითად, **bet-'el** „სახლი უფლისად“ (შანიძე 1956: 162).

ზეპირ თარგმანებში გეოგრაფიული სახელები გვხვდება სხვადასხვა ბრუნვაში:

**სახელობითი:** გაფორმებულია -ი ნიშნით: *ბეთ-ელი იმის დასავლეთით* (ბერემ., თ. 2).

**მოთხრობითი:** *დაფარეს ისინი ფელიშტიმელებმა და ამომსეს ისინი მტვერითა* (ბერემ., თ. 26); *ვერ შეძლენ მიცრაიმელებმან საჭმელათ იმა ისრაელებთანა პური* (ბერემ., თ. 43).

**მიცემითი:** *და აიყარა იმისგან იმის მთასა აღმოსავლეთით თანა ბეთ-ელსა* (ბერემ., თ. 12); *და გაჰკვეთეს კავშირი შუა ბეერ-შავასა, და ადგა აბიმელები და ფიხოლი, თავადი ლაშქრის მისისა, და შემოიქცენ იმათ ქვეყანასა ფელიშტიმისას* (ბერემითი, თ. 21); *მიცა აბრაამმა საჩუქრები და გაუშვა ისინი იცხაკისა პირის მისისაგან, კიდევ ის ცოცხალი, კედმასა, იმა ქვეყანასა აღმოსავლეთისას* (ბერემ., თ. 25); *არ ჩახვიდე მიცრაიმას, დაისადგურე შინა ქვეყანასა, რომ გიბძანებ იმათ შენსა* (ბერემ., თ. 26); *და დათესა იცხაკმა შინა ქვეყანასა აიმას და იპოვნა იმ წელიწადში ას ზომად და აკურთხა ის უფალმა* (იქვე); *და იცხოვრა იცხაკმა გირარშიდა* (იქვე); *და უბძანა: ესერა გავიგონე მე, ნამეტურ არის პურიკაკალი შინა მიცრაიმშიდა* (ბერემ., თ. 42); *კიდევ ცოტა იყო დარჩენილი ქვეყანამდის, მისავალად ეფრათაში* (ბერემ., თ. 48).

**ნათესაობითი:** *დაშჭვრიტა აბიმელებმა, ხემწიფემ ფელიშტიმელებისამან* (ბერემ., თ. 26); *შესცოდენ მსმელმან ხელმწიფისა მიცრაიმისამან და იმა მცხობელმა ბატონსა მათსა, ხელმწიფესა მიცრაიმისას* (ბერემ., თ. 40); *მოახსენეს: იმის ქვეყნისა ქენაყანისაგან საყიდლად საჭმელისთვის* (იქვე); *ვერ შეძლენ მიცრაიმელებმან საჭმელათ იმა ისრაელებთანა პური, ნამეტურ სისამაგლე ის მიცრაიმისთვის* (ბერემ., თ. 43); *დამსვა მე ღმერთმან ბატონად თელი მიცრაიმისათვის* (ბერემ., თ. 45); *და იცხოვრე შენ ქვეყანასა გოშენისას* (იქვე); *წავიდენ და მივიდენ ქვეყანასა ქენაყანისას* (იქვე); *ახლა დასახლდენ აწ ყმები შენი შინა ქვეყანასა გოშენისასა* (ბერემ., თ. 47); *ქვეყანასა ქენაყანისას შინა პურიკაკლითა* (იქვე).

**ვითარებითი:** ვითარებითში გეოგრაფიული სახელები გვხვდება თანდებულთან ერთად: *და ლოტი დასახლდა ქალაქებსა იმის ვაკისას და დაიკარვა ვიდრე სედომამდე* (ბერეშ., თ. 13).

ყოფითი და ფოლკლორული ხასიათის ტექსტებში დასტურდება როგორც საქართველოს ტერიტორიაზე არსებული, ისე მის ფარგლებს გარეთ მდებარე დასახლებული პუნქტების სახელები სხვადასხვა ბრუნვის ფორმით. მაგალითები:

**სახელობითი:** *ასე შემოიარა ქუთაისი, თფილისი, ცხინვალი* (ტექსტები 2014: 225).

**მიცემითში** გეოგრაფიული სახელები ძირითადად თანდებულიანია. გვხვდება -ში თანდებულის -ში, -ჩი, -შიდა ვარიანტები: *აბა ერთი სახლი თუ დანგრეულა ქუთაიში* (ტექსტები 2014: 213); *მოსკოუში და ზავის გამო ხუთ წელიწათს ომს არ დეიწყებდა არც გერმანია* (იქვე); *ბელგიაში რო ჩაიტანა ეს ას ათი კილო ოქრო, გამევიდა გაზეთჩი* (ტექსტები 2014: 219); *ჩვიდმეტი წელიწადი ვაჭრობდა ისრეელი ათინაში* (ქდვ: „ვაშკაცის სიბრძნე“, №3943); *იყო ერთი დინდარე ვაჭარი ისრეელი, რომენიც ცხოვრობდა იერუშალაიმში და ვაჭრობდა კი ათინაში* (იქვე); *და ვაჭრობდა კი ათინაში* (იქვე); *უფროსი ვაიშვილი წამოვიდა იერუშალაიმიდან ათინაში მამის საფლავის სანახავათაც* (იქვე)... *ვიყიდე, ქობულეთში ვიყავი, ქათამი* (თსუფა 1982: №25126); *მისრაიმში რო გარბოდნენ ისრაელები – ტანჯვის პური ვჭამოთო* (თსუფა 1982: №25129); *მგონი უკრაინაშია ტაკანტროკი* (ტექსტები 2014: 224); *საქართველოში ვცხოვრობ და ქართული გოზინაყი ვიცი* (იქვე); *დაბადებული ქუთაისში და ვცხოვრობ შაომიანის ქუჩაძე ყოფილ შაომიანის ქუჩაზე* (ახალი მასალები, 2016, ჩამწ. ს. გუმბ.); *ჩემი ბიძაშვილი ციციხო მოდის ქუთაისშიო და ამ ზეინაბმა შეატყობინა კობიების ოჯახს* (იქვე); *ჩემი შვილიშვილი გოგო ცხოვრობს ვენაში, ექვსი ენა იცის, ყავს 18 წლის გოგო, ხო ვენაში, მეორე ბიჭი მოსკოვში სწავლობს* (იქვე); *როდესაც რომ იგი ცისკარი ამოვიდა, და გააჩქარეს ანგელოზებმან შინა ლოტში ამ სათქმელად* (ბერეშ., თ. 19); *ახლა ოსეთჩი ოსები მეტია* (ტექსტები 2014: 212); *ქუთაიშიდაც იყო ისეთი ხალხი* (იქვე); *ერუსალიმში ვიყავით სულ* (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.); *ისრაელში ცხოვრობს ერთი ორმოცი ერი* (იქვე). საინტერესოა ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში დადასტურებული ერთი შემთხვევა: *ერუშალაიმ ჩვენ გვიძახიან თფილის...* ეს ფრაზა კონტექსტურად

მოიაზრება ასე: „ერუშალიმში“ ჩვენ გვეძახიან თბილისელებს. როგორც ვხედავთ, მთქმელი ფუძის სახით იყენებს ფორმას **ერუშალიმ**, რომელსაც არ აფორმებს არც ბრუნვის ნიშნითა და არც თანდებულთ. ასევე, სადაურობის ნაცვლად ასახელებს ქალაქის სახელწოდებას. ასევე საინტერესოა **ისრაელის** ნაცვლად **საებრაელო**: *იქ ებრაელებ გვიძახოდენ, ჩამოვედით საებრაელოში და ქართველ გვიძახიანო* (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.).

-თან: *ჯაჭვიხითთან მუშაობდენ* (ტექსტები 2014: 212).

**ნათესაობით** ბრუნვაში გეოგრაფიული სახელი გაფორმებულია -ის ნიშნით: *გაგვიწვიეს თბილისის ავიოზაოდში* (ტექსტები 2014: 212); *შეუთვალეს აბისინიის ხელმწიფეს* (თსუფა 1982: №25134).

საინტერესოა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას დადასტურებული გამოთქმა: **რიონის პირას**. ონის მასალაში, რომელიც ჩაწერილია 1982 წელს, არის შეკუმშული ფორმა **რივნის**: *რივნის პირისკენ მივდივართ ყველა სადამოხან* (თსუფა 1982: №25132). 2014 წელს ჩაწერილ ქუთაისურ მასალაში იგივე სახელი სრული ფუძითაა, თუმცა მოკვეცილია ნათესაობითი ბრუნვის თანხმომვნიტი ნაწილი: *რიონი პირას, აგერ ვარლამიშვილის ქუჩა როა* (ტექსტები 2014: 212); *ამ კომუნისტების დროს იყო ტელმანის ქუჩა, რიონი პირას* (იქვე).

გვხვდება რთულფუძიანი გეოგრაფიული სახელებიც: *წყალწითელის იქითაა ეს სოფელი* (ტექსტები 2014: 217).

**მოქმედებით** ბრუნვაში გეოგრაფიულ სახელებთან გვხვდება -იდან, -ითგან, -ითვე ვარიანტები. *უფროსი ვაიშვილი წამოვიდა იერუშალიმიდან ათინაში მამის საფლავის სანახავათაც* (ქდვ: „ვაშკაცის სიბრძნე“, №3943). *გამომგვარე ისრაელი ერი ეგვიპტიდან* (თსუფა 1982: №25134). ... *ლერხუმიდანაა ი წყალი* (ტექსტები 2016: 364); *აქიდან ბოლოკი მოქვექონდა, აქიდან ყურძენი ბაღდათიდან, იმიდან, რა ქუია, ვანიდან* (იქვე, 364-365). -იდან გვხვდება -ო ნაწილაკთანაც: *ნუთუ ჩვენ ერში არ არი ისეთი ქალი, რო შენ შეგეფერებოდეს, რო არ წამოიყვანო პალესტინიდანო* (თსუფა 1982: 25144);

ონელ ებრაელთა ყოფითი ხასიათის მასალაშიც დასტურდება სხვადასხვა ვარიანტი: *ისრაელითვე ვართ გადმოცვინულები, ერუშალიმიითგან* (თსუფა 1982:

№25150); -ითგე გვხვდება ქართული ენის დიალექტებში: *ორის კვირითგე კიდენაც გამოსაჯდელ მექნება* (ფშაური, ქდვ: №3792, ჩამწ. თებრო გოგოლაური); *სამს წელს თუ ვერ მაკლეს, სამის წლითგე შაურიგდებიან* (ხევსურ., ქდვ: №246, ჩამწ. გიორგი წერეთელი). ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონის მიხედვით -ითგე || -გე ახსნილია, როგორც თანდებულ-მორფემოიდი, რომელიც დაერთვის მოქმედებითი ბრუნვის ფორმას; იგივეა, რაც -გან. გამოიყენება ხევსურულში: *მზეგასვლითგე* (= მზისგასვლითგან, მზისგასვლიდან) (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988: 83).

საინტერესოა ისრაელში მცხოვრები ქართველი ებრაელის მიერ წარმოთქმული ფრაზა, რომელშიც საქართველო მოიხსენიება „გეორგიად“: *ხოლო რო იკითხონ სიდან ხარ? უნდა ვთქვა გეორგიადან, კი ...ებრეელი გეორგიადან* (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბერიძე).

### 1.1.2. მრავლობითი რიცხვის წარმოება

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში, მსგავსად ქართულისა, გავრცელებულია მრავლობითი რიცხვის ორგვარი წარმოების ფორმები: *ებ-იანი* და *ნართანიანი*, თუმცა ამ მხრივ განსხვავებაა ლოკალურად. მაგალითად, ბანძელ ებრაელთა მეტყველების ამსახველ ნიმუშებში მხოლოდ *ებიანი* მრავლობითის ფორმა დასტურდება (ენუქაშვილი 2001: 79).

*ებიანი* და *ნართანიანი* მრავლობითის ფორმათა გავრცელების ზოგადი სურათი ტექსტების მიხედვით ასეთია: ყოფითი ხასიათის ტექსტებში უმთავრესად გვხვდება *ებიანი* მრავლობითი და ეს არც არის გასაკვირი, მაგრამ ჩვენთვის უჩვეულო აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ *ებიანი* მრავლობითი სისტემებში არის ქართველ ებრაელთა წმინდა წიგნის „ბერეშითის“ ზეპირ თარგმანში „თავსილშიც“. რაც შეეხება *ნართანიანი* მრავლობითს, ის უმეტესად დასტურდება ფოლკლორულ მასალასა და მყარ შესიტყვებებში. ქართულში საზოგადო არსებით სახელებში შეიძლება შეგვხვდეს

მრავლობითის ორივე სახეობა, „ოლონდ -ებ უფრო ბუნებრივია, ჩვეულებრივი მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი, ხოლო -ნ(-თ) სუფიქსთა გამოვლენა მარკირებულია რაიმე სახის სტილისტიკური ნიუანსით“ (არაბული 2011: 47).

მრავლობითი რიცხვის წარმოების მხრივ თვალში საცემია ხმოვანფუძიან სახელთა, განსაკუთრებით კი მოქმედების სახელთა, **ებიანი** მრავლობითის უკვეცელი ფორმები, რომლებიც ძირითადად დამახასიათებელია ზეპირ თარგმანთა ენისთვის. ასევე უნდა აღინიშნოს ქართველ ებრაელთა მეტყველებაში არსებული ორმაგი მრავლობითის ფორმათა შესახებაც.

### **ებიანი მრავლობითი**

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ებიანი მრავლობითის ფორმები არის სხვადასხვა ბრუნვის ფორმით როგორც სულიერ, ისე უსულო სახელებთან:

**სახელობითი ბრუნვა.** *რო ცხონდი შენი დანატეური შუილეები, შუიშუილეები* (ტექსტები 2014: 230); *გამწარდა კაცი, ბობშები შიმშილიდგან სულ ლევენ* (თავდ. 1940: 161); *ბერძნები ძალიან კარგი ხალხი იყო* (ტექსტები 2014: 213); *დამცუელები ყავდა მელიციონერი და ხანდახან ტუფლებს უკეთებდი* (იქვე, 225); *უკვირს თებზეები დახტიან, ხან ზეით ამოცურამენ, ხან ჩაიყურყურმაღავებენ* (თავდ. 1940: 131); *კპილები გევიკეთე, ის პროტეზი და სახე მემექცა* (ტექსტები 2014: 221); *სტალინმა ორმოზდაექუსი ორმოუცდამუითში მოახდიონა არჩეუნები* (იქვე, 213); *დაადვა გამჩენის გამოტანებული კილტეები* (ქდვ: 2017: „ბატონი სანატრელი“, №3940); *ასე მიდიოდა იმათი დღეები სულ წუხარებაში და ტირილში* (ქდვ: „უდარდელი კაცი“, №3949).

**ებიან** მრავლობითში შეუკუმშავი ფორმითაა **მტერ** ფუძე: *იქნეს სურვილი წინაშე შენსა გამჩენო ღმერთო ჩუენო და მამების ჩუენებისა რომ ამოგლიჯო მტერები შენი...* (ტექსტები 2014: 225).

**მოთხრობითი ბრუნვა.** *არ გაამხილეს და ოზდაცხრა მიიღო ქართუელებმა* (ტექსტები 2014: 213); *გარდაიცვალა ბატონი, შვილებმა ღირსეულად დაასაფლავეს* (თათარაიძე, არაბული 2014: 11)... ზოგჯერ ებიან მრავლობითში სახელს მსაზღვრელად ახლავს რაოდენობითი რიცხვითი სახელი: *ორმა ძმებმა თქვეს ეს აზრი* (იქვე, 30); *იქაურმა ბოვშებმა არ მიმიღეს* (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.).

მოთხრობით ბრუნვაში ებიანი მრავლობითის ფორმას ერთვის -ც ნაწილაკი:

*კვერცხის დაკვრა იციან კაცებმაც, ბავშვებმაც* (თსუფა 1982: №25129); *ებრაელებმა* რო ჩამოვიდნენ (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.). გვხვდება -ო ნაწილაკდართული ფორმებიც: *გვითხრა, რომ მერვე დღესო დაისვენოს ებრაელებმაო* (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.).

**მიცემითი ბრუნვა.** ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ყურადღებას იპყრობს თანხმოვანფუძიან სახელთა ებიან მრავლობითში მიცემითის ფორმათა წარმოება. გვხვდება როგორც ბრუნვის ნიშნით გაფორმებული, ისე გაუფორმებელი ვარიანტები:

ა) გაფორმებულია -ს ნიშნით:

არის -ც ნაწილაკიანი ფორმებიც: *დეხმარენ ხოლმე, ფარეებსაც უზოგებდენ, ყოველმხრივ ხელს უწყობდენ, მაგრამ ისი მაინც თავისას არ იშლიდა* (თავდ. 1940: 152).

გვხვდება -ებ სუფიქსის ფონეტიკური ვარიანტი -ეფ. მაგალითად: *მარა ჩემ შვილევსო რას უთხარო* (ტექსტები 2014: 217); *ნამცხურიევს გამოაცხოვთ, ტკპილეულს* (იქვე, 228); *ოსეთი რომ ამბევს ყუება* (იქვე, 212); *ლაკის ტუფლებს რომ ჭირდება ლაკის ტყაევს* (იქვე, 223).

ბ) გაუფორმებელი მიცემითის ფორმები მრავლად დასტურდება ქუთაისელ, საჩხერელ, ონელ და კულაშელ ებრაელთა მეტყველებაში როგორც სულიერ, ისე უსულო სახელებთან. მაგალითები: *როდისაც ვაჭრებ არაფერი გაუვიდავე, ადგენ და თითონ გემგ ზავრენ* (თავდ. 1940: 131); *უნდა ვინმეს რამე მოპაროს, მიჩერებია ნიქეთებ, ხელები აუთამაშდა* (თავდ. 1940: 158); *საქონლის წინა ნაწილს ძარღვებ ვაცლით* (თსუფა 1982: №25126); *ტყეში წავიდოდა ფარჩხებ ბოჭამდა* (თავდ. 1940: 151). გაუფორმებელი მიცემითის ფორმები დადასტურდა ჩვენ მიერ ჩაწერილ ისრაელში მცხოვრებ საჩხერელ და ქუთაისელ ებრაელთა მასალაშიც: *ბავშვებ რომ ვაწყობთ ყველანაირი კარნავალით* (ახალი მასალები, 2016, ჩამწ. ს. გუმბ.); *ხეებ ადებენ ზევიდამ და შიგნით დაამაგრებენ და გვერდებზე მატერიებით არი* (იქვე); *ჩემ დეიდაშვილებ ყველა ქრისტიანი რუსები ყავთ ცოლები* (იქვე); *ბაბუაჩემმა აი, მოხვია ოთხივე რძალ, ოთხივე ვაჟიშვილ, შვილიშვილებ ხელი* (იქვე). *იქ ებრაელებ გვიდახოდენო ...ჩამოვედით საებრაელოში და ქართველ გვიდახიანო* (იქვე).



ეზიანი მრავლობითის ფორმა გვხვდება ნივთიერებათა სახელთან, კომპოზიტებთან: *გამოზიდავს ეს* თავი ამ *ოქროვებ*, და *თამაშობს ზედაო* (თსუფა 1982: №25149); *თვალმარგალიტებ ნებვში ახვევდა* (თავდ. 1940: 132).

გაუფორმებელი მიცემითის ფორმები ეზიან მრავლობითში უმეტესად გვხვდება ადრეული პერიოდის, კერძოდ, რ. თავდიდიშვილისა და გ. ჯაფარიძის მიერ ჩაწერილ ყოფითი და ფოლკლორული ხასიათის ტექსტებსა და ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში. ეს მოვლენა საერთოდ არ დასტურდება ქუთაისში, ახალციხესა და თბილისში დღეს მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში. არსებითი სახელის ეზიან მრავლობითში უნიშნო მიცემითის ფორმები საერთოდ არ ფიქსირდება ქართველ ებრაელთა წმინდა წიგნების ზეპირ თარგმანებში.

#### **ნართანანი მრავლობითი**

ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში იშვიათია ნართანანი მრავლობითის ფორმები. მაგალითად:

##### **ა) ნარიანი:**

**სახელობითი ბრუნვა:** *ნაზირ-ვეზირნი გარს ეხვევიან* (თათარაიძე, არაბული 2014: 39); *სამეფო სუფრაზე იმ ქალაქის ყველა რჩეულნი იყვნენ მიწვეული* (თათარაიძე, არაბული 2014: 41); *მეფეს ეწვიენ მრავალი სახელმწიფოს დიდებულნი...* (იქვე, 83); *თავადმა ერთხელ კიდევ გააფრთხილა მსახურნი* (იქვე, 41).

**ნარიანი** სახელობითის ფორმები დადასტურდა ქართველ ებრაელთა შელოცვების ენაშიც: *სად არიან შვილნი ჩვენი* (თათარაიძე, არაბული 2014: 150); *სტირიან დედანი თქვენი* (იქვე); *სტირიან მამანი თქვენი* (იქვე).

ნარიანი მრავლობითის ფორმა დადასტურდა ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების ნიმუშებში, რომელიც ჩაწერილია 2005 წელს: *რომ ამოსწყვიტო მტერები შენი, შემძულელებელი შენი და ყოველი ავისა მსურველნი ჩუენთუის* (ტექსტები 2014: 213). ეს ტექსტიც ლოცვის ნაწყვეტია.

##### **ბ) თანიანი მრავლობითი:**

**მოთხრობითი ბრუნვა:** განსაკუთრებით საყურადღებოა თანიანი მრავლობითის მოთხრობითი ბრუნვის ერთი შემთხვევა, რომელიც დაფიქსირდა „აკაკის თვიურ

კრებულში“: ჩემი დაბადების მაღლმა -ე სულ ტყვილა უბრალოთ დამიჭირეს -ე ღორთა იცოდეს -ე, უსამართლობა მიყვეს-ე („აკაკის თვითური კრებული“, 1898, №7: 9).

ფრაზა ამონარიდია ებრაელის მეტყველების ნიმუშიდან, რომელიც ჩაწერილია აკაკი წერეთლის მიერ. მასში ქართველი ებრაელი ადვოკატს უყვება თავის გასაჭირს, უჩივის ბედს და ცდილობს დაასაბუთოს თავისი უდანაშაულობა.

**მიცემითი ბრუნვა: ღარიბ-ღატაკთ ურიგებდა...** (თათარაიძე, არაბული 2014: 75); **დაურიგეს ღარიბ-ღატაკთ უამრავი საჩუქარი, ობოლსა და ოხერთ მიხედეს** (იქვე, 111); **აღმოსავლეთის მეფის შვილმა ნაზირ-ვეზირთ უბრძანა** (იქვე, 108).

**ნათესაობითი ბრუნვა:** რ. თავდიდიშვილის მიერ ჩაწერილ ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში, კერძოდ, ზღაპრის ტექსტში, ნათესაობით ბრუნვაში თანხანი მრავლობითის ფორმით გადმოცემული არსებითი სახელი გვხვდება მყარ გამოთქმაში: **ამ ქვათა ხეთქა სიცივეში** (ფა №17749).

ქართული ენის დიალექტებში, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, სახელის მრავლობითი რიცხვის წარმოებასთან დაკავშირებით ვითარება არაერთგვაროვანია; განსხვავებას ქმნის როგორც **ებიან** და **ნართანიან** ფორმათა გამოყენების ინტენსივობა, ისე ამ ფორმათა არათანაბარი სინტაქსური ძალის გამოვლენა. მაგალითად, **მთის** დიალექტებში უფრო მეტად გავრცელებულია **ნართანიანი** წარმოება, დასავლეთ საქართველოს დიალექტებში კი გაბატონებულია **ებიანი** ფორმა.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, ნართანიანი და ებიანი მრავლობითის გამოყენების არეალი ენის განვითარების ყველა ეტაპზე ერთნაირი არ ყოფილა, ამ მხრივ, ცხადია, გარკვეული კანონზომიერება არსებობდა და არსებობს დღესაც. კერძოდ, ენის განვითარების ადრეულ ეტაპზე ნართანიანი მრავლობითი მეტად იყო გავრცელებული, ვიდრე ებიანი. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გაბატონებულია ებიანი მრავლობითი, ნართანიანის გამოყენების სიხშირე კი შემცირებულია (ეს უკანასკნელი ძირითადად გვხვდება მყარ გამოთქმებსა და მწერლობაში, უპირატესად, პოეზიასა და ისტორიული ხასიათის ნაწარმოებებში).

ჩვენი საანალიზო მასალის მიხედვით, ებიანი მრავლობითი გვხვდება ყველა ტიპის ტექსტში, მათ შორის, წმინდა წიგნთა ზეპირ თარგმანებში. ნართანიანი წარმოება იშვიათია ყოფითსა და ფოლკლორული ხასიათის ტექსტებში, თითქმის არ დასტურდება ზეპირ თარგმანებში.

**ა ხმოვანფუძიანი უკვეცელი სახელები ებიან მრავლობითში.** ქართველ ებრაელთა ტრადიციულ ზეპირ თარგმანებში დასტურდება მრავლობითის განსაკუთრებული ფორმები. ესენია მოქმედებისა და აბსტრაქტული სახელები. ამ საკითხს მიემდგვნა რ. ენოხისა და რ. სალინაძის რამდენიმე ნაშრომი როგორც საქართველოში, ისე ისრაელში. ესენია: „ქებაების ტიპის ფორმები ქართველ ებრაელთა მეტყველებაში“ (2011 წ.), „სახელის მრავლობითის წარმოების ერთი განსაკუთრებული შემთხვევისათვის“ (2013წ.)... ქართველ ებრაელთა მეტყველებაში, აგრეთვე, ქართულ წერილობით ძეგლებსა და დიალექტებში, არსებულ ა ხმოვანფუძიან სახელთა ებიანი მრავლობითის უკვეცელ ფორმათა შესახებ რ. ენოხი და რ. სალინაძე გამოთქვამენ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე არსებული მოსაზრებისაგან განსხვავებულ ვარაუდს ქართველ ებრაელთა წმინდა წიგნების მთარგმნელი ანონიმი მოღვაწეების იმ მწიგნობრულ სკოლასთან სიახლოვის შესახებ, რომელსაც დასაშვებად მიაჩნდა ა ხმოვანფუძიან სახელთა უკვეცელობა (ენოხი, სალინაძე 2013: 236).

ზეპირ თარგმანებში დადასტურებული მრავლობითის განსაკუთრებული ფორმების განხილვა საინტერესოა ორი თვალსაზრისით: 1. მათ საერთოდ არ ახასიათებს მრავლობითი რიცხვის სემანტიკა, და შესაბამისად, არც ფორმა უნდა იყოს მოსალოდნელი; 2. ა-ხმოვანფუძიან სახელთა უმრავლესობას, როგორც წესი, - ებიან მრავლობითში ეკვეცება დაბოლოება, ამგვარ სახელებთან კი ა ხმოვანი უკვეცელი რჩება მრავლობითის -ებ ნიშნის დართვის მიუხედავად. მაგალითები:

*და კაცები სედომისა ცუდები და შემცოდაები წინაშე უფალსა მეტად* (ბერეშ., თ. 13, ჩაწერ. ხახამ აბრამ გაგულაშვილისაგან); *და ესერა ეხვეოდნენ კონაები თქვენი და ეთაყვანებოდნენ კონაებსა ჩემსა* (იქვე, თ. 37); *ესენი გვარიშვილობაები იმის მცებისა და იმის ქვეყნისა შინა გაჩენასა მათს, შინა დღესა ქნასა უფლისას ღმერთისა ქვეყანა და მცებისა* (იქვე, თ. 2); *ესენი შთამომავლობა ნოახისა: ნოახი კაცი მართალი, სრული იყო შინა დარაებსა მისსა მცებისა* (ბერეშ., თ. 6); *და ბრძანა ღმერთმა: ეს ნიშანი იმის*

პირობისა, რომ მე ვიძლევი შუა ჩემსა და შუა თქვენსა დაშუა ყოველ სულსა ხორციელისას, რომ თქვენთან, თანა დარაებითა ყოლმის სამუდამოდ (ბერეშ., თ. 9)...

გარდა ამისა, „თავსილში“ დაჩნდება, აგრეთვე, მრავლობითის ფორმები, რომლებშიც, მართალია, კვეცა არ ხდება, მაგრამ ხორციელდება ასიმილაციის პროცესი (თხეები, ძმეები, მჭეები... მომძულვარეების): და აკურთხეს იგი რიბკა და მოახსენეს მას: დაო ჩვენო, შენ შეიქენი ათასობით და ათიათასობით და დაიმკვიდროს თესლმა შენმან იგი კარები მომძულვარეების მისისა (ბერეშ., თ. 24). „ამ ტიპის მაგალითებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართული ენის ისტორიისა და ისტორიული დიალექტოლოგიის შემსწავლელთათვის, რამდენადაც გვიჩვენებს ენაში არსებულ მერყეობასა და მასში მიმდინარე ცვლილებებს“ (ენოხი, სალინაძე 2013: 232).

თხეების, ძმეების, მჭეების ტიპის მაგალითი მრავლად დადასტურდა რ. თავდიდიშვილის მიერ ჩაწერილ ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების ამსახველ ტექსტებშიც: შენ, ეი, მე რამდენი უნდა მამცე ფარეები (თავდ. 1940: 153); ნაზირმა და ვეზირმაც ორივემ უთხრეს, ახლაო ფარეები არ გვაქეო... აქ ქოჩრიანმა უთხრავე, რომა მეო ფარეები და ნიქეთიო არ მინდაო (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); რითი და ფარეებით გამიმართე ხელი (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942); კარქა ბლომათ რო ფარეები მოაგრუეს და გადინდრდენ, საუკეთესო სახკარიც გაიშენეს (ქდვ: „ღარიბი კაცის ამბავი (სიძმარის ახსნა)“, №3951); იმან თავისი შენახული ფარეები ველარ ნახა (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942). მსგავსი ფორმები ახსნილია ფონეტიკური ცვლილებით: ამ დროს ხდება ა-ს ასიმილაცია სუფიქსის -ე ხმოვანთან, შემდეგ კი – დისიმილაცია (ჭალაები > ჭალეები > ჭალდეები > ჭალიები) (ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი, ო. ურიდია, ბ. ჯორბენაძე...). ამგვარი ფორმები ისტორიულად იყო დამახასიათებელი ქართული ენისათვის და დღესაც გვხვდება ქართული ენის დიალექტებში.

ა ხმოვანზე დაბოლოებულ უკვეცელ სახელთა მრავლობითის ფორმები საკმაო რაოდენობითაა სხვადასხვა პერიოდის ქართულ წერილობით ძეგლებშიც.

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში არსებულ მრავლობითის განსაკუთრებულ ფორმებს გერშონ ბენ-ორენი ივრითის კალკად მიიჩნევს. მისი აზრით, მოქმედებისა და აბსტრაქტულ სახელებს ქართულში არა აქვს მრავლობითის ფორმა, რაც

გამორიცხავს ქართული ენის გავლენას ქართველ ებრაელთა მეტყველებაში არსებულ ენობრივ მოვლენაზე (გერშონ ბენ-ორენი).

სტატიაში „სახელის მრავლობითის წარმოების ერთი განსაკუთრებული შემთხვევისათვის“ ქრონოლოგიური პრინციპის გათვალისწინებით არის სხვადასხვა პერიოდის ქართული წერილობითი ძეგლებიდან დამოწმებული შესატყვისი მაგალითები. როგორც კვლევამ აჩვენა, ხმოვანფუძიან სახელთა უკვეცელი ფორმები ძველ ქართულშივე დასტურდება: **გუგაები** („გამოსვლ.“), **გუგაითა** („აბოს წამება“) (იმნაიშვილი 1957: 104).

ებიან მრავლობითში ა ხმოვანფუძიან სახელთა უკვეცელი ფორმები მოხსენიებულია სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაშიც“. აღსანიშნავია, რომ აქ წარმოდგენილი შვიდი ფორმიდან მხოლოდ ერთია მოქმედების სახელი: **ქებაები**. გარდა ამისა, სახელის მრავლობითობის განსაკუთრებული ფორმები დასტურდება: „ქართული სამართლის ძეგლებში“ (დებულობაები, მოწმობაები, გამოწერილობაები, განჩინებაები), ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის შემოქმედებაში, კერძოდ, პუბლიცისტურ წერილებში (ღირსებაები, მიდრეკილებაები, სარგებლობაები, მოქმედებაები, მოთხოვნილებაები, წარმოდგინებაები, საკვირველებაები), XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისის პერიოდულ გამოცემებში (თხზულებაები) (ენოხი, სალინაძე 2013: 235-236).

ებიან მრავლობითში ა ხმოვანფუძიან სახელთა უკვეცელი ფორმები დადასტურდა ჩვენს საანალიზო მასალაშიც. ამგვარ სახელთა სიუხვით განსაკუთრებით გამოირჩევა რ. თავდიდიშვილის ტექსტები, რომლებიც ეხება ებრაელთათვის მნიშვნელოვან შაბათის ტრადიციას. ისინი, გარდა იმისა, რომ ღირებულია რელიგიური ასპექტით, საინტერესოა ენობრივადაც. მასში ჩვენთვის მნიშვნელოვანი არაერთი ფორმა დადასტურდა როგორც მოქმედებათა სახელების, ისე კომპოზიტებისა და ებრაიზმების სახით:

*ისურნე და გაგვამაგრე, გამჩენო ღმერთო ჩვენო, დარიგებაებითა შენითა* (დადუნაშვილი... 1999: 50); *...თანახმათ შენი სურნების წესდებაებისა* (იქვე); *შენ ბძანდები მფლობელი ნუგეშისცემებისა* (იქვე); *გამჩენო, დააბათლე ყოველი წამოსეული გეზერაები ჩემ ნაშიერზე* (იქვე).

ებრაული ლექსიკური ერთეული **გეზერა** რ. თავდიდიშვილის მიერ ჩაწერილ სხვა მასალაშიც გვხვდება მხოლოდობითის ფორმითაც: *შენი ერთეული არ არიანო და ამოულიტევეო, გეზერა გაკვეთეო* (გეზერა რ. თავდიდიშვილის მიერ განმარტებულია, როგორც სასჯელი) (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941); *რაბის თავში ერთი აზრი დეებადა, რომ საისრელო გედეერჩინა გალუთისა და გეზერისაგან* (იქვე).

შაბათის ლოცვაში, კერძოდ, ებრაული ფრაზიდან ნათარგმნ კომენტარში, დადასტურდა ხმოვანფუძიანი ადგილის ზმნიზედის **მალა** ებიანი მრავლობითის ფორმა **მალაები**: *„შალოომ, შალოომ, შალოომ უალეხემ, მალახე აშარეთ, მალახე, ყელიონ“* – ქართული კომენტარი: *მშვიდობა თქვენსა ანგელოზებო ზეცისაო, ანგელოზებო მალაებისაო* (დადუნაშვილი... 1999: 52).

როგორც წესი, ზმნიზედა ქართულში საერთოდ ვერ აწარმოებს მრავლობით რიცხვს. სემანტიკურად **მალაები** უნდა გულისხმობდეს ანგელოზთა ზეციურ იერარქიულ საფეხურს, მათს სამყოფელს. როგორც ჩანს, ეს ყალიბი შექმნილია „ქებაები“ ტიპის ფორმათა ანალოგიით.

ზემოთ მოხმობილი მრავლობითის უკვეცელი ფორმები ჩვენი საანალიზო წყაროების მიხედვით მხოლოდ ქართველ ებრაელთა მიერ შაბათის დღისადმი წარმოთქმული ლოცვის ტექსტებში დადასტურდა. ჩანს, ეს ფორმები მხოლოდ წმინდა წიგნების ზეპირი თარგმანებისა თუ სასულიერო ხასიათის (ლოცვის) ენისთვისაა დამახასიათებელი და ამ ტექსტების ენის სტილურ თავისებურებასაც განაპირობებს. ვფიქრობთ, სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ სხვა სახის ფოლკლორული თუ ყოფითი ხასიათის ტექსტებში ეს მოვლენა არ დადასტურდა.

**ორმაგი მრავლობითის ფორმები.** რ. თავდიდიშვილის მიერ ჩაწერილ ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში დადასტურდა ორმაგი მრავლობითის არაერთი შემთხვევა. საანალიზო ფორმებით გადმოცემული სახელები გვხვდება სხვადასხვა ბრუნვის ფორმით. მაგალითები:

**სახელობითი:** *ცხოვრობენ ორივე დანები დინდრათ* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950); *დაცინოდენ ორივე დანები* ეცოდება (იქვე); *ორივე დანები ეცოდება* (იქვე); *მესამე და უყურებს, მისი დანები დინდრათ არიან* (იქვე); *ორივე დანები თავის პეტერა დაას* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939);

**ნათესაობითი ბრუნვა:** არც გული არ წყდებოდავე გინდა მამამისი ხენწიფისა და გინდა თავისი **დანების** სილინდრეზე (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939).

ეს მოვლენა, ცხადია, არ არის დამახასიათებელი მხოლოდ ქართველი ებრაელებისათვის. ის გვხვდება ქართული ენის დიალექტებშიც. მაგალითად: *ამის ძირს შევინახოთ ჩვენ დანები და თავ-თავის ამავობაზე წავიდეთო* (მთიულ.-გუდამაყრ.: ქდვ №167); *ჯერემ რავა გავთხოვდები, ჩემი უფროსვანები, მამიდანები და დანები, არ გამითხოვია* (გურ.: ქდვ №523); *ცხრა დანები დადიოდენაო* (ქვემორაჭ.: ქდვ №3878)... მსგავსი ფორმები არის ქართული პროზის ენაშიც. მაგალითად, **ძმანები** დასტურდება ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“: *აწინა ყაველნი ქართველნი ძმანები ვარნ* (ჭავჭავაძე 1984: 216).

ცნობილია, რომ დასავლურ კილოებში შემონახული ორმაგი მრავლობითის ფორმები **ძმანები, დანები** გვხვდება ისტორიული საბუთების ენაშიც (მიძიგური 1954: 48-49) და ძველ ქართულშიც.

ი. იმნაიშვილი ძველ ქართულში ორმაგი მრავლობითის ფორმების არსებობას ებიანი მრავლობითის შეთანხმების ნაკლები ძალით ხსნის (იმნაიშვილი 1957: 313). როგორც ზ. სარჯველაძე მიუთითებს, ორმაგი მრავლობითის ფორმები დასტურდება X-XI საუკუნეთა ხელნაწერებში: **ხევნ-ებ-ნი, ხევნ-ებ-თა...** (სარჯველაძე 1984: 380). ამ ფორმებთან დაკავშირებით არსებობს აზრთა სხვადასხვაობა; მ. კახაძე ამ ფორმებს სამმაგ მრავლობითად მიიჩნევს. სამმაგ მრავლობითად მიიჩნევს თ. ცქიტიშვილიც. ი. იმნაიშვილის თქმით, **-ებ** სუფიქსის წინა ნ ფუძისეულია (სარჯველაძე 1984: 380). ორმაგი მრავლობითის ფორმები, როგორც ზ. სარჯველაძე მიუთითებს, განსაკუთრებით ხშირია გელათური ბიბლიის ხელნაწერებში. მომდევნო პერიოდის ენაშიც ორმაგი მრავლობითის ფორმები საკმაოდ გავრცელებულია. მან ახალ ქართულშიც იჩინა თავი. თანამედროვე სალიტერატურო ენაში ორმაგი მრავლობითი აღარ იხმარება (სარჯველაძე 1984: 381).

VIII საუკუნიდან დაწყებული ბრძოლა ორგვარ მრავლობითს, ებიანსა და ნართანიანს შორის საბოლოოდ ებიანი მრავლობითის გამარჯვებით დასრულდა, თუმცა ამ ჭიდილს უკვალოდ არ ჩაუვლია; X საუკუნიდან წერილობით ძეგლებში გამოვლინდა ორმაგი მრავლობითის ფორმები: **სოფლებნი, სოფლებთა, ნაპრალებნი...**

სალიტერატურო ქართულში ორმაგი მრავლობითის ფორმები ვერ დამკვიდრდა, თუმცა გვხვდება თანამედროვე დიალექტებსა (დანები, ძმანები, ბიძანები...) და ზეპირ მეტყველებაშიც (საკითხებთა, რომლებთაც...) (სალინაძე 2008: 53-54).

ჩვენ მიერ გაანალიზებულ ქართველ ებრაელთა მეტყველების ნიმუშებში გამოვლენილ ორმაგი მრავლობითის ფორმებში განსხვავებულია ფორმანტთა თანმიმდევრობა: **-ნ+-ებ**. „ძმანები“ ტიპის ფორმებთან დაკავშირებით მსჯელობს შ. ძიძიგური. მეცნიერის აზრით, „ძმანები, დანები“ არ არის ორმაგი მრავლობითის ფორმები. „ამ ფორმებში **-ნ** მრავლობითის მაჩვენებელი კი არ არის, არამედ არქაული ფუძის ბოლოკიდურია (დან, ძმან), დროთა ვითარებაში დაკარგული და მრავლობითის წარმოებაში შემონახული (ძიძიგური 1954: 26).

ზოგიერთ დიალექტში (ქვ. იმერ., გურ., აჭარ., ტაოური) დასტურდება **-ნ+-ებ**-ით ნაწარმოები მრავლობითის ფორმები): ძმა-ნ-ებ-ი, და-ნ-ებ-ი, ანგელოზ-ნ-ებ-ი, ხაბაზ-ნ-ებ-ი, ხალვაშ-ნ-ებ-ი... ტაოური: აქ ნამყოფ-ნ-ებ-ი ბითთავ გურჯი არიან; და-ზმ-ნებ-ი ვართ ერთმანეთისა (შ. ფუტყარაძე)...

**-ნ+-ებ** მორფემა გვაქვს პირის ნაცვალსახელებთან: აგი-ნ-ებ-ი, იგი-ნ-ებ-ი, ეს-ნ-ებ-ი, ის-ნ-ებ-ი (აჭარ.: მ. ცინცაძე, 1954; ჯ. ნოღაიდელი, 1972); აგე-ნ-ებ-ი, იგე-ნ-ებ-ი, მაგე-ნ-ებ-ი (იმერ.: ქ. ძოწენიძე, 1973; ვ. კუბლაშვილი, 1985).

გვხვდება აგრეთვე **-ებ/-ევ+-ნ**-ით ნაწარმოები: ვაჟა-ებ-ნ-ი, ხარ-ებ-ნ-ი (მთარაჭ.), ტოლ-ებ-ნ-ი (ქართლ.), კაც-ევ-ნ-ი (ინგ.).

**სოფლ-ებ-ნ-ი, ეზოებ-ნ-ი...** დადასტურებულია IX-X სს. ხელნაწერებში, საკმაოდ გავრცელებულია სასულიერო მწერლობის ძეგლებში.

**-ებ+-თ-(ა)** რთული სუფიქსი გვხვდება ტაოურში: გოგო-ევ-თ-ა, ბიჭ-ევ-თ-ა, კაც-ებ-თ-ა იფერხულეს ტიკითა; თხრიან ღორები ჭალ-ევ-თ-ა, ფათათისებ ჭამენ, მაქვლ-ევ-თ-ა.

**-ებ+-თ** დაბოლოება თუშურში მოთხრობითში: ბალახ-ებ-თ, „ბალახებ-მა“ (უთურგაიძე 1986: 110). დამოწმებულია: ა) XVI-XIX სს. წერილობით ძეგლებში: კაც-ებ-თ-ა; ბ) თუშურში, რაჭული დიალექტის გლოლურ კილოკავში (ბ. ჯორბენაძე); **-ნ+-ებ, -ებ+-თ(ა)** ერთიან, რთულ სუფიქსად არის გააზრებული. შდრ. **ბადიშნები** ფორმაში **ნ** ფუძის ნაწილია, **-ებ** მრავლობითის ნიშანი, ხოლო **გმირებნი** და



გმირებთ(ა) ფორმებში -ნი (სახ.) და -თ(ა) (მოთხრ., მიც.) ბრუნვის ნიშნის ფუნქციას ასრულებს (უთურგაიძე 1986: 110-111).

ამდენად, ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში არის როგორც ებიანი, ისე ნართანიანი მრავლობითი. რ. თავდიდიშვილის მიერ ჩაწერილ ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების ამსახველ ტექსტებში დადასტურდა ორმაგი მრავლობითის არაერთი შემთხვევა (დანები ეცოდებოდა...).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ წმინდა წიგნების ზეპირ თარგმანებში ა ხმოვანფუძიანი სახელები ებიან მრავლობითში ხშირად უკვეცელი სახითაა (შემცოდაები, კონაებსა...). მსგავსი შემთხვევები უხვად არის რ. თავდიდიშვილის მიერ ჩაწერილ შაბათის ლოცვის ამსახველ მასალაში (დარიგებაებითა, წესდებაებისა...).

### 1.1.3. არსებითი სახელის დამატებითი სტრუქტურული ელემენტები

ბრუნვა და რიცხვი სახელის მორფოლოგიური კატეგორიებია და ბრუნვისა და რიცხვის ნიშნები – შესაბამისი სტრუქტურული ელემენტები. ამათ გარდა, სახელს შეიძლება დაერთოს სხვა სტრუქტურული ელემენტებიც, როგორცაა: თანდებულები, ნაწილაკები, მავრცობი ხმოვნები. განვიხილავთ თითოეულ მათგანს.

#### თანდებულები

თანდებულთა სისტემა ქართველ ებრაელთა მეტყველებაში უმთავრესად ქართული ენის კილოების მსგავსია. უნდა აღინიშნოს, რომ ცვლილებები ძირითადად ფორმოზრივი ხასიათისაა. სახელთა თანდებულიან ფორმებს გავანალიზებთ ბრუნვათა მიხედვით.

#### სახელობითი ბრუნვა

-ვით თანდებული. სახელობით ბრუნვაში თანხმოვანფუძიან სახელებთან -ვით თანდებული დასტურდება როგორც სულიერ, ისე უსულო სახელებთან. მაგალითად:

*სძინავს ანგელოსივით წყნარად* (თათარაიძე, არაბული 2014: 77); *შეხედა მალახამევეთმა ხო ძინამს, ე ბიჭი ვეშაპივით არი ცხრა წლის* (ქდვ: „ბატონი

სანატრელი“, №3940); ველარ დაიბინა, ვერც მოისვენა, *შამფურივით* ტრიალებს ლოგინში (იქვე); რატომ და სიძლიერე არისო და *თევზივით* მომრავლდიო (ტექსტები 2014: 229); დაგმო თავისი ცუდი წარსული და წყაროს *წყალივით* წინ წავიდა (თავდ. 1940: 157); ვერხვის *ფოთელივით* კანკალობს (იქვე); აიღებ სუფთა ბამბას, *ლავაშივით* გააბრტყელებ (ქურჩიშვილი 1945: 190); მაგრამ დაიწყო *თოვლივით*, *ნამივით* წამოსვლა მანამ (თსუფა 1982: №25134).

რ. თავდიდიშვილის ფოლკლორული ხასიათის ტექსტებში პოეზიის ნიმუშებში დადასტურდა -ვით თანდებულისანი სახელის გავრცობილი ვარიანტიც. მაგალითები:

*რას გადმოკვივი წითელსა მამალივითა* (თათარაიძე, არაბული 2014: 154); *ხელის ფრჩხილი გამოიარე, გამოქროლდი ქარივითა* (იქვე); *გადმოდინდი წყალივითა* (იქვე).

-ვით თანდებული ქართველ ებრაელთა მეტყველებაში გვხვდება მრავლობითის ფორმასთანაც: *დაზარდა შვილები მელეხებევით* (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942).

ორმაგი მრავლობითის -ვით თანდებულისანი ფორმა დასტურდება რ. თავდიდიშვილის მიერ ჩაწერილ ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში: *წადი, ძმაო, და დღეის იქით ღვიძლი ძმანებევით ვიყოთ* (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ -ვით თანდებულისანი ფორმები საერთოდ არ დადასტურდა მოსეს ხუთწიგნეულის ზეპირ თარგმანში („ბერეშითში“).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ -ვით თანდებულისთვის ამოსავალია -ვითა ზმნისართი, რომელიც საშუალო ქართულში კავშირის ფუნქციასაც ასრულებდა. იგი სიტყვას ყოველთვის წინ უძღვოდა. ახალ ქართულში მას -ა მოეკვცა და სახელის შემდეგ მოექცა. არ. მარტიროსოვის აზრით, -ვითა, როგორც თანდებული, არ ჩანს საშუალო ქართულის ადრინდელ ძეგლებში; „ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებული ვითა მხოლოდ კავშირისა და ზმნისართის ფუნქციას ასრულებს, „შაჰნამეში“ კი მჟღავნდება მისი თანდებულად ქცევის ტენდენცია. აქ მას ადგილი უცვლია, სახელის შემდეგ გადასულა, მაგრამ სახელს ჯერ კიდევ არ შერწყმია. მაგალითად: მიწის პირი სისხლის ზღვა ვითა ღელვიდა

(მარტიროსოვი 1946: 236). ა. შანიძის აზრით, **-ვით** უფრო ადრე ცალკე იწერებოდა და სიტყვის წინაც გვხვდებოდა: „ვითა გავაზი გაფრინდა“ („ვეფხ“., 214). **ვითა** (= როგორც) კავშირადაც იყო გამოყენებული: „ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა“ („ვეფხ“., 13). მეცნიერის აზრით, ის მიღებულია ასე: **ვითარ > ვითა > ვით** (შანიძე 1980: 600). ვფიქრობთ, ზეპირი თარგმანის – თავსილის ტექსტში მისი არარსებობა სწორედ თარგმანის შექმნის დროით უნდა აიხსნას. რ. ენუქაშვილი ზეპირი თარგმანის სავარაუდო თარიღად XI-XII საუკუნეებს ასახელებს. როგორც ჩანს, ამ ეპოქის ენაში ჯერ კიდევ არ გამოიყენებოდა **-ვით / -ვითა**.

### **მიცემითი ბრუნვა**

**-ვით თანდებული.** ქართველ ებრაელთა მეტყველებაშიც **-ვით** თანდებული დაერთვის ხმოვანფუძიან სახელებს მიცემითში: *შენთან რო მუშაობდა კაცი, ძმასავით ქყაუდა ის სომეხი* (ტექსტები 2014: 214); *გაიხედეს და უკან ხო ბრუნდებიან და შეხედეს, რომა რაცხაი შორიდგან ოქროსავით ბჭკინამს* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *იმისთანა ზარასავით ხმა ქონდა* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *ეს არის დაგრაგნილი ქალაქების გროვა – მუთაქსავით* (თსუფა 1982: №25128).

ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში დასტურდება **ომისავით** ტიპის ფორმები ნათესაობითში: *მოიგეს პატარა ომისავით* (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.); *ოღონ ქორწილისავით არი* (იქვე). მსგავსი ფორმები დღესაც გვხვდება ქართულ ზეპირ მეტყველებაში (კაცისავით, ლომისავით...).

**-თან თანდებული.** ქართველ ებრაელთა მეტყველებაში არ დასტურდება **-თან** თანდებულის ფონეტიკური ვარიანტები. იგი ისეთსავე სურათს გვიჩვენებს, როგორსაც სამწიგნობრო ქართული, არ განსხვავდება ფუნქციურადაც. მაგალითები:

*გაბრუნდა ზღვა, გადახედა თავის პირობას, რომ, როდესაც დააარსა გამჩენმა ზღვა, დაუდვა პირობა ღმერთთან* (თსუფა 1982: №25134); *მერე დაიწყეს ჩხუბი მოშესთან* (იქვე); *ვიყიდე, ქობულეთში ვიყავი, ქათამი. მივიყვანე იქვე ხახამთან* (თსუფა 1982: №25126); *ვინც ცეკუაუს. ა, შენ რო გადახულა, დედოფალთან იცეკუებ* (ტექსტები 2014: 245); *პრასთან უნდა თქუა ჭარხალი, პრასთან უნდა თქუა კუახი, ყულაზე მეტად კუახი* (ტექსტები 2014: 232); *მშობლებთან ქართულად ვსაუბრობდი ოჯახში* (ახალი მასალები, 2016, ჩამწ. ს. გუმბ.); *წადი შენც ყასაბთან და მეზაყლესთან,*

შენეც მოქცემენ უფულოთ და დააყენე შაბათი (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944);  
ჯდება გრძელ სკამზე მაგიდასთან (თსუფა 1982: №25135); ლეჩხუმლები გადაასახლეს,  
ჯაჭუხითთან მუშაობდენ (ტექსტები 2014: 216); როგორც კი მოვიდენ მინდორთან  
თვარემა, გადმოხტნა რაშიდგან (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939).

-თან თანდებულის ფორმას შეიძლება ახლდეს -ც ნაწილაკი: ასეთი პირობა  
**ზღვასთანაც ჰქონდა, ცეცხლთანაც ჰქონდა ღმერთს** (თსუფა 1982: №25135).

-ო ნაწილაკიანი: ძალიან დიდი საქმე მაქო თქვენ **ბატონთანაო** (ქდვ:  
„დაკვირებული კაცი“, №3942); ვაითუ **მატყუილებსო და შევრცხვეო მამაჩემთანაო**  
(ქდვ: „სულამითი“, №3948);

ქართველ ებრაელთა წმინდა წიგნების ზეპირ თარგმანებში სახელის წინა  
პოზიციაში ხშირად გვხვდება -თანა:

*და დაარქვა ღმერთმან თანა შუქსა დღე და თანა სიბნელესა დაარქვა ღამე. და იყო  
საღამო და იყო დილა დღე პირველი (ბერემ., თ. 1); და უბრძანა უფალმა ღმერთმან  
თანა დედაკაცსა, რა ეს ქენი შენ? (ბერემ., თ. 1)...*

„თავსილში“ -თანა თანდებული წინა პოზიციაში გვხვდება საკუთარ სახელთანაც:  
*და უბრძანა ღმერთმა თანა ნოახსა: ბოლო ყოველი ხორციელისა მოვიდა წინაე ჩემსა  
(ბერემ., ფარაშათ ნოახ); და თანა აბრაჰმს ეკეთილა გულის მისისაგან (ბერემ., ფარაშათ  
ლექსლება)...*

არის -თან(ა) თანდებულის ბრუნვის ფორმასთან შეზრდის ფაქტებიც: *და გააჩქარა  
აბრაჰმმა იმათ კარავსა იმათ სარასთანა (ბერემ., თ. 18). და შეხედეს მას და ნახეს ის  
მინისტრებმა ფარყოსამან, და აქეს ის ფარყოსთანა... (ბერემ., თ. 12).*

როგორც ცნობილია, ძველ ქართულში თანდებული სახელს ერთვოდა წინაც და  
მომდევნოდაც (წინდებული, უკუდებული). „თავსილშიც“ დასტურდება  
თანდებულთა ძველი ქართულისებური წარმოება, თუმცა გამორიცხული არ უნდა  
იყოს ივრითის გავლენაც. როგორც კ. წერეთელი აღნიშნავს, ბიბლიის ებრაულისთვის  
დამახასიათებელია „ორი სახის წინდებული: დამოუკიდებელი, რომლებიც ცალკე  
სიტყვებს წარმოადგენენ, და პრეფიქსალური, რომლებიც მომდევნო სიტყვას თავში  
დაერთვიან“ (წერეთელი 2001: 145).

ძველ ქართულში -თანა თანდებული, -ზედა-ს მსგავსად, სახელს მართავდა მიცემითსა და ნათესაობითში. მომდევნო პერიოდის ძეგლებში -თანა თანდებულის თითო-ოროლა შემთხვევა გვხვდება (მარტიროსოვი 1946: 221).

-ში თანდებული. ქართველ ებრაელთა მეტყველებაში გვხვდება -ში თანდებულის რამდენიმე ვარიანტი: -ში (-ჩი), -შინა, -შიდა.

ქართველ ებრაელთა ყოფითი და ფოლკლორული ხასიათის მასალაში -ში თანდებული სახელს მართავს მიცემით ბრუნვაში და გამოხატავს სხვადასხვა სემანტიკას: შიგ მყოფობას, ადგილს, ლოკალურ მიმართებას შიგნით, სიღრმეში:

ა) თანხმოვანფუძიანი საზოგადო სახელები: *შეიყვანეს ცალკე ოთახში ავადმყოფი ელიაუიანაბიმ და შარანმა კაცმა, დააწვინეს შტოლზე მამაკვდავი* (თავდ. 1940: 153); *მეთორმეტე თვეზე ლიმუდი გადაუხადეს, რაც კი იმ ქალაქში ხახამ თალმიდი იყო, ყველა მოიწვიეს* (თათარაიძე, არაბული 2014: 11); *ჩაწვა ხვიმირში და უნდა გაათიოს და რო შეიქნა შუალამე, შემოვიდა წისქვილში დათვი* (თსუფა 1982: №25149); *საკლავი სალოცავში არ იციან, არ წირავენ* (თსუფა 1982: №25127); *გავიდა მინდორში, დაიჭირა 300 მელა, გადააბა კუდი კუდზე* (იქვე); *ქათამს კლავენ ბოინში და აუცილებლათ კლავს იმას ხახამი* (ტექსტები 2016: 377);

ბ) ხმოვანფუძიანი საზოგადო სახელები: *ბევრი ხეტიალის შემდეგ მივიდნენ ერთ სახელმწიფოში, მოითხოვეს სამუშაო* (თათარაიძე, არაბული 2014: 30); *ეგენიც მერე ჩასვენ სახემწიფოში* (ტექსტები 2014: 223); *თეატრში წავლიან, ან კინოში* (იქვე, 242); *როდესაც ავედით ვისთანაც ვიმყოფებოდით სასტუმროში იმ ქალბატონმა ნათელა კუტივაძემ წაგყვია ჩვენ* (ახალი მასალები, 2016, ჩამწ. ს. გუმბ.); *გაიზარდა და დაჯდა უდაბნოში* (ბერემ., თ. 19); *ადგა და წავიდა იმათ არამ-ნაარაიმში, იმა ქალაქსა ნახორისას* (ბერემ., თ. 2).

გვხვდება -შიდ ვარიანტიც: *...რაც თქვენს გულშიდ იყვეს ჩასახული* (პირადი წერილები).

ზოგჯერ -ში თანდებულის დართვისას ფონეტიკური ცვლილებები ხდება სახელის ფუძეშიც: ა) იკარგება ფუძისეული თანხმოვანი ლ: *რო მოვა ქმარი, დოუხუთება სახში, ანდა ეტყუის, რო მე დედაჩემთან წევედი...* (ტექსტები 2014: 244);

ბ) ხდება რეგრესული დისტანციური ასიმილაცია: *აკოცებდა, შევიდოდა შახში და მის*

იერ კაციშვილი ვერ დაინახამდა. ოჯახ ემსახურებოდა (თავდ. 1940: 137); აკრიფა ოქროები და წამოვიდა სახში (თსუფა 1982: №25149); ზოგჯერ -ში თანდებულის დართვისას ყრუვდება ფუძისეული მქლერი დ: ზოგიერთი მაუთში უშობდნენ, სამრეცხაოები კი იყო იქანე... (ტექსტები 2014: 225)...

-ში თანდებულიანი ფორმა გამოხატავს დროს:

ამ საათში გაიგეთ, ვინ სთქვა პირველად და მისი მთქმელი აქვე მომგვარეთო (თათარაიძე, არაბული 2014: 30); შუაჭამაში ხო შევიდენ, ადგა ხენწიფემ და უმფროს ქალიშვილ ხელში ოქროს ბურთი მიცა (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); თავის ვითამ დღეში არ უნახია ამისთანა სახკარი (იქვე); ამ ახალ უცხო ქალაქში ბებრი რამე ახალი დაინახა. რომენიც მითამ დღეში არ უნახია (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942); არაფერ დროში, შვილებო, გამჩენ არ შეეჭიდოთ (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); ყვეელ თვეში მივა ქალაქის თავთან (ქდვ: „ძველების გამყიდველი“, №3952).

ზოგჯერ მნიშვნელობის გასაძლიერებლად -ში თანდებულიან სახელს წინ უძღვის „შიგ“: მერე ჩაიხედა შიგ ჭაში, რამ დაამძიმაო ე ბაწარი, რას ნახამს: ჭაში ქალი ჩამოკიდებულა (ქდვ: „სულამითი“, №3948); მეთებზეს შიგ სახში მიადგა (ქდვ: „იოსევი – დამაპატიოსნებელი შაბათისა“, №3945).

ვხვდებით ისეთ შემთხვევასაც, როცა -ში თანდებულიანი ფორმა გამოიყენება ვითარებითი ბრუნვის ფუნქციით: რო აღარ გამოჩდა აბშალომი, ინჯავრა, ინჯავრა და ლოვინში ჩავარდა (ქდვ: „სულამითი“, №3948).

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში, კერძოდ, ქუთაისელ და ონელ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალებში, დადასტურდა -ში თანდებულიანი ფორმის გამოყენება სხვა თანდებულის ფუნქციით: ა) -თან თანდებულის ნაცვლად: დეებადათ შვილები და დაიწყეს ადამიანებში ცხოვრება (თსუფა 1982: №25148) დაიწყო ომი ათასი კაცში (იქვე); წავიდა ე დაკვირებული კაცი, ჯერე თავის ცოლშვილში კი არ მივიდა, პირველათ იმ კაცთან მივიდა, ვინაც ხელი გაუმართა (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942); ცოლ-შვილში ხაფიფობდა და ამყობდა (ქდვ: „სულამითი“, №3948); ბ) -ზე თანდებულის ნაცვლად: იმ ბილიკებში ყაჩაღები თავს დასხმოდენ მიმავალ მგ ზავრებს (თათარაიძე, არაბული 2014: 47); შეუკიდა ცეცხლი კუდეებში (თსუფა 1982: №25144); გ) შორის თანდებულის ნაცვლად: ჩაჯდა ძმაბიჭებში (იქვე); გუნებაში

უხაროდა, ფიქრობდა, ახლა წაიღოსო ჩემი ქონებაო იოსებმაო (ქდვ: „იოსეფი – დამაპატიოსნებელი შაბათისა“, №3945).

-ჩი < -ში შეგვხვდა -თ თანხმობის მომდევნო პოზიციაში: ბელგიაში რო ჩაიტანა ეს ას ათი კილო ოქრო, გამევიდა გაზეთში (ტექსტები 2014: 219). ქართული ენის დიალექტებში (მოხეურში, ხევსურულში, გურულში, იმერულში...) -ჩი დასტურდება სონორი ბგერების მომდევნო პოზიციაში: **სოფელჩი, სახლჩი...** -ში-ს -ჩი-ში გადასვლის საკითხი შესწავლილია გ. ცოცანიძის ერთ-ერთ სტატიაში. მეცნიერის აზრით, ამ მხრივ დიალექტებში მდგომარეობა განსხვავებულია. ავტორი მსჯელობს -ში-საგან -ჩი-ს მიღების ორგვარ საფუძველზე: ერთი – ეს არის სონორობის მომდევნო პოზიცია, ხოლო მეორე – წინაენისმიერი თ-სა და შ-ს შერწყმა. პირველი მოქმედებს მხოლოდ გურულში, მეორე კი – აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში და ნაწილობრივ გურულში (ცოცანიძე 1970: 36). გურულის მიმართ ავტორის მიერ გამოტანილ დასკვნას, კერძოდ, სონორის მომდევნო პოზიციაში -ჩი-ს წარმომავლობის შესახებ, ნაწილობრივ იზიარებს ა. მარტიროსოვი. მისი აზრით, ეს ვრცელდება არა მარტო გურულზე, არამედ ქართული ენის სხვა დიალექტებზედაც (მარტიროსოვი 1984: 37).

-ში თანდებულის ფუნქციას ზოგჯერ ასრულებს -ზე თანდებულიანი ან უთანდებულო მიცემითიც: **უჭკუო იყავი ამ წუთისოფელზე და იმ სოფელსაც უჭკუოთ წეხვედი** (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944).

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში გვხვდება -შია ვარიანტი:

**ლამაზო, შენის ეშხითა ვიწვი ცეცხლის ალშია** (თათარაიძე, არაბული 2014: 175); **და მით ჭლექი გამიჩდება სიყმაწვილის ტანშია** (იქვე); **შენ თუ ჩემი არ იქნები, მოგვკვდები მე დარდშია** (იქვე); **ბატონი რო თორის ჭირნახულშია და ამ ფიქრში არი** (ქდვ: „ბატონის სანატრელი“, №3940).

-შია სამეცნიერო ლიტერატურაში განმარტებულია, როგორც -შიგა || -შიდა || -შინა თანდებულის ნაირსახეობა. იგი არის აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში: **სოფელშია, ქალაქშია** (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988: 435), გავრცელებულია იმერულშიც: **ვენახშია**.

ჩვენს საანალიზო მასალაში უხვად დასტურდება **-შია** ნაირსახეობის **-ო** ნაწილაკდართული ფორმები: *არ მეონიაო სიძებშიაო ილბალიო* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *რა საქმე გაქ ურჯულო ისრეელ ქალაქის თავის სახშიაო და არ შეუშვა* (ქდვ: „ძველების გამყიდველი“, №3952); *სულამითმა სული რო მოიბრუნა, მიიხედ-მოიხედა, თითონავე უკვირდა, სად ვარო, ან რაზე ვიყავიო ჭაშიაო* (ქდვ: „სულამითი“, №3948); *რათ მინდაო ამდენი ქონებაო ჩემი კოჭლი-დაფეხვილი რქმის ხელშიაო* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950).

ქართველ ებრაელთა ზეპირ თარგმანებში შედარებით ნაკლებად გამოიყენება **-ში** თანდებუნიანი ფორმები: *და დავაყენებ მე იმათ პირობასა ჩემსა შენ თანა, და მიდი შენ იმა კიდობანში, შენ და შვილები შენი და ცოლი შენი და ცოლები შვილების შენისა შენ თანა* (ბერემ., თ. 6); *გაიზარდა და დაჯდა უდაბნოში* (ბერემ., თ. 19); *და იყო ღმერთი იმა ყმაწვილთანა და გაიზარდა და დაჯდა უდაბნოში და იყო მსროლელი შვილდისა* (ბერემ., თ. 21).

სამაგიეროდ, ზეპირ თარგმანებში გავრცელებულია **-შინა/-შიდა** ვარიანტები. ამათგან ამოსავალი **-შინა** თანდებული „ბერეშითში“ ძირითადად არის სახელის წინა პოზიციაში როგორც ერთ-, ისე მეტმარცვლიან სახელებთან: *მისცა ისინი ღმერთმან შინა სამყაროსა ...გასანათლებლად და საუფროსოდ შინა დღესა და შინა ღამესა და თანა-გასაყოფლად შუა იმა სინათლესა და შუა იმა სიბნელესა* (ბერემ., თ. 1); *წამაზავა მე შინა გზასა სიმართლისა* (ბერემ., თ. 24); *იგი მიმკარებელი შინა კაცსა ამასა* (ბერემ., თ. 26); *იქ მანათობელი შინა სამყაროსა ის მცისასა* (ბერემ., თ. 22).

არ. მარტიროსოვის აზრით, **-შინა** თანდებული ძველ ქართულში სახელის წინაც იყო და შემდეგაც (მარტიროსოვი 1946: 218). ზოგადად, თანდებული ძველ ქართულში დაერთოდა სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას. პრეპოზიციულ წყობას ძველ ქართულში ზ. სარჯველაძე ბერძნულის გავლენას მიაწერს (სარჯველაძე 1997: 48). ი. იმნაიშვილი **-შინა** თანდებულ-მორფემოიდს თანდებულთა იმ ჯგუფში მოიაზრებს, რომელიც მოითხოვს ორ ბრუნვას: მიცემითსა და ნათესაობითს. მკვლევარს მხედველობაში აქვს ისეთი პარალელური ფორმები, როგორიცაა „მეყსა შინა“ და „მყისა შინა“ (იმნაიშვილი 1957: 331). ამ მოსაზრებას არ იზიარებს არ. მარტიროსოვი. ნაშრომში „ზმნისართისა და თანდებულის სინტაქსური



ურთიერთობისათვის“ მკვლევარი მსჯელობს -შინა თანდებულის შესახებ და ასკვნის, რომ მხოლოდ „მეყსა შინა“ და „მყისა შინა“ ფორმები ვერ ჩაითვლება საკმარის არგუმენტად იმის დასადასტურებლად, რომ სხვა თანდებულთა მსგავსად -შინა მიცემითთან ერთად ნათესაობით ბრუნვასთანაც იხმარება (მარტიროსოვი 1961: 232-233). „მყისა შინა“ ფორმის არსებობა ძველ ქართულში ვერ გამოდგება მტკიცე საბუთად იმისა, თითქოს ზოგი სხვა თანდებულის მსგავსად -შინაც სახელს ორ ბრუნვაში (მიცემითსა და ნათესაობითში) მართავდეს (იქვე).

„ბერეშითის“ ტექსტში დადასტურებულია არაერთი ფორმა, რომლებშიც -შინა თანდებული სახელისაგან მოითხოვს მოქმედებით ბრუნვასაც: *და ამოვიდა აბრამი იმის მიცრაიმისაგან, ის და ცოლი მისი და ყოველი, რომ მისთვის, და ლოტი მას თანა, სამხრეთით. აბრამი მძიმე მეტად შინა ჯოგითა, შინა ვერცხლითა და შინა ოქროთი* (ბერეშ., თ. 13).

-შიდა თანდებულ-მორფემოიდი რთული შედგენილობისაა, რომელიც, არ. მარტიროსოვის აზრით, მიღებულია -ში თანდებულისა და -და სუფიქსის შერწყმით. ის ძირითადად გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს დიალექტებში. „შიდან, შიდა, შიდ დამახასიათებელია დოკუმენტებისთვის და უმეტესად იმერეთიდან გამოსულებში“ (მარტიროსოვი 1946: 218). -შიდა ასევე დასტურდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებშიც.

-შიდა თანდებულ-მორფემოიდს მრავლად ვხვდებით ქართველ ებრაელთა ზეპირ თარგმანებში. მაგალითად:

*ბრძანა ღმერთმა: იქნეს სამყარო შუაგან წყალშიდა... თავშიდა, ქუსლშიდა: ის გირტყამდეს შენ თავშიდა და შენ კბენდე მას ქუსლშიდა* (ბერეშ., თ. 3); *და გააჩინა ღმერთმან ვეშაპები იგი დიდები და იყო ერი სული იგი ცოცხლიერი, იგი მამრომალე, რომ დაძვრებიან იმა წყალშიდა* (ბერეშ., თ. 1); *გაიშვირეს იმა კაცებმა იგი ხელი მათი და მივიდენ იმათ ლოტთან იმათ მათსა იმათ სახშიდა, და იგი კარები ჩაკეტეს* (ბერეშ., თ. 19).

ზეპირ თარგმანებში ზოგჯერ ერთდროულად დასტურდება -შინა / -შიდა/ -ში: *ნამეტურ ეშინოდა საცხოვრებლად ცოყარშიდა; და დაჯდა შინა გამოქვაბულში ის და ორი ქალიშვილები მისი* (ბერეშ., თ. 19); *და მოახსენა კაინმა იმათ ებელსა, ძმასა მისა,*

და იყო შინა ყოფნასა მათსა მინდორშიდა, (ბერეშ., თ. 4); აგერ შინა რახელშიდა ვიმსახურე მე შენთვის, რატომ მომატყუე მე? (ბერეშ., თ. 28).

ერთსა და იმავე ფრაზაში ერთდროულად ვხვდებით შინა და ზედა თანდებულებს, სადაც -შინა თანდებული წინ უსწრებს ზედა თანდებულიანი სახელის ფორმას: და იყო შინა დილაზედა, და ესერა ის ლეა; და მოახსენა იმათ ლაბანსა: რა ეს მიქენი მე? (ბერეშ., თ. 28).

-შინა გვხვდება -ში თანდებულიან ფორმასთანაც. აქ ერთდროულად გვაქვს ორმაგი თანდებული: და დაჯდა შინა გამოქვაბულში ის და ორი ქალიშვილები მისი (ბერეშ., თ. 19).

-შინა თანდებულთან დაკავშირებით არ. მარტიროსოვი აღნიშნავს, რომ ძველ ქართულში -შინა თანდებულის ლექსიკური მნიშვნელობა შეზღუდული იყო, ჩვეულებრივ გამოხატავდა დროსა და ადგილს და ამიტომ ამ ფუნქციის გადმოცემა მიცემით ბრუნვას უთანდებულოდაც შეეძლო (მარტიროსოვი 1946: 219).

-ზე თანდებული. ქართველ ებრაელთა მეტყველებაში მიცემითში დასმულ სახელთან -ზე თანდებულის ვარიანტებად გვხვდება: -ზედა, ზეავე.

ქართულში -ზე თანდებულის ფუნქცია მრავალგვარია.

ასეა ქართველ ებრაელთა მეტყველებაშიც. -ზე თანდებულის დართვისას მიცემითი ბრუნვის ნიშანი დაკარგულია როგორც თანხმოვანფუძიან, ისე ხმოვანფუძიან სახელებთან. თანდებულიანი სახელის ბრუნვის ფორმა გვხვდება სხვადასხვა ფუნქციით. კერძოდ, იგი გამოხატავს:

ა) ადგილს: წავიდა კაცი მთაზე (თათარაიძე, არაბული 2014: 127); მიიყუანა ამ მთებზე (იქვე, 218); ვერცხლის სინზე დააწყო მთელი თავისი ოქრო და ვერცხლი (იქვე, 124); ძალზე მოქანცული ერთ ალაგზე შეჩერდა, იქვე დაიწყო მუშაობა (იქვე, 45); თავმოებურებული ადგა და კლდეზე წავიდა (იქვე, 25); აივანზე უზარმაზარი ქვაბით რძე აადუღეს (თათარაიძე, არაბული 2014: 20); ელიაუნაბიმ წაიყვანა შარიანი კაცი დიდი კაცის კარზე, მოიხმეს დიდი კაცი (თავდიდ. 1940: 153); ბავშვის დედა კოვზზე მოიწველის თავის რძეს (ქურჩიშვილი 1941: 190); მაგრამ ასე არ მოხდა, ჩასულმა რომ შეიტყო იქაური წესი, გავიდა ბაზარზე (ქდვ: „ვაშკაცის სიბრძნე“, №3943); საწოლზეც ვაპნევდით, ჩვენც ვიყრიდით თავზე (დადუნაშვილი... 1999: 380-234); შტოლზე

ადამწლის დოქი დგაა, ამ დოქსაც პირი ააქ ჩამოტეხილი (ქდვ: „უდარდელი კაცი“, №3949).

ბ) დროს: *მერვე დღეზე*, როგორც ისრაელის წესია, ბავშვის მოსანათლავი გაამზადეს (თათარაიძე, არაბული 2014: 83); *მეთორმეტე თვეზე* ლიმუდი გადაუხადეს, რაც კი იმ ქალაქში ხახამ თალმიდი იყო, ყველა მოიწვიეს (თათარაიძე, არაბული 2014: 25); *მოხვედი ექვს თვეზე*, ასიც დარდიანი (იქვე, 51); *წლის თავზე* ვაჟი შეგეძინებავე მე თითონ მოვალ და ვიქნები მოელი (მომნათლავი) (თავდიდ. 1940: 150); *წაბძანდა ე ბატონი სალოცავათ ზიარათებზე*, ცოლი კი არ წაიყვანა (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940) („ზიარათი“ – სპარს. მ. თოდუა, წმინდა ადგილების მონახულება, ქდვ – ფერეიდნული ლექსიკონი).

გ) საუბრის, ფიქრის ობიექტს, მიზანს: *ილაპარაკებენ ხოლმე ერთი მეორეში ამ ქვეყნის ცხოვრებაზე, სიღინდრეზე და სიღარიბეზე, ხანდისხან გათხუებაზე ჩამუაგდებენ ხოლმე* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950); *ოქროზე და ეს ძუირფასეულობაზე* ძან ხელმომჭირნე იყო სტალინი (თათარაიძე, არაბული 2014: 218); *ამ ქორწილზე* კი რაბი არ წავიდა, ცოლი იქ კაი ხნით იყო ქალიშვილთან (ქდვ: „ორმოცი წლის თავზე“, №3947).

არცთუ იშვიათია **-ზე** თანდებულიანი მიცემითი ბრუნვის ფორმის სხვა თანდებულის ნაცვლად გამოყენების. ზოგჯერ **-ზე** თანდებულიანი სახელი გამოიყენება **-ში** თანდებულიანი სახელის ნაცვლად. როგორც ცნობილია, **-ზე** და **-ში** თანდებულის ერთ-ერთი ფუნქციაა გამოხატოს მოქმედების ადგილი. კერძოდ, „**-ში** შინაგან სივრცეს გულისხმობს (სიღრმეს ან შემოზღუდულ რასმე) **-ზე** კი – ზედაპირს“ (შანიძე 1953: 620), მაგალითად: *უჭკუო იყავი ამ წუთისოფელზე და იმ სოფელსაც უჭკუოთ წებვედი* (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944); *ახლაც ქვის ფურნეზე ვაცხოვრებთ მაცას* (თსუფა 1982: №25129); *ერთ-ერთ პარასკებ დღეეს ვერსად ბაზარზე იოსეფმა თებზი ვერ იშონა* (ქდვ: „იოსეფი – დამაპატიოსნებელი შაბათისა“, №3945).

**-ზე** თანდებულიანი მიცემითი გამოიყენება **-თან** თანდებულიანი მიცემითის ნაცვლად: *როდესაც დავრეკე ჩემი მიზანი იყო შემხვედროდა ტელეფონზე პირველად, ლამარა, სამწუხაროდ, გარდაცვლილი დამხვდა* (ახალი მასალები, 2016, ჩამწ. ს. გუმბ.).

ტექსტებში ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როცა **-ზე** თანდებულიანი სახელის მიცემითის ბრუნვის ფორმა გამოყენებულია **-თვის** თანდებულიანი ნათესაობითის ნაცვლად: *ამ საქმეზე შეიყარენ, მობილიზაცია გააკეთეს ფელისტიმელებმა* (თსუფა 1982: №25144); *დილით ანგელოზები თავიანთ საქმეზე მიბრძანდებიან და ავადმყოფი დამშვიდდება და უკეთ იგრძნობს თავს* (ქურჩიშვილი 1941: 191); *ისმინა და გადაწყვიტა რომა დაგამადლიანოს შენე ვაიშვილზე* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *ყოველ ხუჩაბათ ღამეს, უფასოთ გასცემდენ ღარიბ ისრეელებზე* (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944); *შეუდგა იოსეფი ღმერთის სახელზე ცხოვრებას* (ქდვ: „იოსეფი – დამაპატოსნებელი შაბათისა“, №3945); *ნუ გეკიდებით სიდინდრეს, იზრუნვეთ პატოსნობაზე და გამჩენი არ მოგიძულეებსე* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950).

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა **-ზე** თანდებულიანი ფორმა უთანდებულოს ნაცვლად გამოიყენება: *საღამოზე კი ანგელოზები ისევ მობრძანდებიან* (ქურჩიშვილი 1945: 189); *საქორწილო მზადებაზე თვალყურ ადევნებდავე, არაფერი წახდენოდა, ერთგულათ იყო* (ქდვ: „ორმოცი წლის თავზე“, №3947).

რ. თავდიდიშვილის ტექსტებში დასტურდება **-ზე** თანდებულის არქაული ვარიანტი **-ზედა**. როგორც ცნობილია, **ზედა** ძველ ქართულში ცალკე იდგა და მიცემითი ბრუნვის ფორმა უცვლელად იყო წარმოდგენილი, თუმცა ძველ ქართულში **-ზედა** ზოგჯერ ნათესაობით ბრუნვასაც დაერთოდა (თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები 1986: 95). ნათესაობითში ბრუნვის ნიშნის თანხმონითი ნაწილის **-ს** მოკვეცილი ვარიანტი შეგვხვდა ყოფითი და ფოლკლორული ხასიათის ტექსტებში: *დამიმადლიანე ისინი სარჩო უფლისზედა* (თათარაიძე, არაბული 2014).

აღსანიშნავია, რომ საკვლევ მასალაში **-ზედა** უმეტესად გვხვდება ნაწილაკებთან ერთად. მაგალითად, საკუთარ სახელთან: *და რაღა შვილო, გევეცი კურთხევა იაყაკობზედაო* (თსუფა 1982: №25155).

**-ზედა** რ. თავდიდიშვილის მასალაში არის **-ც** ნაწილაკთან ერთად: *მაინძელი მოთმინებიდან გამოვიდა, სადილზედაც შიერი დარჩენ და ვახშამზედაც* (ქდვ: „ვაშკაცის სიბრძნე“, №3943).

-**ზედა** გამოიყენებოდა ძველ ქართულსა და მომდევნო პერიოდის ძეგლებში, ხოლო XIX საუკუნის მწერალთა ენაში განხილულია, როგორც არქაიზმი. არ. მარტიროსოვი მიუთითებს, რომ „საშუალო ქართულშივე მას ეკვცება -**და** ელემენტი და -**ზე** უერთდება სახელს (მარტიროსოვი 1946: 213).

-**ზედა** ქართველ ებრაელთა მეტყველებაში არქაული ვითარების გადმონაშთი უნდა იყოს. ამაზე მეტყველებს ქართველ ებრაელთა ზეპირი თარგმანები. მათში უხვად ვხვდებით -**ზედა** თანდებულის ფორმებს. -**ზედა** თანდებული „თავსილში“ გვხვდება როგორც სახელთან შერწყმულად, ისე ცალკე – პოზიციის შეუზღუდავად:

*დადა ადრე ადგა ლაბანი დილაზედა და მოკოცნა შვილებსა მისსა* (ბერემ., თ. 32);  
*და იყო შიმშილი შინა ქვეყანაზედა* (ბერემ., თ. 26); *შჰამენ იქანა ზედა იმა ყორეზედა* (ბერემ., თ. 32); *ნამეტურ მოვალ ზედა ქირასა ჩემსა წინაე შენსა* (ბერემ., თ. 30).

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ნათესაობით ბრუნვაში გვხვდება რამდენიმე თანდებული: -**თვის** (-**თუის**, -**თვინ**), -**გან**, -**კენ**, -**ებრ**.

-**თვის** თანდებული. ქართველ ებრაელთა ყოფით და ფოლკლორული ხასიათის ტექსტებში ნათესაობით ბრუნვაში გვხვდება როგორც -**თვის**, ისე მისი დიალექტური ვარიანტი -**თვინ**. მისი დართვისას სახელის ფუძეში არანაირი ცვლილება არ ხდება. ბრუნვის ფორმა შეიძლება გავრცობილიც იყოს და გაუვრცობელიც. -**თვინ** სახეობა უმეტესად დასტურდება რ. თავდიდიშვილის მასალაში, ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების ამსახველ ტექსტებში. ჩვენ მიერ ჩაწერილ ქუთაისურ მასალაში კი გვხვდება -**თვის** თანდებული.

დანიშნულებისა და მიზეზის გადმოცემისას ძველსა და განსაკუთრებით საშუალო ქართულში -**თვის** თანდებულს ხშირად სცვლის ნაგენეტივარი ვითარებითი: *შზა ვარ ხვალისად* (ამირანდარეჯ.). ასეთი ფორმები დამახასიათებელია ხევსურულისა და ფშაურისათვის (მარტიროსოვი 1946: 223). მსგავსი ფორმები არ დადასტურდა ყოფითი და ფოლკლორული ხასიათის ტექსტებში, მაგრამ შეგვხვდა ზეპირ თარგმანში: *და აახილა ლოტმა იგი თვალეზი მისი და დაინახა იგი ყოველი ვაკე იმის იარდენისა, რამეთუ სუყველა ის სარწყავი არი, წინაშე გარყვნასა უფლისად იგი სედომ* (ბერემ., თ. 13).

ქართველ ებრაელთა მეტყველებაშიც **-თვის** თანდებული ძირითადად გამოხატავს დანიშნულებას, განკუთვნიებას, მიზანს. მაგალითად:

*დიდი სიყვარულობით, აი, გულწრფელად გეუბნები დიდი მადლობა ინტერვიუსთვის* (ახალი მასალები, 2016, ჩამწ. ს. გუმბ.); *და იკურთხებიან თესლით შენითა ყოველი ერები იმის ქვეყნისა გულისათვის, რომ მოუსმინე შენ ხმასა ჩემსა* (ბერეშ., თ. 22); *ნამეტურ არ უწვიმია უფალსა ღმერთსა ზედა იმა დედამიწაზედა და ადამიანი არ იყო თანა-სამუშაოდ იმის დედამიწისათვის* (ბერეშ., თ. 2).

იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს **-თვის** თანდებულის **-თვის** ვარიანტი, სადაც გვხვდება უმარცვლო **უ.** იგი დადასტურდა ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში, რომელიც ჩაწერილია აწსუ ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ 1998 და 2005 წლებში: *მე მარა დღეს უმეტესობა არის ჯიბისთვის* (ტექსტები 2014: 216).

ჩვენს საკვლევ მასალაში **-თვის** თანდებულის გარდა დაჩნდება **-თვინ** ვარიანტიც: *მტერი იმისთანა მომზადებული ყოფილიყო თურმე ამ ომისთვინ და იმისთანა დაძლია ამ ხენწიფის ჯარი რომა, შუაზე გაწყვიტავე* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *ვთები გემეესხა სიხარულიდან, აღარ წანწალობს ყველდღე ლუკმაპურისთვინ* (ქდვ: „ძველების გამყიდველი“, №3952); *თქვენ გაიხარეთ ჩვენი გახარებისთვინ* (პირადი წერილ.); *შენი ღვთის გულისთვინ, მიშველე რამე, დავიღუპე კაცი* (თავდ. 1940: 156); *დიდი დარბაზი გაიმსო ხალხით ცალკე ქალებისთვინ არი სუფრა გაშლილი* (თავდ. 1940: 150); **-თვინ** შეგვხვდა ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაშიც: *დედაჩემისთვინ საქართველო... რო შეეკითხები...* (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.).

**-თვინ** თანდებულის გამოყენების შემთხვევები არის ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულ აღმასკომის მასალებშიც (ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი №296, აღწერა №1), კერძოდ, ოფიციალურ საბუთებში (განცხადებებში). დასახელებულ მასალაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეინიშნება ჩვენთვის საინტერესო ფორმები. მართალია, საბუთების ენას ზოგადად ახასიათებს შაბლონურობა, მაგრამ მასში მაინც ირეკლება ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ელემენტები, რისი ნათელი მაგალითიცაა ქართველ ებრაელთა

განცხადებები, რომლებიც დაწერილია XX საუკუნის 20-30-იან წლებში: *...ჩვენ გავრეოდით პოლიტიკურ საქმეებში და მთავრობისთვის ხელი შეგვეშალა; საზოგადოების რელიგიური დაარსებებისთვის საჭიროა დამფუძნებელი კრების მოწვევა; მიიღონ რელიგიური წესების შესრულებისთვის საჭირო სამლოცველო სახლები და ქონება.*

მოხმობილი მაგალითები კიდევ ერთხელ ადასტურებს ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებისათვის დამახასიათებელ, იმ დროისათვის მკვეთრად გამოხატულ ისეთ თავისებურებას, როგორცაა **-თვის** თანდებულის ნაცვლად სახელებთან **-თვის** ვარიანტის გამოყენება. ამასთან დაკავშირებით თ. ლომთაძე აღნიშნავს: „თანდებულთა სისტემიდან ყურადღებას იქცევს **-თვის** თანდებული, რომელიც ებრაელებთან ყოველთვის ბოლოკიდური ხმოვნის ნაზალიზაციითაა წარმოდგენილი. მართალია, **-თვის/-თვის** არის სხვა ქუთაისელთა მეტყველებაშიც, მაგრამ, თუ მათთან **-თვის/-თვის** ასიდან ოცთან გვხვდება, ებრაელებთან – ასიდან ოთხმოცდაათთან“ (ლომთაძე 2005: 108).

ვხვდებით **-ო** ნაწილაკდართულ ვარიანტებს: *ვილოცოთო შვილის გულისთვისაო* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *ღმერთო, შენ ნუ შეინახამო ნურა დედას სიმწრისთვისაო* (იქვე).

ქართველ ებრაელთა წმინდა წიგნის ბერეშითის ზეპირ თარგმანში („თავსილში“) სისტემურად დასტურდება **-თვის** თანდებული, თუმცა იშვიათად ვხვდებით **-თვის** ვარიანტსაც. მართალია, თარგმანის ენა მოქცეულია სალიტერატურო ქართულის ნორმის ფარგლებში, თუმცა იგრძნობა დასავლური კილოების გავლენა, რაც შეპირობებულია ლოკალურად („თავსილის“ ტექსტის ერთ-ერთი ვარიანტი ჩაწერილია დასავლეთ საქართველოდან გამოსული რაბინებისაგან). მაგალითები:

*ბძანებს უფალი, ნამეთურ გულისათვის* (ბერეშ., თ. 22); *და უბძანა: შემოგფიცე მე, ბძანებს უფალი, ნამეთურ გულისათვის, რომ ქენი შენ იგი საუბარი აესე და არ უკინჭირე შენ იგი შვილი შენი, იგი მარტივი შენი* (იქვე).

**-თვის/-თვის** თანდებულისანი ფორმა გვხვდება საკუთარ სახელებთანაც ყველა ტიპის ტექსტში. მაგალითად: **-თვის** დიალექტური ვარიანტი შეგვხვდა ისრაელში

მცხოვრები საჩხერელი ებრაელის მეტყველებაში: უთქვია *მაიასთვინ*, *დაპატყება მინდაო* (ახალი მასალები, 2016, ჩამწ. ს. გუმბ.).

-**თვინ** თანდებულიანი ფორმები არის „თავსილშიც“: *არ გაკვირდება იმის უფლისაგან საუბარი: თანა დროსა დაბრუნებასა იმათ ჩემსა დროსა მშობიერობისასა, და სარასთვინ შვილი* (ბერემ., თ. 18);

-**თვინ** დამახასიათებელია ქართული ენის აღმოსავლური და დასავლური კილოებისათვის. აღნიშნულია, რომ -**თვინ** არის -**თვის** თანდებულის უძველესი ფორმა (კუბლაშვილი 1981: 104).

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ ჩაწერილ ქუთაისში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში დადასტურდა -**იზა** დაბოლოებიანი სახელის ფორმები: *ის იყო, შუილო, ჩემი პასპორტი, ის იყო ჩემი საშუი, ის იყო ჩემი ჯაუშანი და ყუელაფერი და ამის გულიზა გუძლეუდენ ჩუენ სომხები, რო ეს სპრაუკა შეეძინათ* (ტექსტები 2014: 214); *დალევდი იმ ჭიქას და დადებდი ფულს, რამდენი გინდოდა მუსიკანტებიზა* (იქვე, 245); -**იზა** გვხვდება საკუთარ სახელთანაც: *ადამიანი რო აკეთებდა რამეს, უნდა, პეტრეზა უნდა ეთქვა* (ტექსტები 2016: 362). ამ ფორმების არსებობა ქუთაისში მცხოვრები ებრაელის მეტყველებაში შესაძლოა აიხსნას საკუთრივ ქუთაისური მეტყველების გავლენით. როგორც თ. ლომთაძე მიუთითებს, „ქუთაისურში ასევე გამოიყენება -**თვის** > **თვინ** და -**ისად** > **იზა** დაბოლოებიანი ფორმებიც“ (ლომთაძე 2005: 56). ქართული ენის ზოგ დიალექტშიც (ხევსურულში, რაჭულში, გურულში...) -**თვის** (კაც-ის-თვის) თანდებულს ცვლის ნანათესაობითარი ვითარებითის ან ნანათესაობითარი -**და** თანდებულიანი ფორმა: ხევსურული: **კაც-ის-ად**, რაჭული: **კაციზ-და**, გურული: **კაც-იზ-ა** (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988: 193).

-**გან** თანდებული. როგორც ცნობილია, -**გან** ქართულში დაერთვის ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვათა ფორმებს. როგორც მიუთითებენ, „ნათესაობითში იგი გამოხატავს გამოსვლითობას სულიერ სახელებთან (ვისგან?) და მასალას (რისგან?), ხოლო მოქმედებითში – ლოკალურ გამოსვლითობას (საიდან?) და დროს (რა დროიდან?)“ (შარაშენიძე 2016: 139). სხვაგვარად: -**გან** ნათესაობითში აღნიშნავს



**შინაგანს** თვისებრივს: მეგობრ-ის-გან || მეგობრ-ის-ა-გან... მოქმედებით ბრუნვასთან კი – **გარეგანს**: სახლ-იდ-ან (სახლ-ით-გან). პირველ შემთხვევაში **უბრალო დამატებაა**, მეორე შემთხვევაში – **ადგილის გარემოება** (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988: 74). მოქმედებითი ბრუნვის ნიშანთან **-გან** იცვლება ფონეტიკურად (**ითგან > -იდგან > იდან**).

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ხშირად აღრეულია **-გან** თანდებულისანი ნათესაობითი და მოქმედებითი. ვხვდებით როგორც თანამედროვე, ისე არქაულ წარმოებას.

ნათესაობით ბრუნვასთან **-გან** თანდებული ქართველ ებრაელთა მეტყველებაში აღნიშნავს: სიშორეს, წყაროს, მასალას, მიზეზს, მოქმედების დაწყების ადგილს, საგანთა შედარება-ხარისხს. მაგალითები:

*რაკი შენ ჩემიო დახმარება იკისრე და დამიხსენი **ტანჯვისაგან**, წადი, შვილო* (თათარაიძე, არაბული 2014: 15); *ისეთი ხალიჩა მოქსოვა სამ დღეში **მიწისგან**, რომელზედაც მთელი მისი ჯარი-ჯამათი დაეტევა* (თათარაიძე, არაბული 2014: 29); *ვერავინ ვერ მოახერხა **მიწისგან** ხალიჩის მოქსოვა* (იქვე); *საბჭო შვიდი **წევრისაგან** შედგება* (თსუფა 1982: №25125); *ქვეყნათ ცხოვრობდა ერთი ღარიბი და ლატაკი, **ხვთისაგან** შეწყალებული ისრელი – იოსეფი* (ქდვ: „იოსეფი – დამაპატიოსნებელი შაბათისა“, №3945).

ქართველ ებრაელთა **ზეპირ თარგმანებში** მრავლად გვხვდება **-გან** თანდებულისანი ნათესაობითის ფორმები, რომლებიც ფუნქციურად აღნიშნავს მოქმედების **დაწყების ადგილს**, ანუ შეთავსებული აქვს **-გან** თანდებულისანი მოქმედებითის ფუნქცია. მაგალითად:

*...და აიწია იგი კილობანი და მომალდა იმის ზევით **დედამიწისაგან*** (ბერემ., თ. 7); *და გააგზავნა იგი ყორანი, და გამოსვლით გამოდიოდა და ბრუნდებოდა, ვიდრე დაშრებოდა იგი წყლები იმის ზევით **ქვეყნისაგან*** (ბერემ., თ. 8); *და აახილა რიბკამ იგი თვალები მისი და დაინახა იგი იცხაკი და ჩამოვარდა იმის ზევით **აქლემისაგან*** (ბერემ., თ. 24);

შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება მსგავსი (გამოსვლითის) ფუნქციით - **გან** ყოფითსა და ფოლკლორულ ტექსტებში: *მოეწვიათ შვიდი **სახელმწიფოსგან***

თავიკაცები (თათარაიძე, არაბული 2014: 91); გონჯს თვალთაგან წირპლები გადმოდიოდა (იქვე: 109).

ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში საინტერესოა -გან თანდებულის ნათესაობითი ყალიბების გამოყენება -ზე თანდებულის ფუნქციით, რომლის დანიშნულებაა საგანთა შედარება-ხარისხის გამოხატვა. მაგალითად: რა არის მაგარი ლომისაგან და რა არის ტკბილი თაფლისაგან, – უთხრეს სამსონს (თსუფა 1982: №25144). ანალოგიური წარმოება იშვიათად გვხვდება განუსაზღვრელი რაოდენობის აღმნიშვნელ სახელებთან (მრავალი, ბევრი), უფრო მეტად კი ზედსართავ სახელებთან, რომლებთანაც -გან თანდებული გამოყენებულია -ზე თანდებულის ფუნქციით, ორი საგნის შესადარებლად და სემანტიკურად მოიაზრებს აღმატებით ხარისხს (დიდისაგან დიდი...) (ვრცლად იხ. ქვემოთ).

-კენ თანდებული. ქართველ ებრაელთა მეტყველებაში -კენ თანდებული დაერთვის სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას და გამოხატავს მიმართულებას. მას ქართველ ებრაელთა მეტყველებაში არ უდასტურდება ფონეტიკური ვარიანტები. ბრუნვის ფორმა ძირითადად გაუვრცობელია, იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს გავრცობილი ვარიანტიც. მაგალითები:

*ე ქალებიც პირდაპირ ამ ქალისკენ მოდიან* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950); *თვალი კარისკენ ეკავა, მოვაო აბშალომიო* (ქდვ: „სულამითი“, №3948); *წაიყვანა თავისი ერთგული შავი ზანგი და პირდაპირ გასწია სულამითისკენ* (იქვე); *მერე ცოტახანი რო გავიდა, ტყისკენ გაიხედა* (იქვე); *მიდის გზაზე, გაიხედა, ხალხი ლოცვისკენ მირბის* (ქდვ: „ორი ძმა“, №3946).

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიღებული შეხედულების მიხედვით, -კენ თანდებული კერძო-ს გაცვეთილი და ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტია. კერძო ძველ ქართულში გამოიყენებოდა არსებითი სახელის მნიშვნელობითაც (= მხარე) და ზმნისართ-თანდებულის ფუნქციითაც (= მხარეს). ფორმის ცვლის პროცესი ასე წარმოგვიდგება: კერძო > კერძ > კერ > კენ (შანიძე 1973: 602; მარტიროსოვი 1946: 225; იმნაიშვილი 1957: 233- 346).

აღსანიშნავია, რომ ქართველ ებრაელთა წმინდა წიგნების ზეპირ თარგმანებში, კერძოდ, „თავსილში“, ძალიან იშვიათია სახელის -კენ თანდებულიანი ფორმა.

მაგალითად: და გაიქცა იგი და ყოველი, რომ მისთვის, და ადგა და გადიარა იგი მდინარე, და დადვა პირი მისი არ-აგილყადისაკენ (ბერეშ., თ. 31). მოცემულ წინადადებაში ამ ფორმის არსებობა, ვფიქრობთ, ცოცხალი მეტყველების გავლენით უნდა აიხსნას. ამ მხრივ გასათვალისწინებელია ძველი ქართულის ვითარება და თარგმანის შექმნის სავარაუდო დროც (რ. ენოხის აზრით, XI-XII სს.). როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, ძველ ქართულში ნათესაობით ბრუნვაში სახელს იშვიათად ერთვოდა **კერძო** თანდებული. არ. მარტიროსოვის აზრით, „ძვ. ქართულში **კერძო**, ეტყობა, თანდებულად ჩამოყალიბების პროცესშია, სახელის ბრუნვაში მართვის მხრით მას ჯერ კიდევ არ გააჩნია ისეთი ძალა, როგორც სხვა თანდებულებს. სახელი მას ნაკლებ ანგარიშს უწევს ბრუნვაში, იგი თავისუფლად ერთვის უფორმო სიტყვებსაც. საშუალ ქართულში იგი ნათესაობითთან უფრო განმტკიცდა და სისტემატურადაც იხმარება. ამავე დროს იგი დამოუკიდებლობასაც კარგავს და საკმაოდ ცვთება“ (მარტიროსოვი 1946: 225). ჩანს, „თავსილი“ ამ მხრივ უფრო ძველ ვითარებას უჩვენებს, ვინემ ეს თარგმანის დროის მიხედვითაა მოსალოდნელი, ვინაიდან XI-XII საუკუნეების ენაში უკვე არის **-კენ** თანდებულნი ნათესაობითის ფორმა. შესაძლოა, თარგმანიც უფრო ადრეა შესრულებული, ხოლო ჩვენ მიერ საანალიზოდ აღებული „თავსილის“ ტექსტი, რომელიც ჩაწერილია რაბინებისაგან, შესაძლოა ასახავდეს ცოცხალი მეტყველების გზით შემოსულ ფორმას.

**-ებრ თანდებული.** ფოლკლორულ და ყოფითი ხასიათის ტექსტებში თითქმის არ არის. ჩვენს საკვლევ ტექსტებში, კერძოდ, რ. თავდიდიშვილის ფოლკლორულ მასალაში შეგვხდა **-მებრ** ვარიანტი. იგი გამოხატავს მსგავსებას, დაერთვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას: *ცხვირსახოცი დედის ანდერძისამებრ გამოეყენებინა* (თათარაიძე, არაბული 2014: 82).

ქართულში **-ებრ** თანდებული დაერთვის სახელის ფუძეს ან ნათესაობითი ბრუნვის ფორმას და გამოხატავს მსგავსებას: კაც-ებრ || კაცის-ებრ, ლომ-ებრ || ლომის-ებრ... (ჯორბენაძე 1988: 292). **-ებრ** თანდებულის პარალელურად დასტურდება **-მებრ**, „იგი დაერთვის ემფატიკური ხმოვნით გართულებულ ბრუნვის ნიშანს“ (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე იქვე).

ქართული ენის დიალექტებიდან **-ებრ** თანდებულიანი ფორმები არ არის არც ქვემოიმერულში. შესაძლოა, ამით აიხსნას მისი არარსებობა ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალებშიც.

სამაგიეროდ, ქართველ ებრაელთა ზეპირ თარგმანებში არის **-ებრივ/-ებრი**, რომელიც დაერთვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას. მაგალითები:

**-ებრივ:** *აახილა ლოტმა იგი თვალეზი მისი და დაინახა იგი ყოველი ვაკე იმის იარდენისა, რამეთუ სუყველა ის სარწყავი არი, წინაშე გარყვნასა უფლისად იგი სედომ და იგი ყამორა ვითარცა ბაღისა უფლისებრივ, ვითარცა ქვეყანასა მიცრაიმისა ბოახა ცოყა (ბერემ., თ. 13); დაისადგურე ლომისებრივ, იეუდა (ბერემ., თ. 49); მისახარ სახედარისებრივ მაგარი იქნება, დაწვება შუა იმა ვიწრო გზის თავებშიდა (ბერემ., თ. 48); როგორც მწვანლისა ბალახისებრივ მოგცემთ მე თქვენ იმა ყოველსა (ბერემ., თ. 9); და იქნება იგი ცისარტყელა შინა ღრუბლებშიდა და დაინახამს მას თანა-გასახსენებლად პეემნად ყოლამისებრივ სამუდამოდ შუა ღმერთსა და შუა ყოველ სულსა ცოცხლიერისას შინა ყოველ ხორციელსა... (ბერემ., თ. 9) (ებრ. ყოლამი ნიშნავს სამყაროს); დაინახა: და ესერა ამოსულა გუნთი იმის ქვეყნისა ვითარცა გუნთისა ქივშანისებრივ (ბერემ., თ. 18); წავიდა და დაჯდა მისთვის მართებითა დაშორებული ვითარცა გასროლისა შვილდისარისებრივ (ბერემ., თ. 21); ვითარცა წყალობისებრივ, რომ გავაკეთე მე შენ თანა, ქენი ჩემ თანა (იქვე); იქნება ნათესავები შენი ვითარცა მტვერისა მიწისებრივ (ბერემ., თ. 28); წააზავე იგი ქალიშვილები ჩემი, ვითარცა ტყვეებისა ხმალისებრივ (ბერემ., თ. 31); დავსდებ მე იმა თესლსა შენსა, ვითარცა ქვიშისა იმისა ზღვისებრივ, რომ არ დაითვლება სიმრავლითა (ბერემ., თ. 32).*

„თავსილში“ **-ებრივ/-ებრი** გვხვდება საკუთარ სახელთანაც: და გააკეთეს ვითარცა საუბრებისა იოსეფისებრივ, როგორც რო უბძანა (ბერემ., თ. 44); ნუ გახურდება რისხვა შენი შინა ყმასა შენსა, ნამეტურ ვითარცა შენ როგორც ფარყოსებრი (ფარაშათ ვაიგაშ).

ზეპირ თარგმანებში შეიძლება შეგვხვდეს უჩვეულო ფორმებიც, მაგალითად, ორმაგთანდებულიანი (**-ებრისებრივ**): *აილე შენ ძღვენი ჩემი იმის ხელის ჩემისაგან, რამეთუ ზედა ენგრეთ ვნახე მე პირი შენი, ვითარცა ნახვისა პირისა ანგელოზებრისებრივ, და მისურვე მე (ბერემ., თ. 33).*

ზეპირ თარგმანებში **-ებრივ** გვხვდება საკუთარ (პირის) სახელებთანაც: და გააკეთეს ვითარცა საუბრებისა **იოსევისებრივ**, როგორც რო უბძანა (ბერემ., თ. 44).

ზოგჯერ წინადადებაში მოცემული ორი სახელიდან პირველი უთანდებულოა, მეორეს კი დაერთვის **-ებრივ**: დაგსდვას შენ ღმერთმა **ეფრაიმისა და მენაშესებრივ** (ბერემ., თ. 48)

**-ებრი**: და იქნებით ვითარცა **ანგელოზებისებრი** მცოდნეები კარგისა და ცუდისა (ბერემ., თ. 3); **თუმც** იპოვნება ვითარცა **ამ კაცისებრი** (ბერემ., თ. 41); და შევიქნები თვალებსა მისა ვითარცა **მატყუარასებრი** (ბერემ., თ. 27); გამოვიდა იგი პირველი წითელი, სუყველა ის ვითარცა **ჩოხისა ბალნიანისებრი** და დაარქვენ სახელი მისი **ყესავ** (ბერემ., თ. 25); **ვხედამ** სულსა შვილის ჩემისას ვითარცა **სულისა მინდვრისებრი**, რომ აკურთხა ის უფალმან (ბერემ., თ. 27).

უჩვეულო ფორმა შეგვხვდა **-ებრი** თანდებულიან თანხმოვანფუძიან სახელთანაც, რომელშიც ორმაგადაა წარმოდგენილი ნათესაობითის **-ის** ბრუნვის ნიშანი: და დეესიზმრათ სიზმარი ორივე მათსა კაცსა, სიზმარი მისი შინა ღამესა ერთსა, კაცსა ვითარცა ხსნილობისა **სიზმრისისებრი...** (ბერემ., თ. 40).

#### მოქმედებითი ბრუნვა

**-გან** თანდებული. ქართველ ებრაელთა მეტყველებაში მოქმედებით ბრუნვაში გვხვდება **-იდგან (-იდგენ)/-იდან** წარმოება. **-გან** თანდებულიანი სახელი აღნიშნავს მოქმედების დაწყების ადგილს ან დროს. რ. თავდიდიშვილის მიერ ჩაწერილ ქუთაისურ მასალაში **-გან** თანდებულიანი სახელი უმეტესად წარმოდგენილია საშუალო საფეხურით და გავრცელებულია **-იდგან** წარმოება. მაგალითები:

**თვალებიდან** ცეცხლებ აფრქვევდა, ისე სურვილი მეურია ქურდობის (თავდიდ. 1940: 158); **მონახა** დიდი და ფსხვილი სარეცხის ბაწარი, წაიღო ჩუმათ **სახლიდან** და გასწია ტყეში (იქვე, 161); დაუსხეს პირჩამოტეხილი **დოქიდან** ცივი წყალი (ქდვ: „უდარდელი კაცი“, №3949); **ამ ფაცხიდან** გამოდის ე ხმა (იქვე); **კვდარი** მაიმუნი გაუხვია **ჭინჭებში** კარისკააც, წაუღია და იმ ისრელისთვინ შესაშინებლათ **აკოშვიდან** შეუგდია (ქდვ: „ძველების გამყიდველი“, №3952).

გამოსვლითობის ფუნქციით ძველ ქართულში გამოიყენებოდა უთანდებულო ფორმა (ქალაქით, საფლავით, ქუეყანით...). შემდგომ ამ ფორმას დაერთო **-გან**

თანდებული (ქალაქითგან, პირველითგან...), რასაც მოჰყვა ფონეტიკური ცვლილების შედეგად თ-ს დ-დ ქცევა (ქალაქ-იდ-გან), შემდგომ კი თანდებულის გ-ს დაკარგვა (ქალაქ-იდ-ან) (თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები 1986: 100).

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში -იდგან წარმოებასთან შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება მისი ფონეტიკური ვარიანტი -იდგენ. იგი გ. ჯაფარიძის რაჭულ მასალაში არის მეტწილად ხმოვანფუძიან (უკვეცელ და კუმშვად-კვეცად) სახელებთან და აღნიშნავს გამოსვლითობას. მაგალითები:

*მოვიდა მყესავი სანადიროდგენ, მოიყვანა თიკანი* (თსუფა 1982: №25155); *ახლა იოსებმა იფიქრა, რო რა ქვეყნიდგენიც არი იოსები წასული, ჩემი ძეები ჩამოვლიენ აქაო* (იქვე).

აღსანიშნავია, რომ „თავსილში“ -იდან წარმოება არ დასტურდება არსებით სახელთან, ძირითადად გვხვდება ზმნისართებთან, იშვიათად სახელებთან, კერძოდ, ვითარებით ზედსართავთან (არსებითი სახელის ფუნქციით). მაგალითად: *და გაძებნეს შინა დიდიდან დაწყებული შინა პატარამდე დამთავრებული, და იპოვნეს იგი თასი მეშოკსა ბინამინისას* (ბერეშ., თ. 44).

ყოფითსა და ფოლკლორული ხასიათის მასალაში გავრცელებულია -იდ-ან წარმოება, რომლის საშუალებითაც გამოხატულია სხვადასხვა სემანტიკა. კერძოდ:

ა) **დრო:** *საათის პირველიდან, ოთხი კუთხიდან მოგროვდა ფტვერი* (თსუფა 1982: №25148); *ემეთ დღეიდან გავხდები ჩვეულებრივი კაცის მსგავსი* (თათარაიძე, არაბული 2014: 14); *ზღვამ უარი განაცხადა იმ მიზეზით, რომ შენ ხარ ადამიანი, გაჩენილი პარასკევ დღეს, დედამიწის დაარსებიდან* (თსუფა 1982: №25134); *ყოველთვის საწყისი დღე არის ახალი მთუარიდან* (ტექსტები 2014: 229).

ბ) **ადგილი, გამოსვლითობა:** *ამოიღო ეს ხაჭაპურები ხვიმირიდან და გულზე დაიდვა* (თსუფა 1982 №25149); *არაფრის დიდებით იმან არ ამოიღო ფული უბიდან...* (თავდ. 1940: 131); *როდესაც გემიდან ისევე დაბრუნდებოდენ, ცხენებით წავიდოდენ თავის ქვეყანაში* (იქვე); *დანიშნულ დროს მზეთუნახავი ჩამოვიდა კოშკიდან, ნახა მძინარე კაცი* (თათარაიძე, არაბული 2014: 22); *ციდან ერთი შავი ღრუბელი მოდის* (იქვე, 31); *მანა რო ჩამოდიოდა მციდან, იმის სახსოვრადაა, რომ ებრაელები სჭამდენ მანას უდაბნოში* (თსუფა 1982, №25146); *ევვიპტიდან წამოღებული საგზალი ერთ*

თვეს ეყობ (თსუფა 1982, №25134); როცა **ხოტევიდან** გადმოვიდა ნაწილი ებრაელებისა, (თსუფა 1982, №251240); კვერცხის გული კარგად უნდა ათქვიფო და **ცეცხლიდან** გადმოღებულ ნარევს დაუმატო (ქურჩიშვილი 1945: 191); **მობრძანდით**, ბატონებო, **ტყიდან** მობრძანდით, მოუტანეთ სურნელება ყვავილებისა (დადუნაშვილი... 1999: 380-234); **დედაჩემი იყო სოხუმიდან** ძალიან მიყვარს ის ადგილი (ახალი მასალები, 2016, ჩამწ. ს. გუმბ.); **იმ დამით როდესაც დავბრუნდი საფიჩხის სასაფლაოდან** ძალიან აფორიაქებული ძილი მქონდა (იქვე).

ზოგჯერ **-იდან** შეიძლება გავრცობილი იყოს. ამის მაგალითი შეგვხვდა ე. დადუნაშვილის მიერ სურამში ჩაწერილ ფოლკლორულ მასალაში, რომელიც დაცულია შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში, ფოლკლორის არქივში: **მოყვებოდით ჭიშკრიდანა შაქრით და ვუპნევდით სულა** (დადუნაშვილი... 1999: 72).

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში **-იდან** თანდებულიანი წარმოება გვხვდება მყარ გამოთქმებში. მაგალითად:

**შენ უნდა მოჰკლა შენი ცოლი და მოიშორო თავიდან**, რისთვისაც შენ პასუხს არავინ მოგთხოვს (თავდ. 1940: 134); **მერე ჩვენ ვალიდან ამოვდივართ**, ჩვენ ვასრულებთ და იმან რაც უნდა, ის ქნას (თსუფა 1982: №25127).

ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში დასტურდება ისეთი შემთხვევები, როცა **-გან** თანდებულიანი ნათესაობითის ფუნქციით არის მოქმედებითი ბრუნვის **-იდან/-იდან** წარმოება:

**-იდან**: **ერთ დღეობის დღეს, იქნა გამჩენიდან** ბძანება, რომა უნდა მამკვდარიყო ე ქალი (თსუფა 1982: №25149); **იქნა გამჩენიდან** გადაწყვეტილობის შესრულება და როისაც დატოლდენ ე ბატონი და ე ეშეთხაელი კიდევაც ჩეესახვე შვილი (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); **რავა არ უნდა დაქვრჩესო ამისთანა დიდი თორა-ბაყალი ბატონიდან** შვილიო (იქვე); **ვაიმე თუ ამიხთესო სიმმარიო და ამისთანა სამწუთრო შვილიო ხელიდან** გემემეცალოსო (იქვე); **როცა ცოტათი გონზე მოვიდა რომა, შეკრიფეთო ჯარიო რჩეულებიდანაო** (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941); **იფიქრა, იფიქრა ხენწიფემ, გაბრაზდა, კბილებ აკრაჭუნებს სიმწრიდან** (იქვე); **შარიანი მიჩერებია, შიშიდან** ცახცახობს (თავდ.

1940: 153); გამწარდა კაცი, ბობშები შიმშილიდგან სულ ლევენ (იქვე, 161); გამამიდგენ ძაღლები დღეს, სულ დაკბენილი ვარ ძაღლებიდგან (თსუფა 1982: №25149).

-იდან: მაინც გადაწყვეტილი ჰქონდათ უფლიდან – ყოველ ღამეს უჩნდებათ სამი ხაჭაპური (თსუფა 1982: №25149); ქმარი, ხახამ-თაღმიდი, ცოლი – პატიოსანი, რომელიც ასრულებდა გამჩენიდან დავედრებულ ისრეელის წესებ (თავდ. 1940: 137); შვილი ვარ, მართალია ცუდი ბევრი მიყო, მაგრამ დედინაცვლიდან იძულებული გახდა (იქვე, 151); ონი ჩვენებურ ენაზე ეთქმის დაღონებას, სევდის ქალაქს. ქართველებიდან არ არი დარქმეული (თსუფა 1982: №25145); ჩემი ჩამოსვლის ამბის შესახებ გაიგეს უცხო ქალბატონიდან (ახალი მასალები, 2016, ჩამწ. ს. გუმბ.); მხოლოდ ხალხის ნამუშევრიდან თექუსმეტი მანეთი (ტექსტები 2014: 221).

-ურთ თანდებული. ქართველ ებრაელთა მეტყველებაში -ურთ თანდებული ჩვენი მასალების მიხედვით ყოფით და ფოლკლორულ ტექსტებში არ დადასტურდა. სალიტერატურო ქართულის მსგავსად, უმეტესად მის ფუნქციას ასრულებს -იან-სუფიქსიანი ვითარებითი. მაგალითად:

ე ბატის მწყესი თავისი ჯაგლაგი ცხენიანა გავიდა (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); ნაზირი და ვეზირი, პირგამავებული, გამწზარი, თავისი ცოლშვილიანა გადაიკარქენ (იქვე); გამდიდრდა იოსეფი, იყიდა ძვირფასი სახლ-კარი, შეიმოსა ცოლშვილიანათ საუკეთესო ტანფეხით (ქდვ: „იოსეფი – დამაპატიოსნებელი შაბათისა“, №3945); მზეთუნახავის დეიდაი მისი ჭაპანა ქალიშვილიანა ორივე ცხენების კუდებზე გემეებავ (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950); გააცილეს თავისი შვილმამავლიანა საზღვრამდისინი (ქდვ: „ღარიბი კაცის ამბავი (სიმძარის ახსნა)“, №3951); ყველას წამოსვლა უნდა თავის ქმარშვილიანა რო ნახოს ეს შორაშები, ფესვები, რო ნახონ ეს ფესვები სიდან წარმოიშვა (ახალი მასალები, 2016, ჩამწ. ს. გუმბ.);

-ურთ თანდებული არ დასტურდება არც ქართველ ებრაელთა წმინდა წიგნის ზეპირი თარგმანის „თავსილის“ ტექსტში.

#### ვითარებითი ბრუნვა

-მდე/-მდის თანდებული. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ვითარებითი ბრუნვის თანდებულები -მდე/-მდის აღნიშნავენ მიწვევითობას, მოქმედების დასასრულ პუნქტს სივრცესა და დროში. მათი დართვისას



ბოლოხმოვნის სახელებში მთლიანად იკარგება ბრუნვის ნიშანი -დ, ბოლოთანხმოვნისებთან კი რჩება მხოლოდ ბრუნვის ნიშნის -ა ხმოვანი: ხე-დ-მდე – ხე-მდე, სახლ-ად-მდე – სახლ-ა-მდე. როგორც ცნობილია, ფუძესა და ბრუნვის ნიშანში მომხდარ ცვლილებათა საფუძველზე ა. შანიძემ გამოყო ლოკალური ბრუნვები, მათ შორის, მიწევნითი ბრუნვა, რომლის მარკერად მიიჩნია -მდე, -მდის მორფემები.

ვითარებითი ბრუნვის ფორმას ძველ ქართულშიც -მდე / -მდის თანდებულები დაერთვოდა. ა. შანიძის აზრით, -მდე / -მდის იშლება ნაწილებად: -მ მიღებულია -მი-სგან, -დე კი ნაშთია დღე სიტყვისა: მიდღედ-მ-დე/მდე / მიდღის-მ-დის / -მდის (ა. შანიძე). X საუკუნიდან ტექსტებში ჩნდება -მდინ თანდებული.

ძველ ქართულში -მდე თანდებული დაერთვოდა ისეთ ზმნისართებს, როგორცაა აქ, მუნ: აქამდე, მუნმდე. ქუე-საგან მიღებულ ქუნა-ს -მდე ისევ ზმნისართად აქცევდა: ქუნამდე. როგორც არ. მარტიროსოვი აღნიშნავს, ამ სიტყვებში ბრუნვის ნიშნები არ ჩანს, რასაც ვერ ვიტყვით საზოგადო სახელებზე. ძველ ქართულში -დ ბრუნვის ნიშნის მოკვეცილი ვარიანტები შედარებით იშვიათია (ზღუდე-დ-მდე, ცა-დ-მდე) (მარტიროსოვი 1960: 238).

ქართული ენის დიალექტებში გავრცელებულია -მდე, -მდის თანდებულთა ნაირგვარი ვარიანტები (ალომორფები): -მდ, -მდე, -მდენ, -მდინ, -მდინას, -მდინს, -მდისინ, -ნდე, -ნდინ, -ნდის... (ჯორბენაძე 1988: 286). ამ თანდებულთა განაწილება სხვაობს კილოთა მიხედვით. მაგალითად, ქართლურში მიწევნითობა გამოიხატება -მდი||-მდინ (ბოლოკიდური ხმოვნის ნაზალიზაციით) || -მდის და კონტამინირებული -მდისინ (||-მდისი) თანდებულებით; კახურში -მდე გვხვდება ასეთი ნაირსახეობებით: ბოლოკიდური ხმოვნის ნაზალიზაციით მიღებული -მდენ (სახლამდენ) და -მდი თანდებულთა ნაზალიზებული ვარიანტი -მდინ (სახლამდი || სახლამდინ); -მდის და -მდინ თანდებულთა კონტამინაციის შედეგია -მდისინ (სახლამდისინ); იპოვება ნ თანხმოვანმოკვეცილი -მდისი ნაირსახეობაც (ჯორბენაძე 1989: 324); დასავლურ დიალექტებში გავრცელებულია -მდე || -მდი || -ნდი || -მდინ- || -ნდინ || -მდისინ || -ნდისინ ფონეტიკური ვარიანტები. მაგალითად, რაჭულში არის -მდის, -მდინ: მისამდის, სახლამდინ, სალამოდინ, დაწყებამდინ, აქანამდინ... იმერულში – -მდი, -

მდი(ნ), -მდისინ: სოფლამდი, სოფლამდინ, გაზაფხულამდინ, რამდინ... (შარაშენიძე 2016: 139). ქვემოიმიერულში -მდე, -მდი თანდებულთა დართვისას ფუძისეული ბოლოკიდური ხმოვანი შეიძლება დაგრძელდეს: დილამდი, სალამომდი ზოგჯერ ჩაწერილია ასე: დილაამდი, სალამოომდი (იქვე, 286).

როგორც მიუთითებენ, რამდენადაც ქართველ ებრაელთა მეტყველება ქართული ენის ბაზაზეა აღმოცენებული (რ. ენოხი), ბუნებრივია, მასში არის საერთო ენობრივი მოვლენები: საანალიზო ტექსტებში გვხვდება ვითარებითი ბრუნვის -მდე, -მდის თანდებულთა თითქმის ყველა ვარიანტი, რაც დამახასიათებელია ქართული ენისათვის. მაგალითები:

-მდე: *...ქალიშვილს ისრაელთა უქმე დღეებში და შაბათობით აატარ-ჩაატარებს, ზევით სალოცავიდგან – დაბლა სალოცავამდე* (თავდ. „ქუთაისის ქართველ ისრაელ ქალთა ცხოვრება“, 1925); *დღემდე იმას ვაკეთებდი, რო რაც წავედი იქედან* (ტექსტები 2014: 215); *ხურჯინში ნახა ასი თუმანი ფული და ერთი ხელი საქორწილო ტანფები სადედოფლო თავიდან ფეხებამდე საუკეთესო* (ქდვ: „ორმოცი წლის თავზე“, №3947); *ფარჩეულით მოვაჭრე პაპამისს... თუ, როგორ გადაუტეხია მათი კუთვნილი ერთ საყენიანი საზომი ლინეიკა და ხიდან მოტეხილი სამ საყენამდე სიგრძის ტოტით* (ბოთერა 2016: 24); *შენ, ვადამდე სამიოდე თვით გვიან იყავი დაბადებული* (ბოთერა 2016: 33); *„შენ, ჩვენი ხარ, შენ კარგი ხარ, შენ აქის ხარ... იმის მოსვლამდე იცოცხლეო!“* (ბოთერა 2016: 24); *ბოლო წუთამდე უნდათ ჩვენით ისიამოვნონ და ჩვენ მათით ვისიამოვნოთ* (ახალი მასალები, 2016, ჩამწ. ს. გუმბ.).

-მდის: *ლოგინობის შემდეგ ექვს კვირემდის საზოგადოებაში არ წავა* (თავდ., „ქუთაისის ქართველ ისრაელ ქალთა ცხოვრება“, 1925); *მამაკაცები ხშირად გათენებამდის ქეიფობენ* (იქვე); *მამაკაცები საფლავამდის მიაცილებენ ქალები კი რიონის პირად ჩავლენ ნატირალები ხელ-პირის დასაბანად* (იქვე)...

-მდი: *შაბათ სალამოს (ვარსკვლავის ამოსვლამდი) არაფერ საქმეს არ გააკეთებს* (თავდ., „ქუთაისის ქართველ ისრაელ ქალთა ცხოვრება“, 1925); *სალამოს რო დაიმარხუებ, სალამომდი ვერ შეჭამ. მერე სუქოთი, შემდეგ სუქოთი არის... ქიშრინი* (თათარაიძე, არაბული 2014: 235); *ყელამდი იყო ყულაფერი* (იქვე); *მივიდა შუა ზღუამდი, ესე რო მიზდევდა ეს მტერი, ისევ დეებრუნებია* (ტექსტები 2014: 237);

მოკიდა ხელი აბშალომ და თრევა-თრევით მიიყვანა **ჭამდი** (ქდვ: „სულამითი“, №3948); აბშალომმა რო გაიგონა ქალის ხმა, თავიდან **ფეხებამდი** კანკალმა აიტანა (იქვე); **შენი გულისთვინ რამდენი მახმადიანი იჩეხამს წლიდან წლამდინ** თავ (თავდ. 1940: 162); ეს ამბავი მივიდა მისი ბატონის **ყურამდინაც** (ქდვ: „ოსეფი – დამაპატიოსნებელი შაბათისა“, №3945)...

**-მდისინ: -მდე || -მდის** თანდებულის **-მდისინ** ვარიანტი არის **-მდე** თანდებულის დიალექტური ნაირსახეობა, რომელიც მიღებულია **-მდის** და **-მდინ** მორფემათა კონტამინაციით. იგი გამოიყენებოდა შუა საუკუნეების ქართული ენის ძეგლებში. მაგალითად, სამხრა-**მდისინ** („ამირანდარეჯ.“). ამჟამად **-მდისინ** გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში: ქართლურში (მისი შემოსვლა... ოთხ **თვემდისინ** ახწევს; დაახლოვებით ორიდან სამ გამარგვალას საჭიროებს მისი **დამთავრებამდისინ**; ექვსიდან რვამდისინ მორწყვა; კახურში: **ნაპირა-მდისინ** – „ნაპირამდე“. გვხვდება -ა სავრცობითაც: **-მდისინა...** (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988: 288). **-მდისინ** ვარიანტი დასტურდება სოფელ ბანძის ქართველ ებრაელთა მეტყველებაშიც: *თურმე წლიდან წლამდისინ ფულ აძლევს ბუბუსაო* (ენუქაშვილი 2001: 79).

**-მდისინი: -მდისინ** თანდებულის **-ი** სავრცობიანი **-მდისინი** ვარიანტი უხვად გვხვდება რ. თავდიდიშვილის მიერ ჩაწერილ მასალაში. ამ თანდებულის საშუალებით გამოხატულია სხვადასხვა სემანტიკა:

ა) **დრო: შაბათიდან შაბათამდისინი** ხომ სულ ცარიელ ხმელ პურზე იყო (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944); *თქვენ პატივისცემასაო მაშიახის მობძანებამდისინი – მეორეთ მოსვლამდი არ დავივიწყებთო* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *ე უპატრონო, ე ახლა ამ დამინებამდისინი ნახული სიძმარი* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *აილე ე ბეჭედი და შეინახე ჩემ დაბრუნებამდისინი, მეე ახლა მამაჩემთან მივდივარ* (ქდვ: „სულამითი“, №3948); *არაფერ ხორციელ ადამდაარსებულ საერთო ჯამაგირის მიცემამდისინი არც ერთი ფარა კბილზე არ დაუკაკუნოთ* (ქდვ: „უდარდელი კაცი“, №3949); *იცადა ნაშუადღებამდისინი, ადგა მერე, დაკეტა თავისი სამუშაო და წავიდა* (იქვე); *მაშინ მიიტანე ფარეების მეორე შეკვრაც, დაღამებამდისინი არ გირჩევ* (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942); *ადგენ და წავიდენ, გზას გაუდგენ, საღამომდისინი*

იარეს. საღამოზე მიადგენ ერთ ჯვარადინ გზაას (ქდვ: „ორი ძმა“, №3946); როგორც რომა დღემდისინი გვიცხორიავე ნამუს ქვეშ და შენახული (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950).

ბ) სივრცე: თავიდგან ფეხებამდისინი ოქროს ტან-ფეხით არი ე ვაშკაცი მორთულ-მოკმაზული... (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); ორივე წაყვენ სულამით და მიიყვანეს თავის მამის სახლამდისინი (იქვე); სულამითის ტან-ფეხი ხომ განთქმული იყო ქვეყნის ქვეყნამდისინი (ქდვ: „სულამითი“, №3948); სულამითმა თავიდგან ბოლომდისინი ჩამოუყვა ყველეფერი რაც მოხთა (იქვე); დაყკა თავიდგან ბოლომდისინი ამ უცხო ქალაქ (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942); გაილო კარი და სისიტიში გახვეული თავიდან ფეხებამდისინი ელიაუნაბადი მიუახლოვდა ჯისი ელიაუს (სანათლო მოწყობილობას) (თავდ. 1940: 151).

-მდისინი დაერთვის რთულ სიტყვასაც: ისე ერთიავე ქვეყნის-ქვეყნამდისინი, რომ გეგო თელ ქვეყანას, რაც იმათმა ჩაიდინეს (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950). ამ ფრაზაში საინტერესოა საანალიზო ფორმის სემანტიკა, რაც გულისხმობს სამყაროს მთელი არეალის მომცველ გაგებას და მოგვაგონებს ცნობილ გამოთქმას ქვეყნის კიდიტგან კიდემდე. შესაძლოა, ამ გამოთქმის გავლენითაც იყოს გაჩენილი ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ქვეყნის-ქვეყნამდისინი. ამ მოსაზრებას გვიმყარებს რ. თავდიდიშვილის მიერ ჩაწერილ ერთ-ერთ ფოლკლორულ ტექსტში არსებული სიტყვაფორმა კიდემდისინი: მისი სახელი განთქმული იყო ცის კიდიდან ცის კიდემდისინი (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944);

გ) სიმრავლე: შეჯდენ ცხენებზე და დიდიდგან პატაროომდისინი წავიდენ (ქდვ „ფარჩხების მხიკავი“, №3950).

საანალიზო მასალის მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ -მდისინ მორფემის სემანტიკა გაცილებით მეტია, ვიდრე მიწვევნილობის გამოხატვა. მისი საშუალებით შესაძლებელი ხდება რაღაცის, კერძოდ, დროის, სივრცის, რაოდენობის შემოსაზღვრა საწყისიდან ბოლომდე (-ითგან > იდან – მდე/-მდე/-მდისინი).

უნდა აღინიშნოს, რომ ბ. ჯორბენაძის, მ. კობაიძისა და მ. ბერიძის „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონში“ არ არის შეტანილი -მდე თანდებულის -ი სავრცობიანი -მდისინი დილექტური ვარიანტი, რომელიც,

შეიძლება ითქვას, საკუთრივ ქართველ ებრაელთა მეტყველებისთვის არის სპეციფიკური.

გარკვეული სპეციფიკის, განსხვავებული სტილისა და ქრონოლოგიის პრინციპის გათვალისწინებით ცალკე განვიხილავთ ვითარებითი ბრუნვის თანდებულთა საკითხს ქართველ ებრაელთა ზეპირ თარგმანებში.

ჩვეულებრივ, „ბერეშითის“ ტექსტში მეტ-ნაკლებად არის იგივე თანდებულები, რომლებიც დამახასიათებელია ქართული ენისა და ქართველ ებრაელთა მეტყველებისათვის. უფრო მეტად გვხვდება **-მდე, -მდი, -მდის, -მდინ** ვარიანტები. მხოლოდ **-მდე** ძირითადად გვხვდება საკუთარ სახელებთან არსებით სახელებთან:

*და გაემგზავრენ იმის ბეთ-ელისაგან; და იყო კიდევ მცირე გზა მოსავალად ეფრათამდე, და იმშობიერა რახელმა და გაუძნელდა მშობიერობა მისი* (ენოხი 2008: 158); *და აიყარა ისრაელი, და გადაწვა და კარავი მისი იმის ჰალასაგან თანა მიგდალ ყედერამდე* (იქვე); *და წავიდა თანა-ყრილობით მისითა იმის სამხრეთით, ვიდრე ბეთ-ელამდე, ვიდრე იმა ადგილსა, რომ იყო იქა კარავი მისი პირველად შუა ბეთ-ელ და შუა ყაინს* (ენოხი 2008: 46); *აბრამი დასახლდა ქვეყანასა ქენაყანისას და ლოტი დასახლდა ქალაქებსა იმის ვაკისას და დაიკარვა ვიდრე სედომამდე* (იქვე, 48); *და იყო საზღვარი იმის ქენაყანისა იმის ციდონისა ბოახა გერარამდე ვიდრე ყაზამდე, ბოახა სედომა და ყამორა და აღმათ ცებორიმი ვიდრე ლაშაყამდე* (იქვე, 36); *და დაიმკვიდრა იმის ხავილასაგან ვიდრე შურამდე, რომ ზედა პირსა მიცრაიმისა, ბოახა აშურა, ზედა პირსა ყოველი ძმებისას დასახლდნენ* (იქვე, 100).

ზოგჯერ **-მდე** თანდებულიან ვითარებითის ფორმებს ზეპირ თარგმანში წინ უძღვის ვიდრე კავშირი, რომელიც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით აღნიშნავს ზღვარს დროში. თვითონაც წარმოშობით ვითარებითია ვი ფუმიდან: **ვი-დ-რე** (ი. იმნაიშვილი). როგორც ზ. სარჯველაძე მიუთითებს, ძველ ქართულში **-მდე/-მდის** თანდებულიანი სახელის წინ ვიდრეს წარმოდგენა ჭარბია და მისი ხმარება ბერძნულის ზეგავლენითაა შეპირობებული (სარჯველაძე 1997: 49). მაგალითები:

*უწინათა დადგებოდენ, კაცები ქალაქისა, კაცები სედომისა შემეეკვლიენ ზედა იმათ სახლსა იმისა ყმაწვილისაგან ვიდრე მოხუცამდე, ყოველი იგი ერი იმის ბოლოსა*

(სიმრავლე) (ენოხი 2008: 68); და ბრძანა უფალმან: მოვშლი იმა ადამიანსა, რომ გავაჩინე მე, იმის პირისა დედამიწისაგან, იმის ადამიანისა ვიდრე პირუტყვამდე, ვიდრე მამრომიალესა და ვიდრე მფრინველსა იმის მცისასა, რამეთუ ვინუგეშე მე, რომ შევექენი ისინი (იქვე, 22); და ამოწყდა იგი ყოველი მარსებელი, რომ ზედა პირსა იმის დედამიწისას, იმის ადამიანისგან ვიდრე პირუტყვამდე, ვიდრე მამრომალებმდე და ვიდრე ფრინველსა იმის მცისასა, და ამოწყდნენ იმის ქვეყნისაგან (იქვე, 28); და დააყენა იაყაკობმა ძეგლი ზედა საფლავსა მისა; ის ძეგლი საფლავი რახელისა ვიდრე ამ დღემდე (იქვე, 158). ვიდრე უძღვის წინ -მდე თანდებულიან ზედსართავ სახელსაც; და მობძანდა ღმერთი იმათ ლაბან არამისთან სიზმარში ღამით და უბძანა მას: გაფთხილდი შენ, არამც ელაპარაკო იაყაკობსა იმის კარგისაგან ვიდრე ცუდამდე (იქვე, 68); და იგი კაცები, რომ კარებსა სახლისას, იცემეს შინა სიბრძნევითა იმის პატარასაგან ვიდრე დიდამდე და დაილაღენ საპოვნელად იმის კარისათვის (იქვე).

-მდე თანდებული ნათესაობითთან ძველ ქართულში ყველაზე მეტი სიხშირით უკუნისამდე სიტყვასთან გვხვდება (იმნაიშვილი 1957: 334). ჩვენს საანალიზო მასალაში გვხვდება სხვა ვარიანტებიც:

-მდის:

და უბრძანა ღმერთმან იმათ აბრაამსა: და შენ იგი პირობა ჩემი შეინახე, შენ და შვილ-მომავალმან შენმან უკანით შენსა უკუნისამდის (ენოხი 2008: 252); და იქნება პეემანი ჩემი შინა ხორცსა თქვენსა თანა-პეემნად უკუნისამდის (იქვე, 60); ნამეტურ ყოველი იგი ქვეყანა, რომ შენ უყურებ, შენთვის მომიცია და თანა თესლის შენისათვის ვიდრე უკუნისამდის (იქვე, 48).

-მდი: და დავაყენებ იმა პირობასა ჩემსა შუა ჩემსა და შუა შენსა და შუა თესლსა შენსა უკანით შენსა თანა-დარაებით მათითა პირობად უკუნისამდი საყოფლოდ შენთვის ღმერთად და თესლის შენისათვის უკანით შენსა (ენოხი 2008: 58); და მოგცემ მე შენ და თანა თესლსა შენსა უკანით შენსა იმათ ქვეყანასა საცხოვრებელსა შენსა იმათ ყოველ ქვეყანასა ქვენაყანისას სამკვიდროდ უკუნისამდი, და ვიქნები მათთვის ღმერთად (იქვე, 58)...

-მდინ: და უბრძანა უფალმან: არ გაასამართლებს სული ჩემი ადამიანსა უკუნისამდინ, შინა რომ კვლავ-დე ის ხორციელი. და იყვნენ დღეები მისი ას ოცი

წელიწადი (ენოხი 2008: 20); ...*მოდიოდენ შვილები ანგელოზებისა იმათ ქალიშვილებსა ადამისას, და ებადებოდათ მათ ისინი იგი ძლიერები, რომ იმის უკუნისამდინ კაცები სახელოვანები* (იქვე); და *დავაყენებ მე იმა პეემანსა ჩემსა მას თანა პეემნად უკუნისამდინ, თანა თესლსა მისა უკანით მისა* (იქვე, 60).

ზეპირ თარგმანებში დაჩნდება ვითარებითი ბრუნვის ალომორფებად მიჩნეულ - **მდე, -მდი, -მდინ** თანდებულთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმაზე დართვის შემთხვევები, რისი ანალოგიც ფოლკლორულ თუ ყოფა-ცხოვრების ამსახველ მასალაში არ შეგვხვდრია. მაგალითები:

*და დარჩა იაყაკობი მარტოდ მისა და შემეეხვია კაცი იმასა, ვიდრე ამოსვლასა რიურაჟისამდე* (ენოხი 2008: 146); *თუმც იმისა ძაფისაგან ვიდრე შურნოკისა ფებსაცმელისამდი თუმც ავილო იმის ყოველისაგან, რომ შენტვის, და არ თქვა: მე გავამდიდრე იგი აბრამი* (იქვე, 52).

ამდენად, ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში დასტურდება თანდებულიან ფორმათა როგორც ახალი, ისე ძველი ქართულისებური წარმოება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია -**ვე** ნაწილაკდართული თანდებულიანი სახელების სპეციფიკური ფორმები, რომლებიც არ დასტურდება ქართული ენის დიალექტებში (ცხენზეავე, კარზეავე, ლოცვაშიავე...); ასევე, დასავლეთ საქართველოსა (ქუთაისი, კულაში, საჩხერე...) და ისრაელში მცხოვრებ ებრაელთა მეტყველებისთვის ნიშანდობლივია -**თვის** თანდებულის -**თვინ** ვარიანტის გამოყენება; -**ი** სავრცობიანი -**მდისინი** ვარიანტი უხვად არის რ. თავდიდიშვილის მიერ ჩაწერილ მასალაში.

თანდებულებისა და მათი ალომორფების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტების მსგავსი საერთოენობრივი მოვლენებია.

### **ნაწილაკები**

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას შეიძლება ახლდეს ნაწილაკები: -**ც(ა)**, -**ვე**, -**ო**... როგორც წესი, ისინი შესაძლოა დაერთოს სხვა მეტყველების ნაწილებსაც. განვიხილავთ ნაწილაკებს:

-**ც ნაწილაკი.** ქართულში -**ცა** გამოიყენება სხვადასხვა ფუნქციით: 1. კითხვითი ნაცვალსახელისა და ზმნისართისაგან აწარმოებს მიმართებით ნაცვალსახელსა ან

ზმნისართს; 2. აძლიერებს სიტყვის მნიშვნელობას; 3. გამოხატავს დამატებითობას; იმავეს, რასაც „აგრეთვე“ ფორმა (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988).

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, სახელთან ხმარებული -ც ნაწილაკი ყველა ბრუნვის ფორმასთანაა შესაძლებელი, გარდა წოდებითისა (შანიძე 1973).

-ც(ა)-სთან დაკავშირებით სპეციალისტთა შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა: მას კავშირად მიიჩნევენ არ. ქუთათელაძე, შერთებით კავშირად პლ. იოსელიანი და მ. ჯანაშვილი, შერიცხულობის მაჩვენებელ კავშირად თ. ჟორდანიას; დ. კარიჭაშვილს, ვ. თოფურიას, ა. შანიძეს იგი ნაწილაკად მიაჩნიათ. ა. შანიძე -ც(ა)-ს გაძლიერებით ნაწილაკს უწოდებს.

-ც(ა) ნაწილაკი ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში უმეტესად ხმოვნის გარეშეა. მას წინ ყოველთვის უძღვის ხმოვანი: ბრუნვის ნიშანი ან მავრცობი (ემფატიკური) ელემენტი, როცა ბრუნვის ნიშანი თანხმოვნით ბოლოვდება (დადიანი 2012: 1).

ქართულ ებრაელთა მეტყველების ამსახველ ტექსტებში -ც ნაწილაკი, ჩვეულებრივ, ბრუნვის ფორმას უკავშირდება ხმოვნის საშუალებით. იგი გვხვდება არსებითი სახელის სხვადასხვა ბრუნვის ფორმასთან, უმეტესად სახელობითსა და მიცემითში: *ჩიტის რძეც რომ ყოფილიყო, მამამისი იქავ ისე აუსრულებდა* (ქდვ: „სულამითი“, №3948); *ისე რომა თქვენი კუკულიც აღარსად დარჩეს* (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941); *ომის დროოს რავა დაიმაღენ ნაზირიც და ვეზირიც* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *შაბათ დღეს სალოცავში დადიან ქალებიც, კაცებიც* (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.); *ის არის ჩვენი მამაცა და დედაცა* (თათარაიძე, არაბული 2014: 30).

მოთხრობით ბრუნვაში ებიანი მრავლობითის ფორმას ახლავს -ც ნაწილაკი: *კვერცხის დაკვრა იციან კაცებმაც, ბავშვებმაც* (თსუფა 1982: №25129).

მიცემითი: *მე ხომ დაგარიგე, რომა შენი გულის პასუხი შენ საკუთარ ცოლსაც კი არ უთხრათქვა* (თავდ. ფა №17749); *იმ ჩემ შენახულ ხუთას მანათ წავიღებო და ბარეღმა საქონელსაც ვიყიდო* (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942); *როგორც უმფროს ქალიშვილ მიცა ოქროს ბურთი, უნცროსსაც ისევ ისე მიცა ხელში* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *ქალაქის თავსაც ეტყვის ხოლმე ძალიან დიდ მადლობასა* (ქდვ:



„ძველების გამყიდველი“, №3952); დადიანი აკეთებს ყველაფერს ოჯახში, **ლოგინსაც** კი ის შლის (თსუფა 1982: №25159); ასეთი პირობა ზღვასთანაც ჰქონდა ცეცხლთანაც (იქვე, №25134).

**მოქმედებითი:** ამ გზობით თქვენც გამარჯვებული დაბრუნდებით, სულ წაღმა იართ, თქვენი სახენწიფოთი და თქვენი ერთგული **ჯართაც**. ამენ (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941).

**ცა** გვხვდება და კავშირის წინ: ხენწიფემ გაცა ბძანება რომა, ჩემი ბატის მწყესი **სიძეცა** და იმის ცოლიც უნდა დემესწრონო წოვილობაზეაო (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); დარიბი ებრალებოდავე **ცოლსაცა** და **ქმარსაც** (ქდვ: „ორი ძმა“, №3946); მყავეულიც ბებრი ექნებოდა ჩემსავით და **ტკბილეულიცა** (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950); **ქორწილის ვადაცა** დაუდვე (იქვე); ე ერთი ქალიშვილი იყო იმისი ყველიფერი **სიხარულიცა** და **სიცოცხლევ** (ქდვ: „სულამითი“, №3948).

**-ო ნაწილაკი.** ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში ხშირად დასტურდება სხვათა სიტყვის **-ო** ნაწილაკი სხვადასხვა ბრუნვის ფორმასთან:

**სახელობითი:** ციხეში არიო ისეთი **ბიჭიო** – დააბანინეთ და წამოიყვანეთ ჩემთანო (თსუფა 1982: №25155); შემიმოწმეთ ამ კაცის **ფიზიონომიაო** (იქვე, №25168); თქვა ხელმწიფემ – ან მხატვარი ტყუა, ანდა ჩემი **მეცნიერებო** (იქვე); ღმერთმა უთხრა, შენ შაბათს გიწერია **გარდაცვალებაო** (იქვე, №25179). იგი გვხვდება თანხმოვანფუძიან სახელებთან მიცემითი ბრუნვის გავრცობილ, ისე გაუვრცობელ ვარიანტთან: **ნეტაო ვიცოდევო, რა შევცოდე გამჩენსაო, რომ არ დამამადლიანაო, სამოძიროზედაო** (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); **კორახი ეჩხუბებოდა მოშეს, რომ შენი მოფიქრებით ბოდავ ყველაფერ კანონებსაო** (ფა №25164); **ებრაელები მიცვალებულის მოსახსენებლად საკურთხს მხოლოდ ცხელს დააწყობენ, ორთქლი მისდის მკვდარსაო** (ფა №25157); **როგორც უფროსი, ვერ დაგიტომობ გზასო** (ფა №25134).

ონელ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში **-ო** ნაწილაკი დადასტურდა თანხმოვანფუძიანი სახელის მიცემითი ბრუნვის ფორმასთან, რომელშიც **-ო** ნაწილაკი პირდაპირ ერწყმის ფუძეს: **მეექვსე საათზე სახელები დაარქვა ყველა სულიერო** (გ. ჯაფარიძე); მსგავსი შემთხვევა რ. ენუქაშვილს შემჩნეული აქვს ბანძელ და ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაშიც: „ჩაიწერეო, რაფერ

ლაპარაკობენ ზანძაში **ქართულო**“; „იქიდან დაიძახა არაფერი დამიშაოთ **სტუმარო**“ (ენუქაშვილი 2011: 5).

სხვათა სიტყვის -ო ხშირად გვხვდება მიცემითში თანდებულიან ფორმებთან: *იქ მე იმდენი ქონების პატრონი ვიყავი და არ შემეშვეს სამოთხეშიო* (ფა №25161); *მე თორა მიკავია ხელშიო* (ფა №25179); *ღმერთი შენ არ დაგლაპარაკებია ამ კანონებზედაო* (ფა №25164); **თანა**-ს მომდევნოდ: *ძალიან დიდი საქმე მააქო თქვენ ბატონთანაო* (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942); *ჩემი ბიძაშვილი ციცილო მოდის ქუთაისშიო* (ახალი მასალები, 2016, ჩამწ. ს. გუმბ.); *ვაითუ მატყუილებსო და შევრცხვეო მამაჩემთანაო* (ქდვ: „სულამითი“, №3948); *ჩვენთანაო წესათ არიო, ვინც უნდა გაიაროსო, სუყველაკანა უნდა მივიღოთო* (ქდვ: „ღარიბი კაცის ამბავი (სიძმარის ახსნა)“, №3951); *გამიმზადე საგძალი, უნდა წავიდეო სხვა ქვეყანაშიო* (თსუფა 1982: №25149).

-ვე ნაწილაკი. ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში საკმაოდ გავრცელებულია -ვე ნაწილაკიანი ფორმები.

ზოგადად, -ვე ნაწილაკთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ჯერ კიდევ საბასთან იგი განმარტებულია ასე: „ვე ესე ართრონი არს ბოლოსი...“ მეცნიერთა ნაწილი (პლ. იოსელიანი, არ. ქუთათელაძე, მ. ჯანაშვილი) მას კავშირად მიიჩნევს, ნაწილი კი (პ. კვიციანიძე) – თანდებულად. დ. კარიჭაშვილს, ა. შანიძესა და ვ. თოფურას -ვე ნაწილაკად აქვთ გამოცხადებული.

ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში -ვე ნაწილაკი შეზრდილია არსებით სახელის სხვადასხვა ბრუნვის ფორმასთან. მაგალითად, მოქმედებითში: *ფეხითვე გახირით ქვა ზედ დადო* (თათარაიძე, არაბული 2014: 166).

გვხვდება თანდებულიან ფორმებთანაც. -ში თანდებულიან ფორმასთან წარმოდგენილია ა ელემენტიც: *დაიჩოქა და გამჩენ მადლობა მუახსენა ლოცვის კარებშიავე* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *ტებლიდგან ხო დაბრუნდა ე ეშეთხელი და გაიხადა, რას ნახამს, ლოცვის კარებშიავე* (ქდვ: „ორი ძმა“, №3946).

ამგვარი ფორმები ქართული ენის დიალექტებში არ დასტურდება. არ ჩანს ბ. ჯორბენაძის, მ. კობაიძის, მ. ბერიძის „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონშიც“.

-ვე ნაწილაკთან დაკავშირებით საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული ნ. სურმავას მოხსენებაში „-ვე ნაწილაკის უცნობი ფუნქციისათვის ქართველ ებრაელთა მეტყველებაში“. ავტორის აზრით, -ვე ნაწილაკი ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ქართული დიასპორისათვის უცხო ფუნქციას ავლენს, კერძოდ, იგი გამოხატავს ობიექტის მრავლობითობას. მკვლევარი ამ უნარის განვითარებას სამწერლობო ძეგლების მონაცემთა მიხედვით ხსნის (სურმავა 2014: 60); უფრო ადრე -ვე - ს შესახებ საუბრობს რ. ენოხი. ამ საკითხზე მკვლევარმა პირველი მოხსენება ჯერ კიდევ 1987 წელს წაიკითხა. მისი აზრით, **დაუხატავე** ფორმაში ე ობიექტის მრავლობითობის ნიშანია, ვ კი – ხმოვანთგასაყარი, როდესაც ხმოვანთა მეზობლობა არა გვაქვს, მაშინ არც ვ თანხმოვანი დაჩნდება (რ. ენოხი 1990: 10-11).

ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაში (რ. თავდიდიშვილის ტექსტებში) არის -ვე ნაწილაკდართული **-ზეავე**, ფორმებიც: *ე მზეთუნახავი ქალიც გვერდში მოიჯინა ამ ცხენზეავე და გააქროლა როგორც ქარ-ნიავი* (ქდკ: „ღარიბი კაცის ამბავი (სიმძარის ახსნა)“, №3951); *მიუყვანეს თებაზეავე, მიუჯინეს გვერდით და დალოცეს* (ქდკ: „ორი ძმა“, №3946).

ტექსტებში შეგვხვდა **იდგან+ა+ვე** ვარიანტიც: *აბშალოში აკოშვიდგანავე შევიდა ოთახში* (ქდკ: „ორმოცი წლის თავზე“, №3947)... **ა+ვე** არის დროის აღმნიშვნელ ზმნისართთანაც: *თუ ამაღამავე დამნიშნამ შენ ქალიშვილზე თვარამა, შენ ოჯახ თელათ ამოვხოცამ ამაღამ* (იქვე).

**-შიავე (-ზეავე)** ფორმები ქართული ენის დიალექტებში არ გვხვდება, თუმცა -ვე ნაწილაკდართული **-შიდა** თანდებულიანი ფორმები არის ზემორაჭულში: ეს ძალიან უხარია ა ხემწიფი შვილს. ყავთ თავის **სახლშიდავე** (ქდკ: №3188: შ. ძიძიგური „ქართული დიალექტოლოგიის მასალები“, გამოცემის ავტორი: ნ. სურმავა); ზემოიმერულში: იმ **თვეშიდავე** თაველი ყვავილს გეიღეფს (ქდკ: №3164).

ქართული ენის დიალექტებში -ვე ნაწილაკიანი გავრცობილი ფორმები ძირითადად დადასტურდა უთანდებულო არსებით სახელებთან: თუ ვერ გამომიგზავნო, ამ **ბაწარსავე** მოაბიო და წამოატანეო და ავიტანო („ხემწიფე და მისი ქალიშვილი“, ჩამწ. დამანა მელიქიშვილი, გრინა ქსოვრელი, №1425); **თხილისავე** ჯოხს გავჩეხდით შუაზე (იოსებ მჭედლიშვილი, №3336, გარეკახური); ყველს

ვადელებთ ბატკნისავე კუჭის ნაყოფით (ქდვ: „მეცხვარეობა“, №2935) (ჩამწერი ლუბა ბოჭორიშვილი, შიგაკახური).

### მავრცობი ხმოვნები

როგორც ცნობილია, ქართულში თანხმოვანზე დაბოლოებული ბრუნვის ნიშნების შემდეგ, ასევე მრავლობითი რიცხვის -თ ნიშნისა და ზოგი ნაცვალსახელის, ზმნისართისა და ნაწილაკის მომდევნოდ გარკვეულ პოზიციაში ჩნდება ხმოვანი -ა, რომელსაც მავრცობს, ემფატიკურ ნიშანს ან მარცვალთლიაობის ა-ს უწოდებენ (ჭუმბურიძე 2016: 93).

-ა-ს გარდა, მავრცობის ფუნქციით სალიტერატურო ქართულში გვაქვს -ი, ხოლო დიალექტებში – -ე,-უ, ჯ. ამათგან ძველ ქართულში იყო მხოლოდ -ა.

მავრცობად მიიჩნევენ -ი ხმოვანსაც. იგი „დაერთვის ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნებს. ემფატიკური -ი ჩვეულებრივ გამოიყენება მაშინ, როცა ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნები რედუცირებულია: წყარო-ს-ი, წარო-თ-ი... მაგრამ გვხვდება მაშინაც, როცა ბრუნვის ნიშნები სრული სახითაა: რკინ-ის-ი, კაც-ის-ი, მეფ-ის-ი, ძმ-ის-ი... იმი-თი, ამ-ით-ი... მოვლენა დიალექტურია (ხევსურული, ფშაური, მთიულური, იმერული) (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988: 205). არნ. ჩიქობავა მიიჩნევს, რომ -ი ჩნდება ბრუნვის ნიშნის მომდევნოდ ფუძეუკვეცელ სახელებში, მაგრამ ვრცელდება ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეუკვეცად სახელებშიც და თანხმოვანზე დაბოლოებულ სახელებშიც (იმით-ი... დიალექტ.: რკინ-ის-ი, კაც-ის-ი... შდრ. მეგრ.-ჭან. კოჩ-იშ-ი...) (ჩიქობავა 1956: 262).

დიალექტებში (ზემოიმერულში, თუშურში...) -ა ემფატიკური სუფიქსის დანიშნულებით გამოიყენება -ე სუფიქსი, ძირსე „ძირსა“, კაცსე „კაცსა“...) (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988: 114). იმერულში -ა სუფიქსის ბადად -ე დაერთვის ნაცვალსახელებსა და ზმნისართებს: შენ-ე „შენა“, ჩვენ-ე, „ჩვენა“ (იქვე).

-ე-ს პარალელურად იმერულსა და ლეჩხუმურში გვხვდება -უ და -გ მავრცობებიც: კაცს-უ, კაცის-უ, კაცით-უ... (ქვემოიმერული), სოფელს-უ || სოფელს-ე || სოფელს-გ... (ლეჩხუმური) (ჭუმბურიძე 2016: 101-102).

მრავალფეროვანია მავრცობი ა-ს ფუნქციები: განსაზღვრულობა, წინადადების რიტმული მონაკვეთების გამოყოფა; სტილისტური საჭიროება; ღია მარცვლის შექმნა;

თანხმოვანთა გაყრა; პოეზიაში ემსახურება რითმასა და რიტმს; გამოიყენება ნაწევრად; სადემარკაციო ელემენტია (დადიანი 2017).

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში დასტურდება ა, ი, ე მავრცობი ხმოვნები, რომლებიც ვლინდება იმავე შემთხვევებში, როგორშიც ქართულ სალიტერატურო ენასა და ქართული ენის დიალექტებში.

-ა **სავრცობი**. სამეცნიერო ლიტერატურაში ემფატიკურ ხმოვნებთან დაკავშირებით რამდენიმე მოსაზრება არსებობს: ნ. მარი მიცემითში დასმულ ა-ს ამ ბრუნვის ნიშნად მიიჩნევდა (მარი 1925: 22-23); ა. შანიძის აზრით, -ა ელემენტი „წარმოშობით ნაშთია განსაზღვრების ნაწილაკისა (ე.წ. ნაწევრისა, ანუ ართრონისა), სახელთან შეზრდილი“ (შანიძე 1953: 48); არნ. ჩიქობავა -ა-ს მსაზღვრელად მიიჩნევს. იგი -ა ხმოვანდართულ განსაზღვრულ ბრუნვებს გამოყოფს განუსაზღვრელისაგან და ამის მიხედვით ასხვავებს ისტორიულად ორ მორფოლოგიურ ტიპს (ჩიქობავა 1956: 267); ამ მხრივ საინტერესოა თ. ზურაბიშვილის შრომები: „ემფატიკური -ა ახალ ქართულში“ და „მავრცობი ა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში“.

როგორც ცნობილია, ძველ ქართულში საზოგადო სახელები მხოლოდითი რიცხვის მიცემით, ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში, აგრეთვე, თანიანი მრავლობითის ყველა ბრუნვაში ბრუნვის ნიშნის შემდეგ დაირთავს -ა ხმოვანს.

„ძველ ქართულ ტექსტებზე დაკვირვებიდან ცხადი ხდება, რომ ემფატიკური -ა დაცულია ყველგან, სადაც მას ძველი ქართულის ნორმები მოითხოვს, მაშინაც კი, როცა ემფატიკური ხმოვანი არ გვხვდება, ძველი ქართულის მოქმედ ნორმებთან გვაქვს საქმე და არა ამა თუ იმ ძეგლის თავისებურებასთან“ (ძოწენიძე 1956: 219).

ძველ ქართულში არის შემთხვევები, როცა საზოგადო სახელებს მიცემითში ნათესაობითსა და მოქმედებითში არ უდასტურდებათ მავრცობი ხმოვანი. ნაშრომში „ემფატიკური ხმოვანი ძველ ქართულში“ (1956) ქ. ძოწენიძე პავლეს ეპისტოლეების მიხედვით ასახელებს შემთხვევებს, როცა სახელები ემფატიკური ხმოვნების გარეშეა.

თანამედროვე ქართულში -ა მავრცობი სახელს დაერთვის ოთხ ბრუნვაში: მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში. გვხვდება, ასევე, ამავე ბრუნვების თანდებულიან ფორმებთან.

ქართული ენის დიალექტებში მავრცობი ა სხვადასხვა სიხშირით გამოვლინდება; დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოს კილოებისათვის, დასავლეთ საქართველოს დიალექტებში კი იშვიათია (ზურაბიშვილი 1956: 232-233).

ქართულში, კახურში, ჯავახურში ემფატიკური ა-ს ხმარებისას შენიშნულია გარკვეული კანონზომიერება: უმთავრესად გამოიყენება პაუზის წინ როგორც წინადადების შიგნით, ისე ბოლოს (მარტიროსოვი, იმნაიშვილი, 1956: 73; იმნაიშვილი, 1974: 194-196; ღლონტი, 1980: 109; მარტიროსოვი 1984: 53).

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში მავრცობი/ემფატიკური ა-ს გამოვლენის თვალსაზრისით საინტერესო ვითარებაა. იგი ძირითადად იმავე შემთხვევებში გვხვდება, როგორც სალიტერატურო ენასა და დიალექტებში.

-ა სავრცობი სისტემებში გამოიყენება მიცემითში, ნათესაობითსა და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებთან, გვხვდება მოთხრობითშიც და იშვიათად ვითარებითში. იგი დასტურდება შესაბამისი ბრუნვის თანდებულის ფორმებთანაც.

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ზოგჯერ გავრცობილია -ვით თანდებულისანი სახელობითი: *ნავთვალეზო გამოქარდი ქარივითა, გამონცქერდი ნეფსივითა* (ფა №25160).

ხმოვანფუძიანი არსებითი სახელები გავრცობილია **მოთხრობით** ბრუნვაშიც: *უფროსმა ძმამა გამოართვა პური* (ქდვ: „ორი ძმა“, №3946); *მივიდა შუა ზღუაში მოიმატა ზღუამა, სუყუელა ჩა... ჩაახჩო ი წყალმა* (ახალი მასალები, ონი, 2016, ჩამწ. ს. გუმბ.).

მოთხრობითი ბრუნვის გავრცობილ ფორმასთან გვხვდება სხვათა სიტყვის **-ო:** *ვინ მოიწონა ამ გოგომასო* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *შენმა მზემასო, ის არ უკადრებიავე ერთი მეორესთვინ* (იქვე). სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ხმოვანფუძიან სახელებთან მ-ს მომდევნო ა ემფატიკური ხმოვნის ფუნქციას ასრულებს (ბეროზაშვილი 1965: 242; ზურაბიშვილი 1972: 47; უთურგაიძე 1986: 52). ა ხმოვანი ემფატიკური ხმოვნის პოზიციაში ხმოვანფუძიან სახელთან მოთხრობითში დასტურდება ქართული ენის დიალექტებშიც: მესხურში (და-მ-ა), რაჭულში (ძმა-მ-ა), გურულში (ხე-მ-ა), აჭარულში (ურე-მ-ა). იგი ხშირია ქართულსა და კახურში, იშვიათია მთის კილოებში (ჭუმბურიძე 2016: 96).

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში მიცემითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში -ა მავრცობი გვხვდება პოზიციის შეუზღუდავად. იგი დასტურდება ყველა ტიპის ტექსტებში. ყველაზე მეტი სიხშირით გამოიყენება მიცემით ბრუნვაში. აქ შესაძლოა გამოირჩეს რამდენიმე შემთხვევა:

**-ა სავრცობი კავშირის წინ:**

*ძმებო, ჩვენე ფულის უნახავი არ ვართ, ფულსა და საქონელსაცა კიდე ბევრ ვნახამთ* (თავდ. ფა №17749); *ჩვენ დაგვიტევებსეო ხენწიფე სიმაგრიო თავის არიშ-ვერიშსაო და ტახტსაცაო* (იქვე); *სიკვდილსა და სირცხვილ გადაარჩინეს* (იქვე); *ნაზირსა და ვეზირ აციებს* (იქვე); *ისინი არ დამაკლებენო კადიშსა და მაფტირსაო* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *თქვენისთანა დიდ ბატონსა და თორა ბაყალსა შვილი არ ქყამსე* (იქვე); *მიადგენ ყასაბსა და მებაყლეს მოწყალების მისაღებათ* (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944); *ნიშნობის დღეს ინიშნება ქორწილი გოგოსა და ბიჭის მეთანხმებით* (ფა №25159); *ჩამოწერილია კანონები ცოლისა და ქმრის მოვალეობის შესახებ* (იქვე). ასეა მრავლობით რიცხვშიც: *ყოველთვის ვიგონებთ, იმ წუთებსა და წამებს, რაც დრო შენ ჩვენთან გაატარე* (პირადი წერილები); *ახლაც ხშირად ვიგონებ იმ დროსა და წუთებს* (პირადი წერილები).

**-ა სავრცობი ფრაზის ბოლოს:**

*ხენწიფე მიადგა გალავანსა* (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941); *უპასუხა სტუმარმა მაინძელსა* (ქდვ: „ვაშკაცის სიბრძნე“, №3943).

როგორც მაგალითებიდან ჩანს, -ა მავრცობი ძირითადად პაუზის თანმხვედრია. თ. ზურაბიშვილის აზრით, პაუზასთან ემფატიკური ხმოვნის გამოყენება მახვილს უკავშირდება. „ემფატიკური -ა მახვილიანია. ის რომ მახვილიანი არ იყოს, დაიკარგებოდა, რადგან სიტყვის უიმისოდაც იგივე მნიშვნელობა ექნება... საქმე ისაა, რომ სიტყვა, რომლსაც მახვილი ემფატიკურ ხმოვანზე აქვს, პაუზასთან რომ არ მოხვდეს წინადადებაში, ერთად მოიყრის თავს ორი მახვილიანი სიტყვა: ერთი ემფატიკური -ა-ს მახვილი და მეორე მისი მომდევნო სიტყვის მახვილი თავში, ეს კი არაბუნებრივი გამოვა“ (ზურაბიშვილი 1956: 232).

ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა -ს-ა-ს მოსდევს სხვათა სიტყვის -ო. უმეტესად ფრაზის ბოლოს, პუზასთან: *როგორც გითხარი – ბრძენი ჯობია წინასწარმეტყველსაო*

(ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941); *ვერ ვაჯობებდი რაბის სიბრძნესაო* (იქვე); *შენ მაინც არავინ მოგაქცევს ყურადღებასაო* (ფა №25163); *მხატვარმა იმართლა თავი, დასტურად სახე არის მოშე რაბინუს – ისრაელისაო* (ფა №25168); *ისე სჭამდა ქვიშასაო, როგორც ხარი თივასაო, წმინდა გიორგი შეუწყრეს, გაიპაროს დილასაო* (ფა №25160) (ასეა – ს. გუმბ. „ნათვალავის შელოცვა“, რიპკა ხახიაშვილი, 73 წ.); *უთხარი ზღვასაო და მოგცემს გზასაო* (ფა №25134); *არ ვყოლივარო გამჩენსაო მოძულეებულო* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940).

მავრცობი ა ხმოვანი -ს ნიშანს დაკარგვისგან იცავს.

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში -ა სავრცობი ნათესაობითი ბრუნვასთან გვხვდება სხვადასხვა პოზიციაში, კერძოდ:

1) და კავშირის წინ: *ხენწიფის ორი უმფროსი ქალიშვილები – ნაზირისა და ვეზირის ცოლები* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *ვაშკაცი არი მზისა და თვარის ზგავსი* (იქვე); *ღარიბისა და ქვრივ-ობოლის შემბრალე იყო* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *მკითხავმა უთხრა რაბისა და იმის ცოლს* (ქდვ: „ორმოცი წლის თავზე“, №3947); *ეწყინათ ძალიან რაბისა და იმის ცოლს ამისთანა ამბავის გაგონება* (იქვე); *მეტი რათ მინდა რომ მქონდეს ღვთისა და თქვენი წყალობა მრავალია ჩემ თავზე* (იქვე); *ვაშკაცი არი მზისა და თვარის ზგავსი* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939).

2) ფრაზის ბოლოს: *რა მეეწონაო ბატების მწყესისაო და ახლოსაც კი არ იკარებდენ* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *მას იმედი ქონდა თავის ქალიშვილისა* (ფა №25173).

3) ერთმარცვლიანი ზმნის წინ: *იმ დროისა ხარ?* (ფა №25158)... *თქვენ ხვთისა ხართ და ღმერთი თქვენია* (ქდვ: „ორი ძმა“, №3946);

4) სუბსტანტიური მსაზღვრელთან როგორც პირდაპირი, ისე შებრუნებული წყობის დროს: *იფნისა ჯობი მიჭირავს – გველის საწკაპუნებელი* (თათარაიძე, არაბული 2014: 152); *მალლა მერცხლისა ბოლოსა* (იქვე); *რომლითაც მოხთა განათება ტაძრისა* (ტექსტები 2014: 235); *წინასწარმეტყველებმა უწინასწარმეტყველეს* (სარასა და იოსების შვილს – გ. ჯაფ.), *რომ ის იქნებოდა ბრძენი და მაშველი ისრაელისა* (თსუფა №25172); *ხვთის გულისთვინ, იწამე ღმერთი ისრაელისა* (ფა №17749); *როცა ხოტევიდან გადმოვიდა ნაწილი ებრაელებისა, ეს ადგილი იყო ცენტრი* (ფა №25124). ტექსტებში დასტურდება ისეთი შემთხვევა, როცა გავრცობილია ნათესაობითში



მდგარი საზღვრული: *ხენწიფეს შვიდობა დეედვა და აშორდა ტრის გულისა* (ქდვ: „უდარდელი კაცი“, №3949).

-ა გვხვდება -**თვის/-თვის** თანდებულიან სახელებთან, თანდებულის წინაც და მის მომდევნიდაც, როცა მას ერთვის სხვათა სიტყვის -**ო** ნაწილაკი: *შეინახვენ მომავალი აღდგომისათვის* (ფა №25129); *ყველაფერს გავუძელი ავის გულისათვის* (პირადი წერილები); *ღმერთო, შენ ნუ შეინახამო ნურა დედას სიმწრისთვისაო* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *...ან ზიარათებზე ვილოცოთო შვილის გულისთვისაო* (იქვე). ასევე **ზედა + -ც**: *ამას ალბათ წერილზედაც მიხვდები* (პირადი წერილები).

-ა დასტურდება სახელის -**გან** თანდებულიან ფორმებთან: *ქვეყნათ ცხოვრობდა ერთი ღარიბი და ლატაკი, ხვთისაგან შეწყალებული ისრეელი-იოსეფი* (ქდვ: „იოსეფი – დამაპატიოსნებელი შაბათისა“, №3945); *ცხრილი ლერწამისაგან არის დამზადებული* (ფა №25159); *რა არის მაგარი ლომისაგან და რა არის ტკბილი თაფლისაგან* (ფა №25144); ამ წინადადებაში -**გან** თანდებული გამოიყენება -**ზე** თანდებულის ფუნქციით (ლომისგან და თაფლისაგან = ლომზე და თაფლზე); *მიხის ამხანაგის დისაგან ვიზა უნდა მივიღო* (პირადი წერილები); *დაიხსენი ისრეელის შვილი ხელისა გაჭირვებისაგან* (თათარაიძე, არაბული 2014: 133).

მოქმედებითში -ა გვხვდება სხვადასხვა შემთხვევაში:

1. -**ც** ნაწილაკის დართვისას: *სულ წალმა იარეთ, თქვენი სახენწიფოთი და თქვენი ერთგული ჯარითაც. ამენ* (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941); *შენე სესხითაც არავის უმართამ ხეელ* (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944).

2. და კავშირით შეერთებულ პირველ წევრთან: *გულითა და სულით დამლოცე რაბი* (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941); *ძალიან რო დაილაღა და მოიქანცა ე ხენწიფე ხეტიალითა და კარკარა სიარულით* (ქდვ: „უდარდელი კაცი“, №3949); *აბანო დაანთებინავე, სუნელებითა და მუშკამბრებითა და მანამდისინი ორივეს თითონ* (ქდვ: „ღარიბი კაცის ამბავი (სიმმარის ახსნა)“, №3951); *ე მესამე სიძე კი ბატების მწყეესი თავისი რაშითა და ორი ხმალით რანაირათ ებგერა იმ მტერ და გაანადგურავე* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *გამვლელ-გამომვლელ მისი ეშხითა და სიმშვენიერით ბნედა მოსდის* (ქდვ: „ორმოცი წლის თავზე“, №3947); *მრავალ აღდგომებს დაესწარით, შენ შენი ქმარშვილითა და დედით* (პირადი წერილ.).

სამოთხის მზგავსი ბალი ქონდა ამ ბატონ, ხითა და ხინარით სამსე, ვარდებითა და სხვადასხვანაირი ყვავილებით (ქდკ: „სულამითი“, №3948).

3. სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკთან: *ოლონდ გამჩენმა კი მაღირსოს ვაიშვილიო და დავინახაო თვალითაო* (ქდკ №3940); *მეო ბებრ ვარჩენო ასე ირემის რძითა და ხორციითაო* (ქდკ №3939); *ახლა კი უნდა ვისარგებლოვო ამ შემთხვევითაო* (ქდკ: „ორმოცი წლის თავზე“, №3947);

ზოგჯერ -ა მავრცობს განაპირობებს რითმა: *გამოყევ ჩემს ლოცვასა, არ გამოხვალ ნებითა, მე გამოგიყვან ძალითა, შავტარიანი დანითა, მარიამის ნეკითა* (ფა №25160).

დასავლური კილოებიდან ა-ს გამოყენება განსაკუთრებით დამახასიათებელია ზემოიმერულისთვის, რასაც ქართლურის გავლენით ხსნიან (ჭუმბურიძე 2016: 96).

რაც შეეხება აღმოსავლურ დიალექტებს, აქ -ა მავრცობი ნათესაობით ბრუნვაში გვხვდება პოზიციის შეუზღუდავად.

ჩვენს საკვლევ მასალაში ვითარებითის ფორმასთან მავრცობი ა არ დადასტურდა.

განალიზებული ტექსტების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ქართველ ებრაელთა მეტყველება არსებით სახელებთან მავრცობი -ა ხმოვნის ხშირი გამოყენებით გამოირჩევა. იგი გვხვდება ყველა ტიპის ტექსტში: როგორც ყოფითსა და ფოლკლორულში, ისე ქართველ ებრაელთა წმინდა წიგნების ზეპირ თარგმანებში და, მსგავსად ქართულისა, უმთავრესად არის პაუზის წინ.

## 1.2. არსებითი სახელის სინტაგმატური ანალიზი

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში არცთუ იშვიათია არსებითი სახელი მსაზღვრელად. საანალიზო ტექსტებში არსებითი სახელი უმთავრესად სუბსტანტიური მსაზღვრელის ფუნქციით გვევლინება.

**სუბსტანტიური მსაზღვრელი.** ქართველ ებრაელთა მეტყველებაში დასტურდება სუბსტანტიური მსაზღვრელის როგორც პირდაპირი, ისე შებრუნებული წყობის ნიმუშები, თუმცა ამ მხრივ სხვაობა შეიმჩნევა ტექსტების ტიპების მიხედვით:

ყოფითი და ფოლკლორული ხასიათის ტექსტებში ჭარბობს პირდაპირი წყობა, ხოლო ზეპირ თარგმანებში – შებრუნებული, ანუ მართული და გადმოცემულია -ის(ა) გავრცობილი ვარიანტით: *ესერა ფოთოლი ზეთიხილისა* (ბერემ., თ. 8); *უკანით იმა საუბრებსა ამეებსა იყო ბძანება უფლისა იმათ აბრამსა შინა სანახაულობითა* (ბერემ., თ. 15); ესე *პური ტანჯულობისა...* („ფესახის აგადა“, ენობი 2014: 74); *ახლა-აქა ყმები, წელიწადსა მომავალსა...* (იქვე).

როგორც რ. ენუქაშვილი აღნიშნავს, გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა მართული მსაზღვრელი სავრცობის გარეშეა: „შინა დღეებსა შჰამის თქვენისას იმისაგან და ეგეხილებათ თვალი თქვენი“ (ენობი 2007: 62). ანალოგიური ვითარებაა მაშინაც, როცა ნათესაობითში მდგარი სახელი „თავსილში“ ასრულებს უბრალო დამატების ფუნქციას და გვხვდება როგორც სავრცობით, ისე მის გარეშეც: „დაიძალა იგი ადამიანი და ცოლი მისი იმის წინაშე უფლისა ღმერთისაგან შინა შუა ხესა იმის ბალისას“, „ნამეტურ შინა მისსა მოიცალა იმის ყოველი საქმის მისისაგან“ (ენობი 2007: 63).

პირდაპირი წყობის დროს გამოიყოფა რამდენიმე შემთხვევა:

ა) მსაზღვრელიცა და საზღვრულიც მხოლოდითშია:

**სახ. ბრ.:** *მოიძია მინდორში სახედრის ხარიელა, დაიწყო ომი 1000 კაცში* (თსუფა 1982: №25144); *სუქის წინა კარებზე ირმის ტყავი, თავ-ფეხი და გულყიათი არი ჩამოკიდებული* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *დაინახეს ოქროს სუქა [კარავი] დგაა* (იქვე); *ამ კოჭლ მებატეს ოქროს ქოჩორი ააქ* (იქვე); *მისი ოჯახი სულ წინ და წინ მიდიოდა წყაროს წყალივით ისეაც* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *იქავ ისე დაიჩოქა და გამჩენ მადლობა მუახსენა ლოცვის კარებშიავე* (იქვე).

**მოთხ. ბრ.:** *ამ დროოს ხენწიფის ქალიშვილმა თვალი მოკრა* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939).

**მიც. ბრ.:** ერთსა და იმავე ფრაზაში მიცემით ბრუნვაში მდგარი საზღვრული გაფორმებულიცაა და გაუფორმებელიც. მაგალითად: *გაშინჯა ამ ჯანიოს* (ასეა გამოცემაში – ს. გ.) *აქიმმა, უთხრავე რომა, სანამდისინიო ირმის რძეეს არ ასმევთო და ირმის ხოორც არ აჭმევთო, ამისი მორჩენაო არ იქნებაო* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939) (რ. ენობის შენიშვნით, ქართველ ებრაელთა შორის გავრცელებული იყო

გამოთქმა ჯანოს ექიმი და არა ჯანოს ექიმი). პირველათ თავყვანი სცაა, ძირ დავარდა და დინდარე კაცის ფეხის ნადგამ კოცნა დაუწყო (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942); ადგა მერე და მამამისის ვეზირ ჩაუგდო კალთაში ბურთი (იქვე); ხენწიფის ქალიშვილი ხო გახთებოდა გასათხუარი, მამამისი მუახლის ხელით ოქროს სინზე წიმფე ნეესვ გაუგ ზანიდა (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939)...

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში სუბსტანტიურ საზღვრელად გამოყენებულ საზოგადო არსებით სახელებთან ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმონითი ელემენტი იკარგება მაშინაც, როცა სახელი საზღვრულის ფუნქციითაა. ეს მოვლენა შეიმჩნევა ონელ ებრაელთა მეტყველებაში: **ცხვრი ჯოგ წყესობენ** (თსუფა 1982: №25155); **ქიფური** (ცოდვათა მიტევების დღე) **მარხვა** მოდის შემოდგომაზე (იქვე, №25126); **ქიფური** დროს ვიცით თავზე შემოვლება შეწირული თუ რამე აქვს (იქვე); **ნაზირობა** ხდება – უნდა ათქვას თვითონ კაცმა. **სამსონისა კი იყო დედი მუცლიდგან** (თსუფა 1982: №25144); **ღვთი სეკტერებ** შენ გაიგებ? (იქვე, №25135); **ყესავი იმდენად მამიპატივმცემელი იყო** (იქვე, №25155). მსგავსი მაგალითები დადასტურდა ჩვენ მიერ ჩაწერილ ონელ ებრაელთა მეტყველებაშიც: **სართი გული, ცომი წესი** (ახალი მასალები, 2016, ჩამწ. ს. გუმბ.) ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის -ს მოკვეცილი ვარიანტი დადასტურდა ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში: **ბაბუამ ივრითი ლაპარაკი არ იცოდა, მაგრამ წაკითხვა იცოდა** (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.); აგრეთვე, ახალციხეში მცხოვრებ ებრაელთა მეტყველებაშიც: **კვერცხი გულს, სახამებელს, უცეცხლო თაფლს, ყინვარ შაქარს...** (ქურჩიშვილი 1945: 199); **ანდა პური-ცომი და მარილი დანაყე** (ქურჩიშვილი 1945: 204); **გულის წასვლის დროს ხავსი ბალახი მოადულე** (იქვე); ანალოგიური შემთხვევა დაფიქსირდა -**ებიან** მრავლობითშიც: **მწყემსად იყვნენ ცხვრები ჯოგში** (თსუფა 1982: №25135).

საინტერესოა ქუთაისელ და ახალციხელ ებრაელთა მეტყველებაში დადასტურებული შესიტყვებები, რომელთა ერთი შემადგენელი კომპონენტია **მდინარე**. მაგალითად: **მდინარე წყალში ჩასვამ და ამოიყვან** (ქურჩიშვილი 1945: 198); **ოქროსქოჩრიანი ვაჟი კი ჩასვეს ხის ყუთში და მდინარე წყალს გაატანეს** (თათარაიძე, არაბული 2014: 100); **როდისაცა გზაზე მდინარე წყალი შეგხვდეს გასავლელი და ის მდინარე ჩქერი იყოს – მოდიდებული არამცა და არამცა იცოდე, არ გამოიჭრა ყელი...**

(ფა №17749)... შეიძლება ვიფიქროთ, რომ მოცემულ კონტექსტებში, განსაკუთრებით კი პირველში (**მდინარე წყალი**), მსაზღვრელი (**მდინარე**) სახელობითშია (ვთქვათ, **გამდინარე წყალი**), მაგრამ მეორე კონტექსტი გვარწმუნებს იმაში, რომ იგი ნათესაობითშია, რადგან ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით: **ჩქერი** ნიშნავს მდინარის სწრაფ დინებას კალაპოტის დაქანებულ ან ქვიან ადგილას. „ჩქერი“ ჰქვია **მდინარის** იმ **ადგილს**, სადაც ქვები ყრია და გაქანებული წყალი, ქაფად გამსკდარი, თავზე ევლება ლოდებს (აკაკი) (<http://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php/>).

ონელ ებრაელთა მეტყველებაში -ს მოკვეცილი სუბსტანტიური მსაზღვრელის არსებობა რაჭულისთვის დამახასიათებელი მოვლენაა. ზოგადად, ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული ს თანხმოვნის დაკარგვა საერთოქართული მოვლენაა.

ბ) მსაზღვრელი მხოლოდობითშია, საზღვრული – მრავლობითში: *ოქროს ქოჩრიანმა, ორივე ქვისლებ მარჯვენა ყურის ბიმბილოები გაუჭრავე* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939)...

გ) მსაზღვრელი მრავლობითშია, საზღვრული – მხოლოდობითში: *ბატების მწყემსი თავის საყვარელ ცოლთან ძალუან ტკბილათა და შაქრათაც იყვენ* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939)...

დ) მსაზღვრელიცა და საზღვრულიც მრავლობითშია. აქ გამოიყოფა ორგვარი შემთხვევა:

ა. მსაზღვრელი **ეზიან** მრავლობითშია: *ახლა ე უმფროსი ქალიშვილების რქები, ნაზირი და ვეზირი დატრიალდენ* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939).

ბ. მსაზღვრელი **თანთან** მრავლობითშია: *ვიგებდი იმათ სეკრეტებ და ვურჩევდი ადამიანთა შვილებს* (თსუფა 1982: №25136).

განხილული მასალის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ: პირდაპირი წყობის სუბსტანტიურ მსაზღვრელთან მიცემით ბრუნვაში მდგარი საზღვრული სახელი გაფორმებულიცაა და გაუფორმებელიც (**ირმის რძეს** || **ირმის ხოორც**), ანუ იგივე ვითარებაა, რაც ცალკე აღებული სახელის ბრუნებისას.

ხშირ შემთხვევაში სუბსტანტიურ მსაზღვრელს მოკვეცილი აქვს ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმოვნითი ნაწილი. ასეა როგორც ონელ, ისე ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაში: **ქიფური მარხვა**, **ქიფური დროს** (ონი).

**შებრუნებული წყობა:** როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, „შებრუნებული წყობა თანამედროვე ქართულში იშვიათია, იგი ფასეულია მხოლოდ თეორიულად, შუქსა ჰვენს იმ განსაკუთრებულ როლს, რომელიც სიტყვათა წყობას ენიჭება მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსურ ურთიერთობაში, მსაზღვრელ-საზღვრულის გაფორმებისათვის, მსაზღვრელის ცვლისათვის ბრუნებისას“ (ჩიქობავა 1976).

შებრუნებული წყობისას სუბსტანტიური მსაზღვრელი სახელობითში მდგარ საზღვრულთან შეიძლება იყოს გავრცობილიცა და გაუვრცობელიც. მაგალითად:

**გავრცობილი:** *...რო წამოვიდენ, ვეღარ მოასწრეს გამოცხოვა, ქვაზე გადააკრეს და შეჭამეს პური ტანჯულობისა* (ახალი მასალები 2017, ჩამწ. ს. გუმბ.); *დადგა დღე სამსჯავროსი, ძალიან ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი მოედანზე* (თსუფა 1982: №25173).

**გაუვრცობელი:** *გადაავლეთ ამათ წვენი სისაძაგლის მათი ხაზირის ნახარში გასაუწმინდურებლათ მათთვინ* (ფა №13869); *დაიკავა ქურჩული ქათმის. თქვა – სანამ ამ ქურჩულ შევჭამდე, არც ერთი ებრაელი ცოცხალი არ იყოსო* (თსუფა 1982: №25141).

ქართველ ებრაელთა ზეპირ თარგმანებში -**გან** თანდებულიანი სახელით გადმოცემულია სუბსტანტიური საზღვრული:

*ქენი შენთვის კიდობანი ხეებისა ფიჭვისაგან, უბეები გაუკეთე იმათ კიდობანსა და შეგლისე შენ ის იმის შიგნით და იმის გარეთ შინა ფისითა* (ბერემ., თ. 6); *კვლავ-დე იმის მფრინველისა ცისაგან შვიდი-შვიდი: ვაჟი და ქალი თანა-სასიცოცხლოდ თესლი ზედა პირსა ყოველ იმა ქვეყანასა* (ბერემ., თ. 7); *და ყოველი კაცები სახლის მისისა, ყმაწვილები სახლისა, ნაყიდი ფულისა იმისი ახლისა შვილისა უცხოთაგან, დაიცვი თენ მას თანა* (ბერემ., თ. 17); *და გაირბინა წინსაგებრად მათთვის იმის კარებისა კარვისაგან და ეთაყვანა დედამიწაზედა* (ბერემ., თ. 18); *და მოგცეს შენ იმა ღმერთმან იმის ნამისა მცებისაგან, იმის სიმსუყნისა ქვეყნისაგან მრავალი ხორბალი და ტკბილი* (ბერემ., თ. 27);

-**გან** თანდებულიანი საზღვრულთან დაკავშირებული სუბსტანტიური მსაზღვრელი მეტწილად გავრცობილია სხვა ტიპის ტექსტებშიც: *ის უშველის ერსა ისრაელისას ხელისა ფელისტიმისაგანო* (თსუფა 1982: №25144); *როცა შევიქენი 80 წლის, მივიღევი თორა მთისა სინაისაგან, ხელისა გამჩენისაგან ლამპრებითა ცეცხლითა* (იქვე); *დაიხსენი ისრაელის შვილი ხელისა გაჭირვებისაგან, ხელისა*

*შეწუხებისაგან...* (თათარაიძე, არაბული 2014: 133). გავრცობილია მსაზღვრელი ვითარებით ბრუნვაში მდგარ საზღვრულთანაც, ოღონდ თანდებულისაა საზღვრული: *შეგვიძლია ამ კაცზე ვთქვათ, რო იყო მისული სიბრძნემდე მოშესა* (თსუფა 1982: №25148).

**ორმაგი ბრუნების მსაზღვრელი.** ფოლკლორული ხასიათის ტექსტებსა და ზეპირ თარგმანებში მსაზღვრელი ხშირად ორმაგი ნიშნითაა გაფორმებული, ე.ი. ორმაგი ბრუნების მსაზღვრელია. იგი რთული ბუნებისაა: ერთი მხრივ, მართულია საზღვრულის მიერ და ამიტომ ნათესაობითი ბრუნვის ფორმას გვიჩვენებს, და, მეორე მხრივ, იგი ბრუნვასა და რიცხვში ეთანხმება იმავე საზღვრულს. ამიტომ მას მართულ-შეთანხმებულ მსაზღვრელსაც უწოდებენ. ი. იმნაიშვილის აზრით, რადგან ორმაგი ბრუნებისას პირველად ყოველთვის ნათესაობითის ნიშანია მოცემული, შემდეგ კი – სახელობითისა (მოთხრობითისა, მიცემითისა...), ამიტომ ამ ფორმებს უნდა ეწოდოს ნათესაობით-სახელობითი, ნათესაობით-მოთხრობითი, ნათესაობით-მიცემითი და ა.შ. (იმნაიშვილი 1957: 586).

ორმაგი ბრუნების მსაზღვრელის ფორმა მიჩნეულია **ნანათესაობითარი მიცემითის** ბრუნვადაც. ამასთან დაკავშირებით ტ. ფუტკარაძე აღნიშნავს: „მსაზღვრელის განმარტობით წარმოდგენის შემთხვევაში ამა თუ იმ ბრუნვაში დასმული საზღვრულის კომპენსაცია ხდება შესაბამისი ბრუნვის ნიშნით; მაგალითად: „მეზობლის ბავშვმა იცეკვა“; შდრ.: „ჩემმა ბავშვმა იმღერა, მეზობლისამ – იცეკვა“ (დასახელებულ შემთხვევაში საზღვრული კონტექსტით იგულისხმება). თუ მიცემითში განმარტოვდება **გარემოების** გამომხატველი სახელის **ნანათესაობითარი** მსაზღვრელი, საზღვრული ზოგჯერ კონტექსტით აღარ ივარაუდება; განმარტოებული მსაზღვრელი დამოუკიდებელ ფორმად გვევლინება და ზმნასთან უშუალოდ ამყარებს კავშირს; მაგალითად: „გიორგისას მივალ“ (შდრ.: გიორგის სახლში მივალ); „წამოსვლისას წამოიყვანე (შდრ.: წამოსვლის დროს წამოიყვანე)... „გიორგისას“, „წამოსვლისას“ ტიპის ფორმების „-ს“ წარმოშობით ჩავარდნილი საზღვრულის კომპენსაციაა“ (ფუტკარაძე 1986: 69).

**ნანათესაობითარი მიცემითის** ფორმებთან დაკავშირებით მსჯელობს რ. ენუქაშვილი ნაშრომში „ქართველ ებრაელთა მეტყველების ზოგიერთი

თავისებურება“. მისი აზრით, ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ნათესაობით-მიცემითის ფორმები „თან“ თანდებულიანი მიცემითის როლშიც გვევლინება. მაგალითად: „დღესე არ გამხსენებია, თვარა ხო დაგაბარებდი **ბიძია მეირასას** ერთ საკაბეს“ (= დაგაბარებდი ბიძია მეირასთან). აქვე მეცნიერი შენიშნავს: „თუმცა აქ სხვაგვარი გააზრებაც შესაძლებელია: დაგაბარებდი იქ, სადაც ბიძია მეირა მუშაობს. ესეც სცილდება ნათესაობით-მიცემითის ჩვეულებრივ გაგებას“ (ენუქაშვილი 2001: 79).

ნანათესაობითარი მიცემითის ფორმები უხვად არის „თავსილში“:

*და ავიღებ კვერსა პურისას* (ბერემ., თ. 18). *და იგი კაცები, რომ კარებსა სახლისას, იცემეს შინა სიბრძავითა იმის პატარასაგან ვიდრე დიდამდე და დაიღალენ საპოვნელად იმის კარისათვის* (ბერემ., თ. 19); *და მობძანდა ღმერთი იმათ აბიმელეხსა სიზმარსა ღამისას და უბძანა მას: ესერა შენ მოკვდები ზედა იმა დედაკაცზე, რომ შეგირთვია შენ, და ის დარქმეული ქრმობითა* (ბერემ., თ. 20); *და გაწვართნა აბრაამმა იგი აბიმელეხი ზედა მიზეზსა ჭისა წყლისასა, რომ წაგლიჯეს ყმებმან აბიმელეხისამ* (ბერემ., თ. 21); *შინა ქვეყანასასა ისრაელისასა* (ენოხი 2014: 74);

ქართული ენის დიალექტებიდან ნანათესაობითარი მიცემითის ფორმები დასტურდება ქვემოთმეორულში, ლეჩხუმურსა და აჭარულში... ისინი გამოხატავენ ლოკაციას, მყოფობას (შარაშენიძე 2016: 76). ნანათესაობითარი მიცემითი დამახასიათებელია გურულისა და მესხურ-ჯავახურისთვისაც; აჭარულსა და იმერხეულში ადგილის გარემოების გამოსახატავად „მეზობლისას“ ტიპის ფორმების ნაცვლად გამოიყენება **გიორგისან+ს**, **გიორგისან** ტიპის ფორმები (სახელობითში იქნება გიორგის+ან+ი); დროის გარემოების გამოსახატავად „წამოსვლისას“ ფორმების ნაცვლად დასტურდება „წამოსლიხან“, „ჭამიხან“ (ჭამის ხანს) სახის ზმნისართები (ფუტკარაძე 1986: 70).

ორმაგი ბრუნების მსაზღვრელ-საზღვრული მრავლად გვხვდება რ. თავდიდიშვილისა და გ. ჯაფარიძის მიერ ჩაწერილ მასალაში. ჭარბობს შემთხვევა, როცა საზღვრული მიცემითშია. მიცემით ბრუნვაში მდგომ საზღვრულთან მსაზღვრელი ორმაგად დაირთავს ბრუნვის ნიშანს (-ის+-ს). მსაზღვრელი უფრო მეტად გავრცობილია:



დაინახა და ესე რა იდგა ბაღსა ბითანისას და შინა მისსა ყოველი ხე სანატრელი (დადუნაშვილი... 1999: 74); *სახელსა გამჩენისას ვადიდებ* (იქვე, 53); *ულხინე ავანტყოფს ისრაელისასა* (იქვე, 49); *უხსენი მეტყვესა ისრაელისასა* (იქვე); *ნუ გაუჭირვებ ნურსიდ მშობიარეს ისრაელისასა* (იქვე); *ჭიქას შველისას ავიღებ* (იქვე, 53). *დამიწერე მათი თავი წიგნსა ციციცხლისასა, წიგნსა მშვიდობისასა, წიგნსა სარჩობისასა...* (თათარაიძე, არაბული 2014: 134).

საანალიზო მაგალითები (პირველის გარდა) უმეტესად სარწმუნოებრივი მომენტების შემცველი ტექსტებია, ლოცვის ნაწყვეტებია. ისინი დასტურდება რ. თავდიდიშვილის მიერ ჩაწერილ ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში.

ორმაგი ბრუნების მსაზღვრელის შემთხვევები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გვხვდება ონელ ებრაელთა მეტყველებაშიც: *ის უშველის ერსა ისრაელისასა ხელისა ფელისტიმისაგანაო* (თსუფა 1982: №25144). ეს წინადადება ჩაწერილია გ. ჯაფარიძის მიერ. მოქმელია იონა ბუზუკაშვილი, რომელსაც კარგად სცოდნია ებრაული და პირდაპირ ზეპირად თარგმნიდა ბიბლიურ ამბებს („დგმებს“) ებრაულიდან.

რა ვითარებაა ამ მხრივ ზეპირ თარგმანებში? „თავსილში“ ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებათა მხრივ არაერთგვაროვანი ვითარებაა. ამასთან დაკავშირებით წერს რ. ენუქაშვილი ნაშრომში „ძველი ქართულის ელემენტები თავსილში“. ავტორი მსჯელობს ნათესაობითი ბრუნვის ერთ-ერთ ფუნქციაზე, როგორცაა **მართული მსაზღვრელის** გამოხატვა. იგი მიუთითებს აქ არსებულ ფორმათა სიჭრელეზე და გამოყოფს რამდენიმე შემთხვევას:

ა) ემფატიკური ხმოვანი წარმოდგენილია: „ესერა მოგეცით მე თქვენ იგი ყოველი ბალახი მათესლებელი თესლისა“;

ბ) სავრცობი არ ერთვის მართულ მსაზღვრელს: „შინა დღესა შჭამის თქვენისას იმისაგან და ეგეხილებათ თვალი თქვენი“;

გ) ნათესაობით ბრუნვაში მდგარი სახელი გამოხატავს უბრალო დამატებას. ამ ფუნქციითაც „თავსილში“ სახელები წარმოდგენილია როგორც სავრცობით, ისე მის გარეშეც:

-ა სავრცობით: „დაიმალა იგი ადამიანი და ცოლი მისი იმის წინაშე უფლისა ღმერთისაგან შინა შუა ხესა იმის ბალისას“;

სავრცობის გარეშე: „ნამეტურ შინა მისსა მოიცალა იმის ყოველი საქმის მისისაგან“ (ენოხი 2007: 62-63).

ქართველ ებრაელთა ზეპირ თარგმანებში ორმაგი ბრუნების მსაზღვრელად გვხვდება სახელის როგორც გავრცობილი, ისე გაუვრცობელი ფორმები:

გავრცობილი: ...და სიბნელე ზედა პირსა უფსკუნისასა (ბერემ., თ. 1); და დასადგმურდა იმის აღმოსავლეთით თანა ბალსა ბაღისასა იგი ქერუბიმები და იგი მოლაპლაპე იმისა (ბერემ., თ. 3); და ნოახმა იპოვნა ხუნჯულობა შინა თვალსა უფლისასა (იქვე).

გაუვრცობელი: ესენი გვარიშვილობაები იმის მცებისა და იმის ქვეყნისა შინა გაჩენასა მათსა, შინა დღესა ქნასა უფლისას ღმერთისა ქვეყანა და მცებისა (ბერემ., თ. 2); ... ზედა პირსა ყოველი ძმებისას დასახლდნენ (ბერემ., თ. 25).

„თავსილში“ გვხვდება ნანათესაობითარი მოთხრობითის ფორმებიც: და დაინახა შვილებმან ანგელოზებისამან იგი ქალიშვილები ადამისა... (ბერემ., თ. 6); და ჩამობძანდა უფალი თანა-სანახავად იმის ქალაქისა და იმის კოშკისათვის, რომ ააშენეს შვილებმა ადამიანისამ (ბერემ., თ. 11); და უბძანა მას მალახმან უფლისამან: შეიქეცი იმათ ქალმატონსა შენსა და დაიტანჯე ქვეშეთ ხელებსა მისა (ბერემ., თ.16); გამსახუროს შენ შვილებმა დედიშენისამან, მაწყევარი შენი წყეულს იქნეს, მაკურთხებელი შენი კურთხეულს იქნეს (ბერემ., თ. 27); და მიბძანა იმათ ჩემსა ანგელოზმან ღმერთისამან სიზმარში: იაყაკობ! და მოვახსენე: აგერ მე (ბერემ., თ. 31).

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ორმაგი ბრუნების ფორმები უმეტესად დასტურდება ზეპირი თარგმანებსა და ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ ტექსტებშიც (უმეტესად ლოცვებსა და რელიგიური ხასიათის ამბებში). შესაძლოა ვიფიქროთ, რომ მსგავსი ფორმების /ყალიბების არსებობა ყოფითი და ფოლკლორული ხასიათის მასალაში ზეპირი თარგმანების გავლენის შედეგია (გ. ჯაფარიძის ტექსტებში მოქმელი ი. ბუზუკაშვილი პირდაპირ კითხულობს და თარგმნის ებრაულიდან, სავარაუდოდ, რ. თავდიდიშვილის მიერ ჩაწერილ ზოგიერთ ტექსტშიც. ასეთია აბრაამ სეფიაშვილის სარწმუნოებრივი შინაარსის ამბავი).

ამგვარად, ქართველ ებრაელთა მეტყველებაში დასტურდება სუბსტანტიური მსაზღვრელის როგორც პირდაპირი, ისე შებრუნებული წყობის ნიმუშები, თუმცა ამ მხრივ სხვაობს ტექსტები ტიპების მიხედვით: ყოფითი და ფოლკლორული ხასიათის ტექსტებში ჭარბობს პირდაპირი წყობა, ხოლო ზეპირ თარგმანებში – შებრუნებული.

## თავი II. ზედსართავი სახელის ფორმაცვალება ქართველ ებრაელთა მეტყველებაში

ზედსართავი სახელი ქართულში მეტწილად გვხვდება არსებითთან ერთად, იშვიათად შეიძლება იყოს ცალკეც. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, „არსებითი სახელისაგან განსხვავებით, ნებისმიერი ზედსართავი ბრუნვის ფორმით შეიძლება წარმოდგენილი იყოს ორგვარი **პარადიგმის სახით** – როგორც **სრული** და როგორც **ნაკლული** პარადიგმა. ეს განსხვავება ზედსართავის ფუნქციურ არაერთგვაროვნებას უკავშირდება“ (არაბული 2011: 146). ცალკე მდგომი ზედსართავი ფუნქციურად არსებითი სახელია და, შესაბამისად, მისი ფორმაწარმოება ისეთივეა, როგორც მსგავსი ფუძის არსებითი სახელისა. აქ მას დაკარგული აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა. აქ მას გამოცლილი აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა. ზედსართავი სახელის უმთავრესი ფუნქცია არსებითი სახელის ნიშან-თვისების გამოხატვაა. ამ შემთხვევაში იგი მსაზღვრელი სახელია და მისი ფორმაწარმოება განსხვავდება ცალკე მდგომი ზედსართავისაგან. წყვილში იგი ქმნის ბრუნების არასრულ პარადიგმას.

ასეა წარმოდგენილი ზედსართავი სახელი ქართველ ებრაელთა მეტყველებაშიც:

იგი დამოუკიდებლად იშვიათად გამოიყენება და ასეთ შემთხვევებში ასრულებს სხვადასხვა ფუნქციას, კერძოდ, ის შეიძლება იყოს: ა) შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი; ბ) ვითარების გარემოება; გ) ქვემდებარე და დამატება (პირდაპირი, ირიბი).

### 2.1. ზედსართავი სახელის პარადიგმატული ანალიზი

ზედსართავი სახელი ორგვარია: ვითარებითი და მიმართებითი. ვითარებითი ზედსართავი სახელი მიმართებითისაგან განსხვავდება რამდენიმე ნიშნით: აწარმოებს ხარისხის ფორმებს, ასევე, უნარი აქვს გარკვეული ზმნიზედები დაიკავშიროს და

ადვილად იღებს ზმნიზედურ ფორმას. მიმართებითი ზედსართავი სახელი კი აერთიანებს „სხვადასხვა სიტყვაწარმოებითი მოდელით მიღებულ სიტყვებს“ (არაბული 2011: 149).

მიმართებითი ზედსართავი სახელი, რომელიც გამოხატავს ერთი საგნის თვისებას მეორესთან მიმართებით, მიიღება როგორც წარმოქმნით, ისე თხზვით. ქართველ ებრაელთა მეტყველებაში გვხვდება მიმართებით ზედსართავ სახელთა პრეფიქსული, სუფიქსური და პრეფიქს-სუფიქსური წარმოება. რაც შეეხება თხზულ ფუძეებს, დასტურდება როგორც ნაირგვარფუძიანი, ისე ფუძეგაორკეცებული მიმართებითი ზედსართავი სახელები.

ფორმაწარმოების მხრივ ვითარებითი ზედსართავი სახელი ისევე იბრუნვის, როგორც შესაბამისი ფუძის არსებითი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, როცა იგი ცალკე დგას, კარგავს ზედსართავის ფუნქციას და წარმოგვიდგება არა მარტო ზმნისართის (ვითარებით ბრუნვაში), არამედ არსებითის რანგშიც. მსგავსად ვითარებითი ზედსართავი სახელისა, ცალკე აღებულ მიმართებით ზედსართავსაც გამოცლილი აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა და მეტწილად მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებს. საანალიზო მასალაში ზედსართავი სახელი გვხვდება სხვადასხვა ბრუნვის ფორმით. ქვემოთ ცალ-ცალკე განვიხილავთ სხვადასხვა ტიპისა და დაბოლოების ზედსართავი სახელის ფორმაცვალების კანონზომიერებებს. ზედსართავი სახელების გამოყენების თვალსაზრისით ტექსტებში ვითარება არაერთგვაროვანია. ბუნებრივია, ამას განაპირობებს ტექსტის ტიპი, ჟანრობრივი სპეციფიკა. შესაბამისად, ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, თემატიკიდან გამომდინარე, მდიდარია ზედსართავი სახელებით. ჩვენს საანალიზო მასალაში იგი უფრო მეტად გვხვდება რ. თავდიდიშვილის მიერ ჩაწერილ ტექსტებში.

### **2.1.1. ზედსართავი სახელის ბრუნვები**

#### **სახელობითი ბრუნვა**

**თანხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელი.** თანხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელები ისევე იბრუნვიან, როგორც შესაბამისი ფუძის არსებითი სახელი

მხოლოდობითსა და მრავლობითში. სახელობით ბრუნვაში იგი გაფორმებულია -ი ნიშნით, იშვიათად ნულოვანი ალომორფითაც, მაგალითად:

**ვითარებითი:** ბევრნაირი ხალხი ნახა, ბევრი ადამიანის ხასიათი და ნაქციერობა ისწავლა, ზოგი დინდარე შეხვდა, ზოგი ღარიბი, ზოგი ავანტყოფი, ზოგი ნამუსიანი და კარში გამოუტანელი, ზოგი პირღია და შეუნახავი, მაგრამ არ იქნა და უდარდელი კაცი ვერსად ვერ ნახა (ქდვ: „უდარდელი კაცი“, №3949); **მახინჯი** ჭიპიდან მუხლებამდე ადამიანს დაემსგავსა (ფა №12069). მოცემულ წინადადებებში ცალკე მდგომ ზედსართავთან მოიაზრება კონტექსტურად შეპირობებული საზღვრული წევრები (ხალხი, კაცი), რომელთაც ხელმეორედ აღარ ახსენებს ტექსტის ავტორი (მთქმელი).

**მიმართებითი:** ბევრნაირი ხალხი ნახა, ზოგი ავანტყოფი, ზოგი ნამუსიანი და კარში გამოუტანელი, ზოგი პირღია და შეუნახავი, მაგრამ არ იქნა და უდარდელი კაცი ვერსად ვერ ნახა (ქდვ: „უდარდელი კაცი“, №3949); ვერ გამოუდგა ხეირიანი, ვერ დააფასა ღირსეულად ხენწიფის ოჯახი (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); ჩამოჯდა ჯავრიანი (ფა, №17740); შვილები ყავდავე იმსიჭკვიანი და გონიერი, ლამაზი და მეცნიერი, ნიჭიერი და შორმჭვრეტელი. გამოტოვებული იყო იმსიჭკვიანი – ს. გუმბ.); რომ არა ვარ არც უწმინდური, არც მტრის მოგზავნილი. მე ვაარ წმინდა ქალწული უცოდველი (ქდვ: „სულამითი“, №3948); სასიკვდილოთ გამოყვანილი იდგა უბედური (ფა, №17749); სამივე უკულმართი იყვნენ (ფა №17712); წამოვიდა საწყალი კაცი თვალცრემლიანი, გულნალვლიანი (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950);

საანალიზო მასალაში უხვად არის მიმღეობური ფორმები სახელობითში: ქვეყნად ცხოვრობდა ერთი ბედნიერი ოჯახი, დინდარე და პატიოსანი, მისვის მიმღევარი (თავდ. 1940: 146); დაუნახივარვე დამონებული, დამიჭირეს ქურდი ვგონებივარვე (ფა №17751); იჯდა სახლში დათალხული, ფლასებში გამოწყობილი და ტიროდა (ფა, №17750); მიდის დაღონებული, დანა კრიჭას არ უხსნის (ფა №17749); ამთენი მოწვეული სტუმარი გამწვარი დარჩა (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); სულამითის ტანფეხი ხომ განთქმული იყო ქვეყნის ქვეყნამდისინი (ქდვ: „სულამითი“, №3948); განდიდრებული ჯორ-აქლემებით აკიდებული ქონებით გაისტუმრეს თავის სახლში

(თავდ. 1940: 157); წამოვიდა საწყალი კაცი... **გაწბილებული** და შერცხვენილი, **თავტარაბუადასხმული** დაბრუნდა შახში (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950);

**ხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელი.** ცალკე მდგომი ხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელები სახელობით ბრუნვაში მეტწილად წარმოდგენილია **ნულოვანი** ალომორფით, ზოგ შემთხვევაში კი ავლენენ თავისებურებას, დაირთავენ - ი სუფიქსს:

**ვითარებითი:** *მე რომ მამა მომიკვდა, პატარა დავრჩი 5 წლიის* (ფა №17752).

ყოფითსა და ფოლკლორულ ტექსტებში იშვიათად შეიძლება გაფორმებული იყოს -ი ნიშნით: *შეეწნათ პეტერაი, მაგრამა ყუდრო და კარქი ოჯახი* (ქდვ: „ღარიბი კაცის ამბავი (სიძმარის ახსნა)“, №3951); *დიდი და პატარაი, დინდარე და ღარიბი ყველა იმათი მადრიელი* იყო (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950).

**მიმართებითი:** *ჩამოჯდა ჯავრიანი, მწუხარე, აგონდებოდა ძმანები* (ფა №17740); *უჭკუო იყავი ამ წუთისოფელზე* (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944).

საანალიზო ყოფითსა და ფოლკლორული ხასიათის ტექსტებში დადასტურდა თანხმოვანფუძიანი სახელის – **მდიდარის** – საინტერესო ფორმა, ხმოვანფუძიანი ვარიანტი **დინდარე**, რომელიც ძალიან გავრცელებულია ქუთაისის ებრაელთა მეტყველებაში. მაგალითები: *ქვეყნად ცხოვრობდა ერთი ბედნიერი ოჯახი, დინდარე და პატოსანი, მისვის მიმდევარი* (თავდ. 1940: 146); *ზოგი დინდარე შეხვდა, ზოგი ღარიბი, ზოგი ავანტყოფი, ზოგი ნამუსიანი* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3949); *უფროსმა უთხრა უმცროსს: შენე მარჯვნით წადი, ხენწიფე გახთები, მე კი მარცხნით წავალ და დინდარე გავხთები* (ქდვ: „ორი ძმა“, №3946); *დიდი და პატარაი, დინდარე და ღარიბი ყველა იმათი მადრიელი იყო* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950). ასეთივეა **მწირე** (/მწირი): *ჩემი ბოუშობა იყო ასეთი, ძალიან მწირე* (ტექსტები 2014: 212), აგრეთვე, **ფუჭე** (/ფუჭი) (იხ. ზემოთ). ე-ზე დაბოლოებულია, აგრეთვე, იმსიმშვენიერე (იხ. ქვემოთ). *იმსიმშვენიერე ღმერთ ყოლამზე მეორე არ ყავდა გაჩენილი (სულამითი) სულამითმა ორისწამით დაიკვივლა ცივათ* (ქდვ: „სულამითი“, №3948).

ზედსართავ სახელს რიცხვი არ ეწარმოება, თუმცა გვხვდება **ებიანი** მრავლობითის ფორმითაც. ასეთ შემთხვევაში ხდება ზედსართავის გაარსებითება (სუბსტანტივაცია). მაგალითად: **დიდები** სამსახურში წასულიყო (ახალი მასალები,

2016, ჩამწ. ს. გუმბ.); **ახლა დიდები ლაპარაკობენ და ქართული... ბოვშები იქანა პატარა ებრაელები აღარ ლაპარაკობენ ქართულად** (იქვე); **სუყველა კარქები იყვენენ, მაგარამ ყველას ჯობდა აბილაილი** (ქდვ: „სულამითი“, №3948); **წმინდა დავითს ოთხმოცდაცხრამეტი ცოლი ჰყავდა, ყველანი ლამაზები და უმშვენიერესნი** (თათარაიძე, არაბული 2014: 125). **უფროსმა ჩამოართვა გარეცხილები...** (დადუნაშვილი... 1999: 22); **როგორც პეტერეები, მეზუზას რო ვერ აუწვდენ საკოცნელათ, დედამ აწიავე ორივე** (თავდ. 1940: 138). ამ შემთხვევაში პეტერეები მიღებულია ფონეტიკური ცვლილებით: **პატარაები > პატარეები > პეტერეები**.

### **მოთხრობითი ბრუნვა**

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ზედსართავ სახელს მოთხრობით ბრუნვაში, სალიტერატურო ქართულის მსგავსად, დაერთვის -მა (თანხმოვანფუძიანს) და -მ (ხმოვანფუძიანს).

### **თანხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელი**

**ვითარებითი: დიდმა კი შეუტია აბშალომ, რა შენი საქმე არიო** (ქდვ: „სულამითი“, №3948). **არაფერი მიყიდოო, დიდმა მითხრა** (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.)...

**მიმართებითი: აქ ქოჩრიანმა უთხრავე, რომა მეო ფარეები და ნიქვთიო არ მინდაო** (ქდვ: „ბატის მწყემის“, № 3939); **სულგამწარებულმა ვთქვი მე მოვიპარეთქვა** (ფა №17775)...

### **ხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელი**

**ვითარებითი: პეტერამ ტირილი დაიწყო** (ქდვ: „სულამითი“, №3948)...

**მიმართებითი: იქავ ისე უთხრა დინდარემ** (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942); **აან რა საშუალებით შეიძლება, რომ ამ საბრალომ ადამიანის მსგავსება მიიღოს** (ფა №12069)...

### **მიცემითი ბრუნვა**

### **თანხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელი**

თანხმოვანფუძიან ზედსართავ სახელებთან, არსებითი სახელების მსგავსად, მიცემითი ბრუნვის ნიშნად ძირითადად გვევლინება -ს და Ø (ნულოვანი) ალომორფი. შეიძლება იყოს -ა ხმოვნით გავრცობილიც (-ს-ა):

### **ვითარებითი:**



-ს: მეფის დედა და მეუღლე გაკვირვებული მისჩერებოდნენ **მახინჯს** (ფა №12069)...

**მ:** აქამდე დიდები წვრილებ ყლაპამდენ, ახლა დიდებსაც დაუწყეს გადაყლაპვა (თავდ. 1940: 131)...

ურამელი ებრაელის მეტყველებაში ვითარებითი ზედსართავი წითელი შეგვხვდა ებიანი მრავლობითის ფორმით: **უნდა მორთო სახლი წითლებითა** (დადუნაშვილი... 1999: 71). ამ მაგალითში კონტექსტურად მოიაზრება საზღვრული წევრიც.

**მიმართებითი:**

-ს: უფროსი **უმცროსს** ბრალობდა, **პეტერა** არიო, დიდ ნატებ პუურ იმას მიცემდა (ქდვ: „ორი ძმა“, №3946)...

**მ:** იეკუთიელი ზიზლით უყურებდა **მდიდრებ**, არაფერ დროში იმათთან არც დაჯდებოდა (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944); **მდიდრებ** მისი დასაფლავება არც კი უნდოდავე მაგრამა, ღარიბები გემეესარჩლენ აქა-იქა (იქვე)...

**მოვანფუძიანი ზედსართავი სახელი**

ხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელი ყოველთვის გაფორმებულია -ს ნიშნით:

**ვითარებითი:** **ჩემსავით... ბრმას** გაყოლოდაო (ქდვ: №3950); **ამ პეტერას** ურტყამდა, (ქდვ: „სულამითი“, №3948)...

**მიმართებითი:** **არაფერ** დროში არ ტევებდა, **არც მბინარეს** და **არც ღვიძარეს**, მისი ერთგული ყმა იყო (ქდვ: „სულამითი“, №3948); **ჩემსავით ხნიერსა** და **ბრმას** გაყოლოდაო (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950); **დაღალულსა** და **დაქანცულს** ღრმათ ჩაძინებოდა (ფა №17751).

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი მასალების მიხედვით უნიშნო მიცემითის ფორმები უმეტესად დასტურდება ფოლკლორულ ხელნაწერ ტექსტებში როგორც ქუთაისელ, ისე ონელ ებრაელთა მეტყველების ნიმუშებში, რასაც ვერ ვიტყვით ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ 2005 წელს ჩაწერილი ტექსტების შესახებ. საანალიზოდ აღებული ძველი და ახალი მასალების შედარების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ერთდროულად თანაარსებობს მიცემითი ბრუნვის ნიშნიანი და უნიშნო ფორმები, თუმცა ბოლოდროინდელ მასალებში როგორც თანხმოვანფუძიან

არსებით, ისე ზედსართავ სახელებშიც შეიმჩნევა მიცემითი ბრუნვის -ს ალომორფით გაფორმების ტენდენცია, რაც ქართველ ებრაელთა მეტყველებაზე ქართული სალიტერატურო ენის გავლენით შეიძლება აიხსნას. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მიცემითი ბრუნვის ნიშანი თანხმოვანფუძიან სახელებთან ასევე შეიძლება დაიკარგოს ქართული ენის კილოებშიც, კერძოდ, მესხურში, რაჭულში, თუმცა ეს მოვლენა არ არის დამახასიათებელი საკუთრივ ქუთაისური მეტყველებისთვის. ეს გვაფიქრებინებს, რომ მიცემითი ბრუნვის ნიშნის -ს ალომორფის დაკარგვა საერთოქართული მოვლენაა, რაც მეტ-ნაკლებად აისახებოდა მესხეთში, რაჭაში... მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში, შემდეგ კი განზოგადდა. ამით უნდა აიხსნას ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაშიც უნიშნო მიცემითის არსებობა.

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში თანხმოვანფუძიან ზედსართავ სახელებთან მიცემითში დასტურდება ა ხმოვნით გავრცობის შემთხვევები. იგი გვხვდება და, თუ კავშირით შეერთებულ სახელებთან. -ა მავრცობი ხმოვანი, როგორც წესი, კავშირის წინ მდგომ სახელს ახლავს. მაგალითად: *ავსა და კარქ გამოკითხვდავე და ყველასაც იმიტომ უყვარდა* (ფა №17749); *...ბნელსა და უძირო ორმოში მწარედ ატირდნენ* (თათარაიძე, არაბული 2014: 97)...

საანალიზო მასალაში ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში ცალკე მდგომი ზედსართავი სახელი არ დადასტურდა.

### **ვითარებითი ბრუნვა**

ვითარებით ბრუნვაში ზედსართავი სახელიც კარგავს ზედსართავის ფუნქციას და გადადის ვითარების ზმნისართის (სინტაქსურად, ვითარების გარემოების) როლში. ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ვითარებითი ბრუნვის ძირითადი ნიშნებია -ად, -დ. გვხვდება ალომორფები: -ათ, -თ, -ა. ბრუნვის ნიშნის თანხმოვანითი ნაწილი -დ თანხმოვანფუძიან ზედსართავ სახელებთან უმეტესად დაყრუებულია ისევე, როგორც ქართული ენის დიალექტებში. უნდა აღინიშნოს, რომ -დ > -თ პროცესი არ არის მხოლოდ დასავლური დიალექტური მოვლენა. იგი დამახასიათებელია საყოველთაო სამწერლობო ენისათვის (საღინაძე 2011: 84). მაგალითები:

**თანხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელი**

**ვითარებითი:**

-ად: *არიან თავისთვისინაი, ტკბილად ცხოვრობენ* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950).

-ათ: *ცხოვრობენ ორივე დანები დინდრათ* (იქვე); *ძალიან ღარიბათ კი ცხოვრობდენ* (იქვე); *იყო გადმოხურული რგვალათ და სცენა იყო და თუ რამე იყო, ცეკვა-თამაშიც იყო* (იქვე); *ძმები ისევე ტკბილათ და წყნრათ ცხოვრობდენ* (ქდვ: „ორი ძმა“, №3946).

-ა: დადასტურდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც თანხმოვანფუძიან ზედსართავ სახელებთან მოკვეცილია -დ და დარჩენილია ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ნაწილი -ა: *თვალი მოავლო იქაურობას, ხო არავინ მიყურებსო, როისაც კარქა დარწმუნდა და დაიმედდა* (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942); *ამ მიწაში ჩაფლულ ფარეებ კარქა მაგარი ქვა დაადვა* (იქვე).

**მიმართებითი:**

-ად: *ღირსეულად ვერ გამოუდგა ხეირიანი, ვერ დააფასა ღირსეულად ხენწივის ოჯახი* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939).

-თ: *ჭამდნენ და სვამდნენ უზრუნველათ* (ფა №17749); *მიდღემჩი ბედნიერათ იცხოვრებ* (ფა №17749); *დაქორწილდენ, ცხოვრობდენ ტკბილათ, გემრიელათ* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950); *დედისერთა შვილი ვაარო, ნანინანატრიო და აზიზ-მაზიზათ ნაზარდიო* (ქდვ: „ღარიბი კაცის ამბავი (სიძმარის ახსნა)“, №3951); *ყველას თავდაბლათ ეცეოდა* (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942).

**ხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელი**

**მიმართებითი:** *უჭკუო იყავი ამ წუთისოფელზე და იმ სოფელსაც უჭკუოთ წებვედი, ვინ იცის, სად არი შენი ქონება, ვინ მიაგნებს სად გააქ დამარხული* (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944).

დადასტურდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც თანხმოვანფუძიან ზედსართავ სახელებთან მოკვეცილია ბრუნვის ნიშნის თანხმოვნითი ნაწილი -დ და სახელი ქცეულია ზმნისართად: *მამამისის დატევებული ქონება სულ ერთიანა და ლოცვა-*

კურთხებით გაისტუმრა თავის ოჯახში (ქდვ: „ვაშკაცის სიბრძნე“, №3943); ფეხით მოიარა *სულერთიანა* თავის სახენწიფო (ქდვ: „უდარდელი კაცი“, №3949).

ვითარებითი ბრუნვის ნიშნის თანხმომავითი ნაწილის დაკარგვა დამახასიათებელია დასავლური დიალექტებისთვის. მაგალითად: ქვ. იმერ. *კარქა*, გურ. *ვაშკაცურა* (შარაშენიძე 2016: 83).

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ზოგიერთი თანხმომავანფუძიანი ვითარებითი ზედსართავი სახელი წარმოდგენილია ე დაბოლოებით და გაგებულია, როგორც ფუმეხმომავიანი სახელი: *ყველაფერი სიკარქე და სიდინდრე ფუჭეთ იყო იმისთვინ* (ქდვ: „უდარდელი კაცი“, №3949); *შენე მარჯვნივ წადი, ხენწიფე გავხედი, მე კი მარცხნივ წავალ დინდარე გავხედი* (ქდვ: „ორი ძმა“, №3946).

### **წოდებითი ბრუნვა**

#### **თანხმომავანფუძიანი ზედსართავი სახელი**

წოდებით ბრუნვაში თანხმომავანფუძიანი ზედსართავი სახელი გაფორმებულია -ო ნიშნით. იგი გვხვდება იშვიათად: *სიცილით უთხრეს: შე უბედურო, მაზალყანო, ქაჩალო, ჩესრა ადექი და წამოდი* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *შე დალოცვილო, რაა, წვედი ქალაქში* (ქდვ: „უდარდელი კაცი“, №3949).

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ზედსართავი სახელის ფორმაწარმოებაში რაიმე განსაკუთრებული თავისებურება არ ვლინდება. იგი იშვიათად არის ცალკე, მეტწილად კი არსებითთან ერთად გვხვდება და პარადიგმატული თვალსაზრისით უმთავრესად იმავე კანონზომიერებს გვიჩვენებს, როგორსაც ქართული სალიტერატურო ენა და დიალექტები. ზედსართავი სახელი გვხვდება ებიანი მრავლობითის ფორმითაც. ასეთ შემთხვევაში ხდება ზედსართავის გაარსებითება (სუბსტანტივაცია).

### **2.1.2. ზედსართავი სახელის დამატებითი სტრუქტურული ელემენტები**

#### **თანდებულები**

საანალიზო მასალის მიხედვით ზედსართავი სახელი იშვიათად არის თანდებულიანი სხვადასხვა ბრუნვაში. მაგალითები:

**ნათესაობითი.** ქართველ ებრაელთა მეტყველებაში დასტურდება **-გან** თანდებულებიანი ზედსართავი სახელი (**დიდისგან**), რომელიც იმავე ზედსართავის უთანდებულო ფორმასთან (**დიდი**) ქმნის კომბინაციას და გამოხატავს უფროობითი ხარისხის სემანტიკას. მაგალითად:

*ორივე ქვისლები დიდისგან დიდი მადლობელი გაუხთენ* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *ხენწიფემ დიდისგან დიდი ქორწილი გადაიხადა* (იქვე); *გაიხარა იოსეფის გულმა, გადაუხადა მეთებზეს დიდისგან დიდი მადლობა* (ქდვ №3945); *ცხოვრობდა ქვეყანაზე ერთი ხენწიფე, დიდისგან დიდი ჭკუისა და სიბძნის პატრონი იყო ე ხენწიფე* (ქდვ: „უდარდელი კაცი“, №3949).

**მოქმედებითი.** *ბათკოლ (ღმერთს) ასე დაურემეზებია (გადაუწყვეტია) მადლიდგან და მისი გადაწყვეტილობა არ დაირღოვა მისმა მზემან* (ქდვ: „ღარიბი კაცის ამბავი (სიძმარის ახსნა)“, №3951); *შეჯდენ ცხენებზე და დიდიდგან პატაროომდისინი წავიდენ* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950)...

### **ნაწილაკები**

ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში ზედსართავ სახელებთან იშვიათად დასტურდება ნაწილაკები. გვხვდება **-ც** ნაწილაკიანი ფორმები.

**-ც ნაწილაკი.** ზედსართავ სახელებს არსებითის მსგავსად დაერთვის. წარმოდგენილია სხვადასხვა ფუნქციით. კერძოდ, გვხვდება შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად, ვითარებით ზმნიზედად და არსებითი სახელის როლშიც. იგი უმეტესად სახელობითი ბრუნვის ფორმას ახლავს. მაგალითად: *ძალუან ლამაზიც არი* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *ძალიან ღარიბიც ვაარ* (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942); *ე ქალი ქვრივი იყო... ძალიანი გულკეთილიც* (ქდვ: „ორი ძმა“, №3946); *მაინც ხენწიფე არი, ქვის უმბილესიც რო იყოს და* (ქდვ: „უდარდელი კაცი“, №3949); თუ გინდა ჩემი ქმარი **ბრმაც** იქნეს და **ბებერიც**, მაინც წავყვებითო (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950); *საწყალმაც არც აცივა, არც აცხელა* (ქდვ „ღარიბი კაცის ამბავი (სიძმარის ახსნა)“, №3951); *შეებრალა ამ უწმინდურსაც კი* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *დიდი პატივიც ცეეს და კარქათაც დააფასეს* (ქდვ: „ვაშკაცის სიბრძნე“, №3943); *ძალუან ტკბილათა და შაქრათაც იყვენ* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939).

## მავრცობი ხმოვნები

ზედსართავ სახელთან მავრცობი ხმოვნები იშვიათად დასტურდება. გვხვდება -ა სავრცობი. აქაც იმავე პოზიციებში გამოვლინდება, როგორც არსებით სახელთან:

და კავშირის წინ: *იკუთიელი ძალიან დიდსა და ბევრ ფუულ მონულობდა* (ქდვ: „იკუთიელ მხატვარი“, №3944); *მეე ბრმასა და უსინათლოს ყური მათხვიე* (ქდვ: №3946); *დაიწყეს ტკბილათა და შაქრათ ცხოვრება* (იქვე); *ერთ დიდსა და გამოჩენილ ბატონ ერთათერთი ქალიშვილის მეტი არაფერი არ გააჩდა* (ქდვ: „სულამითი“, №3948); *შეისწავიდა იმათი ოჯახის დიდსა და პეტერას, ავსა და კაარქ, ძირსა და კუთხეს, ტკბილსა და მწარეს* (ქდვ: „უდარდელი კაცი“, №3949); ზედმეტ რძეს საწყალსა და გაჭირვებულთ აძლევდნენ (თათარაიძე, არაბული 2014: 25).

ფრაზის ბოლოს: *ირემის ხოორც აარშევებს ისე სუფთათა* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *რაბი დაწერდა ქახალდზე ან დიდ კაარ და ან პეტერასაო* (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941).

-ა თავისუფლად მონაცვლეობს ვითარებითი ზედსართავი სახელის ფორმებთან. მაგალითად: *საქეთუბოთ რომ მეემზადენ და ქორწილი რომ დიდისაგან დიდებული უნდა გადაიხადონ* (ქდვ: „ორი ძმა“, №3946); *ხენწიფემ დიდისგან დიდი ქორწილი გადაიხადა* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939).

## 2.2. ზედსართავი სახელის სინტაგმატური ანალიზი

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ზედსართავი სახელი, როგორც საგნის ნიშან-თვისების გამომხატველი, ძირითადად არსებით სახელს ახლავს და მასთან ერთად ქმნის ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილს. მსაზღვრელად შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც პირველადი, ისე წარმოქმნილი თუ თხზული ზედსართავი სახელები.

ყოფითი და ფოლკლორული ხასიათის ტექსტებში ძირითადად გავრცელებულია ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრულის პრეპოზიციური წყობის შემთხვევები, თუმცა არცთუ იშვიათია პოსტპოზიციური წყობაც.

### **პრეპოზიციური წყობა**

**სახელობით ბრუნვაში** თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი, ჩვეულებრივ, გაფორმებულია -ი ნიშნით. მაგალითები:

*ეგერ ჭაში თეთრი ქალი* არი (ქდვ: „სულამითი“, №3948); *და იქავ იმის წინ გაჩდა მისი მოახლე შავი ზანგი* (იქვე); *დიდი შეძლებული იყო ეს* (ასეა – ს. გუმბ.). *კაცი, დიდი პატივისცემა ქონდა ხალხიდან* (ფა №17751); *ცხოვრობდა ერთი მოხუცი კაცი* (ფა №17749); *ძალიან ცივი დილა იყო, ღამითაცა ძრიელ მოყვივნა* (ფა №17749); *იყიდა სამი ახალი კოკა. სამივეში ჩაყარა ოქროები ნახევრიათ* (ფა №17750); *მოატანიავე ერთი დიდი ქვაა თითონ ამ ბიჭმა* (ფა №17753); *შუადღეს მერე დიდი გოგოები იყო თავის მეგობრებით* (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.).

თხზული ზედსართავი სახელი **თეთრწვერი** გვხვდება განმარტოებულ ატრიბუტულ მსაზღვრელის როლში: *სიძმარში გემეცხადა ამ დიდ ბატონ ერთი თეთრწვერი და მუახსენა* (ქდვ №3940); *მარამა რო წამოუდგება თვალწინ თეთრწვერი და იმისი ნათქვამიც* (იქვე).

ერთ-ერთი საჩხერელი ებრაელის მეტყველებაში მსაზღვრელად შეგვხვდა **მსუქანი** ზედსართავი სახელის ხმოვანფუძიანი ვარიანტი **მსუქანა**: *მსუქანა ქალი იყო* (ახალი მასალები, 2016, ჩამწ. ს. გუმბ.).

საანალიზო ტექსტებში მსაზღვრელად ხშირადაა წარმოდგენილი ვითარებითი ზედსართავი სახელი **კარქი** (< კარგი): *კარქი მასპინძელი კი იყო, ააშენა ღმერთმაო* (ფა, №17749); *მაგიდან კარქი კაცი დარჩება* (ფა №17752).

მსაზღვრელად გამოყენებული მიმართებითი ზედსართავი სახელი მეტწილად გადმოცემულია მიმღობური ფორმით:

*ქვრივი ქალის მიზარებული თავლი თავმოკრული შენახული უდგია...* (ფა, №17750); *გამწარებული დედა მიუახლოვდა შვილსა და ყური მიუწია* (ფა №17752); *მათი ჯორ-აქლემებით აკიდებული თვალმარგალიტები შენ წამოილე და იმითი*

გამდიდრდი (ფა №17749); გაიქცა დაფეთებული ქმარი... (ფა №17751); გაილო დიდი ჭიშკარი და ადუღებული კუპრი გადაევლო თავზე... (ფა 1982: №25173).

რ. თავდიდიშვილის ტექსტები მდიდარია მიმართებითი ზედსართავი სახელის თხზული ფორმებით. მსაზღვრელებად წარმოდგენილია რთული შედგენილობის მიმღეობური ფორმები. მაგალითად: *გამოიყვანეს ხელოვნებური ქურდი, ბორკილების ხმა შორს გადიოდა* (ფა №17752); საინტერესოა სიტყვაფორმა **ნაწელგულები**: *ი ჩემი ნაწელგულები საბედაშვრო იყო და მოჩვენება* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940) (შესაძლოა, **ნაწელგულები** ნიშნავდეს სისხლსა და ხორცს, შთამომავალს... – ს. გუმბ.).

მიმართებითი ზედსართავი სახელები მსაზღვრელის როლში გვხვდება გ. ჯაფარიძის მასალაშიც: *ყავდა მოსეს მადლიანი ქალი – მარიამი* (თსუფა 1982: №25134).

**სა-ო** ცირკუმფიქსით არის ნაწარმოები ზოგიერთი მიმართებითი ზედსართავი სახელი: *რაც კი იერუშალაიმში გოგო-ქალიშვილები იყვენ, ყველამ საიონტაბო, საიონტაბო საკაიდლო ტან-ფეხი ჩაიცვა* (ქდვ: „სულამითი“, №3948). ეს სიტყვები შეიცავენ დადებით კონოტაციას, გულისხმობენ განსაკუთრებული დღისათვის ჩასაცმელ სადღესასწაულო სამოსს. **საიონტაბო** გვხვდება ასეც: *საიომტობოდ (სადღესასწაულიდ) ინახავდა* (თავდ. 1940: 182). საანალიზო ფორმა მიღებულია ებრაულ სიტყვაფორმაზე **სა-ო** აფიქსების დართვით. რ. თავდიდიშვილის ტექსტში **იომტობი** მის მიერვე განმარტებულია, როგორც „კაიდლე, დღესასწაული“ (თავდ. 1940: 202). რ. თავდიდიშვილის მასალაში დასტურდება **სიმანტობ** „კეთილი ნიშანი“, **ლემანა ტობა** „კეთილი წელიწადი“ (როგორც ჩანს, კორექტურული შეცდომაა. უნდა იყოს: **საიომტობო** ან **საიონტობო** – ს. გუმბ.)

შეგვხვდა თხზული მიმართებითი ზედსართავი სახელი **აკვანთუდგმელი**: *შენე ჩემი აკვანთუდგმელი შვილი ხაარ, ვერ შეგელევი სადმე გასაშვებათ* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950). საინტერესოა, ასევე, ატრიბუტული ზედსართავი სახელის თხზული ფორმა: *მეფარჩხემ გამოუძებნა ქალიშვილ ერთი დინდარე ართვალი და კოჭლი საქმარო* (იქვე). **ართვალი/ართვალე** გვხვდება იმერულში და ნიშნავს „ულამაზოს, უმნოს, შეუხედავს“.



ქართველ ებრაელთა მეტყველებაში პრეპოზიციური წყობის ხმოვანფუძიანი ატრიბუტული ზედსართავი სახელი **სახელობითში** ძირითადად გაუფორმებელია:

*გზაზე იმას ერთი პატარა ბიჭი შეხვდა მწყესი* (ფა №7750); *მოიგეს პატარა ომისავით* (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.).

რ. თავდიდიშვილის მასალაში გვხვდება ვითარებითი ზედსართავი სახელის – **პატარა** – ფონეტიკური ვარიანტი **პეტერა**: *ე პეტერა ზანგი შემეხვია მუხლებზე და კოცნა დაუწყო* (ქდვ: „სულამითი“, №3948); *ამოილო ჯიბიდან პეტერა თორა* (იქვე);

-ე ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი საზღვრულთან: *ეთერის ძალიან მარჯვე ხელი ქონდა* (თსუფა 1982: №25173); *პირველათ მაინც უმფროსმა ქალიშვილმა მიიღო მამიდან გაგზავნილი წინფე ნესვი ოქროს სინით* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); დასტურდება **წინფე**: *პირველათ მაინც უმფროსმა ქალიშვილმა მიიღო მამიდან გაგზავნილი წინფე ნესვი ოქროს სინით* (იქვე). შევნიშნავთ, რომ ზღაპარი „ბატის მწყემსი“ მოგვაგონებს ზღაპარს „ოქროს ქოჩრიანი ვაჟის ზღაპარი“. მათ სხვადასხვა მთქმელი ჰყავთ: პირველი ზღაპრის მთქმელია ხავა ხახანაშვილი, მეორესი – ეკატერინე ანტონოვისა.

-ო ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი საზღვრულთან: *ერთი ყუდრო კუთხე დაინახა* (ფა №17749: 8); *არ დარჩენილა იმ ქვეყნის არცერთი უცოლო კაცი, რო არ მისულიყოს* (იქვე); *ვინძალა უცხო ახალგაზრდა წევს* (ფა №17751); *დავსუსტდები და შევიქნები როგორც უბრალო კაცი* (თსუფა 1982: 25144).

ზოგჯერ სახელობით ბრუნვაში დასმულ ხმოვანფუძიან საზღვრულთან გვხვდება -ი სუფიქსი: *ბაყალის დუქნის კედელზე იყო პატარა ჭუჭრუტანაი, სიდანაცა ბაყალი უჭვრიტინებდა ხოლმე ყასაბ...* (ფა №17752).

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში **პოსტპოზიციური წყობის** ატრიბუტული მსაზღვრელი უმეტესად გვხვდება რ. თავდიდიშვილისა და გ. ჯაფარიძის მიერ ჩაწერილ მასალაში, აგრეთვე, წმინდა წიგნების ზეპირ თარგმანებში:

*გადახადეს თავი, ნახეს ყმაწვილი მშვენიერი* (თსუფა 1982: №25155); *რომ არა ვარ არც უწმინდური, არც მტრის მოგზავნილი. მე ვაარ წმინდა ქალწული უცოდველი* (ქდვ: „სულამითი“, №3948); *იყო ერთი კაცი ღარიბი* (თსუფა №25149); *შვიდი დომები (ხარები) გასუქებულები ამოვიდენ მიწიდანო, მერე შვიდი დომები შეწუხებულები*

მოვიდენ კიდევ (თსუფა 1982: №25155); და ამოაფუძვლა უფალმა ღმერთმან იმის მიწისაგან ყოველი ხე სანატრელი შესახედავად (ბერემ., თ. 1); ესენი შთამომავლობა ნოახისა: ნოახი კაცი მართალი სრული იყო შინა დარაგებსა მისსა (ბერემ., თ. 6).

ზეპირი თარგმანის ენაში ზედსართავი სახელი ხშირად ნაწევართან ერთადაა: იგი მანათლობელი იგი დიდი თანა-საუფროსოდ იმა დღესა და იგი მანათლობელი იგი პატარა საუფროსოდ იმა ღამესა, და იგი მასკვლავები (ბერემ., თ. 1).

მსაზღვრელი შეიძლება იყოს ებიანი მრავლობითის ფორმითაც: და შექმნა ღმერთმან იგი ორი მანათლობლები იგი დიდები (იქვე); და გააჩინა ღმერთმან ვეშაპები იგი დიდები და იყო ერთი სული იგი ცოცხლიერი, იგი მამრომალე, რომ დაძვრებინა იმა წყალშიდა (იქვე); და ებადებოდათ მათ ისინი იგი ძლიერები, რომ იმის უკუნისამდინ კაცები სახელოვანები (ბერემ., თ. 6); და იგი წყლები გაძლიერდენ მეტად, მეტად ზედა იმა დედამიწაზედა და დაფარენ ყოველი იგი მთები იგი მაღლები, რომ ქვეშეთ ყოველ იმათ მცეებსა (ბერემ., თ. 7).

მოთხრობით ბრუნვაში პრეპოზიციური წყობის თანხმოვანფუძიან მსაზღვრელად წარმოდგენილი ზედსართავი სახელი სრულად ეთანხმება საზღვრულს:

რამოდენიმე ხანში გაიგო ამ ავმა კაცმა ამ კაცის გამდიდრება (თსუფა 1982: №25149); მაღლობა გადაუხადა ღარიბმა კაცმა (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942); ამ კოჭლმა მებატემ უცფათ წაავლო ერთ კურდღელ ხელი (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); შეღებილმა ცოლმა მამილო ბოლო და სიკვდილამდისინი მიმიყვანა (ფა №17751).

მსაზღვრელად წარმოდგენილი ხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელი მოთხრობით ბრუნვაში, ჩვეულებრივ, ფუძის სახით გვხვდება. მაგალითად: მაგრამ პატარა მწყესმა თქვაა თავისი აზრი (ფა №17750). შეინიშნება თანხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელის გაფორმება ე ხმოვნით და შესაბამისად ხმოვანფუძიან სახელად გააზრება. დაინახა ერთმა დინდარე ვაჭარმა (თავდ. 1940: 131).

მიცემით ბრუნვაში პრეპოზიციური წყობის თანხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელი წარმოდგენილია ნულოვანი ალომორფით, თუმცა ვხვდებით ისეთ შემთხვევებსაც, როცა მსაზღვრელიცა და საზღვრულიც ბრუნვის ნიშნის გარეშეა. მაგალითად: არცა ენდო შვილო, ლამაზ ქალ, რომენიცა სულ მუდამ პატიოსნებაზე

გაიძახის (ფა №17751); ემსახურებოდა თავის ოჯახ პატიოსნათ და დიდ პატივ ცემდა თავის ქმარ (ფა №17749); მოხუც კაც რათ უნდაო ბებერსაო ასე ახალგაზრდა და ლამაზი ცოლიო (იქვე); კარქ კვაახ კინწზე შეეტყობა თავისი სიკეთეო (ფა №17753); მე ერთ ახალ ამბავ გეტყვივე თქვენე (იქვე); მაგენი კარქ ქორწილ გადიხთიან (ახალი მასალები, საჩხერე, 2016, ჩამწ. ს. გუმბ.); ამ ყოვლათ მართალ კაც დაუბრუნა თავისი ოჯახიც, ქონებაც (ფა №17775); უკვირს ამ პატარა ბობშ, ამდენი შორ განჭვრეტა (ფა №17750) (ბობშ – ეს ფორმა იშვიათია – ს. გუმბ.).

მიმართებითი ზედსართავი გადმოცემულია მიმღებური ფორმით: **გაჭირვებულ კაც უთხრეს, ემელო ფული** (თავდ. 1940: 131).

ხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელით გადმოცემული მსაზღვრელი პრეპოზიციური წყობისას, ჩვეულებრივ, გაუფორმებელია:

**პატარა მწყესს ესმის მათი ლაპარაკი, ეცოდება ქალი** (ფა №17750); ვიფიცამ დედიჩემის წმინდა ნეშამას (სულს), ჩემ დღეში არც არავის შევპირებივარ და არც სიტყვა მააქ მიცემული (ქდვ: „სულამითი“, №3948).

ნათესაობით ბრუნვაში მსაზღვრელს, როგორც წესი, მოკვეცილი აქვს ბრუნვის ნიშნისეული -ს: **ყურმოჭმული ქურდის დედა წაქცეულია და სისხლის ღვარი დგას** (ფა №17752); განმეორებით გეფიცები ჩემი საყვარელი ქმარის სულს, რომ არა ვტყუი (ფა №17750).

ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი საერთოდ გაუფორმებელია: **დეეწვა ენა დარჩა მძიმე ენის** (თსუფა 1982: №25140); პირველათ თაყვანი სცაა, ძირ დავარდა და დინდარე კაცის ფეხის ნადგამ კოცნა დაუწყო (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942).

ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულ მასალაში გვხვდება არაერთი შემთხვევა, როცა მსაზღვრელი წარმოდგენილია ფუძის სახით: **რელიგიური კულტის საქმე კანონმდებლობის წესით ახალ დროის და შეხედულობის შესაფერად** (ქცა, ფ296, ან1, ს.212); ასეა მიმღებურ ფორმებთანაც: **800 მორწმუნე ებრაელი აუცილებელ საჭიროებად სთვლიან დახურულ სინაგოგის გახსნას** (ქცა, ფ296, ან1, ს.212). მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებაში ისტორიულად მომხდარი ცვლილებების შედეგი იყო ბრუნების ამგვარი ტიპის გაჩენა და მომრავლება. ქართველი

ებრაელებიც ამ საერთო ტენდენციის გავლენას განიცდიდნენ და ეს არ იყო მათთვის ბუნებრივი მოვლენა.

**მოქმედებით ბრუნვაშიც** ნათესაობითის ანალოგიური ვითარებაა: *შენ მაინც ცარიელი ხელით მიდიხარ ცოლშვილთან* (ფა №1774); *ტალახიანი ფეხით მოდიოდეს და მის ჩნდილს თვალს მოგვრავდე სადმე* (ფა №12069); *მუულოცეს თეთრი კბილით და შავი გულით, მაგრამ ცხვირებჩამოშვებული და ყურებჩამოყრილი წავიდენ სახლებში* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939). ეს ფრაზა საყურადღებოა იმიტაც, რომ საანალიზო შესიტყვებებში მსაზღვრელად გადმოცემული ზედსართავი სახელები იძენენ გადატანით მნიშვნელობას: **თეთრი კბილით** მილოცვა გულისხმობს მხოლოდ ბაგით პატივისცემას, მოჩვენებით სიხარულს სხვის ბედნიერებაზე, რომლის უკან შური და ბოღმა – „შავი გული“ იმალება. ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულ მასალაში გვხვდება ისეთი შემთხვევა, როცა მსაზღვრელად წარმოდგენილი ზედსართავი სახელი მოქმედებითში გვხვდება ფუძის სახით: *ჩვენ ძველ დროიდან გვექონდა სალოცავი* (აღმასკ. მასალები, №296);

**ვითარებით ბრუნვაშიც** ატრიბუტული ზედსართავი სახელი ფუძის სახითაა: *ერთ-ერთი ადგილი დიდ გორაკათ გამოიყურება* (ფა №17749).

**წოდებით ბრუნვაში** თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი გაფორმებულია -ო ნიშნით: *შე დალოცვილო ღმერთო, შენთან ვიცი, რომ არაფერი დემეკარქება* (თავდ. 1940: 161).

გვხვდება ისეთი შემთხვევაც, როცა თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელის მსგავსად ხმოვანფუძიანი საზღვრულიც -ო ნიშნითაა გაფორმებული. მაგალითად: *წადით დიდო და დიდებულო ხენწიფეო* (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941).

მსაზღვრელად გამოყენებულ ზედსართავ სახელს ზოგჯერ შეიძლება ახლდეს სიტყვები: **ძალიან, უფრო, მეტი, ყველაზე...** მათი საშუალებით შესაძლებელი ხდება მომეტებული ოდენობის გამოხატვა: *უდგა მოჯამაგირეთ ერთ ძალიან მდიდარსა და ძუნწ უცოლშვილო უმთო აყოლამ – არა ისრეელ* (ქდვ: „იოსეფი – დამაპატიოსნებელი შაბათისა“, №3945); *რო ვმუშაობდი, წამოვედი მერე იქიდან, ვერ შევიძელი, ძალიანი მძიმე მდგომარეობა იყო იქ* (ტექსტები, 2014: 214); *მამა მყავდა ძალიან ხნიერი კაცი* (იქვე, 215).

ხშირად სხვა სახელთან შედარებისას გამოყენებულია **-ზე** თანდებული და **უფრო** ზმნიზება: *ერთ ქალაქში ხო შევიდა, იკითხა სად დგაო აქნაო ყველაზე უფრო დინდარე კაცი* (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942); *გაიარ-გამოიარა ამ ქალაქში, აღარაფერი აღარ იყიდა და კიდე უფრო დიდ ქალაქში წავიდა* (იქვე); *სხვა მეძველეს მოვძებნი და მოვიყვან, რომენსაც უმფრო მეტი ფული ააქ და იმას ვაყიდვინებ* (ქდვ: „ძველების გამყიდველი“, №3952) (მოსალოდნელი იყო **ვაყიდინებ** – ს. გუმბ.).

მოხმობილ მაგალითებში მზარდი ხარისხის გამომხატველ აღწერითი წარმოების ფორმებს სემანტიკურად ტრადიციულ უფროობითზე მეტი დატვირთვა აქვს.

შესადარებელ ობიექტზე მეტის გამოსახატავად ქართველ ებრაელთა მეტყველებაში დასტურდება ზედსართავი სახელის **-გან** თანდებულიანი ნათესაობითის ფორმები (**დიდისგან / დიდისაგან**), რომლებითაც გადმოცემულია მზარდი ხარისხი – საგნის ნიშან-თვისების მოჭარბებულობა და გრანდიოზულობა. ასეთი შესიტყვებები სემანტიკურად მრავალფეროვანია. გამოხატავს პატივისცემას, მაღლიერებას, სიმრავლე-სიუხვეს, განსაკუთრებულობა/გამორჩეულობასა და უპირატესობას. მსგავსი ყალიბები გვხვდება რ. თავდიდიშვილის ფოლკლორულ ტექსტებში, კერძოდ, ზღაპრებში, რომლებშიც ჩანს, რომ მთქმელი ცდილობს გამოკვეთოს, გააზვიადოს რაიმე ფაქტი, მოვლენა და ა. შ. მაგალითები:

*ორივე ქვისლები დიდისგან დიდი მადლობელი გაუხტენ და შეპირდენ რომა, თქვენ პატივისცემასაო მაშიახის მობძანებამდისინი – მეორეთ მოსვლამდი არ დავივიწყებთო* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *ხენწიფემ დიდისგან დიდი ქორწილი გადაიხადა* (იქვე); *გაიხარა იოსეფის გულმა, გადაუხადა მეთებზეს დიდისგან დიდი მადლობა* (ქდვ: „უდარდელი კაცი“, „იოსეფი – დამაპატიოსნებელი შაბათისა“, №3945); *ცხოვრობდა ქვეყანაზე ერთი ხენწიფე, დიდისაგან დიდი ჭკუისა და სიბძნის პატრონი იყო ე ხენწიფე* (ქდვ: „უდარდელი კაცი“, №3949).

შეგვხვდა, აგრეთვე, **დიდისაგან დიდებული**: *საქეთუბოთ რომ მეემზადენ და ქორწილი რომ დიდისაგან დიდებული უნდა გადაიხადონ* (ქდვ: „ორი ძმა“, №3946); აგრეთვე დიდზე დიდი: *ბუჭუს რომ ვუთხარი, დიდზე დიდი მოკითხვა თენგოსო* (პირადი წერილ.); *ჩვენ ხომ იცით არავინ არა გვყავს დავიწებული ყველას დიდზე დიდი მოკითხვა* (იქვე); *ყველას გეამბორებით დიდზე დიდი სიყვარულობით* (იქვე).

მსგავსი წარმოების ერთადერთი ფორმა დადასტურდა გაურკვეველ რიცხვით სახელთან (მხოლოდ ერთ მთქმელთან). ასეთია **მრავლისგან მრავალი**: *მოაშენა მრავლისგან მრავალი* ოთხფეხი და ორფეხი, *ჩაიცვა და დაიხურა ცოლშვილიანა* (ფა №17749). მოცემულ შესიტყვებაში მსაზღვრელად გამოყენებული **მრავლისგან მრავალი** სიმრავლე-სიმდიდრის სემანტიკის გამომხატველია.

მზარდი ხარისხის გადმოსაცემად სახელის **-გან** თანდებულისანი ნათესაობითის ფორმათა გამოყენება დამახასიათებელია ქართული ენის დიალექტებისთვისაც და დასტურდება ქართულ მწერლობაშიც. მაგალითად: **თინასაგან** ნუნუ უმფრო მიყვარს (ზემოიმერ.); *გამეიტანენ კაისაგან კაი ვახშამი* (გურ.); *თათრებმა დიდისგან დიდი დაგვტანჯეს...* (ქდვ №3860); *დიდი მოიჯარადრე ვიქნები, დიდისგან დიდი. აი, ნახავ, ქრთამს სულ ქერივით დავაბნევ დიდკაცობაში* (კაკაბაძე 1950: 6). ამ ფრაზით მწერალმა მთავარი პერსონაჟის – ყვარყვარეს განდიდებისკენ სწრაფვას გაუსვა ხაზი.

ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ ტექსტებში იშვიათად, მაგრამ მაინც არის **-გან** თანდებულისანი მოქმედებითის ფორმა. მაგალითები:

*ხენწიფე ხომ მივიდა შახში, იქავ ისე ბძანება გაცა, რომა დიდიდგან დიდი წოვილობა უნდა გადავიხადოვო და თელი ჩემი სახენწიფოს ერთგულები ყველაკანა უნდა დემესწროსო ამ წოვილობაზედაო* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939).

განსაკუთრებით საინტერესოა რ. თავდიდიშვილის მასალაში დადასტურებული თანხმოვანფუძიანი ატრიბუტული მსაზღვრელის **თხზული** ფორმები. კერძოდ, ისეთი, როგორიცაა **იმსიმშვენიერე/ი**. მაგალითად: *იმსიმშვენიერი ნაწნავები ეყარა წინ და უკან* (ქდვ: „სულამითი“, №3948); **იმსიმშვენიერე/ი** სემანტიკურად გულისხმობს ძალზედ ლამაზს, გამოხატავს მზარდ ხარისხს. იგი მიღებული ჩანს ორი სიტყვის შეერთებით: **ისეთი მშვენიერი**, ამავე ტექსტში ყურადღებას იქცევს ფრაზა: *მაგრამ აბშალომი ორი იმდენი გამაიჭრებოდა, იმსი მოსული და მაღალი რამე წამოსადექი იყო* (ქდვ: „სულამითი“, №3948). შესიტყვებაში „**იმსი მოსული**“ **იმსი** აქაც გამოხატავს აღმატებით ხარისხს. შესაძლოა გულისხმობდეს **იმ სიმაღლეს**.

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში დადასტურდა, აგრეთვე, ფორმა **იმსიმშვენიერესი**, რომელიც მთქმელს გამოყენებული აქვს შესადარებელი ობიექტის ნიშან-თვისების მზარდი ხარისხის წარმოსაჩენად. ჩვენი აზრით, იგი

კონტამინაციური ფორმის სახეცვლილი ვარიანტია. იმსიმშვენიერესი უნდა იყოს „იმხელა“, „იმსიმალლე“ ტიპის ყალიბისაგან მიღებული სიტყვაფორმა, რომელიც ორგანული ხარისხის მაწარმოებელი უ-ეს კონფიქსის ბოლოსართის შერწყმის შედეგია. იმსიმშვენიერესი, ვფიქრობთ, გაცილებით მეტ ხარისხს გამოხატავს, ვიდრე ტრადიციული უფროობითი. ამით ხაზი ესმება საგნის, ობიექტის ზეადმატებულობას. ის სემანტიკურად სცილდება უფროობითს და უახლოვდება აღმატებითს:

*ერთი წლის ხო გახთა, ნამდვილათ გამდა ხუთი წლისას, დედის ნაშობი იმსიმშვენიერესი და ლამაზი არ დაბადებულა ამ აბლია ყოლამზე, ჭკვიანი, ენამეტყველი, გონიერი (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); ესე იმისთანა გოგო-ქალიშვილი იყო, იმისთანაი რომა, მასკვლავებ ეთამაშებოდა და იმისი სილამაზე მზეს აბნელებდა იმსიმშვენიერესი რამე იყო (ქდვ: „ღარიბი კაცის ამბავი (სიმძარის ახსნა)“, №3951).*

ასევე საინტერესოა მსაზღვრელად გამოყენებული ზედსართაული შესიტყვება **მზის უბნელესი**. აქ წამყვანი სიტყვაა უფროობითი ხარისხის ფორმა, რომელიც მართავს არსებით სახელს. იგი სემანტიკურად ხარისხის აღმატებულ ფორმას უნდა გულისხმობდეს. ზოგადად მზე, როგორც ცნობილია, უმთავრესი სახე-სიმბოლოა ქართულ კულტურაში, მითოსსა და ფოლკლორში, რაც აისახება ლექსიკა-ფრაზეოლოგიაში. სიტყვა **მზე** განდიდებულია ცალკეულ კომპოზიტებსა და მყარ გამოთქმებში. იგია შემეცნების, ცოდნის, სილამაზის წყარო, სიყვარულის სიმბოლო (ხახიაშვილი 2009: 256).

ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ ტექსტში – „ორმოცი წლის თავზე“ – მზე სილამაზის სიმბოლოა, მშვენიერების საზომია, მაგრამ მას რაბის ქალიშვილი ჩრდილავს თავისი სილამაზით, რაც იმას ადასტურებს, რომ რაბის ასული მზეზე უკეთესია, იგი აჭარბებს მზის ბრწყინვალეობას სხივოსნობით:

*სამაგიეროთ რაბის ყავდა ერთათერთი სანატრელი ქალიშვილი, იმისთანა ლამაზი იყო რაბის ქალიშვილი, რომა მზის უბნელესი (ქდვ: „ორმოცი წლის თავზე“, №3947).*

მოცემულ წინადადებაში შესიტყვება **მზის უბნელესი** შესადარებელი ობიექტის სილამაზის, მშვენიერების მასშტაბურობას გამოხატავს და აღმატებითი ხარისხის

მაჩვენებელია. მზის უბნელესი გულისხმობს მზის დამაბნელებელს, ანუ ისეთ ადამიანს, რომელიც თავისი ბრწყინვალეობით ჩრდილავს და აბნელებს მზეს.

მოცემულ კონტექსტში გამოთქმა დატვირთულია დადებითი კონოტაციით. ფორმით იგი მოგვაგონებს ქართული ზღაპრების დასაწყისს: „იყო და არა იყო რა, რა იქნებოდა ღვთის უკეთესი“.

ქართულში უფროობითი ხარისხის ზედსართავი სახელები არსებით სახელებს, როგორც წესი, -ზე თანდებულიანი მიცემითის ან, შედარებით იშვიათად, ნათესაობით ბრუნვის ფორმით იკავშირებენ. ასეთია, მაგალითად: *თმაზე უმრავლესი: ვეფხვმა იოთამს თმაზე უმრავლესი ნადირი მოაკვლევინა* (ვაჟა); *ქვეყნის უკეთესი: ქვეყნის უკეთესი რძალი უნდა მოვიყვანო* (კ. ლორთქ.); *ეთერის უმსუბუქესი: თრთოდა... ეთერის უმსუბუქესი ქსოვილი* (ს. კლდ.) (კიზირია 1982: 115).

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ზედსართავი სახელის ფორმაწარმოებაში პარადიგმატული თუ სინტაგმატური თვალსაზრისით უმთავრესად იგივე კანონზომიერება ჩანს, რაც დამახასიათებელია ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტებისთვის. სპეციფიკურია -გან თანდებულიანი შეიტყვებები, რომლებიც მზარდ ხარისხს – საგნის ნიშან-თვისების მოჭარბებულობას გამოხატავენ (დიდისგან დიდი მადლობელი, დიდისგან დიდი ქორწილი, დიდისაგან დიდებული ქორწილი...). საინტერესოა, ასევე, ნიშან-თვისების მზარდი ხარისხის გამომხატველი ფორმა: იმსიმშვენიერე/იმსიმშვენიერესი.



## **თავი III. რიცხვითი სახელის ფორმაცვალება ქართველ ებრაელთა მეტყველებაში**

სამეცნიერო ლიტერატურაში რიცხვითი სახელის მთავარ ფუნქციად მიჩნეულია უპირველესად საგანთა რაოდენობის გამოხატვა, ხოლო შემდეგ – რაოდენობასთან დაკავშირებული სემანტიკური მიმართების ასახვა, ანუ ნაგულისხმევია რიგი (რაოდენობრივ სათვალავში) და რაოდენობრივი ნაწილი (არაბული 2011: 156). შესაბამისად, გამოიყოფა რიცხვითი სახელის ჯგუფები: რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელები.

ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ ტექსტებში უმეტესად დასტურდება რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელები. იშვიათია წილობითი სახელები.

### **3.1. რიცხვითი სახელის პარადიგმატული ანალიზი**

რიცხვითი სახელი ფორმაწარმოების მხრივ რაიმე თავისებურებით არ გამოირჩევა. ის ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ისეთივეა, როგორც სამწიგნობრო ქართულსა და ქართული ენის დიალექტებში. აღსანიშნავია, რომ წმინდა წიგნების ზეპირ თარგმანებში არის ივრითის ტიპის წარმოებაც, რომელიც აბსოლუტურად განსხვავებულია და გვხვდება ყოფითსა და ფოლკლორული ხასიათის მასალაში.

რიცხვითი სახელები ცალკე ნაკლებად გვხვდება. მეტწილად გვევლინება არსებით სახელთან ერთად მსაზღვრელის როლში.

#### **3.1.1. რიცხვითი სახელის ბრუნვები**

**რაოდენობითი რიცხვითი სახელი.** რიცხვითი სახელის ენობრივ არსს უფრო ზუსტად გამოხატავს რაოდენობითი რიცხვითი სახელი, რამდენადაც ის საგანთა თვლად სინამდვილეს შეესაბამება (არაბული 2016: 156).

შედგენილობის მხრივ რაოდენობითი რიცხვითი სახელები ორგვარია: მარტივი და რთული. მართალია, რაოდენობითი რიცხვითი სახელის შინაარსი გარკვეულია, მაგრამ ენაში არსებობს ისეთი სიტყვები, რომელთა ზუსტი რაოდენობა უცნობია. ასეთია: ბევრი, მრავალი, ურიცხვი, უთვლავი, ცოტა... შესაბამისად, გამოიყოფა გარკვეული და გაურკვეველი რიცხვითი სახელები.

ქართველ ებრაელთა მეტყველებაშიც რიცხვითი სახელის ფორმაწარმოებას განვიხილავთ სემანტიკური ჯგუფების მიხედვით.

ცალკე მდგომი რიცხვითი სახელი წინადადებაში ასრულებს სხვადასხვა სინტაქსურ ფუნქციას: არის ქვემდებარე, შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი ან უბრალო დამატება.

საანალიზო მასალაში რიცხვითი სახელი უმთავრესად **სახელობით ბრუნვაშია**. მაგალითები:

*თქვენე დღეს **ორი** ხართ და **სულ მალე სამი** იქნებითო* (ქდკ „ფარჩხების მხიკავი“, №3950); *ჩამოვიდნენ **ექვსი**: კაენი და ებელი და თითოს ორ-ორი ცოლი ყავდა* (თსუფა 1982: №25148); *ეგებიც დააკლდეს **ორმოზდაათსა** ცადიკიმებსა (მართალი) **ხუთი*** (ბერეშ., თ. 18)...

გვხვდება გაურკვეველი რიცხვის გამომხატველი სახელებიც: *სულამითმაც **ბებრი** იცინა იმის მალაყებზე* (ქდკ: „სულამითი“, №3948); *ყველიფერი **ბებრი** ქონდა, რაც ღმერთ გაუჩენია* (ქდკ: „ბატონი სანატრელი“, №3940); ***ბებრი** იმწუხრა ბატონმა, ბებრი იტირა, ეშეთხელმაც, ჯამათმაც, მაგრამ რაღას გააწყობდენ* (იქვე); ***ბევრი** იწრიალა ხენწიფემ, ბევრიც იტრიალა* (ქდკ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941); *არა, მე **ბევრი** წამოვილე* (იქვე).

**მიცემითი:** *მეო **ბებრ** ვარჩენო ასე ირემის რძითა და ხორცითაო და ვისაც კი გავატანო* (ქდკ: „ბატის მწყემსი“, №3939)...

გვხვდება -ვე ნაწილაკდართული ცალკე მდგომი რიცხვითი სახელებიც:

მერე, როისაც **ორივე** გამოფხიზლდენ და კარქა ხანი ერთმანეთის ყურებით გულიც იჯერეს (ქდვ: „სულამითი“, №3948); დაკრეს ფეხი და წავიდენ **სამივე** (თსუფა 1982: №25149); **ხენწიფემ სამივე** რიგ-რიგობით გაათხუა მაგრამა ძალუან გულმტკივანი არი **ორივე** სიძეებიდგან, ვერცეთი ვერ იჩენს შნოონ (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939).

რიცხვითი სახელების უჩვეულო ფორმებია მოცემული დ. ბოთერას ჩანახატში „რაბათის ებრაელთა ყაიდებისა“:

**შენს ალაგას რო ვიყო, ორ** თანას ერთად ავიღებდი (ბოთერა 2016: 29); **თითო** თანას ორ შაურად, რომ ყიდდა (იქვე). მოცემული რაოდენობით რიცხვით სახელებს აზრობრივად უკავშირდება „თანა“, რომელიც აღნიშნავს „ცალს“ (სპარს. tane „ცალი, მარცვალი, წვეთი“).

რ. თავდიდიშვილის ტექსტებში შეგვხვდა **ოთხ-** ფუძის შემცველი თხზული სიტყვა: **ოთხკუთხეზე**, რომელიც სემანტიკურად გულისხმობს ოთხივე მხარეს – საქვეყნოს, სამყაროს, ყველგან, ირგვლივ. მაგალითად: *ერთათერთი იმ მოხუცებული მამის მეტი თელ ქვეყანაზე, არბაყარასოთზე, ოთხკუთხეზე, არაფერი და არც მამაჩემ არ გააჩნია ჩემ მეტი არაფერი* (ქდვ: „სულამითი“, №3948); *ჯიის საწყალობელი თავის დაზგასთან და ჩაქუჩთან, იხედება ოთხკუთხეზე, შუადლე მავიდა, სიფთაც არავის არ მიუცია* (ქდვ: „უდარდელი კაცი“, №3949).

ასევე **ოთხი** გვხვდება შესიტყვებაშიც: **ოთხი კუთხიდან** მოდიოდა რაბისთან ქალიშვილის მთხოვნელი (ქდვ: „ორმოცი წლის თავზე“, №3947); *წავიდა, ლოცვისკენ გასწია პირდაპირ, ნახა მირბის ცა და ქვეყანა, ოთხი კუთხიდან მოსულან ახალგაზდები* (ქდვ: „ორი ძმა“, №3946); *მოიწვიეს არბაყარასათიდან – ოთხი კუთხიდან* სადაც კი იშონებოდა და იპონებოდა საცოლო ვაშკაცი (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939). მსგავსი შესიტყვება დასტურდება გ. ჯაფარიძის ჩაწერილ მასალაშიც. მაგალითად: *სათის პირველიდან ოთხი კუთხიდან* მოგროვდა ფტვერი (თსუფა 1982: №25148); *თუ ოთხი კუთხიდან არ აელო ადამიანის შესაქმნელად ფტვერი, მაშინ თუ მოკვდებოდა კაცი* (იქვე).

საანალიზო ტექსტებში არის რთული რიცხვითი სახელებიც. შემადგენელ კომპონენტთა თანმიმდევრობა აღმავალია ან თანაბარი. მაგალითად, ფუმეგაორკეცებული რიცხვითი სახელები:

*ჩამოვიდნენ ექვსი: კენი და ებელი და თითოს ორ-ორი ცოლი ყავდა* (თსუფა 1982: №25148); *გამუართვა ათასი მანათი, დაიკერა ორ ჯიბეზე – თითოზე ხუთას-ხუთასი მანათი – და გასწია* (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942); *ხუთ-ხუთი ტარო ჰქონდა* (თსუფა 1982: №25158).

„თავსილში“ გვხვდება ისეთი ფუმეგაორკეცებული რიცხვითი სახელები, რომელთა პირველი კომპონენტიც დაირთავს სახელობითის ბრუნვის ნიშანს:

*ნოახთან იმათ თევა-კიდობანსა ორი-ორი მის ყოველი ხორციელისაგან, რომ შინა მისსა სული სიცოცხლისა* (ბერეშ., თ. 6); *იმის ყოველი პირუტყვისა სუფთისაგან აიყვანე შენთვის შვიდი-შვიდი: კაცი და ცოლი მისი, და იმის პირუტყვისა, რომ არასუფთა ის, ორი: კაცი და ცოლი მისი* (ბერეშ., თ. 6).

ქუთაისელ ებრაელთა ოც ფუმის შემცველ რთულ რიცხვით სახელებში და-ს წინ ც თანხმოვანი გამჟღერებულია:

*ე ბიჭი ხო შეიქნა შვიდი წლისა, ოზდაოთხზე დაჯდა, ისე მოგიყვებოდა ოზდაოთხ ზეპირათ, რომა ერთხელაც არ ჩაიხედამდა თორაში* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *ოზდაოთხი* ტერმინია, რომელიც ებრაელთა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ლოცვას აღნიშნავს, რომელსაც ჩუმი ჩურჩულით კითხულობენ დღეში სამჯერ ფეხზე მდგარნი. საანალიზო სიტყვა საინტერესოა როგორც ფორმოზრივად, ისე ფუნქციურადაც. რიცხვითი სახელი წარმოდგენილია მიცემითი ბრუნვის ნიშნის გარეშე.

მსგავს ვითარებას გვიჩვენებს ოც ფუმის შემცველი რაოდენობითი რიცხვითი სახელები ბერეშითშიც: *და იცოცხლა მეთუშელახმა ოთხმოზდაშვიდი წელიწადი და ასი წელი და დეებადა იგი ლამეხი* (ბერეშ., თ. 5); *და იყვნენ ყოველი დღეები მეთუშელახისა სამოზდაცხრა წელი და ცხრაასი წელი და გადაიცვალათ* (იქვე); *და იყვნენ ყოველი დღეები ადამისა, რომ იცოცხლა, ცხრაასი წელიწადი და ოზდაათი წელიწადი და გადაიცვალა* (იქვე); მთავარი ამ მაგალითებში არის რიცხვით სახელთა ებრაულისებრი, უფრო სწორად, ბიბლიის ებრაულისებრი, წარმოება –

ოთხმოზღაშვიდი წელიწადი და ასი წელიწადი ნიშნავს, რომ მეთუშელახს უცოცხლია ას ოთხმოცდაშვიდი წელი ლამების დაბადებამდე, სულ კი უცოცხლია 969 წელი (ცნობა მოგვაწოდა რ. ენობმა); და უბრძანა მას უფალმა: ამიტომ ყოველი მამკველი კაინისა სამოზღაათ დარას (დრო, ეპოქა, თაობა) იარსებებს (ბერეშ., თ. 4).

მსგავსი ფაქტები უცხო არ არის ქართული ენის დიალექტებისთვისაც: **ოზდაათი, ორმოზდახუთი, ორმოზდაჩვიდმეტი, სამოზდახუთი, ოთხმოზდაათი...** (ქლენტი 1936: 50); **ოზდაოთხი სოფელი სულ გურჯია** (ფუტკარამე 1993: 119); **ოზდაათი წელიწადი აათავა** (იქვე: 132); **ოზდათვრამეტ დღეზე** (გურ., იმნაიშვილი 2006).

ჩვენს მასალაში დასტურდება ცალკე მდგომი რიგობითი რიცხვითი სახელებიც:

**პირველი თლათ მაზალყანსი [უბედური] შემხვდაო** (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); **უნდა ვთქვათ, რო ეს ადამიანი, პირველი გასახული ჩვენებითა, იყო დასრულებული სიბრძნეებში** (თსუფა 1982: №25148); **მეორე შაბათამდე ენთო** (თსუფა 1982: №25151). ისრაელში მცხოვრებ ქუთაისელ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში გვხვდება რიგობითი რიცხვითი სახელის **მეორე**-ს ფონეტიკური ვარიანტი **მიორე**: **რო ჩამოვიდნენ რაჭველები, მე ვიყავი მიორე ჩასვლა** (ახალი მასალები 2017, ჩამწ. ს გუმბ.); **მიორე** ჩვეულებრივია ებრაელთა მეტყველებაშიც და ქართული ენის დიალექტებშიც (მაგალითად, ქვემოიმერულში): **ამ ღამით და მიორე ღამემდე...** (იქვე); **მიორე, ფულ მივცემ ჩემ შვილ...** (იქვე).

ქართველ ებრაელთა მეტყველების ნიმუშების მიხედვით, ვითარებით **ბრუნვაში** ცალკე მდგომი რიგობითი რიცხვითი სახელი იშვიათია. მაგალითად: **პირველად რო დეესიძა ამ პელისტიმში ჩაჯდა ძმაბიჭებში** (თსუფა 1982: №25158); **პირველათ მაინც უმფროსმა ქალიშვილმა მიილო მამიდგან გაგზანილი წიმფე ნესვი ოქროს სინით** (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); **პირველათ თაყვანი სცაა, ძირ დავარდა და დინდარე კაცის ფეხის ნადგამ კოცნა დაუწყო** (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942);

ამრიგად, საანალიზო მასალიდან ჩანს, რომ რიცხვითი სახელი დამოუკიდებლად ისევე იბრუნვის, როგორც ცალკე მდგომი არსებითი და ზედსართავი სახელი. რიცხვითი სახელის ფორმაწარმოება ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ისეთივეა, როგორც სამწიგნობრო ქართულსა და დიალექტებში. რიცხვითი სახელის ებრაულისებური წარმოება ქართველ ებრაელთა წმინდა წიგნების ზეპირ

თარგმანებში, რაც უცხოა ჩვენს ხელთ არსებული ყოფითი და ფოლკლორული ხასიათის ტექსტებისათვის. რიცხვითი სახელების უჩვეულო ფორმებია მოცემული დ. ბოთერას ჩანახატში „რაბათის ებრაელთა ყაიდებისა“ (ორ თანას, თითო თანას) მოცემულ რაოდენობით რიცხვითი სახელებს აზრობრივად უკავშირდება „თანა“, რომელიც აღნიშნავს „ცალს“ (სპარს. tane „ცალი, მარცვალი, წვეთი“).

### 3.1.2. რიცხვითი სახელის დამატებითი სტრუქტურული ელემენტები

**თანდებულები.** რიცხვითი სახელების თანდებულიანი ფორმები ჩვენს მასალაში იშვიათია. გვხვდება **-გან** თანდებულიანი ფორმები. **-გან** თანდებულიანი ნათესაობითი დადასტურდა რიცხვით სახელებთან **მრავალი** და **ბევრი**. აღინიშნება მზარდი სემანტიკა, შესადარებელი საგნის აღმატებით ხარისხი. მაგალითად: *მოაშენა მრავლისგან მრავალი ოთხფეხი და ორფეხი, ჩაიცვა და დაიხურა ცოლშვილიანა* (ფა, №17749); *ეყოლათ ბევრისაგან ბევრი შვილი და შვილიშვილი* (ქდვ: „ორმოცი წლის თავზე“, №3947). მსგავსი ყალიბები შეგვხვდა ვითარებით ზედსართავ სახელებთან, რომელთა შესახებაც აღინიშნა ზემოთ (შდრ. ბევრისგან ბევრი).

საანალიზო მასალაში არის რიგობითი რიცხვითი სახელის **-გან** თანდებულიანი **მოქმედებითის** ფორმა: *პირველიდგან ძალუან გული ტკივა, ვერ გამუადგა ხეირიანი* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939).

**ნაწილაკები.** ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ ტექსტებში რიცხვით სახელებთან დადასტურდა **-ც** და **-ვე** ნაწილაკები.

**-ც** ნაწილაკი ისეთივე სურათს გვიჩვენებს რიცხვით სახელებთან, როგორსაც არსებითი და ზედსართავი სახელები. **-ც** ნაწილაკდართული რიცხვითი სახელი სხვადასხვა ბრუნვის ფორმით იშვიათია. უმეტესად გვხვდება სახელობით ბრუნვაში. მაგალითად: *თქვენე დღეს ორი ხართ და სულ მალე სამივ იქნებითო* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950).

**-ვე** ნაწილაკიანი რიცხვითი სახელები ქართველ ებრაელთა მეტყველებაში უხვად გვხვდება. **-ვე** ნაწილაკი ზოგჯერ დასტურდება ცალკე მდგომ რიცხვით სახელებთან.

რომლებიც წინადადებაში ასრულებს ქვემდებარისა და დამატების როლს. ძირითადად გავრცელებულია შეუხორცებელი სახეობა. მაგალითად:

*მერე, როისაც ორივე გამოფხიზლდენ და კარქა ხანი ერთმანეთის ყურებით გულიც იკერეს* (ქდკ: „ბატის მწყემსი“, №3948); *დაკრეს ფეხი და წავიდენ სამივე* (თსუფა 1982: №25149); *ხენწიფემ სამივე რიგ-რიგობით გაათხუა* (ქდკ: „ბატის მწყემსი“, №3939).

-ვე ნაწილაკდართული რიცხვითი სახელები გვხვდება მსაზღვრელის როლშიც: *ორივე ცოლ-ქმარი ცალ-ცალკე დელამენ* (ქდკ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *უფრო წყდებოდავე ორივე ცოლ-ქმარ გული უშვილობისთვინ* (იქვე); *ორივე მამა-შვილ ძინამსე, შეხედა მალახამევეთმა ხო ძინამს* (იქვე); *რახელიც უნდა ეთხოვა – ორივე დები* (თსუფა 1982: №25155); ძალუან გულმტკივანი არი *ორივე* სიძეებიდგან (ქდკ: „ბატის მწყემსი“, №3939);

მსგავსი ფორმები დასტურდება გ. ჯაფარიძის ონურ მასალაშიც: *ჰყავს ორი ვაჟი, ორივე მორწმუნეა* (ფა №25134); *შეჭამეს ხაჭაპურები, დაკრეს ფეხი და წავიდენ სამივე* (ფა №25157); *სალოცავში ხახამი აკურთხებს ამ ღვინოს და ცალ-ცალკე ორივეს მოასმევს* (ფა №25159).

-ვე ნაწილაკიანი რიცხვითი სახელები გვხვდება ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველებაშიც: *ბაბუაჩემმა აი, მოხვია ოთხივე რძალ, ოთხივე ვაჟიშვილ, შვილიშვილებ ხელი* (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.). -ვე ნაწილაკიანი რიცხვითი სახელები დასტურდება ასევე ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულ მასალებშიც: *მწვანე ყვავილის უბნის სამლოცველოს შემომავალნი ვართ არა ნაკლებ ორივე სქესისა რვაასისა* (აღმასკ. მასალები, №296).

რ. თავდიდიშვილის მიერ ჩაწერილ ზღაპარში „სამი ძმის ამბავი“ შეგვხვდა -ვე ნაწილაკდართული რიცხვითი სახელის საინტერესო ფორმა *ორჯელავე*: *ეს მეორეთ გამოიყენა შელომოსაგან ნასწავლი ორჯელავე გადარჩა დაღუმპას* (ფა №17749).

-ვე ნაწილაკიანი რიცხვითი სახელი არის ქართველ ებრაელთა წმინდა წიგნების ზეპირ თარგმანებშიც: *და იყვნენ ორივე ისინი ტიტვლები* (ბერემ., თ. 2)... რ. თავდიდიშვილის მასალაში გვხვდება საინტერესო შემთხვევები: *ორივ სალი გაუხდა* (თათარაიძე, არაბული 2014: 110); *ოთხივ კუთხით დაეგზავნათ მოსამებნად ხალხი*

(იქვე). მოცემულ მაგალითებში რაოდენობით რიცხვით სახელებში -ვე ნაწილს მოკვეცილი აქვს ხმოვნითი ნაწილი. მსგავსი შემთხვევები დასტურდება ქართული ენის კილოებშიც (თუშურში, იმერულში, გურულში, ფერეიდნულში, ქართლურში...). ანალოგიური ფორმები არ ფიქსირდება ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ სხვა მასალაში.

გვხვდება, აგრეთვე, მრავლობითი რიცხვის სახელობითში **ორივენი**: *მეფემ გადაკოცნა ორივენი* (თათარაიძე, არაბული 2014: 13); **ორივენი** ჩამოსხდნენ კოშკის ძირს (იქვე, 57). მსგავსი ფორმა დასტურდება ქართველ ებრაელთა წმინდა წიგნების ზეპირ თარგმანებშიც: *და წავიდენ ორივენი ისინი ერთათა* (ბერემ., თ. 22).

**მავრცობი ხმოვნები.** ქართველ ებრაელთა მეტყველებაში რიცხვით სახელებთან იშვიათია მავრცობი ხმოვნები. ის ძირითადად გვხვდება ზეპირ თარგმანებში. კერძოდ, როცა რიცხვითი სახელი სინტაგმის წევრია. მაგალითად:

*შინა წელიწადსა ექვსასსა, წელიწადსა სიცოცხლესა ნოახისას, შინა თვესა მეორესა, ჩვიდმეტსა დღესა თვისასა შინა დღესა იმას გაირყვენა ყოველი წყაროები უმსკუნისა თეომ რაბასი და ერდოები იმის მცებისა გაიხსნენ* (ბერემ., თ. 6); *და იცხოვრა აბრაამმა ქვეყანასა ფელიშტიმისას დღეებსა მრავლებსა* (ბერემ., თ. 21).

### 3.2. რიცხვითი სახელის სინტაგმატური ანალიზი

ქართველ ებრაელთა მეტყველებაშიც რიცხვითი სახელი უმეტესად მსაზღვრელია. ამ შემთხვევაში მისი ბრუნება განისაზღვრება საზღვრულ სახელთან მიმართებით. შესაბამისად, მისი ფორმაწარმოება ისეთივეა, როგორც ზედსართავისა. რიცხვითი სახელის სინტაგმატურ ანალიზს წარმოვადგენთ ჯგუფებისა და წყობის მიხედვით.

**რაოდენობითი რიცხვითი სახელი მსაზღვრელად  
პრეპოზიციური წყობა**



სახელობით ბრუნვაში ქართველ ებრაელთა მეტყველებაში თანხმოვანფუძიან რიცხვით სახელთან -ი სუფიქსი, ხოლო ხმოვანფუძიანთან ნულოვანი ალომორფია წარმოდგენილი: *ე ღარიბი კაცი ცოლსა და შვილს, ისე დატევავე ღმერთის სახელზე რომა ერთი ფარა რა არი, ერთი გროში რა არი, ისიც კი არ ქონდა რო დეეტევებინა* (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942); *მივიდა დახედა შვილს, ვაი ამსაა...* (ასეა: ამსაა – ს. გუმბ.) *ერთი თავი და ორი ხელი იშინა ბატონმა, მიცვალეული შვილი უდევს წიხნ* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *იმის წინ ისე სწრაფათ გააკეთა ორი-სამი მაღაყი, რომა აბშალომმა უნებურათ გაიცინა* (ქდვ: „სულამითი“, №3948); *შვიდი წელიწადი კი იქნება შიმშილობაიო* (თსუფა 1982: №25155).

მოთხრობით ბრუნვაში თანხმოვანფუძიანი სახელი -მა სუფიქსს დაირთავს, ხოლო ხმოვანფუძიანი უნიშნოდ არის: *ერთმა ხანმა ხო გაიარა, ახლა ხენწიფემ მეორე ქალიშვილსაც გაუგზანა ოქროს სინით წიმფე ნესვი, მეორე ქალიშვილმაც მიიღო მამის გაგზანილი* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *ამასობაში კიდევაც გაიარა ცხრა თვეემ* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940).

მიცემით ბრუნვაში ფუძის სახით გვხვდება როგორც თანხმოვანფუძიანი, ისე ხმოვანფუძიანი რიცხვითი სახელი: *ამ კააც ბედი არ წყალობდა, შოორ, შოორ ცხრა მთას იქით, რასაც ხელ მოკიდებდა ე კაცი, სულ უკულმა მიუდიოდა საქმე* (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942); *ამ კოჭლმა მებატემ უცვათ წაავლო ერთ კურდღელ ხელი, დაიჭირა და ჩაისვა უბეში* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *შვიდ წელიწად რაც მოვიდა შეინახა* (თსუფა 1982: №25155).

ნათესაობით ბრუნვაში მსაზღვრელად გამოყენებულ თანხმოვანფუძიან რიცხვით სახელს მოკვეცილი აქვს ბრუნვის ნიშნისეული ს თანხმოვანი, ხოლო ხმოვანფუძიანი ფუძის სახით იხმარება: *ხუთი წლის ხო შეიქნა ე რაბის სანატრელი და ვინდა დაუდგებოდა წიხნ* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *ე ბიჭი ხო შეიქნა შვიდი წლისა, ოზდაოთხზე დაჯა, ისე მოგიყვებოდა ოზდაოთხ ზეპირათ, რომა ერთხელაც არ ჩაიხედამდა თორაში* (იქვე); *შენი ვაიშვილი ხო გახთება ცხრა წლის, ისევ ისე გამჩენმა უნდა მიირთმოს მისი ნეშამა* (იქვე); *ასე და ამნაირათ იზდება ბობში; ხო გახთა სამი წლის* (იქვე); *ერთი კვირის ხო გახთაა, ერთი თვისას გამდა და ერთი თვის*

ხო გახდა, ხწორეთ ერთი წლისას დეემსგამსა; ერთი წლის ხო გახთა, ნამდვილათ გამდა ხუთი წლისას (იქვე).

ერთი თვისას, ერთი კვირის ხო გახთაა, ერთი თვისას გამდა და ერთი თვის ხო გახდა, ხწორეთ ერთი წლისას დეემსგამსა; ერთი წლის ხო გახთა, ნამდვილათ გამდა ხუთი წლისას. გამოცემულ ტექსტში დასტურდება **ხო**, მაგრამ, ჩვენი ვარაუდით, უნდა იყოს **რო**. თავს ნება მივეციოთ გაგვესწორებინა. როგორც ჩანს, ეს არასწორი წაკითხვის შედეგია.

საანალიზო მასალაში გვხვდება **ნანათესაობითარი მიცემითიც**. მაგალითები:

*ერთი თვისას, ერთი კვირის ხო გახთაა, ერთი თვისას გამდა და ერთი თვის ხო გახდა, ხწორეთ ერთი წლისას დეემსგამსა; ერთი წლის ხო გახთა, ნამდვილათ გამდა ხუთი წლისას* (ქდკ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *ერთი თვის ერთი წლისას გამდეს, ერთი წლის – ათი წლისასა და ხენწიფე-მელეხის შვილის ზიული გახდეს* (ქდკ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950).

მოქმედებით ბრუნვაში მსაზღვრელად გამოყენებული რიცხვითი სახელი ნათესაობითის მსგავსად არის გაფორმებული: *ერთი საათით დამიბრუნე, ჩემო გამჩენო, ჩემი ღონე* (თსუფა 1982: №25144); *იმ ორი სიძიდგან რამდენი დღე მიდის, იმდენი უმფრო გული ტკივა* (ქდკ: „ბატის მწყემსი“, №3939); *მოიწვიეს არბაყარასათიდგან – ოთხი კუთხიდგან სადაც კი იშონებოდა და იპონებოდა საცოლო ვაშკაცი* (იქვე).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართველ ებრაელთა ზეპირ თარგმანებში ტექსტში მსაზღვრელად წარმოდგენილ რაოდენობით რიცხვით სახელს საზღვრული სახელი შეეწყობა როგორც მხოლობითში, ისე მრავლობითში. ამ მხრივ მყარი ნორმა არ არსებობს. მაგალითები:

*და შექმნა ღმერთმან იგი ორი მანათლობლები იგი დიდები* (ბერემ., თ. 2); *და შეირთო მისთვის ლემეხმა ორი ცოლები: სახელი ერთისა ალადა და სახელი მეორესი ცილა* (ბერემ., თ. 4); *და იყვნენ ყოველი დღეები ენოშისა ხუთი წელიწადები და ცხრაასი წელიწადი და გადიცვალა* (ბერემ., თ. 5); *და დეებადა ნოახ სამი შვილები: იგი მემი, იგი ხამი და იგი იაფეტი* (ბერემ., თ. 6); *და იყო იგი წვიმა ზედა იმა დედამიწაზედა ორმოცი დღე და ორმოცი ღამეები* (იქვე).

ზეპირ თარგმანში რიცხვით სახელთან შეწყობილი მსაზღვრელი გადმოცემულია ებიანი მრავლობითის ფორმით. მნიშვნელობა არ აქვს, მსაზღვრელი სულიერი სახელითაა გადმოცემული თუ უსულოთი. აღსანიშნავია ისიც, რომ ზეპირი თარგმანის ტექსტში არ გვხვდება მსაზღვრელ-საზღვრულის მრავლობითში შეთანხმება, რაც საკმაოდ გავრცელებულია ძველ ქართულში. მაგალითად: ორნი ქალწულნი, ხუთნი ძმანი, ორთა უფალთა... რიცხვითი და არსებითი უფრო მეტად მრავლობითში შეწყობილია, როცა მსაზღვრელი გადმოცემულია სულიერი არსებითი სახელით. თუმცა გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა რიცხვითი მაინც მხოლოდობითის ფორმით არის შეწყობილი სულიერი სახელით გადმოცემულ არსებითთან. მაგალითად: ოთხასი კაცი, ასი ცხოვარი, ათი ჯორი...

ძველ ქართულში რიცხვითი და არსებითი სახელები უმეტესად მხოლოდობითი რიცხვის ფორმითაა. ი. იმნაიშვილის აზრით, რიცხვითი სახელისა და არსებითი სახელის შეწყობა მხოლოდობითი რიცხვის ფორმით ასახავს უფრო ძველ ვითარებას. მაგალითები: *ორი სამოსელი*, მრ. 6, 9; *ათორმეტი გოდორი*, მ. 14, 20; *ასი ცხოვარი*, მ. 18, 12 (იმნაიშვილი 1957: 470).

რაოდენობით რიცხვით სახელთან ებიანი მრავლობითის ფორმით შეწყობილი სახელი გვხვდება ყოფითი და ფოლკლორული ხასიათის ტექსტებშიც: *ამბობს ძველი წიგნი: სამხაზაი და აზაელ – ორი ანგელოზები ხელს უშლიდენ ადამიანის გაჩენას* (თსუფა 1982: №25148); *თერთმეტი ბიჭები არიან ლიასი და რახელის* (თსუფა 1982: №25155); *შვიდი დომები (ხარები) გასუქებულები ამოვიდენ მიწიდანაო* (იქვე).

ქართველ ებრაელთა ზეპირ თარგმანში უმეტესად დასტურდება რიცხვითი სახელით გადმოცემული პოსტპოზიციური მსაზღვრელი. მაგალითები:

*შინა წელიწადსა ექვსასსა, წელიწადსა სიცოცხლესა ნოახისას, შინა თვესა მეორესა, ჩვიდმეტსა დღესა თვისასა შინა დღესა იმას გაირყვენა ყოველი წყაროები უმსკუნისა თეომ რაბასი და ერდოები იმის მცებისა გაიხსნენ* (ბერემ., თ. 6); *და იყო თელ ქვეყანაზე ლაპარაკი ერთი და საუბრები ერთები* (ბერემ., თ. 11).

ზოგჯერ წყობა შეიძლება გათიშული იყოს:

*სამი* ესენი *შვილები* ნოახისა, იმის აქიდან დაიფანტა ყოველი იგი ქვეყანა (ბერეშ., თ. 8); და იყო თანა *შვიდსა* იმა *დღეებსა*, და წყლები იმის მახულისა შეიქნენ ზედა იმა დედამიწაზედა (ბერეშ., თ. 6).

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ხშირია -ვე ნაწილაკიანი რიცხვითი სახელის ფორმები როგორც ცალკე, ისე მსაზღვრელად. -ვე ნაწილაკი რიცხვით სახელთან, ცხადია, გამოხატავს ყველას ერთად. *ერთი სიტყვით, ორივე ცოლ-ქმარი ცალ-ცალკე ღელამენ და არცეთი არ ეუნებიან ერთიმეორეს თუ, მოდი და, რიტომ არიან ამ მდგომიარობაში* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *უფრო წყდებოდავე ორივე ცოლ-ქმარ გული უშვილობისთვინ* (იქვე); *ორივე მამა-შვილ ძინამსე, შეხედა მალახამევეთმა ხო ძინამს* (იქვე); *რახელიც უნდა ეთხოვა – ორივე დები* (თსუფა 1982: №25155); *ხენწიფემ სამივე რიგ-რიგობით გაათხუა მაგრამა ძალუან გულმტკივანი არი ორივე სიძეებიდგან, ვერცეთი ვერ იჩენს შნოონ* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939).

საინტერესოა რიცხვით სახელთან შეწყობილი მსაზღვრელად წარმოდგენილი არსებითი სახელის ორმაგი მრავლობითის ფორმები, რომლებიც, როგორც ერთხელ უკვე აღინიშნა, დადასტურდა რ. თავდიდიშვილის მიერ ჩაწერილ მასალაში (არა მარტო რიცხვით სახელთან). მაგალითად: *ცხოვრობენ ორივე დანები დინდრათ* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950); *ორივე დანები ეცოდება* (იქვე); *დაცინოდენ ორივე დანები თავის პეტერა დაას* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939).

ცხადია, ეს მოვლენა არ არის დამახასიათებელი მხოლოდ ქართველი ებრაელებისათვის. იგი დასტურდება ქართული ენის დიალექტებშიც: მთიულურ-გუდამაყრულში: *ამის ძირს შევინახოთ ჩვენ დანები და თავ-თავის ამაგობაზე წავიდეთო* (ქდვ №167); გურულში: *ჯერემ რავა გავთხოვდები, ჩემი უფროსვანები, მამიდანები და დანები, არ გამითხოვია* (ქდვ №523); ქვემორაჭულში: *ცხრა დანები დადიოდენაო* (ქდვ №3878); *მე გეტყვით ერთს-უთხრა ლადიმემ, – წითელ რაზმში ძმანები მყავს, იგენს შეუძლია ნებისმიერი კაშპორტის კეთება* (<http://www.gurianews.com>).

საანალიზო მასალაში უმეტესად დასტურდება გაურკვეველი რიცხვითი სახელი *ბებრი* (< ბევრი) როგორც ცალკე, ისე მსაზღვრელის როლშიც:

მოკვდა ერთი ქალი. ამ ქალს ბევრი ქონება ჰქონდა (თსუფა 1982: №25161); ცხოვრობენ ორივე დანები დინდრათ, არაფერი არ აკლიავე, მაგრამა გული უკვდებავე, ამ ბებრ ქონებასთან ერთათ რომ რქმეებ გვერდში ვერ ამუღდებთან (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950); ბევრი ოქროები აქ შენახული იმ თავგ (თსუფა 1981: №25149).

-გან თანდებულისანი ნათესაობითის ფორმა დადასტურდა გაურკვეველ რიცხვით სახელთან. ასეთია მრავლისგან მრავალი. შდრ. დიდისაგან დიდი. მაგალითად: მოაშენა მრავლისგან მრავალი ოთხფეხი და ორფეხი, ჩაიცვა და დაიხურა ცოლშვილიანა (ფა №17749); ეყოლათ ბევრისაგან ბევრი შვილი და შვილიშვილი (ქდვ: „ორმოცი წლის თავზე“, №3947). მოცემული შესიტყვებები სიმრავლე-სიმდიდრის სემანტიკის გამომხატველია.

„თავსილში“ მსაზღვრელად გვხვდება რიცხვითი სახელი მრავალი: და იცხოვრა აბრაამა ქვეყანასა ფელიშტიმისას დღეებსა მრავლებსა (ბერემ., თ. 21). ეს მაგალითი საინტერესოა იმ მხრივ, რომ იგი ნიმუშია ებიან მრავლობითში მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმებისა, რაც ძალიან იშვიათია ქართული ენის განვითარების ყველა ეტაპზე; და იყო მისთვის ჯოგი ცხვრებისა და ჯოგი საქონლისა და მოსამსახურეები მრავალი (ბერემ., თ. 26).

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში გვხვდება რიგობითი რიცხვითი სახელით გადმოცემული მსაზღვრელის პრეპოზიციური წყობის შემთხვევები. მაგალითები:

**რიგობითი რიცხვითი სახელები მსაზღვრელად**

სახელობითი ბრუნვა: მეორე შეკვრა ფარეებიც მინდა რო შევინახო (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942); დაასახლა ე მეორე ქალიშვილიც და გაატანა ვეზირ (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); მესამე ცდა გააკეთა დელილამ (თსუფა 1982: №25144); მესამე დღეს ნახეს გარეული იხვის კვერხები (თსუფა 1982: №25172); მეორე ცდა გააკეთა დელილამ (თსუფა 1982: №25144). საინტერესოა შესიტყვება მეორე ცდა. ვფიქრობთ, აქ ზომა-ოდენობისა და ჯერობის ზმნიზედის მნიშვნელობით რიგობითი რიცხვითი სახელია გამოყენებული. „თავსილის“ ზეპირ თარგმანში ვხვდებით საწინააღმდეგო პროცესს. მაგალითად: თორმეტსა წელიწადსა ემსახურეს იმათ

*ქედოლაყომერ და ცამეტ წელიწადზე გაურგულდენ* (ბერემ., თ. 14). ამ მაგალითში როდენობითი რიცხვითი სახელი გვხვდება რიგობითის (მეცამეტე) ფუნქციით.

**მიცემითი ბრუნვა:** დროის აღნიშვნისას ქართველ ებრაელთა მეტყველებაში (ქუთაისისა და ონის მასალებში) რაოდენობითი რიცხვითი სახელის მაგივრად ზოგჯერ რიგობითი რიცხვითი სახელია გამოყენებული. მაგალითად: *მეორე საათზე გახდა – უსულოთ გდია ტანი მარტო ადამის* (თსუფა 1982: №25148); *მესამე საათზე ელრძენ ძალები* (თსუფა 1982: №25146); *მეექვსე საათზე სახელები დაარქვა ყველა სულიერო* (თსუფა 1982: №25148); *მეათე საათზე შესცოდა, მეთერთმეტე საათზე გასამართლდა, მეთორმეტეზე გამოდევნა სამოთხიდან* (თსუფა 1982: №25146).

**ნათესაობითი ბრუნვა:** *ერთ ხენწიფეს ომი გამოუცხადა მეორემ, ისე მოულოდნელი იყო ამ ომის გამოცხადება პირველი ხენწიფისათვის რომა, პირდაპირ თავზარი დეეცა და აღარ იცოდა რა ექნა* (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941).

ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაში დასტურდება რაოდენობითი რიცხვითი სახელის ნაცვლად რიგობითი რიცხვითი სახელის გამოყენების შემთხვევები. მაგალითად: *ხო გახთა მეცხრე წლისა და გაუშვი და გაათავე იმისი ჭკუა-გონება და სიტყვა – პასუხი* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940).

**მოქმედებითი:** *იქნებო მესამე ქალიშვილით მაინც გაიხაროსო ჩემმა ოჯახმაო და უცდიდა ყათიდ [მომავალს]* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *მერე გაუშვებენ მეორე კარებიდგან* (იქვე); *ამ მესამე ქალიშვილიდგან მაინც გავიხაროვო* (იქვე).

ქართველ ებრაელთა ზეპირ თარგმანებში ჭარბობს რიცხვითი სახელით გადმოცემული მსაზღვრელის პოსტპოზიციური წყობა. მაგალითები:

**სახელობითი:** *და დაარქვა ღმერთმან თანა შუქსა დღე და თანა სიბნელესა დაარქვა ღამე. და იყო საღამო და იყო დილა დღე პირველი* (ბერემ., თ. 1); *და იყო საღამო და იყო დილა დღე მეორე* (იქვე).

**მიცემითი:** *და გაათავა ღმერთმა შინა დღესა მეშვიდესა სასაქმო მისი, რომ ქნა, და მოიცალა შინა დღესა მეშვიდესა იმის ყოველი საქმის მისისაგან, რომ შექმნა* (ბერემ., თ. 2); *და იგი წყლები იყვნენ, მიდიოდენ და აკლდებოდა ვიდრე იმა თვესა მეათესა;*

*შინა მეათესა პირველსა თვესა გამოჩდენ თავები იმის მთებისა* (ბერეშ., თ. 8); *და შინა თვესა მეორესა, ოზდაშვიდსა დღესა თვისასა გაშრა იგი დედამიწა* (იქვე).

### **წილობითი რიცხვითი სახელი მსაზღვრელად**

ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ ყოფითი და ფოლკლორული ხასიათის მასალაში წილობითი რიცხვითი სახელი თითქმის არ გვხვდება. იშვიათია მისი გამოყენება ქართველ ებრაელთა წმინდა წიგნების ზეპირ თარგმანებში პოსტპოზიციური მსაზღვრელის როლში. მაგალითად:

*და უბძანა იმათ მისა: აიღევი ჩემთვის ხბო მესამედი და თხა მესამედი და ერკიმელი მესამედი და გვრიტი და ბარტყი* (ბერეშ., თ. 15).

რიცხვითი სახელის ფორმაწარმოება ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ისეთივეა, როგორც სამწიგნობრო ქართულსა და დიალექტებში. განსხვავებას აქაც გვიჩვენებს -**გან** თანდებულიანი ნათესაობითის ფორმა რიცხვით სახელებთან მრავალი და ბევრი, რითაც აღინიშნება შესადარებელი საგნის აღმატებით ხარისხი (მრავლისგან მრავალი ოთხფეხი, ბევრისაგან ბევრი შვილი...).

ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ ყოფითი და ფოლკლორული ხასიათის მასალაში რიცხვით სახელს უმეტესად ვხვდებით პრეპოზიციული ატრიბუტული მსაზღვრელის, ხოლო წმინდა წიგნების ზეპირ თარგმანებში უმეტესად – პოსტპოზიციური მსაზღვრელის როლში.

## თავი IV. ნაცვალსახელის ფორმაწარმოება

### ქართულ ებრაელთა მეტყველებაში

ქართულ ლინგვისტიკაში ნაცვალსახელი განსაკუთრებული ინტერესის საგანია. გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებაც, რომ ნაცვალსახელი ცალკე მეტყველების ნაწილად არ უნდა გამოიყოს. „რადგან ნაცვალსახელი, რომელიც ცვლის სუბსტანტივს, როგორც მეტყველების ნაწილი – სუბსტანტივია (მისი განზოგადოებული სახეობა), ნაცვალსახელი, რომელიც ცვლის ატრიბუტივს, როგორც მეტყველების ნაწილი – რჩება ატრიბუტივად, რაც შეეხება პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებს, სინამდვილეში ისინი არც არიან ნაცვალსახელები ... ვუწოდოთ „მე“ და „შენ“ „ფორმებს ნაცვალსახელები, ეს იგივეა, „გივი“, „დავითი“ ფორმების მიმართ „კაცი“ გამოვაცხადოთ ნაცვალსახელად (ჯორბენაძე 1995: 25).

ნაცვალსახელი თავისებური სტრუქტურისა და სემანტიკის მქონე მეტყველების ნაწილია. იგი ყველაზე რთული და თავისებურია როგორც ფუნქციის, ისე აგებულების თვალსაზრისით. მასში შემონახულია თავისებური ენობრივი ნიშან-თვისებები და ენის ისტორიის უძველესი ფაქტები. როგორც მიუთითებენ, იგი ყველაზე ზოგადი სიტყვაა. სწორედ აბსტრაქციის უნარი არის მისი ძირითადი თვისება. ამასთანავე, ყველა ჯგუფის ნაცვალსახელს არა აქვს ერთიანი მორფოლოგიური ყალიბი: ზოგს ახასიათებს უბრუნველობა, ზოგს – ნაკლული ბრუნება და ფუძის სუპლექტური მონაცვლეობა, წესისამებრ, ვერ აწარმოებს რიცხვის კატეგორიასაც – წარმოდგენილია დეფექტურად, ზოგიერთი ნაცვალსახელი გამოყენებულია მორფოლოგიურ ელემენტად (ფეიქრიშვილი, საღინაძე 2016: 192).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფენ ნაცვალსახელთა 10 ჯგუფს. ესენია: პირის, ჩვენებითი, კითხვითი, კუთვნილებითი, კითხვით-კუთვნილებითი, მიმართებითი, ურთიერთობითი, განსაზღვრებითი, განუსაზღვრელობითი, უარყოფითი (შანიძე 1980: 41). ზოგი მკვლევარი (შ. კეკელია, აკ. დავითიანი) ნაცვალსახელთა 11 ჯგუფს ასახელებს; ცალკეა გამოყოფილი უკუქცევითი ნაცვალსახელი თავი.



ნაცვალსახელი ბრუნებადი სიტყვაა. შესაბამისად, გვხვდება როგორც ცალკე, დამოუკიდებლად, ისე სხვა სიტყვასთან ერთად (მსაზღვრელად).

სხვადასხვა ჯგუფის ნაცვალსახელი სხვადასხვაგვარად ხასიათდება შესიტყვებაში გამოვლენილი უნარის მიხედვით. ამის შესახებ მიუთითებენ სამეცნიერო ლიტერატურაშიც:

„ნაცვალსახელები სინტაგმატური პოტენციის თვალსაზრისით შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ (1) უშუალოდ ზმნასთან შესიტყვების მქონე და (2) ატრიბუტული დანიშნულების მატარებელი. ამავე დროს, ამ გაყოფას ნაცვალსახელთა ჯგუფების მიხედვით ვერ მოვახდენთ, რამდენადაც შეიძლება ერთი და იმავე ჯგუფის ნაცვალსახელები სულ სხვადასხვა სინტაგმატური უნარის აღმოჩნდეს (შდრ.: რა? და რომელი? თვითონ და თითოეული...); ზოგი ნაცვალსახელი შეიძლება ორივე ფუნქციით მოგვევლინოს (შდრ.: „ყველა ღმერთს ეხვეწებოდა, ყველა მელას თავისი კუდი მოსწონს“) (არაბული 2011: 209).

შესაბამისად, გამოიყოფა ზმნასთან შესიტყვებაში შემავალი, აქტანტური სინტაგმატიკის ნაცვალსახელები და ატრიბუტული სინტაგმატიკის ნაცვალსახელები.

**აქტანტურია:** მე, შენ, იგი, თავი, ვინ, რა, ვინმე, რამე, თვით, თვითონ, თავად, არავინ, არარა, არაფერი, ერთმანეთი, ერთიმეორე...

**ატრიბუტულია:** ეს, ეგ, ის, ჩემი, შენი, მისი, ვისი, რისი, თავისი, თავიანთი, ყველა, ყოველი, თითოეული, რომელი, ვიღაც, რაღაც... (იქვე: 210).

## 4.1. ნაცვალსახელის პარადიგმატული ანალიზი

### 4.1.1. ნაცვალსახელის ბრუნვები

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია ნაცვალსახელთა ფორმაწარმოების თავისებურებებისა და მათი შემაპირობებელი ფაქტორების შესახებ: „ნაცვალსახელის ფორმაწარმოება (როგორც ბრუნება, ისე რიცხვის გამოხატვა) გამოირჩევა თავისებურებით. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება ბრუნებას. ცალკეული ჯგუფის

ნაცვალსახელთა ბრუნების თავისებურება დაკავშირებული ჩანს, ერთი მხრივ, წარმომავლობით (გენეზისურ) ბუნებაზე, ხოლო მეორე მხრივ – სემანტიკურ-ფუნქციონალურ ფაქტორებზე.

ამგვარად, ნაცვალსახელთა ფორმაწარმოების შესაძლებლობები სრულიად არაერთგვაროვანია: ერთი მხრივ, გვხვდება ფაქტობრივი უბრუნველობა (მე, შენ, თვით...), მეორე მხრივ – ნაკლები ბრუნება (ვინ, არავინ...), მესამე მხრივ – ფუძის სუპლექტური მონაცვლეობა (მე – ჩემ, იგი – მან-ნ..), მეოთხე მხრივ – სრული ბრუნება (ჩემი, ყოველი...) (არაბული 2011: 188-189).

**პირის ნაცვალსახელები.** ნაცვალსახელთა ჯგუფებს შორის ძირითადია პირის ნაცვალსახელები. „ეს ჯგუფი არის ენაში არსებული პირის კატეგორის უპირველესი ლექსიკური გამომხატველი. მას უკავშირდება ადამიანის, როგორც ენობრივი არსების, ცნობიერი დამოკიდებულება გარესამყაროსთან (არაბული 2011:170). პირის ნაცვალსახელს არ გააჩნია არც ბრუნვისა და არც რიცხვის ნიშნები, თუმცა, არსებით სახელთა მსგავსად, შეუძლია ზმნა შეითანხმოს პირსა და რიცხვში. შესაბამისად, მე, შენ, ჩვენ, თქვენ წინადადებაში ყოველთვის ასრულებს ამა თუ იმ ბრუნვის როლს (იმნაიშვილი 1957: 488), ე. ი. ეს ნაცვალსახელები გვხვდება ოთხი ბრუნვის როლში (სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი). ისინი ვერ აწარმოებენ მოქმედებითსა და ვითარებითს, ნათესაობითს კი ვერ აწარმოებენ თანდებულის გარეშე. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს განსხვავებული აზრიც, ნათესაობითის სპეციფიკის გათვალისწინებით: მეორეული ბრუნვის ფორმით შეიძლება მოქმედებით და ვითარებით ბრუნვათა გაგებაც შეგვხვდეს. მაგალითად: „ადარ ვარგხარ შენ აწ ჩემად დასადობლად“ (რუსთაველი), „გზა ჩემით ვერ გავიგენი“ (არაბული 2011: 190); სხვა მოსაზრებით, I-II პირის ნაცვალსახელთა აქტანტურობა, სინტაგმატური უნარი, რაც გამოიხატება ზმნასთან პირად შეწყობაში (იგულისხმება S<sub>1</sub>, S<sub>2</sub>, O<sub>1</sub>, O<sub>2</sub>), უნდა განაპირობებს იმას, რომ მათ ძირითადად აქვთ მხოლოდ სამი ბრუნვა: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი (მოსაზრება მოგვაწოდა პროფ. რ. სალინამემ).

**I-II პირის ნაცვალსახელები.** დასავლეთ საქართველოს ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში გამოიკვეთა პირის ნაცვალსახელთა ერთი თავისებურება. ამ

თვალსაზრისით საინტერესოა რ. თავდიდიშვილის მიერ XX საუკუნის 30-40-იან წლებში ჩაწერილი ტექსტები: ესაა I-II პირის ნაცვალსახელთა აუსლაუტში -ე ხმოვნის დართვა. -ე გვხვდება ძირითადად II პირის ნაცვალსახელის მხოლოდობითა და მრავლობითის, აგრეთვე I პირის ნაცვალსახელის მრავლობითის ფორმებში: **შენე, ჩვენე, თქვენე**. ასეთი ფორმები სხვადასხვა ბრუნვის ფუნქციით ხშირად დასტურდება აღნიშნულ ტექსტებში. მაგალითები:

**სახელობითი:** *შენე სესხითაც არავის უმართამ ხეელ* (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944); *ამლამიდგან ფეხ დაიდგამო შენეო და ვაიშვილი გეყოლებათ* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940).

**მოთხრობითი:** *იხარე ახლა შენე, ოქროს ქოჩრიანო!* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *შენე ხომ მაინც კვირეს უნდა მამცე ფული* (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944).

**მიცემითი:** *შენე რა გააქ ხელებში ამნაირი რომა ასე უცფათ დაიჭირე...* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939).

ე ხმოვანს დაირთავს I პირის ნაცვალსახელი მრავლობითშიც: **ჩვენე**. გვხვდება სხვადასხვა ბრუნვის ფუნქციით. მაგალითად:

**სახელობითი:** *ნუ გეშინიაო, აგერ ჩვენე ქალები ვართო და ყურ გათხვიებთო* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *ჩვენე კი ვერ დავიჭირეთ, გვასტავლევე, ბეყეირათო* (იქვე); გვხვდება -ც ნაწილაკიანი ნაცვალსახელიც, რომელსაც -ე ზოგჯერ უსწრებს, ზოგჯერ კი მოსდევს და არ იწვევს არანაირ ცვლილებას. მაგალითები: *ჩვენეც დავდივართ და ვეძებთ, ამტონი ხანი არი ერეჯახე [გაურკვეველია] დავიარებით მაგრამა* (იქვე).

**მოთხრობითი:** *და ჩვენე კი ვერ დავიჭირეთ, გვასტავლევე, ბეყეირათო* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *ჩვენეც ღმერთის სახელზე ისრეელის წესით მივაბართო მიწას* (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944); *...ჩვენე ვეცადოთ, რომ ჩვენ სახენწიფოში ქურდები აღარ გვეყოლოს* (დადუნაშვილი... 1999: 12).

**მიცემითი:** *ჩვენე ის გვაძლევდავე თქვენთვინ დასარიგებლათ* (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944); *ესე და ე [ასეა, ნ. სურმავა] ჩამოსახჩობი კაცი რო ქეყავსე ჩვენე,*

ჩვენი მოლაპატე, გამაიყვანე დღესე (ქდვ: „უღარდელი კაცი“, №3949); ცოლი ეჩხუბებოდა ხომე ამ კააც, ჩვენეო რჩენა გვინდავეო (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939).

**თქვენე:** სახელობითი: *თქვენე* ყველკანაი ჩემი შვილები ხაართ (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); რა საჭირო ხაართ *თქვენე* ჩემთვინ (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941); უცნიხართ *თქვენე* ღმერთ, როგორც ჭკვიანი და ბრძენი ხალხი (იქვე); *თქვენე* იყავით მაცადინი, რომა სიტკბო-სიგემრიელე გექნესე თქვენ ოთხკედელში (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950).

**მოთხრობითი:** უნდა იცოდეთ *თქვენე*, რომა შვილისთვინ ჯოხის დამკლები დედა – შვილის მტერია ( დადუნაშვილი ... 1999: 12);

**მიცემითი:** *თქვენეც* ისევე დაგიტყვებევო ჩემ ქონებასაო (ქდვ: „ღარიბი კაცის ამბავი (სიმძარის ახსნა)“, №3951).

**შენე, თქვენე** ფორმების შესახებ აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში (ენუქაშვილი 2001: 75; ლომთაძე 2005: 108). **შენე, თქვენე** ტიპის ფორმები დადასტურდა ჩვენ მიერ სოციალური ქსელით მოპოვებულ ისრაელში მცხოვრები **კულაშელი** ებრაელის მეტყველებაშიც: *ამს თორებ რას უშვებით თქვენე* (ფბ, 2018) (ასეა ჩანაწერში: ამს – ს. გუმბ.).

-ე აუსლაუტში, გარდა ქართველი ებრაელებისა, დამახასიათებელია იმერულის, ლეჩხუმურისა და აჭარულისთვის. „მაგრამ მას ყველაზე მეტად დიალექტებიდან გავრცელება ქვემოიმერულში აქვს: რამდენი წლის ხარ, ბიჭო, შენე... (კუბლაშვილი 1985: 106). იმერულში -ა სუფიქსის ბადლად -ე დაერთვის ნაცვალსახელებსა და ზმნისართებს: შენ-ე „შენა“, ჩვენ-ე „ჩვენა“, თქვენ-ე „თქვენა“, ვინ-ე „ვინა“, ზეთ-ე „ზეთა“ (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988: 113-114).

რაც შეეხება აღმოსავლურ კილოებს, აქ ანალოგიურ შემთხვევებში დასტურდება - ა ხმოვანი: **შენა, ჩვენა, თქვენა...** გამოთქმულია მოსაზრება, რომ **შენე, ჩვენე, თქვენე** ფორმებისათვის ამოსავალია: შენა, ჩვენა, თქვენა, რომელთა ბოლოკიდური -ა სახელობითის -ი ფორმანტის დართვის შედეგად ნაწილობრივი ასიმილაციით -ე-დ ქცეულა, თვითონ -ი კი დაკარგულა (შენაი > შენეი > შენე) (მოწენიძე 1953: 61; მარტიროსოვი 1964: 91; კუბლაშვილი 1985: 106).

აღსანიშნავია, რომ მსგავსად აღმოსავლური დიალექტებისა, სურამში მცხოვრები ქართველი ებრაელის მეტყველებაში დასტურდება **შენა** ტიპის ფორმები. მაგალითად:

*შე უბედურო შენა...* (დადუნაშვილი... 1999: 35); *სასმელი ყველაფერი ქონდა შიგ იმ ოჯახქორსა (იძახე შენა მორწმუნე)...* (იქვე).

ჩვენი საანალიზო მასალის მიხედვით, -ე ხმოვანი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსაკუთრებით დომინირებს რ. თავდიდიშვილის მიერ ჩაწერილ ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების ამსახველ ტექსტებში. შეიძლება ითქვას, რომ პირის ნაცვალსახელებთან -ე ხმოვნის გავრცელებულობა პროცენტულად საკმაოდ დიდია. აღსანიშნავია, რომ -ე ხმოვანი დასტურდება მათს მეტყველებაში არა მარტო ნაცვალსახელებთან, არამედ სხვა მეტყველების ნაწილებთანაც, მაგალითად, ზმნისართთან:

*ზედე დახული ჭილოფი ააქ მიფარებული* (ქდვ: „უდარდელი კაცი“, №3949); *დაწერა ზედე და დაწეპა* (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941); *ჩიტი თუ შეფრინდება ზედე თვარამა* (ქდვ: „ღარიბი კაცის ამბავი (სიძმარის ახსნა)“, №3951); *რა ქენი დღესე*, (ქდვ: „ვაშკაცის სიბრძნე“, №3943); *იეკუთიელ, დღესე პარასკევი არი* (ქდვ: „ღარიბი კაცის ამბავი (სიძმარის ახსნა)“, №3944); *გავიგე დღესე შენი უბედურება* (ქდვ: „უდარდელი კაცი“, №3949); ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონის მიხედვით, -ე სუფიქსი: **ძირს-ე, კაცს-ე...** ტიპის ფორმებში ახსნილია, როგორც -ა ემფატიკური სუფიქსის ბადალი (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988: 113-114).

საკუთრივ ქუთაისური მეტყველებისათვის **შენე, ჩვენე, თქვენე** ტიპის ფორმები არ არის დამახასიათებელი.

I-II პირის ნაცვალსახელთა აუსლაუტში -ე ხმოვნიან ფორმათა პარალელურად რ. თავდიდიშვილის ტექსტებში იშვიათად ნაცვალსახელები ხმოვნის გარეშეც გვხვდება:

*აპა, შენ იციო, რავა ფთხილათ იქნებო* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950); *ცოლათაც შენ წამოქყვებო* (იქვე).

ჩვენს მასალაში, რომელიც ჩაწერილია ონსა და ახალციხეში მცხოვრები ქართველი ებრაელებისაგან, ე დაბოლოებიანი პირის ნაცვალსახელები არ

დასტურდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული ფორმები არის არა ქართველ ებრაელთა მეტყველებისთვის დამახასიათებელი თავისებურება, არამედ ცალკეული ქართული კილოების ნიშანდობლივი ფაქტები.

**შენე, თქვენე** ტიპის ფორმები არ დადასტურდა არც 2014-2016 წლებში ჩაწერილ ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების ამსახველ ტექსტებში. ეს კი შეძლება იმით აიხსნას, რომ მოცემული პერიოდის შედარებით ახალ მასალაში ნაკლებია დიალექტებისათვის დამახასიათებელი წარმოება და ჭარბობს სალიტერატურო ენის გავლენა. მაგალითები: *შენ ამაში, ამაში და დანომრილი იყავი* (ტექსტები 2014: 214); *ჩვენ ახლა რო ისა, როგორ გითხრა ახლა* (იქვე); *ჩვენ ქქონდათ ერთი აი რვეულის ფურცელის ხელა სპრაჟკა* (იქვე).

**III პირის ნაცვალსახელები.** ქართულში საკუთრივ I-II პირის ნაცვალსახელებთან შედარებით III პირის ნაცვალსახელების ფუნქცია უფრო ფართოა: პირის ნაცვალსახელიცაა და ჩვენებითიც. „მესამე პირის ნაცვალსახელი ის||იგი იგივე ჩვენებითი ნაცვალსახელია, რომელიც I-II პირის ნაცვალსახელისაგან მორფოლოგიურადაც განსხვავდება. იგი ფორმაცვალებადია. მას მოეპოვება როგორც ბრუნვის, ისე რიცხვის კატეგორია“ (მარტიროსოვი 1964: 105).

**ეს, ეგ, ის, იგი** ნაცვალსახელებს საკუთარი ფუძე აქვთ მხოლოდ სახელობითში, დანარჩენ ბრუნვებში შეცვლილი აქვთ ფუძე, რომელიც იკვეცება. ასეა ქართველ ებრაელთა მეტყველებაშიც, სადაც გვხვდება როგორც დამოუკიდებლად, ისე მსაზღვრელად.

საანალიზო ტექსტებში მათთან დაკავშირებით იკვეთება ერთი თავისებურება: ხშირია **ეს, ეგ, ის, იგი** ნაცვალსახელთა არქაული ფორმით გამოყენების შემთხვევები. მაგალითად, გვხვდება **ესე**: *ესე იმას ნიშნამდა რომა, მამა უთვლიდა თავის ქალიშვილ, შენი გათხუების დრო მოვიდაო* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *ესე რას მემეხმარება, ჭკუა უნდა მოვიკრიფო, რომა საქმე გამოვახწორო* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *ესე იმის თავზე აუცილებლათ უნდა ასრულდესო* (ქდვ: „ორმოცი წლის თავზე“, №3947); *ყველას ძალიან გაუკვირდა, – რაზე ინებაო ესეო ხენწიფემაო* (ქდვ: „უდარდელი კაცი“, №3949).

თუმცა გვხვდება ეს ვარიანტიც: *თუ მუარჩენსო ხწორეთ ეს მუარჩენსო* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *ეს საქართუელოა და ქართუელებმა უნა იცოდეს, რომ არჩეუნეფში შენ თუ არა ხარ მეტი, ყოველთუინ გჯობნის შენი მეგობარი* (ტექსტები, 2014: 212); *ეს არის ჩემი მზეთუნახავი საცოლოო* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950).

რ. თავდიდიშვილის ტექსტებში პირის ნაცვალსახელის ფუნქციით ხშირია ისი ვარიანტი: *მაგრამა ისი დარდიანათ არი, ძმის ჯავრი აწუხებს, ნეტაი სად არიო ჩემი ძმაო* (ქდვ: „ორი ძმა“, №3946); *იმას არ უნდოდა იმის სიცოცხლეში რომ ვინმეს გეგო, თუ რა შემბრალე იყო ისი ღარიბის* (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944); *მაგრამა, ისი ცოლათ უნდა ითხუოს კაცის მკვლეღმა* (ქდვ: „ორმოცი წლის თავზე“, №3947); *ისი თავისთვინ ყვავის გაზაფხულის ყვავილივით, ხარობს და იცინის* (იქვე); *რა მიზეზი იყო რომა ისი ქმარმა არ გაუშვა* (იქვე); *როგორც კი მივიდოდენ საკითხავათ სულამითთან, ისი ტირილით დაამღერებდა ხოლმე* (ქდვ: „სულამითი“, №3948); *ღმერთ დიდი მადლობა გადაუხადა, რო არ მოიძულა ისი გამჩენმა ამ პაპანაქება სიცხეში* (იქვე); *მოწყენილი მოდის ხენწიფე თავის სახში, ვერ ნახა ისი, რასაც ეძებდა* (ქდვ: „უდარდელი კაცი“, №3949); *წაიღო სახში და ისევ ისე ჩვეულ თამაშსა და სიმღერას შეუდგენ ისი და იმისი ცოლიც* (იქვე); *ერთ ვერ მოუვლის ზოგიერთი დედა და ისი ორივეს კარქა უვლიდავე* (იქვე); *მაგრამა მწყესმა მეცხვარემ ისი არ გაუშვა* (ქდვ: „ღარიბი კაცის ამბავი (სიძმარის ახსნა)“, №3951); *რადგანაც რომა ისი ისრეელიშვილი არ იყო, თავისი მამა უარზე იყო, რომა არ გაგატანო შენეო უმათაყოლმსაო -არაებრაელს* (იქვე); *მეცხვარემ არც იცის სად მიყავს ისი თავის ცხენ* (იქვე).

1998 და 2005 წლებში ჩაწერილ ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების ამსახველ ყოფითი ხასიათის მასალაში ისი, ესე ვარიანტები არ გვხვდება. ეს ფორმები არ დადასტურდა არც ახალციხისა და რაჭის მასალაში. თუმცა, როგორც რ. ენოხი შენიშნავს, ებრაელები დღემდე იყენებენ ძველი და მომდევნო პერიოდის ქართულისათვის დამახასიათებელ ისი ნაცვალსახელს (ერთმა ქართველმა ებრაელმა მეორეს ჰკითხა – რ. ე.) *შენე ნახე ისი?* (ჩაწერილია ერუშალაიში 2018 წელს, მთქმელი ლეო ჩიკვაშვილი, რომელიც ამოსულია ისრაელში ქუთაისიდან 46 წლის წინათ – ჩამწ. რ. ენოხი, 2018).

ქართველ ებრაელთა ზეპირ თარგმანებშიც ისი გამოყენებულია III პირის ნაცვალსახელის აღმნიშვნელად (ენოხი 2008: 3). „თავსილის“ მონაცემებით, ისი ნაცვალსახელი დასტურდება როგორც დამოუკიდებლად, ისე მსაზღვრელად:

ისი პირის ნაცვალსახელის ფუნქციით:

*შინა სახითა ღმერთითა გაჩდა ისი, ვაჟი და ქალი გააჩინა ისინი* (ფარაშათ ბერემ., თ. 1); *და დასდვა ისი იმა ადამიანსა, რომ გასახა* (ფარაშათ ბერემ., თ. 2); *და დაუდვა უფალმა კაინსა ნიშანი თანა-არ-საცემლად ისი ყოველი მპოვნელის მისისათვის* (ფარაშათ ბერემ., თ. 4); *იმის იქიდან დაფანტა ისი უფალმან ზედა პირსა ყოველ იმა ქვეყანასა* (ფარაშათ ბერემ., თ. 11); *და გაუშვა ისი და იგი ცოლი მისი და იგი ყოველი* (ფარაშათ ლეხ ლეხა, თ. 2); *და დადვა ისი დამდგარად, და დაასხა ზეთი ზედა თავსა მისსა* (ფარაშათ ვაიეცე); *და ისი ღამეს ათევდა შინა ღამესა აიძას შინა ბანაკშიდა* (ფარაშათ ვაიშლახ, თ. 32); *და აკურთხა ისი იქა* (იქვე); *დაასაფლავეს ისი ყესავმა და იაკაკობმა, შვილებმა მისმა* (თ. 35); *მოისმინა რეუბენმა და დაიხსნა ისი იმის ხელის მათისაგან* (იქვე); *და იტირეს ისი მიცრაიმელებმა სამოზდაათი დღე* (ბერემ., თ. 50).

ვარაუდობენ, რომ ისი თვით უძველეს ქართულშიც უნდა გვქონოდა ყველა შესაძლო ფორმით. ი. იმნაიშვილის აზრით, ის ხმარებიდან გამოდევნა მისმა ბადალმა იგი ნაცვალსახელმა, რომელიც შინაარსით მისგან არ განსხვავდებოდა (იმნაიშვილი 1956: 258). ამ მოსაზრებას არ იზიარებს არ. მარტიროსოვი. მისი მტკიცებით, ისი ნაცვალსახელი ლიტერატურულ ენაში გაჩენილია გვიან, არაუადრეს X საუკუნისა (მარტიროსოვი 1964: 133).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ, ისი გვხვდება როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ დიალექტებში (ხევს., ფშ., გუდ., თუშ., ფერ., ინგ., კახ., ქართლ., იმერ., რაჭ., აჭარ., ჯავახ., ლივან., იმერ.). დასავლეთ საქართველოდან განსაკუთრებით ხშირად გამოყენება ზემოიმერულში (მოწენიძე 1973: 23, 83, 122) რაჭულსა (მიძიგური 1954: 191) და აჭარულში (ჯორბენაძე 1989: 555). ისი არ არის დამახასიათებელი ქვემოიმერულისთვის (კუბლაშვილი 1985: 107).

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში პირის ნაცვალსახელის ფუნქციით უფრო მეტად გვხვდება ის. მაგალითები: *ის გამს იმ პარახოთ, რომენითაც მე მოვედი და ისევე უნდა წავიდე* (ქდვ: „ვაშკაცის სიბრძნე“, №3943); *ის გიგდებდავე ყუურ* (ქდვ:



„იეკუთიელ მხატვარი“, №3944); *ჩვენ ის გვაძლევდავე თქვენთვის დასარიგებლათ* (იქვე)... *უთხრა რახელმა იაკობ... ის ღირსეული არიო და მე უშვილოდ რა მინდაო* (თსუფა 1982: №25155); *ის უშველის ერსა ისრაელისას* (თსუფა 1982: №25144);

ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში იშვიათად გვხვდება **იგიც**: *მაშინ დასწყევლეს იგი* (თსუფა 1982: №25177); *დიდი ბრძოლის შემდეგ დაამარცხა იგი* (თსუფა 1982: №25171); *იგი ძალიან ჭკვიანი კაცი იყო* (თსუფა 1982: 25173).

ქართული ენის დიალექტებიდან **იგი** დასავლურ კილოებს ახასიათებს, აღმოსავლეთ საქართველოს კილოებში კი უმთავრესად **ის** ნაცვალსახელი გამოიყენება.

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში **ეს, ის, ეგ, იგი** ნაცვალსახელებს ენაცვლება **ამა, იმა, მაგა, მა**. მაგალითები:

#### 1. ეს ნაცვალსახელი:

**მოთხრობითი:** *ამან რავა უნდა შემჭამოსო, ეშმაკს სული რავა ჩავაბაროვო* (დადუნაშვილი... 1999: 23); *ამან არაფერი არ იცის არაფერი გაუგია* (თსუფა 1982: №25158); *ამან ხალხი აგვიბუნტა და გაეცი განკარგულება ეს ჩამოვახჩოთ* (თსუფა 1982: №25178). *ახლა ამათმა შეუთვალეს* (ქდკ: ღარიბი კაცის ამბავი (სიძმარის ახსნა), №3951); *მაგრამ არ ქნეს ამათმა* (იქვე). მოთხრობითში ნაცვალსახელი **ამათ** გაფორმებულია **მა-** ნიშნით, რაც დიალექტურია და, ასევე, თანამედროვე ქართული სასაუბრო ენისთვის დამახასიათებელი.

**მიცემითი.** მხოლოდითი: *ჩორეთ ამას მიუგავდაო მაზალ-დავლათიო* (ქდკ: „ბატის მწყემსი“, №3939); *ხედამო ამასაო? – კიო, უპასუხა მალახამავედმა* (ქდკ: „უდარდელი კაცი“, №3949); *ნამდვილად ელიაუნაბ ზახარლეტობი იქნებოდაო და ისივე დაყრიდაო ამასაცაო* (ქდკ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950)... **მრავლობითში უფრო მეტად გვხვდება თანიანი ფორმები:** *რა ამხიარულებსე ამათ* (ქდკ: „უდარდელი კაცი“, №3949); *ამათ რო ასე ახარებსე* (იქვე)...

ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ ჩვენს მასალაში იშვიათია ხმოვანფუძიან ნაცვალსახელთა მრავლობითის უკვეცელი ფორმები: *თუ შენ ამეებს შეასრულებ, იცოდე სულ წაღმა ივლი* (ფა №17749). ეს ფრაზა ამონარიდია ზღაპრიდან „სამი ძმის ამბავი“ (რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი, ტექსტი არ არის შესული

დღემდე გამოქვეყნებულ არც ერთ გამოცემაში). მასალა დაცულია შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივში. ტექსტი ჩაწერილია ქუთაისში რ. თავდიდიშვილის მიერ, მთქმელი – მომე ძორელაშვილი. **ამაებს** არის, ასევე, ჩვენ მიერ ჩაწერილ ონის მასალაშიც, მთქმელი – მარო ტატიკიშვილი, 80 წლის: *...უზამ **ამაებს** და მიირთმევ* (ახალი მასალები 2017, ჩამწ. ს. გუმბ.).

მსგავსი ფორმები უხვადაა ქართული ენის დიალექტებში: **ამაებს** ყველას გადაგარჩინეო (სამცხურ-ჯავ., ქდვ: №464, ჩამწ. თამარ მაისურაძე); როცა რომ **ამაებს** მოვრჩებოდით, ერთ წალმართ დღეს გავჭრიდით და ამოვიღებდით ბალავერს (მთარაჭ., ქდვ №3489, ჩამწ. ნიკოლოზ რეხვიაშვილი); **ამაებზე** ეწყო: ვინ ქვიჯა, ვინ კეცია, ვინ ქოთან, გობი და სხვა (ლეჩხ., ქდვ №3685, ჩამწ. ნ. რეხვიაშვილი); *ბევრი იყვენ **ამაების** მცოდნელი ინსნები* (ჩვენებურების ქართ., ქდვ: №1585, ჩამწ. შუმანა ფუტყარაძე)... ნაცვალსახელის ამ ფორმებთან დაკავშირებით ა. შანიძე წერს: „ჩვენებითი ნაცვალსახელები მრავლობითში უმთავრესად მეორე წარმოების ფორმებს გვიჩვენებენ, მაგრამ ამათ გვერდით იხმარება, აგრეთვე, პირველი მრავლობითის მიხედვით ნაწარმოები ფორმებიც: ესე-ებ-ი, ეგე-ებ-ი, ისე-ებ-ი; ამა-ებ-მა, მაგა-ებ-მა. იმა-ებ-მა (ასიმილაციის ძალით: ამეებმა, მაგეებმა, იმეებმა) (შანიძე 1980: 102).

## 2. ის ნაცვალსახელი:

**მოთხრობითი: იმან** ყველაზე უმფრო შეარცხვინა (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *იმან თავისი შენახული ფარეები ველარ ნახა* (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942); **იმან** რაც უნდა, ის ქნას (თსუფა 1982: №25127); *ტეხნიკა იცოდნენ იმათმა* (ტექსტები, 2014: 213); **იმათმა** აღარაფერი აღარ მისცეს (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944); **იმათმაც** ბანზე გადმაიხედეს (ქდვ: „ღარიბი კაცის ამბავი (სიძმარის ახსნა)“, №3951). აქაც იგივე შემთხვევაა, რაც **მათმა** ნაცვალსახელთან.

**მიცემითი: იმას** არც წავყვები ცოლათ (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941); **იმას** მოყვა კიდე საომარი ტანფები (იქვე); *როგორც დღეს არის ახლა, შენზე მეტი იმას რო აქ და ის გე... გებ... გეშურება ან რაღაცა* (ტექსტები, 2014: 214); **იმას** ქვია რომაშანა (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.); **იმას** მაინც ვერავინ ვერ მუუგებდა (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *დიდ ნატებ პუურ იმას მიცემდა, ობოლი და გულნაკრული არიო* (ქდვ „ორი ძმა“, №3946)... მრავლობითში: *უვლიდა იმათ* და

ტკბებოდა თავისი სიბერიით (იქვე); ნახევარ ქონებას სულ იმათ აძლევდენ (იქვე); ქვეყანა იმათ ლოცამდა და აკურთხებდავე (ქდვ: „სულამითი“, №3948); ქვეყანა იმათ შენატროდავე (ქდვ: „ღარიბი კაცის ამბავი (სიმმარის ახსნა)“, №3951); თელი ქვეყანა იმათზე ლაპარაკობდა (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942);

ნათესაობითი: იმის წინაამდევ წევედი (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940)...

მოქმედებითი: ხელი იმითი არ მემებრუნებინაო (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942).

3. ეგ ნაცვალსახელი:

ნაცვალსახელი ეგ, რომელიც საგნის მეორე პირთან სიახლოვეზე მიუთითებს, ქართველ ებრაელთა მეტყველებაში თითქმის არ დადასტურდა. მას აქ ცვლის ირიბი ბრუნვისათვის განკუთვნილი მაგ ფუძე. ჩვენს მასალაში იგი უხვადაა რ. თავდიდიშვილის ტექსტებში: რავა უკულმა გააბრუნაო ამ ოჯახაშენებულმა მტერიო, აიო, ვაშკაციც მაგ არიო (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); მოიტა მაგ ერთი მანათი (ქდვ: „ძველების გამყიდველი“, №3952); იშვიათად გვხვდება მაგე ვარიანტიც. იგი დადასტურდა როგორც ძველ, ისე ახალ მასალაშიც: მაგე ახლა შემოჩენილი არი და თალმუდის დაბათლება უნდა (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941); მაგე გვხვდება ისრაელში მცხოვრები კულაშელი ებრაელის მეტყველების ამსახველ მასალაშიც: მაგე სად არის გადაიმასქნილი, პოლონეთში თუ გერმანიაში? (ფბ, 2018). მაგე ვარიანტი იშვიათად დასტურდება ქვემოიმერულში (კუბლაშვილი 1985: 104; ჯორბენაძე 1989: 464). ასეა ქართული ენის დიალექტებიდან იმერულშიც, კერძოდ, ქვემოიმერულში. ეგ ნაცვალსახელი ქვემოიმერულში საერთოდ არ გვხვდება, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, მას აქ ცვლის ირიბი ბრუნვისათვის განკუთვნილი ფუძე მაგი (კუბლაშვილი 1985: 108). ჩანს, ეს მოვლენა ქვემოიმერულის მსგავსია დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა მეტყველებაში.

მიცემითი: რითი დაამტკიცებ მაგას (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); მაგას აუცილებლათ შეგისრულე (ქდვ: „ორმოცი წლის თავზე“, №3947).

მოთხრობითი: შემდეგ შეიყვარა დალილა და მაგან მოულო ბოლო (თსუფა 1982: №25144).

**ნათესაობითი:** ნათესაობითში ეგ შესიტყვებაში ქმნის მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილს: *მაგისი სიტყვა გამართლდესო* (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941); *ხწორეთ მაგის მოხმარებით ვიშონითო* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *არც თორაზე დამიხედებია მაგის თაობაზე* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *მეტ ნულარაფერ ნულარ შემეკითხებითო მაგის თაობაზეაო* (ქდვ: „ღარიბი კაცის ამბავი (სიძმარის ახსნა)“, №3951); ასეა ისრაელში მცხოვრებ კულაშელი ებრაელის მეტყველებაშიც: *მაგის ცოლი იტალიაში ხო იყო?* (ფბ, 2018).

**მოქმედებითი:** *ვერც მაგითი გაიმარჯვა დალილამ* (თსუფა 1982: №25144).

ეგ გვხვდება მრავლობითშიც: *მიდიან ეგენიც* (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.).

**4. იგი ნაცვალსახელი:**

**მოთხრობითი:** *მან მიიყვანა ტბასთან* (თსუფა 1982: №25172); *მან დააშტერა ერთ ვეფხვს თვალი...* (თსუფა 1982: №25171); *მან შეჰყვირა-ხალხო...* (თსუფა 1982: №25172).

**მიცემითი:** *მას არა ქონდა ძალა* (თსუფა 1982: №25171); *თან გაყვნენ მას მეგობარი მხეცები* (თსუფა 1982: №25171); *ყველამ დაუჩოქა მას* (იქვე); *ერთმა კაცმა აუსხნა მას ყველაფერი* (იქვე); *მასაც ჰქონდა ძაფები* (თსუფა 1982: №25173).

გვხვდება ისინი ნაცვალსახელის -მა ნიშნიანი მოთხრობითი ბრუნვის ფორმა: *იმათმა ვერაფერი ვერ უთხრეს* (თსუფა 1982: №25173); *რო ფიქრობენ იგენი, ვედერაციას რო ფიქრობენ, იგენი ავტონომიის რესპუბლიკას* (ტექსტები 2014: 212-213).

**უარყოფითი ნაცვალსახელები.** ქართველ ებრაელთა მეტყველებაში უარყოფითი ნაცვალსახელები უმეტესად ცალკეა. ისინი კითხვითი ნაცვალსახელებისაგან მიღებული ფორმებია და, შესაბამისად, ისევე იბრუნვიან, როგორც ცალკე აღებული ვინ და რა.

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში უარყოფით არავინ/ვერავინ ნაცვალსახელებს ფორმაწარმოების მხრივ რაიმე თავისებურება არ ახასიათებს. მაგალითები:

*აქანა არავინ ჩამსო და ე ხმაა სიღვან მესმისო* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *ბატონ რაბის არავინ არ ენდურებოდა* (იქვე); *საიდანაა ჩვენი ხალხი, არავინ იცის*

(თსუფა 1982: №25145); იმას მაინც ვერავინ ვერ მუუგებდა (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940).

მიცემითში არავინ/ვერავინ გვხვდება როგორც სრული, ისე შეკვეცილი სახით: მიხალა არავის არ დაარეკინებდა ტელეფონზე (ბოთერა 2016: 30); ე ვაარ უცხოთ ჩამოსული, არვის არ ვიცნობ (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942); მაგრამა ვერსად ვერ დაინახა, არც არვის არ ჩაუგდო ბურთი კალთაში (ქდვ: „ბატის მწყემსი“: №3939); ხო ვერვინ ვერ ვნახეთო და ყურებჩამოყრილი, ისიც არი, გამწბარი ბრუნდებიან (იქვე).

ნურა გვხვდება როგორც ცალკე, ისე მსაზღვრელის როლშიც: ღმერთო, შენ ნუ შეინახამო ნურა დედას სიმწრისთვინაო (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940).

არაფერი, ვერაფერი, ნურაფერი ქართველ ებრაელთა მეტყველებაში გვხვდება სხვადასხვა ბრუნვის ფორმით: ერთი სიტყვით, არაფერი არ აკლდა (იქვე); მამაჩემს ვერაფერი მოჰკლავდა (თსუფა1982: №25136); არ გაუგია არაფერი (იქვე); არავითარ შემთხვევაში არ შეწუხდე და არაფერი არ გამოაგზავნო (პირადი წერილები); არაფერი გამომრჩეს მისი მოყოლიდანო (პირადი წერილ.);

ზოგჯერ ამ ნაცვალსახელებთან გვხვდება ორმაგი უარყოფა: იმათმა ვერაფერი ვერ უთხრეს (თსუფა 1982: №25173). მიცემით ბრუნვაში წარმოდგენილია ნულოვანი ალომორფით. მსგავსი შემთხვევა დასტურდება როგორც ქუთაისელ, ისე ონელ ებრაელთა მეტყველებაში: არაფერ ეუნებოდა, არ დავაწბილოვო და არაფერი მევენოსო (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); არაფერ იმ დღეს არ გავაკეთებთ (თსუფა 1982: №25127); ქმარი არაფერ არ ეუნებოდა (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); ადამიანიშვილის თვალი ვერაფერ ვერ გაარჩევდა (იქვე); მე ვერაფერ გაგიყოფ, მხოლოდ პატივ გცემ (თსუფა 1982: №25149); ე ბატონიც ვერაფერ ეუნებოდა ცოლო (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); რაბის ცოლი ვერაფერ მიხვთა (ქდვ: „ორმოცი წლის თავზე“, №3947); ჯერეც კიდე ნურაფერ გაამხელო (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939). გვხვდება -ს ნიშნიანი ფორმები: ჩვენთან მარცვლის დაბნევა არაფერს არ ნიშნავსო (თსუფა 1982: №25143); -ც ნაწილაკთან ნარჩუნდება მიცემითი ბრუნვის ნიშანი: თვარამა მანამდისინი ვერაფერსაც ვერ გეტყვი (ქდვ: „იოსეფი – დამაპატიოსნებელი შაბათისა“, №3945); მოქმედებითა და ვითარებითში გვხვდება

შეკუმშული ვარიანტი: *გამიტარევა, არაფრით არ დამიკლა* (თსუფა 1982: №25127); *ვერაფრით ვერ დაიძინა* (თსუფა 1982: №25178); *ამას არაფრად აგდებდა* (იქვე).


**ალარაფერი/ველარაფერი:** *წყალი ქონდა წამოღებული სახლიდგან, გამოსვა, შიგ ალარაფერი ჩარჩა* (ქდკ: „სულამითი“, №3948); *ალარაფერი ალარ გემეკპარებოდა* (ქდკ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *ველარაფერი ველარ თქვაა* (იქვე); *ახლა არაფერსაც ალარ ამბობ!* (ქდკ: „იოსეფი – დამაპატიოსნებელი შაბათისა“, №3945); *თვარამა მანამდისინი ვერაფერსაც ვერ გეტყვი* (იქვე).

**არც ერთი/ვერც ერთი:** *აუარ-ჩამუყარა ამ დაპატიჟებულ კაცებ, ერთხელ, ორჯელ, მაგრამ არცეთი არ მეეწონა* (ქდკ: „ბატის მწყემსი“, №3939); *მაგრამ კურდღლები დაიმაღენ ბუჩქებში და ვერცეთი ვერ დაიჭირეს* (იქვე); *ჩემა წინასწარმეტყველებმა ვერც ერთმა ვერ მითხრა წინასწარ, თუ რომენიმე ხენწიფე მე ომ გამამიცხადებდა* (ქდკ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941).

**განსაზღვრებითი ნაცვალსახელი.** განსაზღვრებითი ნაცვალსახელის ფორმა-წარმოება ისეთივეა, როგორც ქართულში. როგორც ცნობილია, ამ ჯგუფის ნაცვალსახელები არაერთგვაროვან ვითარებას უჩვენებენ ბრუნებისას.

ნაცვალსახელები **თვით**, **თვითონ**, **თავად** მხოლოდ სახელობითი ან მოთხრობითი ბრუნვის შინაარსს გამოხატავს. ასეა ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაშიც.

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში განსაზღვრებითი ნაცვალსახელის ყველა სახეობა არ დასტურდება. თვალშისაცემია ამ ჯგუფის ნაცვალსახელთა ფონეტიკურ ნიადაგზე გაჩენილი დიალექტური ვარიანტები: **თითვან**, **თითონ**, **თითან**. ნაცვალსახელი **თვითონ** ძველ ქართულში არ არის. იგი მოგვიანებით, სამუაღ საუკუნეებში, გაჩნდა. როგორც ა. შანიძე მიუთითებს, **თვითონ** მიღებულია ასე: **თვით მან** > **თითვან**. აქედანაა, ერთი მხრივ, **თვითონ**, მეორე მხრივ კი, **თვითან** (შანიძე 1980: 48). ამათთან ერთად სხვა ვარიანტებს გამოვსახავთ სქემატურად:



**თვითონ** ნაცვალსახელის ფონეტიკური ვარიანტები არის ქართული ენის დიალექტებშიც. მათგან ყველაზე მეტად არის გავრცელებული **თვითან**. ქართველ ებრაელთა მეტყველებაში დასტურდება საწინააღმდეგო პროცესი: ნაცვალსახელის ამ ნაწილში შემორჩენილია **ვინი**, ხოლო პირველ მარცვალში თანხმოვნის შემდეგ იკარგება **ვ**: *ჟარი გალავანთან მიცდის, მე თითვან უნდა გაუძღვე* (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941); *რაბიმ უთხრა, თქვენ თითვან გახსენით და თქვენვე წაიკითხეთო* (იქვე)...

**თვითონ** ნაცვალსახელის სხვა ფონეტიკური ვარიანტებია: **თითონ**, **თითან**. მაგალითები: *თაურობიდან კი არა, თითონ ხალხიდან* (ტექსტები 2014: 214); *ხენწიფე თითონ მიუძღვის თავის ჟაარ, როგორც ჩოვილობა ააქ ხოლმე, და ორივე სიძეები სარდლებათ დანიშნავე* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *თითონ ხენწიფეც კვდარ დეემსგავსა, არც მორჩა და არც მოკვდა* (იქვე); *მერე თითონაც უმფრო გათამამდა და დაუწყო პასუხების მიცემაც და შეკითხვებიც* (ქდვ: „სულამითი“, №3948).

გვხვდება **თვითონ** ნაცვალსახელის -ვე ნაწილაკიანი ფორმა: *ავადყოფი წამოდგა, მივიდა კარებთან და თითონავე გამოლო* (თავდ. 1940: 156); *მერე თავისი ამანათი თითონავე უნდა დაიბრუნოს* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *თითონავე უკვირდა, სად ვაარო, ან რაზე ვიყავიო ჭაშიაო* (ქდვ: „სულამითი“, №3948); *ამ გაჭივრებულ მე თითონავე მოვინათლამდი* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950); **თითონავე** ფორმა დადასტურდა მხოლოდ ქართველ ებრაელებთან (იხ. ცხენზეავე, ლოცვაზეავე...).

**თითან**: *ხენწიფემ კი გაატანა ე გოგო ამ მწყეეს, მაგრამ სახლიდგანაც გააგლო, თითან იმთენი იტირა, იმთენი იდარდა, რომა მეტი ტირილიდგან თვალეზიდგან დაბრმავედა* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939). ქართული ენის დიალექტებიდან **თითან** გვხვდება ფერეიდნულში.

რაც შეეხება ამ ჯგუფის სხვა ნაცვალსახელებს (**თითოეული**, **ყოველი**, **ყველა**), ისინი გვხვდება როგორც დამოუკიდებლად, ისე ატრიბუტული სინტაგმატიკის როლშიც. აქ განვიხილავთ ცალკე მდგომ ამ ნაცვალსახელთა ფორმაწარმოებას:

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ფართოდ გამოიყენება **ყველა** ნაცვალსახელი. როგორც ცნობილია, ქართულში **ყველა** ნაცვალსახელი უკვეცელ ჯგუფს ეკუთვნის და

მხოლოდობითში არავითარ თავისებურებას არ იჩენს. მრავლობითში კი ჩვეულებრივ ნარიანი ფორმა აქვს. ძველ ქართულში ნაცვალსახელი **ყველა** არ მოიპოვება. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, იგი წარმოიქმნა საშუალო საუკუნეების ლიტერატურულ ენაში **ყოველი** ნაცვალსახელის **ო-ს** რედუქციითა და ბოლოში **ა-ს** დართვით (მარტიროსოვი 1980: 226). ეს ნაცვალსახელი ამ პერიოდის ენაში გამოვლინდა სამი ვარიანტით: **ყუელა**, **ყვალა**, **ყველა**. ქართველ ებრაელთა მეტყველებაში უმეტესად გვხვდება **ყველა** როგორც ცალკე, ისე მსაზღვრელის როლში. იგი ხმოვანფუძიანი სახელია, მაგრამ – უკვეცელი. მას ვითარებითისა და წოდებითის ფორმები არ მოეპოვება. მაგალითები:

**სახელობითი:** *უნდა მითხრა ყველაი, იცოდე, მე კი ყველაფერი უნდა ვუთხრა მამაჩემ* (ქდვ: „ორმოცი წლის თავზე“, №3947); მოცემულ ფრაზაში საანალიზო სიტყვა გაფორმებულია -ი ბრუნვის ნიშნით. ანალოგიური შემთხვევა დასტურდება **კულაშელი** ებრაელის ცოცხალი მეტყველების ამსახველ მასალაში: *გაიხარეთ, იცოცხლეთ, ჯამთელთ, ბედნიერთა ყველაი... იცოცხლეთ, სიკეთეები და ბედნიერობა... შალომი და სიკეთე* (ფბ, 2018).

**მოთხრობითი:** *ყველამ გაიგო რომა ხენწიფე ორი უმფროსი სიძიდგან უკმაყოფილო იყო* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939).

**მიცემითი:** *ქარხანა ასწრებდა, შუილო, აფრთხილებდა ყველას... არ დაუჯერა არავინ* (თსუფა 1982: №25163); *ყველას შიშის ზარსა სცემდა* (ბოთერა 2016: 21); *ყუელას გუეკავა რალაცა პატარა იგენი* (ტექსტები 2014: 212).

ჩვენს მასალაში ხშირად **ყველას** წინ ერთვის **სუ(ლ)** ზმნისართი, რომელიც აძლიერებს მის მნიშვნელობას. მაგალითად: *სუყველა აგერ იქანა არი, ვისაც კი საქმარო ქვია და რალას უყურებ* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939).

არის დიალექტური ვარიანტებიც: **ყველაკანა**, **ყველკანა**: *იმიტომ რომა ყველაკანა მეელოდა გაბედნიერებას და ხენწიფის სიძეთ გახთომას* (იქვე); *თელი ჩემი სახენწიფოს ერთგულები ყველაკანა უნდა დემესწროსო ამ წოვილობაზედაო* (იქვე);

გვხვდება -ი ნიშნით გაფორმებულიც: *თქვენე ყველკანაი ჩემი შვილები ხაართ* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *ყველაკანას გული წყდებოდა ბატების მწყესი ხომ უყურებს ყველიფერ ამას და ეს ასე არ უნდაო* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939);



*სუყველაკანა იქანა იყო, ყველას თვალი ეკავა* (იქვე); *სუყველაკანა ერთგულ-ერთსული და კაისმოქმელი ყამდა* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940).

ზეპირ თარგმანებში უმეტესად დასტურდება **ყველა, სუყველა, სუყველე** განსაზღვრებითი ნაცვალსახელები. არის **სუყველე** დიალექტური ვარიანტიც: *...გაამრავლა საჩუქარი ბინიამინისა იმის საჩუქრებისა სუყველეის მათისაგან ხუთმაგათ, და დალიეს და დათვრენ მას თანა* (ბერემ., თ. 43).

არ. მარტიროსოვის აზრით, **ყველე** ფორმა გვახსენებს ზემოიმიერულსა და აჭარულში დადასტურებულ **შენე, ჩვენე, თქვენე** ფორმებს, რომლებიც ბოლოკიდური ხმოვნის მხრივ უტოლდებიან **ტომარე, ბაღანე** და სხვა ამგვარი ტიპის საზოგადო სახელებს. მეცნიერს უფრო დასაშვებად მიაჩნია **ყველე-ს** ბოლოკიდური **-ე-ს** მიღება **ე-სთან ა-ს** პროგრესული ასიმილაციის გზით (მარტიროსოვი 1984: 59). „თავსილში“ მსგავს ფორმათა არსებობა ქართული დიალექტების გავლენის შედეგი უნდა იყოს.

**ყვეელ** ფუძე ნარჩუნდება დროის აღმნიშვნელ ზმნისართთანაც: *ამ ნდობით ცხოვრობდა, ისესხებდა ყვეელდლე სხვადასხვიდგან ერთ-ორ მანათ* (ქდვ: „ძველების გამყიდველი“, №3952); *მეე და ჩემ ცოლ ყვეელ დლე ქყყოფნისე ორი აბაზი* (ქდვ: „უდარდელი კაცი“, №3949); *ყვეელ ღვთის გაჩენილ დლეეს, ყარაულების უმფროსმა ოროლი აბაზი უნდა აძლიოს ხოლმე* (იქვე); *იზრდება ბობში, ყვეელ დლე უკეთესი და უკეთესი ხთება* (თავდ. 1940: 151); **ყვეელ** ფუძე არის ქართული ენის დიალექტებშიც, მაგალითად, ჯავახურში: **ყვეელ დლე** საჩივარი მოდიოდა მის პაპა მაჰმად ალი ბეგთან (მარტიროსოვი 1984: 134). არ. მარტიროსოვის აზრით, **ვ-ს** შემდეგ **ო-ს** გადასმითა და მომდევნო **ე** ხმოვანთან სრული ასიმილაციით არის მიღებული **ყვეელ (< ყოველ):** **ყვეელდლე, ყვეელდლიურათ** (მარტიროსოვი 1984: 16).

გვხვდება **ყველა** ნაცვალსახელებზე დართული **ფერი** საწარმოებელი ელემენტი:

**სახელობითი:** *ყველიფერი ბებრი ქონდა, რაც ღმერთ გაუჩენია* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *ე გეეხარდა ასე ხო დაუხვთა სუყველიფერი* (იქვე).

**მიცემითი:** გაუფორმებელი მიცემითის ფორმა დადასტურდა ჩვენ მიერ ჩაწერილ ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა ყოფითი ხასიათის ამსახველ მასალაშიც: *ნუ მერე ერთი ორი წლის მერე შევეჩვიე ყველაფერ* (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.); *ნუ ყველაფერ ვაკეთებთ* (იქვე).

**მოქმედებითი:** ამ ბატონ ყველაფრით სრული ქონდა გული, არაფერი არ აკლდა ამ აბლია ყოლამზე არაფერი არ აკლდა (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); თლათ ვაშკაც გამდა სუყველიფრით, აღარაფერი აღარ გემეკარებოდა, რაც კი ღმერთი გაუჩენია ამ ქვეყანაზე, სუყველიფერ დასმენდა (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939).

**კითხვითი ნაცვალსახელები.** ქართველ ებრაელთა მეტყველებაში კითხვით ნაცვალსახელებთან რაიმე განსაკუთრებული თავისებურება არ შეიმჩნევა. გვხვდება ვინ ნაცვალსახელის სხვადასხვა ბრუნვის ფორმა:

**სახელობითი:** სარდლებათ ვინ დეენიშნა (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941); შენე ვინ ხაარ, ან რა წასულის მქონე ხაარ, ვინ არი იმისი თავდები, რო დამიბრუნო (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942).

**მიცემითი:** რა ქნას ახლა, მეტი დამალვაც აღარ შეუღია, გაამხილოს და ვის ედევოს (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); ან ვის ენდობოდა (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941).

რა ნაცვალსახელი, როგორც ცნობილია, ძველ ქართულში სახელობითში დაირთავდა -**ა/-ი-ს**. ახალ ქართულში -**ა/-ი-ს** გარეშე გამოიყენება. სახელობითი ბრუნვის ნიშანი დღეს შემორჩენილია ზოგიერთ დიალექტში. ხშირია მწერლობაშიც. -**ი** ხმოვნით გაფორმებული რა ნაცვალსახელი არის ზეპირ თარგმანებში: **რაი ესე გააკეთე შენ ჩემთვის? რატომ არ გამიცხადე მე, რომ ცოლი შენი ის?** (ბერეშ., თ. 22). ქართველ ებრაელთა მეტყველებაში რა სახელობითში ძირითადად გაუფორმებელია: **პირდაპირ თავზარი დეეცა და აღარ იცოდა რა ექნა, ან ჯარი რანაირათ შეეგროვებინა** (ქდვ: №3941).

**მიცემითში რა** ნაცვალსახელი გაფორმებულია -**ს** ნიშნით: **ცოლ-შვილი მიჩერებია და ვერ უბედამენ რომ კითხონ, რას ლაპარაკობო** (ქდვ: „ღარიბი კაცის ამბავი (სიმძარის ახსნა)“, №3951); **მაინც რას გაიმეტებ შენე** (იქვე); **ვინ რას იტყვის, ან რას გაიგონებს** (ქდვ: „ორმოცი წლის თავზე“, №3947).

**მოქმედებითი:** მოქმედებით ბრუნვაში ქართველ ებრაელთა მეტყველებაში გვხვდება რა ნაცვალსახელის როგორც შეკვეცილი (**რითი**), ისე შეუკვეცავი (**რათი**) ფორმები. ასეთი ფორმები შეიძლება დადასტურდეს ერთსა და იმავე ტექსტში:

*რითი შეეძლოვო ხო მოხმარებოდენ* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *აღარ იცოდა, რა ექნა... რითი დეეხწია თავი იოსეფისაგან* (ქდვ: „იოსეფი – დამაპატიოსნებელი შაბათისა“, №3945); *რითი დაამტკიცებ მაგას* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *რათი დაიჭირე? დაუწყეს სიცილი ამ მწყემსს* (იქვე).

**ვითარებითი:** ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალებში, კერძოდ, ყოფითი და ფოლკლორული ხასიათის ტექსტებში ვითარებითში უმეტესად გვხვდება **რათ** (< რად):

*რათ ვიკლამდი თაავ, ან ამაში გავსულიყავი* (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941); *ნახეს მხოლოთ ერთი სუდარი, მაგრამ რათ უნდოდათ* (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944).

თანამედროვე ქართულ წერითსა და მეტწილად ზეპირ მეტყველებაში გავრცელებულია **რად** ნაცვალსახელის **რადა**, **რათ**, **რათა** დიალექტური ვარიანტები.

ნაცვალსახელი **რამდენი** დასტურდება დამოუკიდებლადაც და არსებით სახელთან ერთად, მსაზღვრელად. მაგალითები:

*ერთი ჩვენთაგანი წავალთო და მეორე აქანა დავრჩებითო და რამდენსაც გვიბძანებვეო იქავ ისე მოგართმევთო* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939). ფონეტიკური ვარიანტები გვხვდება მიცემითშიც: **-ს** მოკვეცილი **რამდენ**: **რამდენ** იტირებს, *თვალეზიდგან თვალ-მარგალიტი გადმოცვინდება* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950), აგრეთვე, **დ-ს თ-დ** ქცევით მიღებული **რამთენ**: *ახალდაბადებული ბობში რამთენ* იტირებს, *სულ თვალ-მარგალიტი გადმოუდის თვალეზიდგან* (იქვე).

ქართველ ებრაელთა ყოფითი და ფოლკლორული ხასიათის მასალაში კითხვითი ნაცვალსახელი **სადაურის** გავრცელებულია მისი დიალექტური ვარიანტი **სიდაური**. მაგალითად: *სიმართლე მითხარი, სიდაური ხაარ, ან ვისი შვილი ხაარ* (ქდვ: „სულამითი“, №3948); *ვინ ხაარ, ან სიდაური, ან რა რჯულის ხაარ* (იქვე).

იგივე ვარიანტი დამახასიათებელია ქართული ენის დიალექტებისთვის, კერძოდ, სამცხურ-ჯავახურისთვის: *შე გენაცვალე, სიდაური ხარ?* (ქდვ №2393); *რა კაცი ხარ, სიდაური ხარო?* (ქდვ №3864).

ოდნავ განსხვავებული ვარიანტი **სიდლოური** გვხვდება დასავლურ დიალექტებში: ზემოიმერულში: სიდლოური ხარ, ბიძია, შენე-თქო? (ქდვ №3091); ზემოგურულში: რაზე მუშობდა, სიდლოური იყო (ქდვ №3841).

**მიმართებითი ნაცვალსახელები.** მიმართებითი ნაცვალსახელები იწარმოება კითხვით ნაცვალსახელებზე -ც(ა) ნაწილაკის დართვით. ძველ ქართულში იყო ნაწილაკიანი, უნაწილაკო და ორმაგნაწილაკიანი ფორმები (მარტიროსოვი 1964: 217). -ც(ა) ნაწილაკიანი ფორმები მოგვიანებით გაჩნდა. „ძველ ქართულში ნაკლებად იხმარებოდა მიმართებითი -ც(ა) ნაწილაკით. ასეთი ფორმა უფრო მეტად იკავას საშუალო ქართულში, როცა ხმარებიდან სრულიად გამოდის ესე, ეგე, იგი ნაწილაკები“ (იქვე, 201).

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში მიმართებითი ნაცვალსახელები უმეტესად გვხვდება ცალკე. მაგალითები:

**ვინც:** ქართულში **ვინც** ნაცვალსახელს მოეპოვება სახელობითის, მოთხრობითის, მიცემითისა და ნათესაობითის ფორმები. მთის დიალექტებში გავრცელებულია **ვინაც**. იგი არ გვხვდება ქართველ ებრაელთა მეტყველებაში. მაგალითები:

**სახელობითი:** *ვინც არც მიყვარს და არც მამწონს, იმას არც წაყვეები ცოლათ* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *ხწორეთ ამას მიუგავდაო მაზალ-დავლათიო, ვინც ირმის ხორცი და რძე მოქვცავო* (იქვე); *ეს ერთი მუდამ გახსობდეს რომა, ვინც ისრელის შვილზე ცუდ არ დახარჯამს და გულში ცუდ არ გაივლებს, ისი ყვეელთვინ გაიმარჯვებს* (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941).

**მიცემითი:** *გაამსეს ე ბატონი საგძლით: ფარეებით, ვისაც რა შეძლება ქონდა, ისე გაატანეს, გზა დაულოცეს* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *რა იგი, რო უარი არ გითხრას, ვისაც მიაბარებ* (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942).

**რაც:** *იმას მოყვა კიდე საომარი ტანფეხი, რაც ეკუთნის ომში სუყველიფერი* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *გამოუცხადავე თავის ხაალხ, რაც მოხთა* (იქვე).

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში, კერძოდ, რ. თავდიდიშვილის მასალაში, გავრცელებულია **რომელიც** მიმართებითი ნაცვალსახელის დიალექტური ვარიანტი **რომენიც**. იგი წინადადებაში უმეტესად წევრ-კავშირია სხვადასხვა ბრუნვის ფორმით:

**სახელობითი:** ყველას ნიშანი უნდა გავუკეთოვო, **რომენიც** მე მააქო, ისეო არავის არ გავატანო (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); ოქროს ქოჩრიანმა ამუაძრო მიწიდგან ი გობი, **რომენიც** წელანა ჩაასო (იქვე); ხელი მაღლა აუწევია, **რომენიც** შეხოვილი უჩამს (იქვე); მიაბარეს მიწას მიცვალებული, **რომენიც** თელმა ჯამაათმა დაუძახა ჯამაათ და გამუუცხადავე, რაც მოხთა, რანაირათაც ნახა სიძმარი და ხო არ გაამხილა (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); **რომენიც** თელმა ჯამაათმა იგლოვა, ყველა აბელათ დაესენ (იქვე); აწია ი ქვაა, **რომენიც** თავის შენახულ ფარეებ დაადვა (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942); იყო ერთი დინდარე ვაჭარი ისრელი, **რომენიც** ცხოვრობდა იერუშალაიმში და ვაჭრობდა კი ათინაში (ქდვ: „ვაშკაცის სიბრძნე“, №3943).

**მიცემითი:** ე კარისკაცი იყო ფოლინელი [პოლონელი] **რომენსაც** ისრელიძვილი შავი ჭირივით ეზარებოდა (ქდვ: „ძველების გამყიდველი“, №3952); შაბათისთვის კი ყავდა იეკუთიელ მიჩენილი ერთი მელამედი – მასწავლებელი, **რომენტანაც** შაბათ აყენებდა ხოლმე და კიდევაც ისვენებდა (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944).

**ნათესაობითი:** ვინც ფარეები ასესხა და ხელი **რომნის** გამოისობითაც მოიბრუნა, დიდისაგან დიდი ერთმანეთობა ქონდა (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942).

**მოქმედებითი:** ის გაამს იმ პარახოთ, **რომენითაც** მე მოვედი და ისევე უნდა წავიდე (იქვე).

**რომენიც** გვხვდება „თავსილშიც“: და შვილმან რვა დღისამან, დაამილავეთ თქვენ ყოველი ვაჟი დარებსა თქვენსა დაბადებული ოჯახში და, თუ გინდა, ნაყიდიც რო იყოს, ყველა ვაჟი, უცხოც, **რომენიც** არ არის ჩამომავლობის შენისგან, ისინიც (ბერეშ., თ. 17); მოგეცით მე თქვენ იგი ყოველი ბალახი, მათესლებელი თესლისა, **რომენიც** რომ ზედა პირსა მთელი ქვეყნისასა (ბერეშ., თ. 22).

სხვა მიმართებით ნაცვალსახელთაგან გვხვდება:

**რანაირათაც**, რომელიც გამოყენებულია საკავშირებლად რთულ ქვეწყობილ წინადადებაში: დაუძახა ჯამაათ და გამუუცხადავე, რაც მოხთა, **რანაირათაც** ნახა სიძმარი და ხო არ გაამხილა (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940);

**რამდენსაც:** **რამდენსაც** გვიბძანებვეო იქავ ისე მოგართმევთო (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939)...

**ურთიერთობითი ნაცვალსახელები.** ქართველ ებრაელთა მეტყველებაში უმეტესად გვხვდება ურთიერთობითი ნაცვალსახელები: **ერთმანეთი, ერთიმეორე.** ურთიერთობითი ნაცვალსახელებიც, სხვა ნაცვალსახელთა მსგავსად, ვერ აწარმოებს ყველა ბრუნვის ფორმას, თუმცა რ. თავდიდიშვილის ტექსტებში ნაცვალსახელი **ერთმანეთი-ს** ფორმაწარმოება მრავალფეროვანია, გვხვდება სხვადასხვა ბრუნვის ფორმით. იგი მიცემით ბრუნვაში, გარდა თითო-ოროლა შემთხვევისა, სისტემურად დასტურდება უნიშნოდ: *ერთმანეთ ეუნებთან, შავ დღეს დაგვაყენებსეო ხენწიფეო* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *ერთმანეთ კითხეს, რა უნდა იქნესო ვითამაო* ესეო (იქვე); *ერთმანეთ არ შორდებოდენ* (ქდვ: „ორი ძმა“, №3946); *დეემტერენ ერთმანეთ* (თსუფა 1982: №25155); *რამე გვეწყინებავეო, ერთმანეთს უთხრეს და ერთი წუთით დაღონდენ* (ქდვ: „სულამითი“, №3948).

მიცემით ბრუნვაში **ერთმანეთი** გვხვდება, აგრეთვე, თანდებულდართულიც: *ერთმანეთთან სტუმრათ მიდიოდენ ხოლმე* (ქდვ: „ორმოცი წლის თავზე“, №3947)... ზოგჯერ -ში თანდებულიან ფორმაში მოიაზრება -თან თანდებული: *გემეემშვიდობენ ერთმანეთ, გადაკოცნეს და დადვეს ერთმანეთში პირობა ძმობის* (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942); *ისე კარქათ და ტკბილათ იყვენ ერთმანეთში, რასაც ღმერთი მიცემდავე, იმაზე ხარობდენ* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950).

**ნათესაობითი:** *ძმებ ისე რცხვენიათ ერთმანეთის* (ქდვ: „ორი ძმა“, №3946); *მერე, როისაც ორივე გამოფხიზლდენ და კარქა ხანი ერთმანეთის ყურებით გულიც იჯერეს* (ქდვ: „სულამითი“, №3948).

ნაცვალსახელი **ერთიმეორე** უმეტესად მიცემითშია:

*ორივემ მისულეობა ერთიმეორეს გადახედეს* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *შეიკრიფა ჯამათი, ერთიმეორეს შეატყობინეს, მიცვალებული დავაპატიოსნოთო* (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944); *ხალხი ერთმანეთ წეესევაგო და თლათ შეჭამენო ერთიმეორესაო* (იქვე). *ხალხი ერთიმეორეს საჩუქრებსა და გაუსტუმრებელ ვალებს უბრუნებდა* (ბოთერა 2016:19); *მეხვიენ ძმანები ერთმანეთ, მოკოცნეს, უთხრეს ერთი მეორეს ამბავი და გაბრუნდენ უკან ხენწიფის სასახლეში* (ქდვ: „ორი ძმა“, №3946); *ე დიდი ბატონი და ე ეშეთხელიც ერთი მეორეს მორიდებაში რჩებოდენ უშვილოთ და არც უმხელდენ ერთი-მეორეს* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *შენ*

ვინ გირჩენიაო ქმარათაო და შენ ვინაო, *ერთი მეორეს* ეკითხებიან (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950);

**ერთიმეორე** გვხვდება ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველებაშიც: *კარგია ერთი მეორეს რომ უყვართ ერთმანეთი* (ფბ, 04.07.18, 23: 58).

მიცემით ბრუნვაში არის თანდებულიანი ფორმებიც: *გაიარა ხანმა, გოგუები იზღებთან, ერთი მეორეზე უკეთესები არიან, მამა ეცოდებავე, წელგაწყვეტილი თელი დღე რომ ფარჩხებ ათრევს* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950); *ილაპარაკებენ ხოლმე ერთი მეორეში ამ ქვეყნის ცხოვრებაზე, სიდინდრეზე და სიღარიბეზე* (იქვე).

ზოგჯერ -ში თანდებული გამოყენებულია -თან თანდებულის ფუნქციით: *ერთი მეორეში მიდი-მოდიოდენ და კიდევაც დამოყვრდენ* (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942).

ქართველ ებრაელთა ზეპირ თარგმანებში იშვიათია ურთიერთობითი ნაცვალსახელი **ერთმანეთი**. მაგალითად: *და უბძანა იმა კაცმან: აიყარენ იმის აქიდან, ნამეთურ გავიგონე მე, ერთმანეთს ეუნებოდენ: წავიდეთ დოთაინას* (ბერემ., თ. 37). ჩვენი აზრით, ეს ფორმა შესული უნდა იყოს ცოცხალი მეტყველებიდან, რადგან თარგმანის დროს/თარიღს თუ გავითვალისწინებთ, ამ დროისთვის იგი არც იყო მოსალოდნელი. ძველ ქართულში, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, X საუკუნიდან თანდათან ქრება ურთიერთობითი ნაცვალსახელი **ერთიერთსა**. საშუალო საუკუნეების სალიტერატურო ენაში თანდათან მკვიდრდება ძველ ქართულში იშვიათად ხმარებული **ერთმანერთი**, რომელიც სხვადასხვა ძეგლში პარალელურად გამარტივებული სახითაც დასტურდება (მარტიროსოვი 1964: 2013).

**განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი**. ქართველ ებრაელთა მეტყველებაში განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის ფორმაწარმოება ისეთივეა, როგორც საკუთრივ ქართულში. დასტურდება განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთა ყველა ჯგუფი.

ნაცვალსახელები **ვინმე/რამე** გვხვდება სხვადასხვა ბრუნვის ფორმით:

**სახელობითი**: *რაც გინდა დიდი თორა ბუალი მოსულიყო ვინმე, იმას მაინც ვერავინ ვერ მუუგებდა* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *შახტაში დაჩეხილი კაცი*.

ან ფეხი ან რამე რო ტკიოდა, იღებდენ იმაში, ხელობას ასწავლიდენ (ტექსტები 2014: 215).

**მოთხრობითი:** ყველთვინ შეიძლება რო ისაბაბოს ვინმემ ან რამემ და გამუუკეთდეს საქმე (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942).

**მიცემითი:** იმ გუნებაზე იყო, დანა ხო ვინმეს დეეკრა, სისხლი არ გამუუვიდოდა (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); იმას არ უნდოდა იმის სიცოცხლეში რომ ვინმეს გეგო, თუ რა შემბრალე იყო ისი ღარიბის (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944); ხენწიფემ ისევ ისე ბძანება გაცა, ჩემ სახენწიფოშიაო არავინ არ გაბედოსო ვინმეს მომსახურებაო (ქდვ: „უდარდელი კაცი“, №3949); იქნება რამეს შევხვდეთ სახეიროსაო (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942).

სურამელ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში ნაცვალსახელი რამე გაფორმებულია -ი ბრუნვის ნიშნით: ასე ვუმღეროდით და, თუ ეწყინებოდათ რამეი (დადუნაშვილი... 1999: 72).

რამე ნაცვალსახელს ახლავს თანდებულიც:

ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვიტა, იოსევი გაეშვა, თავისი თელი ყოფა-ცხოვრება კი ერთბაშათ გეეყიდნა და ერთ თავ რამეში ჩეეყარნა (ქდვ: „იოსევი – დამაპატიოსნებელი შაბათისა“, №3945); წამუა თქვენთან და ვინ იცის, იქნება მეგებმაროსე და გამოგადგესე რამეში (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); იქნებაო მეც გამავადგე რამეშიაო სახენწიფოსაო, ცხენებ მაინც მოუვლიო (იქვე)... არის მრავლობითი რიცხვის ფორმითაც: საკჭოთა კავშირმა ადგა და ხალხის გაუმჯობესების მიზნით ყუელაფერი გააკეთა, სათამაშოებიდან დაწყებული, საოჯახო რამეების დამთაურებული (ტექსტები 2014: 217).

ქუთაისელ და ონელ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში არის რომელიც ნაცვალსახელის ფონეტიკური ვარიანტი რომენიც: აწია ი ქვაა, რომენიც თავის შენახულ ფარეებ დაადგა (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941); იყო ერთი დინდარე ვაჭარი ისრეელი, რომენიც ცხოვრობდა იერუშალაიმში და ვაჭრობდა კი ათინაში (ქდვ: „ვაშკაცის სიბრძნე“, №3943); ილოცა იყაკობმა და ეყოლა იოსები, რომენიც დიდი მშვენიერი (თსუფა 1982: №25155).



**რომენსაც:** მე ვაარ წმინდა ქალწული უცოდველი, რომენსაც თავის სიცოცხლეში თავისი მამის ეზო-გარემოს მეტი არაფერი არ მინახია (ქდვ: „სულამითი“, №3948); წავიდა და იმ შახში მივიდა, რომენსაც ე კედელი უახლოვდებოდა (იქვე). გვხვდება თანდებულებანიც: შაბათისთვის კი ყავდა იეკუთიელ მიჩენილი ერთი მეღამედი – მასწავლებელი, რომენთანაც შაბათ აყენებდა ხოლმე და კიდევაც ისვენებდა (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944).

**რომენითაც:** ის გაამს იმ პარახოთ, რომენითაც მე მოვედი და ისევე უნდა წავიდე (ქდვ: „ვაშკაცის სიბრძნე“, №3943).

**ზოგი:** ერთი ბრმა კაცი მიდის, ყურ არავინ არ ათხუებს, ხალხი ეჯახება, ზოგი წააქცევს, ზოგი ხელ წაუჭიკიანებს (ქდვ: „ორი ძმა“, №3946); ეს მოწინააღმდეგე ხალხი უნა მოესპო ზოგი ძალით, ზოგი შეიძლება კამერეფში შეყარონ (ტექსტები 2014: 224); ზოგი დინდარე შეხვდა, ზოგი ღარიბი, ზოგი ავანტყოფი, ზოგი ნამუსიანი და კარში გამოუტანელი, ზოგი პირღია და შეუნახავი (ქდვ: „უდარდელი კაცი“, №3949).

**ზოგიერთებ:** შურიდგან გული გაუსკდავე ღარმე ზოგიერთებ, ვისაც რა უნდოდა ის ეთქვა (ქდვ: „ორი ძმა“, №3946).

**ერთი:** შეიქნა ერთი ზიან-ზამანი და ხორი-ხორი [შესაძლოა, ასე წაკითხვაც: ხარი-ხარი. ნ.ს.] (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); გაიხედა და ერთი კოჭლი მებატე დაინახა (იქვე); ერთ ქვეყანაში ცხოვრობდა, ერთი ღარიბი კაცი (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950); იყო ერთი კაცი კორახი, რომელსაც ჰქონდა დიდი ქონება (თსუფა 1982: №25163).

ამგვარად, ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში დადასტურდა თითქმის ყველა ჯგუფის ნაცვალსახელი. პარადიგმატული თვალსაზრისით ცალკე მდგომი ნაცვალსახელი ისეთივე უნარს ავლენს, როგორსაც ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში. სპეციფიკური ფაქტებიდან აღსანიშნავია რ. თავდიდიშვილის ტექსტებში პირის ნაცვალსახელთა, კერძოდ, I-II პირის ნაცვალსახელთა (მხოლობითსა და მრავლობითში) აუსლაუტში -ე ხმოვანი (შენ-ე, ჩვენ-ე, თქვე-ნე). მსგავსი ფორმები არის იმერეთიდან წასულ ამჟამად ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში. ჩვენ მიერ ონსა და ახალციხეში მცხოვრები ქართველი ებრაელებისაგან ჩაწერილ მასალაში ე დაბოლოებიანი პირის

ნაცვალსახელები არ დასტურდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული ფორმები არის არა ქართველ ებრაელთა მეტყველებისთვის დამახასიათებელი თავისებურება, არამედ ზოგიერთი ქართული კილოს ნიშანდობლივი ფაქტი; სურამში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში, ანალოგიურ შემთხვევებში, მსგავსად აღმოსავლური დიალექტებისა, II პირის ნაცვალსახელს (მხოლოდობითში, მიმართვის ფორმაში) დაერთვის ა (შენა); რ. თავდიდიშვილის ტექსტებში III პირის ნაცვალსახელის ფუნქციითაა არქაული ესე, ისი ფორმები. ესე არის სურამში მცხოვრებ ებრაელთა მეტყველებაშიც. ისი გვხვდება ზეპირი თარგმანების ენაშიც. 1998-2005 წლებში ჩაწერილ ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების ამსახველ ყოფითი ხასიათის მასალაში ისი, ესე ვარიანტები არ გვხვდება. ეს ფორმები არ დადასტურდა არც ახალციხისა და რაჭის მასალაში.

#### 4.1.2. ნაცვალსახელის დამატებითი სტრუქტურული ელემენტები

##### თანდებული

ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში არცთუ იშვიათია ნაცვალსახელის თანდებულისანი ფორმები. დასტურდება ამა თუ იმ მორფემის ფონეტიკური ვარიანტები. განვიხილავთ ბრუნვათა მიხედვით:

**მიცემითი.** ურთიერთობით ნაცვალსახელებთან -თან თანდებულის ფუნქციით ვხვდებით -ში თანდებულისანი ფორმას: *გემეემშვიდობენ ერთმანეთ, გადაკოცნეს და დადვეს ერთმანეთში* პირობა ძმობის (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942); *ისე კარქათ და ტკბილათ იყვენ ერთმანეთში, რასაც ღმერთი მიცემდავე, იმაზე ხარობდენ* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950); *ხუთი წლის წინ დამთავრდა საჩხერლებშიაც და იმეებშიაც რო ქორწილში ნაპრიმერ ფულეებს სროულობდნენ* (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.); *აი ტრადიცია არი საჩხერლებში და იმეებში განსხვავება ნუ ჩვენ სულ სხვანაირი ხალხი ვართ ქუთაისლები* (იქვე).

ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაში ჩნდება ში თანდებულის -ჩი დიალექტური ვარიანტი: *ამათჩი იყო გლახა ხალხიც* (ტექსტები 2014: 214).

**ნათესაობითი.** -თვის/-თვინ თანდებული გვხვდება ნაცვალსახელის სხვადასხვა შინაარსობრივ ჯგუფთან: მაგალითად: *ჩემთვისაო კვდარი არიანო, – ასე ამბობდა ხოლმე* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *რა საჭირო ხაართ თქვენე ჩემთვის?* (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941); *ჩემთვის ფორმა დადასტურდა ჩვენ მიერ ჩაწერილ ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაშიც: და ძალიან ძნელი იყო ჩემთვის იქაური სწავლა* (ახალი მასალები, 2016, ჩამწ. ს. გუმბ.); *ყველთვის დაინახამს ხოლმე და იმაზე აყოლებს გუულ* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939). -თვის თანდებულის -თვინ ვარიანტი დასტურდება ინტერნეტსივცეში განთავსებულ ვიდეომასალებშიც. მაგალითად: *ჩემთვის საქართველოსში დაბრუნება ამდენი წლის მერე; მამის ნათქვამი სიტყვები ჩვენთვის ძან ის იყო...* (<http://newpress.ge> მოძიებული 04.09.2017 წელს). ეს ფრაზები ეკუთვნის ამჟამად ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელს, რომელიც, როგორც რეპორტაჟიდან ირკვევა, ისრაელში წასვლის შემდეგ პირველადაა საქართველოში. მის მეტყველებაში ამკარად იგრძნობა ებრაული ენის გავლენა, მას უკვე უჭირს კიდევ ქართული სიტყვების გახსენება, საუბრისას ყოვნდება, განსხვავებულია წარმოთქმაც.

ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში -თვინ თანდებული გვხვდება *რა კითხვით ნაცვალსახელთანაც: რისთვის ხაართ თქვენე ჩემ სახენწიფოში?* (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941).

ქართველ ებრაელთა ზეპირ თარგმანებში უმეტესად გვხვდება -თვის. მაგალითად: *და უბრძანა უფალმან იმას აბრამსა: წადი შენ შენთვის ქვეყნის შენისაგან და იმის სამშობლო შენისაგან და მის ოჯახისა მამიშენისაგან იმ ქვეყანასა, რომ გაჩვენო შენ* (ბერეშ., თ. 16); *...და რომ არაერთხელ მარტო იდგენ ზედაე ჩვენსა მოსასპობლად ჩვენთვის...* („ფესახის აგადა“, ენოხი 2014: 14); *დაიმილაოს თქვენთვის ყველა ვაჟებმან* (ბერეშ., თ. 17); *შეჰკერეს ფოთლები ხისა ლეღვისა და გაიკეთეს მათთვის სარტყლები* (ბერეშ., თ. 3); *პირის ნაცვალსახელებთან დასტურდება -თვინ დიალექტური ვარიანტიც: და უბრძანა: ესერა გავიგონე მე, ნამეტურ არის პურიკაკალი შინა მიცრაიმშიდა; ჩადით იქა და იყიდეთ თქვენთვის იქიდან, და ვიცოცხლოთ და არ დავიხოცოთ* (ბერეშ., თ. 3); *არაერთჯერ მარტო დამდგრან ზედაე ჩვენსა თანა-გასათაებლათ ჩვენთვის* („ფესახის აგადა“, ენოხი 2014: 15).

-თვის თანდებული დაერთვის კუთვნილებით ნაცვალსახელს მისი: ღმერთმა იცის მისთვის იგი კრავი და უყურებს საღმრთოთა (ბერეშ., თ. 22); და მიცა მას რახელი, ქალიშვილი მისი, მისთვის თანამეტოლედ (ბერეშ., თ. 29); გვხვდება -თვინ ვარიანტიც: და მივეცი თანა ყესავსა იგი მთა სეყირისა დასამკვიდრებლათ მისთვინ („ფესახის აგადა“, ენოხი 2014:15).

არის ორმაგი ბრუნების შემთხვევებიც: და დაუდვა უფალმა კაინსა ნიშანი თანა-არ-საცემლად ისი ყოველი მპოვნელის მისისათვის (ბერეშ., თ. 4); წყელს ქენაყანი, ყმად იქნეს ძმების მისისათვის (ბერეშ., თ. 9)...

გვხვდება -თვის ნაცვალსახელის ა ხმოვნით გავრცობილი ვარიანტიც: და დაიწყო კიდევ შვიდი დღეები სხვები და გააგზავნა იგი მტრედი და არ მოფრენია შემოსაქცევლად იმათთვისა კიდევ (ბერეშ., თ. 8); -თვინ დასტურდება ყოველ ნაცვალსახელთანაც: გულში ცუდ არ გაივლებს, ისი ყველთვინ გაიმარჯვებს (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941).

**მოქმედებითი.** რ. თავდიდიშვილისა და გ. ჯაფარიძის ტექსტებში დასტურდება - გან თანდებულიანი ფორმა, რომელშიც მოქმედებითი ბრუნვის თ გამჟღერებული დ-ს სახითაა წარმოდგენილი. იგი გვხვდება სხვადასხვა ჯგუფის ნაცვალსახელებთან:

**შენდგან:** მშვიდობა მოქცეს ღმერთმა და ამ დღიდგან ჩემ კარზე უნდა გამსახურო, რომ შენდგან ჭკუა ვისწავლო და ხალხსაც ვასწავლო (ქდვ: „უდარდელი კაცი“, №3949);

**ჩემდგან:** მამაჩემი ჩემდგან ნაწყენი კი არი (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); ერთი სიბრძნე გახსოვდეს იცოდე ჩემდგან (ფა №17749). ქართული ენის დიალექტებიდან ჩემდგან დადასტურდა ქვემოგურულშიც: ერთი ჩემდგან ათანასე გოგიჩაიშვილმა ამას უშპიონა და რამე (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3839);

**ყველდგან:** თავისი შავი მაზალი ყველდგან მიზდევს და არც ახარებს (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942); ერთი სიტყვით, ყველა იმაზე უთითებდა, იმისი სახელი ყველდგან გავარდნილი იყო (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944);

**ვიდგანაც:** ვიდგანაც რამეს ისესხებდა, თავი რომ მეეკლა, მაინც ნასესხებ თავის დროზე დაუბრუნებდა (ქდვ: „მველების გამყიდველი“, №3952); თაავნ ვიდგანაც ნასესხები ქონდა, იმას დაუბრუნებდა დაუგვიანებლათ (იქვე); ვიდგანაც აშენებას

მელოდა, ვისთვისაც უნდოდა ტახტის დატევა, იმან ყველაზე უმფრო შეარცხინა (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939).

**არვიდგან:** რაც არ გაუგონია **არვიდგან** (ქდვ: „სულამითი“, №3948).

**ნაწილაკი.** ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში ნაცვალსახელებთან მრავლად დასტურდება -ვე, -ც(ა), -ლა, -ო ნაწილაკიანი ფორმები.

-ვე ნაწილაკდართული სახელები ქართველ ებრაელთა მეტყველებაში გვხვდება როგორც სახელის ფუძესთან უშუალოდ, ისე თანდებულის ფორმებთან. -ვე ნაწილაკი შეიძლება დაერთოს სხვადასხვა ჯგუფის ნაცვალსახელს. მაგალითად:

**პირის ნაცვალსახელები:** *თქვენ თითვან გახსენით და თქვენვე წაიკითხეთო* (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941). ქართველ ებრაელთა მეტყველებაში -ვე ნაწილაკი გვხვდება პირის ნაცვალსახელების ე ხმოვანდართულ ფორმებთანაც: *რომენ კარშიდაც გახვალთ თქვენე, თქვენვე მოქცემთ ხელში* (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941); *შენ ფარას შენვე დაგიბრუნებ და დანარჩენით ხელ მოვიბრუნებ* (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942)...

**კუთვნილებითი ნაცვალსახელები:** *დავიდ მეფის შვილი აბშალოში, მეორე იმისივე მხლებელი შავი ზანგი* (ქდვ: „სულამითი“, №3948); *იმისივე რძეც დალია თვარემა, იქავ ისე მორჩა და როგორც იყო ისევ ისე გახდა...* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939)...

**განსაზღვრებითი ნაცვალსახელები:** *თავისი ამნათი თითონავე უნდა დაიბრუნოს* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *თითონავე უკვირდა, სად ვაარო, ან რაზე ვიყავიო ჭაშიაო* (ქდვ: „სულამითი“, №3948); *ამ გაჭირვებულ მე თითონავე მოვინათლამდი და ჩემ სახელსაც დავარქმევდი* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950); *თითონავე მიხვთა, რომა გამოსაცდელათ უქნა ისი* (იქვე).

**-ლა ნაწილაკიანი ნაცვალსახელები:**

**ვინლა:** *ხუთი წლის ხო შეიქნა ე რაბის სანატრელი და ვინლა დაუდგებოდა წინ, თლათ ვაშკაც გამდა სუყველიფრით* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); **ვინლას:** *შენე სესხითაც არავის უმართამ ხეელ და ჩუქებით ხომ ვინლას რაღას აჩუქებ* (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944); დასტურდება დიალექტური ფორმა **ვინძალა:** *ე კაცი ვინძალა უცხო იყო, ჭაპანაი, უშნო მაშხით [ეშმაკს] გავდა* (ქდვ: „ლარიზი კაცის ამბავი (სიმძარის ახსნა)“, №3951); *კარისკაცებმა მუახსენეს თავის ბატონ რომა, ვინძალა უცხო*

კაც უნდაო თქვენი ნახვაო და შემუშავათო თუ არაო (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942); დარწმუნდა რომა ნამდვილათ აქიდგან არი ი ფარეები მოპარული და ვინძალას გატანილი (იქვე). ქართული ენის დიალექტებდან ვინძალა ფორმა დაფიქსირებულია ზემოიმერულში (იხ. ქ. მოწენიძე), ასევე, „ჩვენებურების ქართულში“ (იხ. შ. ფუტკარაძე).

ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაში განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი რაღა გვხვდება როგორც დამოუკიდებლად, ისე მსაზღვრელად: რაღა ხმა ემეღებოდავე (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); დაიწყეს ღარიბებმა ტირილი და მწუხარება, რატომ ადრე აქამდისინი არ ვიცოდითო, თუ ის ჩვენი ამნაირი შემზრალე იყოვო, მაგრამ რაღას მიეწოდენ (იქვე); მოჯამაგირე რაღათი უნდა გავისტუმრო (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3945).

ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაში გვხვდება რაღაცა განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის ფონეტიკურად შეპირობებული რაძალა ვარიანტი (შდრ. რაცალა/რაცხა): ამიგძიგებს და რაძალა ნაირათ თავის უნებურად შესძახა თითონაც... (ქდვ: „ორმოცი წლის თავზე“, №3947); რაძალა უბედურება მემელის მამაჩემოვო (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950). გვხვდება -ზე თანდებულიანი ვარიანტიც: ჩვენ რაძალაზე ვიჩხუბეთო და ხელის მოსაქნევათ მიიწია (ქდვ: „სულამითი“, №3948); რაძალამ თავიდგან ფეხებამდისინი დაუარა და გაიფიქრა (ქდვ: „ღარიბი კაცის ამბავი (სიძმარის ახსნა)“, №3951)...

სხვა თანდებულები: იმაზე ადრე კი იმის შვიილ დეეძინა (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); იმაზე მაღალი, იმაზე დიდი ის ბძანდება მისმა მზემა (ქდვ: „უდარდელი კაცი“, №3949); რაც ქონდავე იმაზე ხაფიფობდენ (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950); იმათზე არაფერმა ცუდმა ისუნტლოსო (ქდვ: „ორმოცი წლის თავზე“, №3947); ან ამაში გავსულიყავი, ან იმაშიდაო (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941); მივიდენ იმასთან ქობში (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944); ვინ გამოჩდებოდა იმასთან (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940).

#### -ც ნაწილაკი:

ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში მრავლად არის -ც ნაწილაკიანი სხვადასხვა ჯგუფის ნაცვალსახელები. პირის ნაცვალსახელებთან -ც

ნაწილაკი რ. თავდიდიშვილის მიერ ჩაწერილ ქუთაისში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში გვხვდება **თქვენე**, **შენე** ტიპის ფორმებთან -ე ხმოვნის შემდეგ. მაგალითები:

*ახლა შენეც მითხარი ვინ ხაარ...* (ქდვ: „სულამითი“, №3948); *შენეც სიტყვა გეუნება მიცემული* (იქვე); *ამ გზობით თქვენეც გამარჯვებული დაბრუნდებით, სულ წაღმა იართ, თქვენი სახენწიფოთი და თქვენი ერთგული ჯარითაც. ამენ* (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941); *თქვენეც ისევე დაგიტყებევო ჩემ ქონებასაო* (ქდვ: „ღარიბი კაცის ამბავი (სიმმარის ახსნა)“, №3951); (ასეა: **დაგიტყებევო** – ს. გუმბ.) *სანამდისინი უნდა ვიქნეთ, ამ უპატრონო ქვეყანაზე ჩვენეც უპატრონოთ და უყურადგებოთ* (ქდვ: „ორი ძმა“, №3946); *ჩვენეც დავდივართ და ვეძებთ* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939).

-ც ნაწილაკიანი ფორმები გვხვდება III პირის ნაცვალსახელებთანაც: **იმასაც** *შეახედავე* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *შაბათისთვინ ხარჯამ ერთათერთ მანათ და იმაზეაც ტირი* (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944); **იმანაც** *გაატანა თეთრი კბილით და შავი გულით* (იქვე); **იმანაც** *უთხრავე...* (ქდვ: „ორი ძმა“, №3946);

## 4.2. ნაცვალსახელის სინტაგმატური ანალიზი

ნაცვალსახელი მსაზღვრელად ახლავს სახელს და ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრულის ტიპს ქმნის. ატრიბუტული სინტაგმატიკის ნაცვალსახელებია: ეს, ეგ, ის, ჩემი, შენი, მისი, ვისი, რისი, თავისი, თავიანთი, ყველა, ყოველი, თითოეული, რომელი, ვიღაც, რაღაც... (ეს საქმე, ჩემი წიგნი, ვისი ბრძანება, ყოველი კაცი...).

როგორც აღინიშნა, ზოგიერთი ნაცვალსახელი ორმაგ სინტაგმატურ უნარს ავლენს. ასეთია, მაგალითად, **ეს**, **ეგ**, **ის** ნაცვალსახელები, რომლებიც შესაბამის ჯგუფს ამ უნარის მიხედვით მიეკუთვნება: სუბსტანტიური დატვირთვისა – პირის ნაცვალსახელებს, ატრიბუტულისა კი – ჩვენებითს (არაბული 2011: 209-210).

**ჩვენებითი ნაცვალსახელები.** ჩვენებითი ნაცვალსახელი, როგორც წესი, ბრუნვაში ეთანხმება წამყვან სიტყვას (საზღვრულს) და დაისმის იმ ბრუნვაში, რომელშიც ეს უკანასკნელია. ჩვენებითი ნაცვალსახელი, როგორც მსაზღვრელი, პრეპოზიციურია და სუპლექტური ფუძე შესაბამის ბრუნვებში უცვლელია.

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში გავრცელებულია ეს ნაცვალსახელის როგორც სრული, ისე შეკვეცილი სახეობა.

ეს ვარიანტი ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაში რ. თავდიდიშვილის ტექსტებში სახელობითი ბრუნვის ფორმით იშვიათად დასტურდება: *ეს ერთი მუდამ გახსობდეს* (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941); *ეს დაკვირებული კაცი წყაროს წყალივით წამოვიდა* (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942). უფრო მეტია ეს სხვა ტექსტებში: *ეს ახლა ქართულები, ოსეთი რომ ამბეფს ყუება, შვილო ეს ოჯახი, ეს ცხოვრება შენია* (თსუფა 1982: №25171); *ეს ბავშვი დაბადებიდან ძალიან ჭკვიანი და მკაცრი იყო* (თსუფა 1982: №25177)...

უმეტესად გვხვდება შეკვეცილი ვარიანტი (ე): *ბატონ ისე დეეხვია გულზე ე ამბავი რომა, იდარდა კიდე მეტათ და სულ მალე თანაც გადაყვა* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *სულ დაღონებული არი ე ხენწიფე...* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *მერე ადგა ე გოგო და თავისი მამის ნაზირ ჩაუგდო ე ბურთი კალთაში* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *მორჩა, ჩემო ბატონიშვილო, ე ხენწიფე და შეუდგა ისევ ისე თავის სახენწიფოს უმფროსობასა და პატრონობას* (იქვე); *ე ვეზირი ხო თლათ ბეყეირათი [უტვინო] არიო* (იქვე); *ადგა ე გოგო და თავისი მამის ნაზირ ჩაუგდო ე ბურთი კალთაში* (იქვე); *ე ეგერ ე კარები როა* (ტექსტები 2014: 2014); ეს ნაცვალსახელის შეკვეცილი სახეობა არის ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველებაშიც: *ჩავიდა ე კაცი და არ იცის სად მიდის* (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.).

ზოგჯერ ფრაზაში ჩვენებით ნაცვალსახელთა სრული და შეკვეცილი ვარიანტები ერთდროულადაა გამოყენებული. ასეა, მაგალითად, ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში: *ეს ბებიაჩემიდან შერჩათ ე ქართული* (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.).



იშვიათად არის უფრო ძველი ფორმითაც: *ბატონ უკვირს ამ სიძმარში რა ამბავი არიო ესეო ჩემ თავზეაო, არც კი ვიციო* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940).

ეს ნაცვალსახელის სხვა ბრუნვის ფორმები:

**მოთხრობითი:** *უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო ამ ქალმა* (თსუფა 1982: №25144); *ამ გოგომ, ე ბურთი დაიკავა ამ გოგომ ხელში ე ოქროს ბურთი* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *დაიწყო ამ რაშმა ჭიხვინი და თავის პატრონ ბატების მწყეეს წინ დაუდგა* (იქვე); *ჩვენც არ ამოქვხოცოსეო ამ რაშიანმა კაცმაო* (იქვე); *რავა უკუღმა გააბრუნაო ამ ოჯახაშენებულმა მტერიო, აიო, ვაშკაციც მაგ არიო* (იქვე); *ამ ბიჭმა ძუა გახსნა* (იქვე); *ამ კაცმა უთხრა ამ ღარიბ კაცს* (თსუფა №1982: №25149).

**მიცემითი:** *წადით, მაიარეთ ქვეყანა და გაიგეთ ვინ აკლია ამ ჩემ სუფრას უცოლო ვაშკაცი და თუ სადმე ვინმე იპონოთ, საჩქაროთ აქანა მამგვარეთ, იცოდეთ* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *შემუახტა მერე ამ რააშ და გააქანა* (იქვე); *ამ საწყალ უნცროს ქალიშვილ და არც იმის ქმარ სიახლოვესაც კი არ იკარებდა* (იქვე); *აუარ-ჩამუუარა ამ დაპატიჟებულ კაცებ, ერთხელ, ორჯელ, მაგრამა არცეთი არ მეეწონა* (იქვე); *შეუდგა ამ ირემ ოქროს თანჯარი, გაამსო რძით და თავდახურული დადგა სუქაში* (იქვე); *იყო ამნაირი მდგომიარობა. მიდიოდა დღეები, თვეები, წელიწადები, მაგრამა ამ ბატონ შვილი მაინც არ გაუჩდა* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *ხენწიფე უყურებს ამ ვაშკაც და უკვირს – სიდაური არიო, ან ვინ არიო ე ბიჭიო* (იქვე); *ამ ბატონ ეკავა დღე და ღამე თორა და ჭინახულობდა* (იქვე); *ყველაკანა ამ ოქროს ქოჩრიანზე ლაპარიკობენ* (იქვე); *ისე ამუუწყვიტეს ამ ხენწიფეს ე ჯარი რომა პირდაპირ გაუნახევრეს* (იქვე); *თუ გაასამართლებ ამ კაცს უმაღლესი სასჯელით* (თსუფა 1982: №25165); *ამ დროში რო არი შიმშონი, შეიხვეწა გამჩენ* (თსუფა 1982: №25144); *ამ ქვეყანაში ყველა პატივ ცემს* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *ამ სახლში ცხოვრობდა* (ფბ, 2018); *ამ მებატეს ხელში ჯოხი დაუკავებია და ბატებ მწყესამს* (იქვე); *...ამ ტყეში ხანდახან ბალი როა, იქანეო ჩამოდიოდენო, შუელზე ნადირობდენო* (ტექსტები 2016: 362); *არ ვიცი, იმდენი ოქრო ამოდის ამ სილაში* (ტექსტები 2014: 218); *შენ ამ ოქროებ მოუარე* (თსუფა 1982: №25149); *ამ ქალ თურმე ძალიან შეუყვარდა* (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.);

**ნათესაობითი:** *ამ ბატონის ცოლიც გათავებული ეშეთხელი იყო* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *დაიწყო ამ ადგილის გულდაგულ დათვარიელება* (ქდვ: „დაკვირვებული კაცი“, №3942); *აგერ იქნაი ამ სუქის წინ ირმის თავ-ფეხი და გულყიათი დავინახეთ და იმისთვინ გიახელით* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939). *ამ კომუნისტების დროს იყო ტელმანის ქუჩა, რიონი პირას* (ტექსტები 2014: 212).

**მოქმედებითი:** *ე გოგო ამ დღიდგან უთვალთვალეებს ამ ლამაზ მებატეს* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939). *ამ გერმანელებიდან გაქცეული ხალხის ადგილას ააშენეს თამარაშენი* (ტექსტები 2014: 216).

მსაზღვრელად წარმოდგენილი ნაცვალსახელი ის სახელობით ბრუნვაში გვხვდება როგორც სრული, ისე მხოლოდ შეკვეცილი სახით. მაგალითად:

**სრული:** *ისრეელი ისედაც მეზარებოდაო ის ისრეელი მოჯამაგირე იოსეფიო და რომ იმას ჩემი ქონება არ დარჩენოდაო* (ქდვ: „იოსეფი – დამაპატიოსნებელი შაბათისა“, №3945); *მე სულელმა ის სპრაუკა დაუხიე* (ტექსტები 2014: 214); *ის სპრაუკაც უნდოდა. აბა ფული ჩუენ არ ქუქონდა* (იქვე); *შენთან რო მუშაობდა კაცი, ძმასავით ქყაუდა ის სომეხი, მაგრამ ამათჩი იყო გლაბა ხალხიც, როგორც დღესაა ქურდები და ასეთები. ეგენი გუძლეუდენ* (იქვე);

**შეკვეცილი:** *ი ჯობი ოქროს ქოჩრიანმა ამუაძრო მიწიდგან ი ჯობი* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *ი თექუსმეტი მანეთი* (ტექსტები 2014: 221); *მიეცი ი ჯამაგირი* (ტექსტები 2014: 220); *კაზახსტანში ცხორობს ახლა ი ბიჭი* (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.); *სულ პყყენავს ი ნამცხვრები* (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.); *ი პატარას ხო ქონდა* (იქვე).

ის ნაცვალსახელი გვხვდება სხვა ბრუნვებშიც:

**მოთხრობითი:** *თქვა იმ კაცმა: ამ სიტყვებს იტყვიან შვილები ჩვენი და მიიღებენ ჩვენს წარსულ ამბავს* (თსუფა 1982: №25173).

**მიცემითი:** *ხწორეთ იმ დღეეს უნდა არჩეულიყო ტახტის ჩასაბარებელი სიძე* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *იმ ქვეყანაში წესათ ისე იყო მიღებული, ხენწიფის ქალიშვილი ხო გახთებოდა გასათხუარი, მამამისი მუახლის ხელით ოქროს სინზე წიმფე ნეესვ გაუგზანდა* (იქვე); *რამ დააღვეინა, იმ დალოცვილ?* (თსუფა 1982: №25144); *იმ დაბახანებში ამზადებენ ამ ლაკეფს* (ტექსტები 2014: 223); *დავისხნი იმ*

*ვეერცხლ* (ქდვ: „უდარდელი კაცი“, №3949); დასტურდება იმ ნაცვალსახელის შეკვეცილი ვარიანტი: *ახლა აქირავენს ი სახლს* (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.).

**ნათესაობითი:** *არ დარჩენილა იმ ქვეყნის არცეთი უცოლო კაცი, რო არ მისულიყოს* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *იმ ისრეელისთვინ შესაშინებლათ აკოშვიდგან შეუგდია* (ქდვ: „ძველების გამყიდველი“, №3952). იმ ნაცვალსახელის შეკვეცილი სახეობა შეგვხვდა ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში: *ი თორის სიტყვები* (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.).

**მოქმედებითი:** *იმ პირობით შეპირდავე ირემის ხორცისა და რძის გატანებას, რასაც ეტყოდავე ორივეს* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *იმ ორი სიძიდგან რამდენი დღე მიდის, იმდენი უმფრო გული ტკივა* (იქვე).

ეგ ნაცვალსახელი მსაზღვრელად.

*მაგის ისტორიის შესახებ არაფერი არ წერია* (ახალი მასალები, 2016, ჩამწ. ს. გუმბ.).

*აი, მაგის აღსა... აღსანიშნავათ საფლავზე გავდივართ* (ახალი მასალები, 2016, ჩამწ. ს. გუმბ.).

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში მეტ-ნაკლებად გავრცელებულია სხვა ჩვენებითი ნაცვალსახელებიც:

**ასეთი/ისეთი:** *ასეთი ამბავი გადავიართ* (თსუფა 1982: №25155); *რომ დაამთავრა ომი თქვა ასეთი სიტყვა* (თსუფა 1982: №25144); *სალოცავის ეზოში კეთდება ასეთი კარავი* (ტექსტები, 2014: 235); *მოსე იყო ისეთი კაცი, რომ ღმერთთან ჰქონდა ურთიერთობა* (თსუფა 1982: №25173); *ნუთუ ჩვენ ერში არ რი ისეთი ქალი, რო შენ შეგეფერებოდეს* (თსუფა 1982: №25144); *არ ჭამო ისეთი საჭმელი, რაც გამოდის ვაზისაგან* (იქვე).

**ეგეთი/იგეთი.** ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ ტექსტებში გვხვდება ჩვენებითი ნაცვალსახელები **ეგეთი/იგეთი**. ეს ნაცვალსახელები დიალექტურ ფორმებად არის გააზრებული და თანამედროვე სალიტერატურო ენაში იშვიათად არის (მარტიროსოვი 1964: 149).

ჩვენ მიერ ჩაწერილ ახალციხეში მცხოვრები ქართველი ებრაელის მეტყველების ამსახველ მასალაში მსაზღვრელად **ეგეთი**. მაგალითად: **ეგეთი რამე არ არი, ჩვენთან იგივე შვიდია, მერე ოცდაათი, თქვენთან ხო ორმოცია?** (ახალი მასალები,

2016, ჩამწ. ს. გუმბ.); ჩვენთან **ეგეთი ქელები** და ის... ის არ არი... თუ ძან ახლო წრე... ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები და სტუმრები (იქვე). რაჭულ მასალაში დადასტურდა **ეგეთი** ნაცვალსახელის დიალექტური ვარიანტი **იგეთი**: **იგეთი ლამაზი იყო, რომ იქ მდებარე ცხოველები თავზე წამოადგენ** (თსუფა 1982: №25171); **ეგეთი/იგეთი** ფართოდ არის გავრცელებული აღმოსავლურ კილოებში: გვხვდება ქართლურში, კახურში, ფერეიდნულსა და მოხეურში (მარტიროსოვი 1964: 150).

**ამდენი/იმდენი**: **ამიტომაც მემართება ამდენი სასწაულებიო** (თსუფა 1982: №25168); **ამდენი საკრავი და სიმხიარულე** (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); გვხვდება **ამთენი** დიალექტური ვარიანტიც: **ამთენი მოწვეული სტუმარი გამწბარი დარჩა** (იქვე); **იმდენი ტყვია მივიღე სულ დალილავებული მაქ ასოებიო** (თსუფა 1982: №25149); **არც მონახებია იმტენი ოქრო ერთათ ნახა** (ქდვ: „ძველების გამყიდველი“, №3952); **იმტენ ძველებ გატანდი** (იქვე). ზოგჯერ მსაზღვრელთან საზღვრული გაუჩინარებულია: **ბიჭუნა იმდენი ქენიო, რო ტანი შეიტანე** (თსუფა 1982: №25142); **ჩვენ იმდენი უნდა მოვახერხოთ, რო იოსები მოვკლათო** (თსუფა 1982: №25155)...

**ამისთანა**: **ამისთანა ძვირფას ტან-ფეხში გამოწყობილი დგაა და ირემის ხოორც აარშივებს** (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); **ამისთანა გადაწყვეტილება არი მაღლიდგან** (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3940); **რავა არ უნდა დაქვრჩესო ამისთანა დიდი თორა-ბაყალი ბატონიდგან შვილიო** (იქვე); **ამისთანა სამწუთრო შვილიო ხელიდგან გემემეცალოსო** (იქვე); **თავის ვითამ დღეში არ უნახია ამისთანა სახკარი, ამდენი ხალხი ერთათ** (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941); **ყოველი კაცი ფრთხილად უნდა იყოს, რომ არ მიიღოს ამისთანა სასჯელი** (თსუფა 1982: №25166). ჩვენ მიერ ისრაელში მცხოვრებ ქუთაისელ ებრაელთაგან ჩაწერილ მეტყველების ნიმუშებში **ამისთანა** გვხვდება თ თანხმომვის გარეშეც: **ისრეელი და ებრეელი არ არის ამისან რაღაცა** (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.).

**იმისთანა**: **იმის წიინ გაჩთა თვალებ ხომ არ უნახია, ორი იმისთანა ხმალი, ერთი ვერცხლისა და ერთი მოყვანილობის ორივე** (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); **რაში ფეხებით მიწას თხრიდა და იმისთანა ბდღვერი იდგა იქაურობაში, რომ ადამიანიშვილის თვალი ვერაფერ ვერ გაარჩევდა და ვერც შეხედამდა** (იქვე); **ძვირფას**

ტანფებში ჩაცმულ-დახურულები გაისუსენ, გაიგონეს იმისთანა ამბავი ხომ არ მეელოდენ, რალა ხმა ემეელებოდავე (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); იმისთანა ხენწიფე იყო ის უწმინდური ფარყო. რომ ერთ კაცს ვერ გამოაპარებდი (თსუფა 1982: №25138).

ზოგჯერ კონსტრუქციაში აზრის ექსპრესიულად გამოხატვის მიზნით გვხვდება ჩვენებითი ნაცვალსახელის გამეორების ფაქტები. ასეთ დროს იმისთანა მსაზღვრელის გარეშეა, გაფორმებულია -ი სუფიქსით, უმეტესად ახლავს რომ(ა) კავშირი. მაგალითები: ერთ დიდ ქვეყანაში ბძანდებოდა დიდი ბატონი, იმისთანა თორის მცოდნე იმისთანაი, რომა მისი შიშით ოთხფეხი და ორფეხი კანკალობდენ (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); იმისთანა ზარმაცი იყო ე კაცი იმისთანაი, რომა არაფერი საქმის გაკეთება არ შეეძლო (თავდ. 1940: 151); ხენწიფემ იმისთანა ლხინი გამართა, იმისთანაი რომა, რაც კი იმის საბძანებელში ცოლსათხუარი კაცი იყო, სუყველა მიიწვია (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); ისე კარქი ცხოვრება შეექნა, იმისთანაი ამ დაკვირებულ კააც რომა სუყველა ამას კითხამდა ხოლმე რჩევას (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942)...

**თქვენისთანა:**

სახელობითი: შალიახმა მუახსენა კიდე მეხალით, რომა: რაზე და რიტომ უნდა გადავარდეთო თქვენისთანა ცოლ-ქმარიო უშვილმომავლოთაო (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940).

მიცემითი: ბატონო რაბი, მეხილა მიქებოიდახ, რა მიზეზი არი, რომა თქვენისთანა დიდ ბატონსა და თორა ბაყალსა შვილი არ ქყამსე (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941).

ნათესაობითი: ...და ან ჯამათ რიტომ არ დარჩესო თქვენისთანა თორაბაყალის ნაწელგულებიო (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940).

კუთვნილებითი ნაცვალსახელი. კუთვნილებით ნაცვალსახელს ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ფორმაწარმოების მხრივ რაიმე თავისებურება არ ახასიათებს. იგი ისევე იბრუნვის, როგორც ბოლოთანხმოვნისანი ზედსართავი სახელები:

**ჩემი:**

**სახელობითი:** როგორც შვიდობით დავტყვევო ჩემი ჯამაათიო, ისევე შვიდობით დამახვეთერევეო (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); მიყვარს ჩემი ქუთაისი (ახალი მასალები, 2016, ჩამწ. ს. გუმბ.); ჩემი ნათესავი იყო, ივრითულ ასწავლიდა (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.). ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში გვხვდება მსაზღვრელად წარმოდგენილი კუთვნილებითი ნაცვალსახელი ჩემი ფუძის სახითაც: ძალიან მიყვარს ჩემ ქუთაისი და სამეგრელო (ახალი მასალები, 2016, ჩამწ. ს. გუმბ.); შენ დაასაფლავე ჩემ შვილი და მეც დამასაფლავე შენ (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.) (ასეთ შემთხვევაში მხოლოდ მთქმელის მეტყველების ინდივიდუალურ თავისებურებაზე შეიძლება საუბარი).

**მოთხრობითი:** მესამე ქალიშვილით მაინც გაიხაროსო ჩემმა ოჯახმაო და უცდიდა ყათიდ [მომავალს] (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939). მოთხრობით ბრუნვაში ამ ნაცვალსახელთან ორი მ-ს ნაცვლად უმეტესად არის ერთი: სიძემაც ზდილობიანათ უპასუხა: ჩემს სიძავრმა მაჩუქა (იქვე). ასეა ისრაელში მცხოვრები ქართველი ებრაელის მეტყველების ამსახველ მასალაშიც: ჩემს ქმამ მოისურვა (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.) (ასეა: რ ბგერა არ ისმის – ს. გუმბ.).

**მიცემითი:** მიცემით ბრუნვაში კუთვნილებითი ნაცვალსახელი ჩემი უმეტესად ბრუნვის ნიშნის გარეშეა: გაიგეთ ვინ აკლია ამ ჩემ სუფრას (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); ერთი ცხენი ჩემ ქმარსაც ათხუეთ (იქვე); ერთი ცხენი ჩემ ქმარსაც ათხუეთ, იწამეთ ღმერთი (იქვე); შეკთა ე ეშეთხაელი, რა ამბავი არიო ესეო ჩემ თავზეაო (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940). ასეა ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველებაშიც: ჩემ შვილებსაც კონდა იმისი საშუალება (ახალი მასალები, 2016, ჩამწ. ს. გუმბ.); ჩემ ოჯახში მოდი, შვილო (იქვე); ფულ მივცემ ჩემ შვილ ჩემთან რო არ იცხოვროს (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.).

როგორც საანალიზო მასალიდან ჩანს, მიცემითის -ს ალომორფის გარეშეა საზღვრულიც.

**მოქმედებითი:** ჩემი აზრით ვამბობ ამას (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950).

ვითარებით ბრუნვაში კუთვნილებითი ნაცვალსახელი ჩემი ჩვენს მასალაში არ დადასტურდა.

**წოდებითი:** *ჩვენე, ჩემო ბატონიშვილო, წამოსული ვართ ორივე, ქვისლები ვართ* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *ჩემო ერთგულო ჯამათო, აპა, ახლა თქვენ თითონ თქვით, ვის ეკუთნის ჩემი ტახტი* (იქვე); *ჩემო სიმაგრო, ჩემ ქვისლებ ორივეს მარჯვენა ყურის ბიმბილოები გაუჭერი* (იქვე).

**შენი:**

**სახელობითი:** *სად არი შენი ქონება, ვინ მიაგნებს სად გააქ დამარბული* (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944); *შენი სიძე არი, მამა ჩემო, ვერც კი იცანი!* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *ბატონო, ბატონო, შენი ლოცვა და ამსაყა გამჩენმა მოისმინა* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *ამღამვე შენი ეშეთხელი ცოლი ფეხ დაიდგამს* (იქვე).

რ. თავდიდიშვილის მასალაში გვხვდება შებრუნებული წყობის შემთხვევაც: *...ადონაი ღმერთი შენი* (დადუნაშვილი... 1999: 79).

**მოთხრობითი:** *რა გითხრეს შენმა სიძეებმა* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *შენმა ასე ვეტყვიო, შენმა დაამ გამამატანაო* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950).

**მიცემითი:** მიცემით ბრუნვაში უმეტესად მსაზღვრელი სახელი წარმოდგენილია ფუძის სახით. მაგალითად: *ამდენი ხანი არი შენ ქალიშვილზე თვალი მიკავია* (ქდვ: „ორმოცი წლის თავზე“, №3947); *ვისი არიო ი გოგო-ქალიშვილიო ი შენ ბანზე რო დადიოდაო* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950). ბრუნვის ნიშნის გარეშეა უმეტესად მსაზღვრელიცა და საზღვრულიც: *შენ ქმარ მანამდისინი არ მიეკარო, სანამდი არ გითხრას, სიდან იშონა ე ფული* (ქდვ: „ორმოცი წლის თავზე“, №3947).

**ჩვენი:**

**სახელობითი:** *თითონ არ იცის ჩვენი ბინა, მისწავლებით არავინ მიასწავლის და ისევე უკან გაბრუნდება* (ქდვ: „ვაშკაცის სიბრძნე“, №3943); *ჩქარა ადექი და წამოდი, ჩვენი ხენწიფე ქალიშვილ ათხუებს, რაღას უყურებ, შენ გიცდის* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *ჩვენი დიდი რაბები იძახიან* (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.); *საიდანაა ჩვენი ხალხი, არავინ იცის* (თსუფა 1982: №25148).

**მოთხრობითი:** *ან ტახტი დაგვილოცოსეო ჩვენმა სიმაგრმაო და თუ არა და წყევლით მაინც არ დაქვწყევლოსეო, წყევლა უწყევარი არ არიო და ლოცვა ულოცავი არ არიო* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939).

**მიცემითი:** *უყუროთ ჩვენ მტერს* საცინად აგდებულადაო (თსუფა 1982: №25144); *ჩვენ დასაო ჩვენზე მეტი ქონებაც ააქო და ლამაზი და ახალგაზდა ქმარიც კი ყაამსო* (ქდვ №3950); *ჩვენ ქვეყანაში ხენწიფე გადაიცვალა* (ქდვ: „ორი ძმა“, №3946). *ჩვენ დასაო ჩვენზე მეტი ქონებაც ააქო და ლამაზი და ახალგაზდა ქმარიც კი ყაამსო* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950). ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ამ მხრივ არაერთგვაროვანი ვითარებაა: კუთვნილებითი **ჩვენ** ნაცვალსახელი წარმოდგენილია როგორც -ს ალომორფით, ისე მის გარეშეც: *დედაჩემი ისე შეეჩვია ჩვენს რწმენას* (ახალი მასალები, 2016, ჩამწ. ს. გუმბ.); *ჩვენ ებრაულ რწმენას* (იქვე); *ებრაელზე უკეთესად იცავდა ჩვენ ებრაულ ტრადიციებს* (იქვე).

**ნათესაობითი:** *ჩვენი ქვეყნის ახალგაზდები იქანა მირბიან, ყველას ხელში სანთელი უკავიათ* (ქდვ: „ორი ძმა“, №3946).

**თქვენი:**

**სახელობითი:** *ამიერისაგან მეც თქვენი მონა და მორჩილი ვიქნები* (ქდვ: „ორმოცი წლის თავზე“, №3947); *წადით სადაც გინდათ და იქანა იცხოვრეთო, თქვენი ბინა ეძებეთო* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950); *რაც უნდა იუკადრისოთ ხომ მაინც თქვენი ქვისლი არი* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939).

**მიცემითი:** თუ შეიძლება რომა თქვენ შახში წამოვიდე? (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950).

**ნათესაობითი:** *თქვენი მიზეზი არი თუ თქვენი ეშეთხაელი ქალისაო* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940).

**მოქმედებითი:** *თქვენი სვინდისით დახედეთ ქახალდზე რაც ეწეროს* (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941).

მესამე პირის კუთვნილებას გამოხატავს ნაცვალსახელები: **მისი, იმისი, ამისი, მაგისი, მათი, იმათი, ამათი, მაგათი, თვისი|| თავისი, სხვისი, ვისი, რისი.** მაგალითები:

**მისი/ამისი/იმისი, მათი/ამათი/იმათი:**

**სახელობითი:** *მეორე ცდა გააკეთა დელილამ, რო დატყუოს, რაშია მისი ძალა* (თსუფა 1982: №25144); *მიკურთხოს მისი გარიგებულობა, მისი სიხასე და სიპატიოსნე და არც დაგვამადლიანავე* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *გამჩენმა უნდა*



მიერთების მისი ნეშამ (სული) (იქვე); მისი გაჩენილის სამსახურში იყო (იქვე); აქო და ადიდა მისი სახელი, მისი პატიოსნება და მისი სიდიდე (იქვე); მისი მოწინააღმდეგენი ჩაცვივდნენ ნაპრალში (თსუფა 1982: №25163); ამისი მოკვლა მართლაც კი არიო საცოდაობავო (იქვე); ამისი მორჩენაო არ იქნებაო (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); ამის ღირსიც იმიტომ გაქვხადეო (ქდვ: „ძველების გამყიდველი“, №3952); კაც ბნელას მოგვრის იმისი მშვენება (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); შეჰამ ირემის ხორცი და იმისივე რძეც დალია (იქვე); არც აინუნში არ ჩაადო იმათი ლაპარაკი (იქვე); იმათი ქალიშვილი კი თავისი ნაშიერთ შორ იდგენ (ქდვ: „ორმოცი წლის თავზე“, №3947).

აღსანიშნავია რ. თავდიდიშვილის მასალაში მისი კუთვნილებითი ნაცვალსახელის გამოყენება შებრუნებული წყობისას სხვადასხვა ბრუნვაში: დაარქვა სახელი მისი ბუსთნაი (ბაღში ნაპოვნი – ს. გუმბ.) (დადუნაშვილი... 1999: 85); დასჭერი შენ შტოები მისი, ფურცლები მისი და ყვავილები მისი და ცენარეები მისი (დადუნაშვილი... 1999: 76); თარგმანი მისი ვიცი მე (იქვე, 79). გვხვდება ისეთი შემთხვევაც, როცა მსაზღვრელი გაფორმებულია -მა ალომორფით, ხოლო საზღვრული – -მან ბრუნვის ნიშნით: ამხანაგებმან მისმა უთხრეს (იქვე).

მოთხრობითი: მისმა მშობლებმა გაუგეს ეს ამბავი (თსუფა 1982: №25172).

მიცემითი: ამ დროს ამის მომხრეებთან იყო ერთი კაცი (თსუფა 1982: №25163); გათხუებაზე, ხენწიფემაც, როგორც ეკუთნოდა იმის დიდებასა და იმის ოჯახ, ისე მოიქცა (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); რაც კი იმის საბძანებელში ცოლსათხუარი კაცი იყო, სუყველა მიიწვია (იქვე); მათ სიძესა და მის ნაშიერ ორმოცი წლის თავზე აუხდათ ცოდვის ქირა (ქდვ: „ორმოცი წლის თავზე“, №3947).

ნათესაობითი: ხო იცის იმისი გავლისა და გამავლის დროო (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939).

მოქმედებითი: ამის ნაფასურითაო ცოლ მჟავეულ მიუტანო (ქდვ: „ფარჩების მხიკავი“, №3950).

ვითარებითი: ხენწიფემ გაცა ბძანება, რომა მზეთუნახავის დეიდაი მისი ჭაპანა ქალიშვილიანა ორივე ცხენების კუდებზე გემეებავე (იქვე).

როგორც ცნობილია, ცოცხალ სასაუბრო მეტყველებასა და დიალექტებში ხშირად მისი და თავისი ნაცვალსახელთა გამოყენების შემთხვევები აღრეულია; მეტწილად

თავისი-ს ნაცვლად მისი ნაცვალსახელი იხმარება. იშვიათად პირუკუც ხდება: თავისი ენაცვლება მისი ნაცვალსახელს. სალიტერატურო ნორმა ასეთია: ნაცვალსახელი თავისი გამოხატავს მოქმედი პირისადმი კუთვნილებას, ხოლო მისი გვიჩვენებს, რომ საგანი მოქმედ პირს არ ეკუთვნის. ძველ ქართულში ამგვარი მიმართება არ არის დაცული. გამოიყენებოდა როგორც მისი, ისე თვისი. რა ვითარებაა ამ მხრივ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში?

თავისი:

სახელობითი: *შეკრიბა ყველა თავისი ნათესავი ქალები* (თსუფა 1982: №25173); *რაზე უნდა დავარცხვინო და დავაწბილოვო, თავისი სირცხვილ-ნამუსი ეყოფავო* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940).

რაჭაში მცხოვრებ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში გვხვდება თავისი ნაცვალსახელის ს(ი) მოკვეცილი სახეობაც: *გამოაქვეყნა თავი-თავი, როგორც თვალის ექიმი* (თსუფა 1982: №25149); *გამოაცხადა თავი-თავი ინჯინრად, ტექნიკოსად* (იქვე); *ბოლოს ეს ისხაკი შეატო თავითავ, რო კვდებოდა, უთხრა რიბკას* (თსუფა 1982: №25155); *დაინახა ლია თავი გვერში* (იქვე).

მიცემითი: *თავის გულს* ასკდებოდა ხენწიფე (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *ბატების მწყესი ხომ უყურებს ყველიფერ ამას და ეს ასე არ უნდაო, ახლა მიყურეთო მე რა ვქნაო, – გაიფიქრა თავის გუნებაში* (იქვე); *ე ეშეთხაელი-სადგანიოთი ვერც ვერაფერ უბედამდა თავის ქმარ* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *იფიქრა თავის გუნებაში, მოდი, ერთი შევეკითხები ბატონსაო, თუ რიტომ არ წუუხსო* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *მამა უთვლიდა თავის ქალიშვილს, შენი გათხუების დრო მოვიდაო* (იქვე); *ხენწიფე [ასეა. ნ. ს.] გამოუცხადავე თავის ხაალხ, რაც მოხთა* (იქვე); *დაბმანდა ხენწიფე თავის ტახტზე, მიდიან ე კაცები სათითაოთ, იხდიან ქულდ* (იქვე); *ჩააბარა თავის მეუღლეს* (თსუფა 1982: №25149); *სახლში ზრდიდა მოშეს – თავის დამლუპველს* (თსუფა 1982: №25137).

ნათესაობითი: *მერე ადგა ე გოგო და თავისი მამის ნაზირ ჩაუგდო ე ბურთი კალთაში* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *ისევ ისე მიიწვია თელი თავისი ქვეყნის საცოლო კაცები* (იქვე); *მას იმედი ქონდა თავისი ქალიშვილისა* (თსუფა 1982: №25173);

ამოიღო უცვლელად *ჯიბიდან თავისი გახვილი ძუა* (იქვე); *ხენწიფის ქალიშვილმა კი ისევ ისე თავის მამის ნაზირი გააბედნიერა და იმის ცოლობა ისურნა* (იქვე).

ისრაელში მცხოვრებ ქუთაისელი ებრაელის მეტყველებაში დადასტურდა კუთვნილებითი ნაცვალსახელის თავიანთი ნაცვლად თავათი: *საჩხერლებ თავათი „გამოხტომები“ აქ, რაჭველებ თავათი* (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.). რ. ენობის აზრით, ეს ფორმა ჩვეულებრივია ქუთაისელი ებრაელის მეტყველებისათვის. მსგავსი მაგალითი დაფიქსირდა სოციალურ ქსელში განთავსებულ ქართველი ებრაელის ღია წერილში: *არ ეყოფათ თავათი სირცხვილი და სიმწარე?* (<http://diaspora.ge/>).

მოქმედებითი: *მოხთა სასწაული, გაიპო ეს ზღუა და გავიდა, მოსემ თავისი ხალხით!* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950); რაჭველ ებრაელთა მეტყველებაში შეგვხვდა თავისი ნაცვალსახელი შეკვეცილი ვარიანტი თავი: *მივიდა თავი ცხენით ამ კაცთან* (თსუფა 1982: №25149).

ატრიბუტულ მსაზღვრელად გამოყენებული კუთვნილებითი და ჩვენებითი ნაცვალსახელები ქართველ ებრაელთა მეტყველებაში, ყოფითი და ფოლკლორული ხასიათის ტექსტებში ძირითადად საზღვრულის წინა პოზიციაში დასტურდება, რასაც ვერ ვიტყვით ზეპირ თარგმანებზე.

კითხვითი ნაცვალსახელები. კითხვითი ნაცვალსახელი რამდენი, სადაური, ქართველ ებრაელთა მეტყველებაში გამოიყენება მსაზღვრელ წევრებადაც და იბრუნვის საკუთარ საზღვრულ წევრთან ერთად ჩვეულებრივი წესით.

ნაცვალსახელი რამდენი დასტურდება დამოუკიდებლადაც და არსებით სახელთან ერთად, მსაზღვრელადაც: *იმ ორი სიძიდან რამდენი დღე მიდის, იმდენი უმფრო გული ტკივა* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939). ზოგჯერ რამდენი განმარტოებული მსაზღვრელია: *თვრამეტ საათზე და ორ წუთზე, ესე იგი, მოიმატა ექუსი წუთი თუ რამდენი?* (ტექსტები 2014: 233). გვხვდება მისი ფონეტიკური ვარიანტი რამტენი: *შვილი რამტენი ქყავს?* (ქდვ: „უდარდელი კაცი“, №3949); *რამტენი დღე მოდის, უკეთესი და უკეთესი ხთება* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950).

სიდაური: *ესეო სიდაური ჩემი საქმარო არიო, გული გაუსკდა თურმე იმის მუხედვაზე* (ქდვ: „ღარიბი კაცის ამბავი (სიძმარის ახსნა)“, №3951).

**კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები.** ქართველ ებრაელთა მეტყველებაში კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელებს ფორმაწარმოების თვალსაზრისით რაიმე თავისებურება არ უდასტურდება. ზოგადად ქართულში კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელების თავისებურება ისაა, რომ ვერ აწარმოებენ ნათესაობითი ბრუნვის ფორმას. მაგალითები:

*ვისი შვილი ხაარო?* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *რისი მიზეზით არი ე სიძმრები* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *რისი იმედით ავილო მეე ე ბეჭედი რო მაძღვე შენე* (ქდვ: „სულამითი“, №3948);

იშვიათია ცალკე: *ვისი არიო ი გოგო-ქალიშვილიო ი შენ ბანზე რო დადიოდაო* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939).

საკუთრივ სამწიგნობრო ქართულსა და ქართული ენის დიალექტებში კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები იშვიათად გვხვდება **ნარ-თანა**ნ მრავლობითში, უფრო იშვიათია **ებიანი** მრავლობითის ფორმები (მარტიროსოვი 1964: 347). ჩვენს მასალაში მრავლობითის ფორმები არ დადასტურდა.

**მიმართებითი ნაცვალსახელები.** ქართველ ებრაელთა მეტყველებაში მიმართებითი ნაცვალსახელები მსაზღვრელ წევრებად იშვიათად გვხვდება. მაგალითად: *რომენი სიძმარიც ნახა, ისიც თელათ დაწვრილებით უთხრა* (ქდვ: „ღარიბი კაცის ამბავი (სიძმარის ახსნა)“, №3951); *რომენ ღმერთსაც შენე აქებ და ადიდებ ხოლმე* (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942).

**განსაზღვრებითი ნაცვალსახელი.** განსაზღვრებით ნაცვალსახელთა ჯგუფში ფორმაწარმოების თვალსაზრისით არაერთგვაროვანი ვითარებაა. ერთი ჯგუფის ფარგლებში ერთდროულად შედის როგორც უბრუნველი, ისე ბრუნებადი ნაცვალსახელები. ამათგან **ყველა, ყოველი, თითოეული...** იბრუნვის როგორც ცალკე, ისე ავლენს ატრიბუტული სინტაგმატიკის უნარს. აქ მათ განვიხილავთ წყვილში.

ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში **ყველა** მეტწილად მსაზღვრელია: *ამ ენით წამოვიდა მთელი ადამიანობა, სულ ყველა კაცი* (თსუფა 1982: №25147); *ყველას გულს* ბაგა-ბუგი გაუდის (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939).

ზოგჯერ ნაცვალსახელთან **ყველა** საზღვრული მრავლობითშია: *დაიკავა ამ გოგომ ხელში ე ოქროს ბურთი თვარემა, ყველა სტუმრებ აუარ-ჩამოუარა...* (იქვე).

რ. თავდიდიშვილის მასალაში მსაზღვრელად წარმოდგენილ ნაცვალსახელში ყველა ფუძისეული ე ხმოვანი სახელობითი დაგრძელებულია: *დატრიალდენ ყვეელა კუთხიდგან ხენწიფის ერთგული ხალხი* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950).

გვხვდება ყველა ნაცვალსახელის დიალექტური ვარიანტიც:

ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში დასტურდება ყვეელ ვარიანტიც: *შემეხვიენ ყვეელი კუთხიდგან* (ქდვ: „სულამითი“, №3948).

მსაზღვრელად გვხვდება ფერი საწარმოებელ ელემენტდართული ნაცვალსახელი ყველა: *ერთი ქალიშვილი იყო იმისი ყველიფერი სიხარულიცა და სიცოცხლეც* (ქდვ: „სულამითი“, №3948).

**განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი**

**რამე:** *საუკეთესო რამე მოიძებნებოდა, საჭმელ-სასმელიდგან მოკიდებული საკლავით და ნამცხვარით* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950);

სურამელი ებრაელის მეტყველების ამსახველ მასალაში მსაზღვრელ წევრად წარმოდგენილი რამე ნაცვალსახელი გვხვდება -ი ალომორფით:

**რამეი:** *ასე ვუმღეროდით და თუ ეწყინებოდათ რამეი ნახირი რო მოვიდოდა ხოლმე, გვეჭირა შაქარი და სულ ვაპნევდით და ვუბოდიშებდით* (დადუნაშვილი 1998: ფა ქ 380-234);

**რომენი:** *მაგრამა ახლა უნდა ხკითხო, რავა მოვიქცევი მე და რომენი კარიდან გავალ დიდიდან თუ პეტერადან* (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941).

მიცემით ბრუნვაში რომენ არის ნულოვანი ალომორფითაც:

**რომენ:** *ახლა წადი, არაფერსაც აღარ გაგატან, რომენ ღმერთსაც შენე აქებ და ადიდებ ხოლმე, ახლა, ამ საფესახოთ იმ ღმერთმა მოქცეს* (ქდვ: „ძველების გამყიდველი“, №3952).

**რომენიმე:** *თუ რომენიმე ხენწიფე მე ომ გამამიცხადებდა, არც ვიყავი მე ომისთვის მომზადებული* (იქვე).

**კაცი:** *ვიღაც ერთი მაგარი კაცი ჩადგა საქართულოში* (ტექსტები 2014: 225).

**უარყოფითი ნაცვალსახელები.** არაფერი, ვერაფერი, არავინ... შეიძლება მსაზღვრელადაც მოგვევლინოს: *ვერც შეხვდავე ვერაფერი საჭმელი გზაზე* (ქდვ: „ორი ძმა“, №3946); *არ ისუნტლა თქვენზე არაფერმა გლახამაო* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“,

№3940); *იმაზე არაფერმა ცუდმა ისუნტლოსო* (ქდვ: „ორმოცი წლის თავზე“, №3947); *არაფერ სიკეთეს არ მამასწრო* (იქვე); *არაფერ დროში, შვილებო, გამჩენ არ შეეჭიდოთ* (იქვე); *იგი არ ინდობდა არავის ერს* (ტექსტები, 2014: 217).

გ. ჯაფარიძის მასალაში არანაირი გვხვდება არაფრის სემანტიკით: *არანაირი საკვები მასალა არ იყო* (თსუფა 1982: №25172).

ამდენად, როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ნაცვალსახელი გვხვდება როგორც ცალკე, ისე სხვა სიტყვასთან ერთად (მსაზღვრელად). შესიტყვებაში გამოვლენილი უნარის მიხედვით განირჩევა აქტანტური (მე, შენ, იგი, თავი, ვინ, რა, ვინმე, რამე...) და ატრიბუტული (ეს, ეგ, ის, ჩემი, შენი, მისი, ვისი, რისი, თავისი...) სინტაგმატიკის ნაცვალსახელები. სპეციფიკური ფაქტებიდან აღსანიშნავია: ქართველ ებრაელთა მეტყველებაში, რ. თავდიდიშვილის მასალის მიხედვით, I-II პირის ნაცვალსახელები (მხოლოდითა და მრავლობითში) აუსლაუტში წარმოდგენილია -ე ხმოვნით (შენ-ე, ჩვენ-ე, თქვე-ნე). ჩვენ მიერ ონსა და ახალციხეში მცხოვრები ქართველი ებრაელებისაგან ჩაწერილ ახალ მასალაში ე დაბოლოებიანი პირის ნაცვალსახელები არ დასტურდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული ფორმები არის არა ქართველ ებრაელთა მეტყველებისთვის დამახასიათებელი თავისებურება, არამედ ცალკეული ქართული კილოების ნიშანდობლივი ფაქტები; სურამში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში, ანალოგიურ შემთხვევებში, მსგავსად აღმოსავლური დიალექტებისა, II პირის ნაცვალსახელებთან (მხოლოდითში) დასტურდება **შენა** ფორმები. რ. თავდიდიშვილის ტექსტებში III პირის ნაცვალსახელის ფუნქციით იხმარება არქაული **ესე, ისი** ფორმები. **ესე** დადასტურდა სურამში მცხოვრებ ებრაელთა მეტყველებაშიც. **ისი** გვხვდება ზეპირი თარგმანების ენაშიც. 1998-2005 წლებში ჩაწერილ ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების ამსახველ ყოფითი ხასიათის მასალაში **ისი, ესე** ვარიანტები არ გვხვდება. ეს ფორმები არ დადასტურდა არც ახალციხისა და რაჭის მასალაში. **თავისი-ს** ნაცვლად მეტწილად **მისი** ნაცვალსახელი იხმარება; კუთვნილებითი ნაცვალსახელი **თავიანთი** ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში შეგვხვდა **თავათი** ფორმით.

## დასკვნითი დებულებები

1. საქართველოში საუკუნეების განმავლობაში ცხოვრებამ ქართული ენა ქართველ ებრაელთა სალაპარაკო ენად აქცია. ქართველ ებრაელთა მეტყველება არაერთგვაროვანია. დღეს მათი „ენა“ ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტების გავლენის შედეგად თითქმის ნიველირებულია. ისრაელში „ასულთა“ მეტყველებაში (განსაკუთრებით უფროს თაობაში), სამეტყველო კოდთა შერევის მიუხედავად, ჯერ კიდევ არის შენარჩუნებული სპეციფიკური ნიშნები, რომლებიც გარკვეული დროის შემდეგ, ებრაული ენის გავლენის შედეგად, შესაძლოა თანდათან დავიწყებას მიეცეს.

2. ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველი თემატური (ყოფითი, ფოლკლორული, საქმიანი ქაღალდები, პირადი წერილები... ქართველ ებრაელთა წმინდა წიგნების ზეპირი თარგმანები), ქრონოლოგიური (უმთავრესად XX საუკუნის 30-იანი წლებიდან დღემდე) და ლოკალური (ქუთაისი, კულაში, ონი, ახალციხე...) ნიშნით განსხვავებული მასალა ენობრივად მეტ-ნაკლებად არაერთგვაროვანია.

3. ქართველ ებრაელთა მეტყველების თავისებურებებს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ქართული ენის ქვესისტემებთან (სალიტერატურო ენა, დიალექტები) ურთიერთობა. განსახლების არეალის შესაბამისად, გამოიყოფა ქართველ ებრაელთა მეტყველების ლოკალურად შეპირობებული სახესხვაობები: ქუთაისელ, საჩხერელ, ონელ, ახალციხელ... ებრაელთა მეტყველება. ცალკე ენობრივ-სტილურ თავისებურებას ქმნის ქართველ ებრაელთა წმინდა წიგნების ზეპირი თარგმანები, რომლებშიც იგრძნობა როგორც ძველი სალიტერატურო ენის ნორმათა გავლენა, ისე ძველი აღთქმის ებრაული დედნისა.

4. ქართველ ებრაელთა მეტყველება საინტერესოა სახელთა ფორმაწარმოების თვალსაზრისით. ქართული ენის ქვესისტემებთან შედარება-შეპირისპირების საფუძველზე გამოვლინდა როგორც საერთო, ისე სპეციფიკური ენობრივი ფაქტები.

5. არსებითი სახელის ფორმაწარმოება უმთავრესად სალიტერატურო ქართულის მსგავსია. მიუხედავად ამისა, შეიძლება გამოიყოს რამდენიმე თავისებურება. კერძოდ: ა. ხმოვანფუძიან საზოგადო და საკუთარ არსებით

სახელებთან (ანთროპონიმებთან) სახელობითში -ი სუფიქსის დართვა (დაი, საქმეი, ნათელაი, ლალოთ სონიკოი...); **ბ.** მიცემითში თანხმომავანფუძიან სახელთა გაუფორმებლობა როგორც მხოლობითში (დანაყამ ნიგოზ; ნათქვამ ვამზობ...), ისე მრავლობითში (ფარჩხებ ბოჭავდა; ძარღვებ ვაცლიდით...) ქართველ ებრაელთა მეტყველების ერთ-ერთი მთავარი თავისებურებაა. ქრონოლოგიურად განსხვავებული მასალა ამ მხრივ ნაირგვარ სურათს იძლევა: ადრეული პერიოდის (რ. თავდიდიშვილისა და გ. ჯაფარიძის მიერ ჩაწერილ) ტექსტებში უნიშნო მიცემითის ფორმებს სისტემური ხასიათი აქვს, ხოლო შედარებით გვიანდელ, XX-XXI საუკუნის მასალაში, თავის მხრივ, შეინიშნება არაერთგვაროვანი ვითარება. კერძოდ, უნიშნო მიცემითის ფორმები სისტემებრ გამოიყენება ისრაელში „ასულ“ ებრაელთა მეტყველებაში, ხოლო ქუთაისში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ეს მოვლენა იშვიათია, რაც განპირობებული უნდა იყოს ადგილობრივი დიალექტისა და სალიტერატურო ქართულის გავლენით. გაუფორმებელი მიცემითის ფორმები იშვიათია ქართველ ებრაელთა წმინდა წიგნების ზეპირ თარგმანებშიც; **გ.** წოდებითში შეინიშნება ანთროპონიმთა გაფორმების ტენდენცია (დავით-ო, დანიელ-ო, გომენო...); **დ.** წმინდა წიგნების ზეპირ თარგმანებში ა ხმომავანფუძიანი სახელები ებიან მრავლობითში უკვეცელი სახით გვხვდება (შემცოდაები, კონაებსა...). მსგავსი შემთხვევები ფიქსირდება რ. თავდიდიშვილის მიერ შაბათის ლოცვის ამსახველ მასალაში (დარიგებაებითა, წესდებაებისა, ნუგეშისცემაებისა...); რ. თავდიდიშვილის მიერ ჩაწერილ ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში დადასტურდა ორმაგი მრავლობითის არაერთი შემთხვევაც (დანები ეცოდებოდა...); **ე.** დასტურდება თანდებულიან ფორმათა როგორც თანამედროვე, ისე ძველი ქართულისებური წარმოება. გვხვდება -ვე ნაწილაკდართული თანდებულიანი სახელების სპეციფიკური ფორმები, რომლებიც არ გვხვდება ქართული ენის დიალექტებში (ცხენზეავე, კარზეავე, ლოცვაშიავე...). **ვ.** დასავლეთ საქართველოში (ქუთაისი, კულაში, საჩხერე...) მცხოვრებ ებრაელთა მეტყველებაში ნიშანდობლივია - **თვის** თანდებულის -**თვინ** ვარიანტი, რომელიც გვხვდება ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულ მასალაშიც (მთავრობისთვის, დაარსებითვინ, შესრულებისთვის...). - **თვინ** გავრცელებულია ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველებაშიც;



ქართველ ებრაელთა მეტყველების ერთ-ერთი თავისებურებაა -**მდისინ** თანდებულის -**ი** სავრცობიანი -**მდისინი** ვარიანტი.

6. ქართველ ებრაელთა მეტყველებაში **ზედსართავი სახელის** ფორმაწარმოებაში რაიმე განსაკუთრებული თავისებურება არ ვლინდება. იგი იშვიათად ცალკე, მეტწილად კი არსებითთან ერთად გვხვდება და პარადიგმატული თუ სინტაგმატური თვალსაზრისით უმთავრესად იმავე კანონზომიერებას გვიჩვენებს, როგორსაც ქართული სალიტერატურო ენა და დიალექტები. სპეციფიკურ ენობრივ ფაქტად შეიძლება იქნეს მიჩნეული -**გან** თანდებულიანი შესიტყვებები, რომლებიც მზარდ ხარისხს – საგნის ნიშან-თვისების მოჭარბებულობას გამოხატავენ (დიდისგან დიდი მადლობელი, დიდისგან დიდი ქორწილი, დიდისაგან დიდებული ქორწილი...). საინტერესოა ასევე ნიშან-თვისების მზარდი ხარისხის გამომხატველი ფორმა: იმსიმშვენიერე/იმსიმშვენიერესი.

7. **რიცხვითი სახელის** ფორმაწარმოება ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ისეთივეა, როგორც სამწიგნობრო ქართულსა და დიალექტებში. განსხვავებას აქაც გვიჩვენებს -**გან** თანდებულიანი ნათესაობითის ფორმა რიცხვით სახელებთან **მრავალი** და **ბევრი**, რითაც აღინიშნება შესადარებელი საგნის აღმატებით ხარისხი (მრავლისგან მრავალი ოთხფეხი, ბევრისაგან ბევრი შვილი...). რიცხვითი სახელის ებრაულისებური წარმოება ქართველ ებრაელთა წმინდა წიგნების ზეპირ თარგმანებში, რაც უცხოა ჩვენს ხელთ არსებული ყოფითი და ფოლკლორული ხასიათის ტექსტებისათვის.

8. **ნაცვალსახელი** გვხვდება როგორც ცალკე, ისე სხვა სიტყვასთან ერთად (მსაზღვრელად). შესიტყვებაში გამოვლენილი უნარის მიხედვით განირჩევა აქტანტური (მე, შენ, იგი, თავი, ვინ, რა, ვინმე, რამე...) და ატრიბუტული (ეს, ეგ, ის, ჩემი, შენი, მისი, ვისი, რისი, თავისი...) სინტაგმატიკის ნაცვალსახელები. სპეციფიკური ფაქტებიდან აღსანიშნავია: ა. ქართველ ებრაელთა მეტყველებაში, რ. თავდიდიშვილის მასალის მიხედვით, I-II პირის ნაცვალსახელები (მხოლოდითა და მრავლობითში) აუსლაუტში წარმოდგენილია -**ე** ხმოვნით (შენ-ე, ჩვენ-ე, თქვე-ნე). ონსა და ახალციხეში მცხოვრები ქართველი ებრაელებისაგან ჩაწერილ ახალ მასალაში ე დაბოლოებიანი პირის ნაცვალსახელები არ დასტურდება, რაც იმაზე

მიუთითებს, რომ აღნიშნული ფორმები არის არა ქართველ ებრაელთა მეტყველებისთვის დამახასიათებელი თავისებურება, არამედ ცალკეული ქართული კილოების ნიშანდობლივი ფაქტები; სურამში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში, ანალოგიურ შემთხვევებში, მსგავსად აღმოსავლური დიალექტებისა, II პირის ნაცვალსახელებთან (მხოლოდითში) დასტურდება **შენა** ფორმები; **ბ. რ.** თავდიდიშვილის ტექსტებში III პირის ნაცვალსახელის ფუნქციით არის არქაული **ესე**, **ისი** ნაცვალსახელები. **ესე** დადასტურდა სურამში მცხოვრებ ებრაელთა მეტყველებაშიც. **ისი** გვხვდება ზეპირი თარგმანების ენაშიც. 1998-2005 წლებში ჩაწერილ ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების ამსახველ ყოფითი ხასიათის მასალაში **ისი**, **ესე** ვარიანტები არ გვხვდება. ეს ფორმები არ დადასტურდა არც ახალციხისა და რაჭის მასალაში; **გ. თავისი** ნაცვალსახელის ნაცვლად მეტწილად გამოყენებულია **მისი**; კუთვნილებითი ნაცვალსახელი **თავიანთი** ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში შეგვხვდა **თავათი** ფორმით.

9. საანალიზო ტექსტებიდან ჩანს, რომ, როგორც საქართველოში მცხოვრებ, ისე ისრაელში ასულ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში, თანდათან ნიველირდება მათი ენობრივი სისტემისთვის დამახასიათებელი თავისებურებები, რაც გამოწვეულია, ერთი მხრივ, ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტების, ხოლო, მეორე მხრივ, ებრაული ენის გავლენით.

10. დღეს უკვე ქართველ ებრაელთა მეტყველებას ვეღარ განვიხილავთ როგორც ერთ მთლიან ლექსიკურ-გრამატიკულ სისტემათა ერთობლიობას, რადგან ლოკალური, ქრონოლოგიური და თემატური/ჟანრობრივი განსხვავებულობა გვაძლევს ქართველ ებრაელთა მეტყველების ნაირსახეობებს.

## გამოყენებული ლიტერატურა

არაბული... 2011 – არაბული (2011). სახელის მორფოლოგია, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.

არაბული, თათარაიძე, 2014 – არაბული ა., თათარაიძე ე. (2014). კრებული „ქართველ ებრაელთა ყოფა და ფოლკლორი“, გამომც. საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი, თბილისი.

ბარ-აშერი 2010 – ბარ-აშერი მ. (2010). Moche Bar-Acher, Leshonot, Massorot u-Minhagot – Linguistics, Tradicions, and Gustoms of Maghrebi Jews and Studies in jewish Languages.

ბარბაქაძე 2014 – ბარბაქაძე ც. (2014). მზის მეტაფორები, ელრესურსი: მოძიებული 1.07. 2017: <http://mastsavlebeli.ge/?p=3943>

ბატონიშვილი 1973 – ბატონიშვილი ვ. (1973). „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბილისი.

ბენ-ორენი 1994 – ბენ-ორენი გ. (წიწყაშვილი) (1994). „მონტიფიორი და საქართველოს ებრაელობა“, გაზ. „მენორა“, №6, 1994, თბილისი.

ბერიძე 2017 – ბერიძე ი. (2017). ქართველი ებრაელების ისტორია დაბა კულაშში, მოძიებული 5 დეკემბერს, 2017: <http://netgazeti.ge/news/231253/>

ბოთერა 2016 – ბოთერა დ. (2016). „ჩანახატები რაბათის ებრაელთა ყაიდებისა“, ჟურნალი „არავი“, სამცხეთ-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, №9. თბილისი.

ბერიძე, კობაიძე, ჯორბენაძე 1988 – ბერიძე მ., კობაიძე მ., ჯორბენაძე ბ. (1988). ქართული ენის მორფემისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, „მეცნიერება“, თბილისი.

ბუცხრიკიძე 2006 - ბუცხრიკიძე მ. (2006). თანამედროვე ებრაული ენის გრამატიკა (ფონეტიკა და მორფოლოგია), ლექციათა კურსი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.

გაბუნია 1998 – გაბუნია კ. (1998). ბრუნვათა სისტემები ქართველურ ენებში (სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი), თბილისი.

გაგულაშვილი 1987 – გაგულაშვილი ი. (1987). დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, ქუთაისი.

გაგულაშვილი 1990 – გაგულაშვილი ი. (1990). ქართული ფოლკლორის მითოსური სახეები და ძირითადი მოტივები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

გაგულაშვილი 1996 – გაგულაშვილი ი. (1996). ქართველ ებრაელთა გვარები, ჟურნ. „განთიადი“, № 3-45. თბილისი.

გაგულაშვილი 1998 – გაგულაშვილი ი. (1998). ქართველ ებრაელთა გვარების ლექსიკონი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

გიგინეიშვილი, სარჯველაძე 1978 – გიგინეიშვილი ბ., სარჯველაძე ზ. (1978). ნანათესაობითარი მიმართულებისა და ნანათესაობითარი დანიშნულებითის ადგილი ძველ ქართულსა და ქართველური ენების ბრუნვათა სისტემაში, მრავალთავი, VI, თბილისი.

გიგინეიშვილი 1984 – გიგინეიშვილი ი. (1984). პოსტპოზიციური მართული მსაზღვრელი ახალი ქართული ლექსის ენაში, ქსკს, წიგნი VI, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

გოგიაშვილი 2007 – გოგიაშვილი ე. (2007). თბრობის ფუნქცია ეთნოკულტურულ კონტექსტში (ქართველ ებრაელთა ზღაპრები), ჟურნალი „სჯანი“, №8, „ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა“, თბილისი.

გოგოლიშვილი, წაქაძე 2014 – გოგოლიშვილი ო., წაქაძე რ. (2014). ებრაელთა ბათუმში დასახლების ისტორიიდან, ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული, VI, ქუთაისი, საგამომცემლო ცენტრი „ქუთაისი“.

გოგოლაშვილი (2016) – გოგოლაშვილი გ. (2016) „ფუძისა და აფიქსთა ურთიერთქმედება ფორმაწარმოების პროცესში“: თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, II, დიალექტები. თბილისი.

გოგოლაშვილი (2016) – გოგოლაშვილი გ. 2016 „სახელთა ბრუნების საკითხები ქართულ დიალექტებში“, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, II, დიალექტები, თბილისი.

გულედანი 2004 – გულედანი ლ. (2004). ებრაული ფრაზეოლოგიზმების სწავლებისათვის, კულტურის ისტორიის თეორიის საკითხები, ტ. XXIII (ებრაული კრებული), თბილისი.

გუმბერიძე 2016 – გუმბერიძე ს. (2016). არსებით სახელთა მიცემითი ბრუნვის გამოხატვისათვის ქართველ ებრაელთა მეტყველებაში, კრებ. „ქართველური მემკვიდრეობა“, XX, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი.

გუმბერიძე 2017 – გუმბერიძე ს. (2017). მზარდი ხარისხის გამომხატველი ზოგიერთი ფორმა ქართველ ებრაელთა მეტყველებაში, კრებ. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მოამბე“, №9, ქუთაისი.

გუმბერიძე 2017 – გუმბერიძე ს. (2017). -მდე-/მდის მორფემის ვარიანტები ქართველ ებრაელთა მეტყველებაში, ჟურნალი „ქართველური მემკვიდრეობა“, XXI, ქუთაისი.

გუმბერიძე 2018 – გუმბერიძე ს. (2018). ადამიანის (პირის სახელთა ფორმაწარმოების თავისებურებანი ქართველ ებრაელთა მეტყველებაში, საენათმეცნიერო ძიებანი, XL, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება, თბილისი.

დადუნაშვილი 1999 – დადუნაშვილი ე. (1999). ბიბლიის ებრაულიდან ქართულ ენაზე თარგმნის ტრადიცია, „საქართველო-ისრაელი 2600“, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის კრებული, თბილისი.

დადუნაშვილი, დოლიძე, ტაბუცაძე 1999 – დადუნაშვილი ე., დოლიძე ს., ტაბუცაძე ნ. (1999). თსუფა ქართველ ებრაელთა ყოფა და ფოლკლორი, გამომცემლობა „ლომისი“, აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის ცენტრი, თბილისი.

დანელია 1986 – დანელია. კ. (1986). სახელობითი ბრუნვის ი ნიშნის ფუძესთან შეზრდის საკითხისათვის მეგრულ-ჭანურში, თსუ შრომები, ტ. 267, ენათმეცნიერება, 10, თბილისი.

დანელია 1983 – დანელია. კ. (1983). საკუთარ სახელთა გადმოცემისათვის ძველი აღთქმის ქართულ რედაქციებში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

დადიანი 2011 – დადიანი ე. (2011). ფონეტიკური პროცესები ტაოურ დიალექტში – I (ზგერათა დაკარგვა). ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ჟურნალი „წელიწდეული“, ტ. III, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი.

დადიანი 2014 – დადიანი ე. (2014). ქართველური დიალექტური ტექსტები: „ქართველური მემკვიდრეობა“, XVIII, ქუთაისი.

დადიანი 2016 – დადიანი ე. (2016). ქართველური დიალექტური ტექსტები: „ქართველური მემკვიდრეობა“, XX, ქუთაისი.

დადიანი 2013 – დადიანი ე. (2013). -ც ნაწილაკიანი ფორმები ტაოურში, „ქართველური მემკვიდრეობა“, XVII, ქუთაისი.

დადიანი 2017 – დადიანი ე. (2017). მავრცობი ა ხმოვანი ქართული ენის ტაოურ დიალექტში, III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება, 13-15 ოქტომბერი, ქუთაისი.

დადიანი., ქამუშაძე 2012 – დადიანი ე., ქამუშაძე გ. (2012). ქართული ენის ტაოური დიალექტის ზოგი სინტაქსური თავისებურება, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „განათლება“, № 4, თბილისი.

დადიანი., ქამუშაძე 2014 – დადიანი ე, ქამუშაძე გ. (2014). სპეციფიკური შესიტყვებებისათვის ტაოურში, კრებული „ქართველური მემკვიდრეობა“, ტ. XVIII, ქუთაისი.

დანელია 1998 – დანელია კ. (1998). ქართული სამწერლობო ენის ისტორია, ტ. I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

დადუნაშვილი 1999 – დადუნაშვილი ე. (1999). ბიბლიის ებრაულიდან ქართულ ენაზე ზეპირად თარგმანის ტრადიცია, საქართველო – ისრაელი“ 2600, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი.

დავიდი 1989 – დავიდი ი. (1989). История евреев на Кавказе, "КАВКАСИОНИ", Тель-Авив 1989.

დუმბაძე 1979 – დუმბაძე კ. (1979). ლექსიკური ებრაიზმები ქართულ ქალაქურ ჟარგონში, „ჯევეანმარდი“, თბილისი.

ებრაული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტი საქართველოში, მოძიებული 3 აპრილს, 2018 <http://culturalroutes.gov.ge/Routes/saqartvelos-kulturuli-marshrutebi/ebrauli-memkvidreobis-evropuli-marshruti.aspx>

ენობი 1990 – ენობი რ. (1990). Special Characteristics of the Speech of Georgian Jews, Georgian Jews and Georgian-Israeli Ties, Synopsis, Ben-Cvi Institute, Jerusalem.

ენობი 2001 – ენობი რ. (2001). ქართველ ებრაელთა მეტყველების ზოგიერთი თავისებურება (სოფ. ბანძის მეტყველების მაგალითზე), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ძველი ენის კათედრის შრომები, №29.

ენობი 2005 – ენობი რ. (2005). ქართველ ებრაელთა მეტყველების რამდენიმე სპეციფიკური თავისებურება ქუთაის-ბანძის რეგიონის ებრაელთა მეტყველების მაგალითზე, მორემეთ ისრაელ (ებრაული მემკვიდრეობა), 2 (Reuven Enoch, Some Peculiarities of the Speech of Georgian Jews. The Case of the Kutaisi-Bandza Region).

ენობი 2007 – ენობი რ. (2007). ძველი ქართულის ელემენტები „თავსილში“, სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებული საკითხები, ჟურნალი „ქართველოლოგი“, №14, თბილისი.

ენობი 2009 – ენობი რ. (2009). დაკვირვებანი ბერეშითის წიგნის თავსილზე იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის გამომცემლობა „მაგნესი“ (The Study of Tavsili according to the Book of Genesis. By Reuven Enoch) (ივრითზე).

ენობი 2010 – ენობი რ. (2010). ქართველ ებრაელთა მეტყველების ლექსიკონი – საჭიროება და სიძნელეები, I საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში, ბათუმი.

ენობი 2011 – ენობი რ. (2011). „ფესახის აგადა“ (პასეჟის ლეგენდა), ტრადიციული თარგმანი ქართველ ებრაელთა მიერ, (Tavsili – The Traditional oral Translation of the Bible in Judeo- Georgian. A Critical Edition of Genesis. Part I. The Text. By Reuven Enoch).

ენობი 2011 – ენობი რ. (2011). ქართული დიალექტოლოგიის საკითხები – შენიშვნები ქართველ ებრაელთა სამეტყველო ინტონაციის შესახებ, ჟურნალი „ბილინგვური განათლება, №5; მოძიებული 21 დეკემბერს, 2014: <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?>

ენობი 2012 – ენობი რ. (2012 თ.). „ფესახის აგადა“ („პასექის ლეგენდა“) და მისი მნიშვნელობა ქართველოლოგიისთვის“, ჟურნ. ქართველოლოგი, №2, 17.04. 2012, მოძიებული 12 მარტს, 2015: <http://kartvelologi.tsu.ge/index.php/journal/inner/21>

ენობი 2014 – ენობი რ. (2014). ქართველ ებრაელთა მეტყველების რაობის საკითხისათვის, იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 13 ივნისი, 2014, გორი, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი, თბილისი.

ენობი 2014 – ენობი რ. (2014) Forms of family names of Georgian Jews (Studies in Caucasian, Georgian and Bukharan Jewry, historical, Sociological and Cultural aspects, Edited by Golda Akhiezer, Reuven Enoch, Sergei Weinstein.

ენობი., საღინაძე 2011 – ენობი რ. საღინაძე რ. (2011 ). „ქებაების ტიპის ფორმები ქართველ ებრაელთა მეტყველებაში“, ლინგვისტ-კავკასიოლოგთა III საერთაშორისო სიმპოზიუმი, 27-29-ოქტომბერი, თბილისი.

ენობი., საღინაძე 2013 – ენობი რ., საღინაძე რ. (2013). „სახელის მრავლობითის წარმოების ერთი განსაკუთრებული შემთხვევისათვის“, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, № 2, ქუთაისი.

ზექალაშვილი 2014 – ზექალაშვილი რ. (2014). უცნობი ნაშრომი ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების შესახებ, წელიწდეული, ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული, VI, ქუთაისი, საგამომცემლო ცენტრი „ქუთაისი“.

ზურაბაშვილი 1956 – ზურაბიშვილი თ. (1956). ემფატიკური -ა ახალ ქართულში: სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბილისი.

ზურაბაშვილი 1957 – ზურაბიშვილი თ. (1957). ხარისხი ქართველურ ენებში, სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ, 67, თბილისი.

ზურაბაშვილი 1962 – ზურაბიშვილი თ. (1962). ოდნობითის ფორმათა ისტორიისთვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, ტ. 29, №5, თბილისი.



ზურაბაშვილი 1972 – ზურაბიშვილი თ. (1972). „მავრცობი \*ა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში“, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი პირველი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

ზურაბაშვილი 1972 – ზურაბიშვილი თ. (1972). „-ნა, -ევ, -ნა აფიქსებით სახელთა წარმოებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი“, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი პირველი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

თავდიდიშვილი 1925 – თავდიშვილი რ. (1925). ქუთაისის ქართველ ისრაელ ქალთა ცხოვრება, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივი. ფა.

თავდიდიშვილი 1940 – თავდიდიშვილი რ. (1940). „ეთნოგრაფიული ნარკვევი ქართველ ებრაელთა ძველი ყოფა-ცხოვრებიდან“, რედ. ს. მაკალათია, გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“, თბილისი.

თანდილავა 1990 – თანდილავა ზ. (1990). სამხრეთ-დასდავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, X, თბილისი.

თოფურია 1956 – თოფურია ვ. (1956). წოდებითი ბრუნვისთვის, სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბილისი.

თოფურია 1961 – თოფურია ვ. (1961). მთარაჭულის დახასიათებისათვის: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები II, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

თოფურია 1965 – თოფურია ვ. (1965). წრფელობითი ბრუნვისათვის ძველ ქართულში: საქ. სსრ მეც. აკად. მოამბე, 38-ე, № 2, 1965.

თოფჩიშვილი 2003 – თოფჩიშვილი რ. (2003). ქართული გვარსახელების ისტორიიდან, წიგნი I, გამომცემლობა „ენა და კულტურა“, თბილისი.

თსუფა 1982 – თსუფა (1982). ჩამწერი ჯაფარიძე გ., თსუ ფოლკლორისტიკის კათედრის ზამთრის სამეცნიერო-ფოლკლორული ექსპედიციის ონის მასალები.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები (1986). გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

იმნაიშვილი 1957 – იმნაიშვილი ი. (1957). სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

კალანდაძე 1987 – კალანდაძე ვ. (1987). თანდებულთა ხმარების საკითხები (-ზე და -ში თანდებულთა მონაცვლეობის შესახებ): თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, ბიულეტენი №3, თბილისი.

კაკაბაძე 1950 – კაკაბაძე პ.(1950). დრამატული თხზულებები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

კიკნაძე 2003 – კიკნაძე ზ. (2003). „მენორა“ – სასიცოცხლო შუქი, „მენორა“ 10, რედაქტორი გურამ ბათიაშვილი, თბილისი.

კიზირია 1982 – კიზირია ა. (1982). მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში, „მეცნიერება“, თბილისი.

კიზირია 1989 – კიზირია ა. (1989). „სინტაგმა, მისი მნიშვნელობა და კომპონენტთა ურთიერთობა“, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება 1, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

კეზევაძე 2014 – კეზევაძე მ. (2014). ქუთაისში ებრაელთა დასახლების მთავარი ქუჩები მე-19 საუკუნეში, წელიწდეული, ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული, VI, ქუთაისი, საგამომცემლო ცენტრი „ქუთაისი“.

კიკვიძე 1996 – კიკვიძემ ზ. (1996). ტერიტორიული დიალექტები სოციოლინგვისტურ ასპექტში, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მოამბე“ №1, 1996, ქუთაისი.

კიკვიძე 1999 – კიკვიძემ ზ. (1999). თავაზიანობის გამოხატვის გრამატიკული საშუალებები (სოციოლინგვისტური ასპექტი), თბილისი.

კიკვიძე 2013 – კიკვიძე ზ. (2013). Kikvidze Z. „Judaeo-Georgian and its Speakers within the Matrix of the Language Situation in Georgia“: <https://www.kuwi.europa-uni.de/de/lehrstuhl/sw/sw1/Tagung-2013/Vortraege-auf-Konferenz.html>

კიკნაძე 1998 – კიკნაძე ზ. (1998, სექტემბერი 4-5). უფლის კვართი ელიას ხალენი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“.

Кипшидзе 1914 – Кипшидзе И. (1914). Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем СПб.

კუბლაშვილი 1985 – კუბლაშვილი კ. (1985). ქართული ენის ქვემოიძერიული დიალექტი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

ლეჟავა 1972 – ლეჟავა ლ. (1972). მსაზღვრელთა რიგი რამდენიმე არაერთგვარ მსაზღვრელებთან შესიტყვებაში, ქსკს, წიგნი პირველი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

ლერნერი 1989 – ლერნერი ვ. (1989). ენის სოციალურობის ორგვარი შესაძლებლობა ლინგვისტიკაში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, XXVIII, „მეცნიერება“, თბილისი.

ლერნერი 2008 – Лернер К. (2008). Евреи Грузии от елинизма до позднего Феодализма. Иерусалим

ლომთაძე 1987 – ლომთაძე ა. (1987). ბრუნების თავისებურებათა ისტორიისათვის მეგრულში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

ლომთაძე 1999 – ლომთაძე თ. (1999). სახელთა წარმოქმნის ზოგი თავისებურება ქუთაისურ მეტყველებაში, საენათმეცნიერო ძიებანი, №8, თბილისი.

ლომთაძე 2002 – ლომთაძე თ. (2002). ებრაული ლექსიკის ადაპტაციისთვის ქართულში (ქუთაისური მეტყველების მიხედვით), ჟურნ. „ქართველური მემკვიდრეობა“, VI, ქუთაისი.

ლომთაძე 2005 – ლომთაძე თ. (2005), ქუთაისური ჟარგონი, გამომცემლობა „ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

ლომთაძე 2005 – ლომთაძე თ. (2005). ქუთაისური ქართული, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ლომთაძე 2010 – ლომთაძე თ. (2010). თანამედროვე ქართული სოციოლექტები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.

ლომთაძე 2013 – ლომთაძე თ. (2013). ქართველ ებრაელთა მეტყველების შესწავლისათვის – მნიშვნელობა და პრობლემები“, რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, გორი, 1 ნოემბერი, თბილისი.

ლომთაძე 2014 – ლომთაძე თ. (2014). ქართველ-ებრაელთა დიალექტი თუ ყოფილი ლინგვისტური კონტინიუმის განაპირა კუნძულაკი? იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: 13 ივნისი, 2014, გორი, საქართველო: სამეცნიერო კონფერენციის მასალები. გორის

სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი. თბილისი, 2015.

ლომთაძე 2014 – ლომთაძე თ. (2014). ქართველ ებრაელთა მეტყველების სტატუსისათვის, საენათმეცნიერო ძიებანი, №36, Linguistic papers / საქართველოს მეცნიერებათა აკადემია; არჩ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი.

ლომთაძე 2015 – ლომთაძე თ. (2015). „ქართველ ებრაელთა მეტყველების სოციალური ასპექტები“, მოძიებული 2 ივნისი, 2018: <http://ice.ge/of/wpcontent/uploads/2016/05>

ლომთაძე 2016 – Ломтадзе Т. (2016). О Трансформации Речи Евреев в Интервью, მოძიებული 2.07.2018: <http://elib.bsu>

მაისურაძე 1990 – მაისურაძე ი. (1990). ქართული გვარსახელები. თბილისი.

მამისთვალიშვილი 1995 – მამისთვალიშვილი ე. (1995). ქართველ ებრაელთა ისტორია, „მეცნიერება“, თბილისი.

მარი 1925 – Марр Н. (1925). Грамматика древнелитературного языка, Лигр. 1925  
მარტიროსოვი 1946 – მარტიროსოვი ა. (1946). თანდებული ქართულში, ტ. I, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

მარტიროსოვი 1956 – მარტიროსოვი ა. (1956). წინდებულისა და თანდებულის ისტორიული ურთიერთობისთვის ქართულში, იკე, VIII, „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, თბილისი.

მარტიროსოვი 1961 – მარტიროსოვი ა. (1961). ზმნისართისა და თანდებულის სინტაქსური ურთიერთობისათვის, იკე, XII, „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, თბილისი.

მარტიროსოვი 1964 – მარტიროსოვი ა. (1964). ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

მარტიროსოვი 1968 – მარტიროსოვი ა. (1968). ზოგი თანდებულიანი სახელის ანალიზისთვის ძველ ქართულში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, „მაცნე“, №5, თბილისი.

მარტიროსოვი 1984 – მარტიროსოვი ა. (1984). ქართული ენის ჯავახური დიალექტი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

მეგრელიძე 1938 – მეგრელიძე (1938). მიცემითი ბრუნვის ნიშნისა და მესამე პირის სუბიექტური ნიშნის სახეცვლილება გურულში: თსუ შრომები, ტ. VI, თბილისი.

მიქაუტაძე 2010 – მიქაუტაძე მ. (2010). მიცემითი ბრუნვის გამოხატვა და ფუნქციები იმერხეულში, წელიწდეული, ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული, II, ქუთაისი, საგამომცემლო ცენტრი „ქუთაისი“.

მოსკოვიჩი., ბენ-ორენი 2018 – MOKOVICH W. BEN-OREN G. (2018). THE HEBREW – ARAMAIC AND GEORGIAN COMPONENTS IN THE SPOKEN LANGUAGE OF GEORGIAN JEWS (ივრითულ-არამეული და ქართული კომპონენტები ქართველ ებრაელთა სამეტყველო ენაში): <https://www.istor.org/stable/pdf? Refregid>; მოძიებული 2.07.2018.

მოსკოვიჩი, ბენ-ორენი 2018 – მოსკოვიჩი ვ., ბენ-ორენი გ. 2018. მოძიებული 12 მაისს, 2018. <https://www.jstor.org/stable/pdf/23528722>.

მორაგი 1966 – Morag Si (1966). “Orag Tradicion as a Source of Linguistik informacion, Substance and Structure of Language”, Lesture delivered before the Linguistic Societu of Amerika, University of California, Los Angeles, June 17-august 12, 1966, Edited by Jaan Puhvel, University of Kalifornia Press, Berkeley and Los Angeles.

ნებიერიძე 1986 – ნებიერიძე გ. (1986). წოდებითი ბრუნვა ქართულში როგორც სახელობითის ვარიანტი, თსუ შრომები, 267, 1986.

ნიკოლეიშვილი 2008 – ნიკოლეიშვილი ა. (2008). ებრაული თემა ქართულ მწერლობაში, საგამომცემლო ცენტრი „ქუთაისი“.

ნოზაძე 1990 – ნოზაძე ლ. (1990). ემვატიკური ი ქართულში, ტ. XXIX, თბილისი.

ნოღაიდელი 1960 – ნოღაიდელი ჯ. (1960). აჭარული კილოს თავისებურებანი, თბილისი.

ონიანი 1989 – ონიანი ა. (1989). ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, თბილისი.

ჰაპისიმედოვი 1945 – ჰაპისიმედოვი ი. (1945). საქართველოს ებრაელთა აღებ-მიცემის ისტორიისთვის, საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ. III, თბილისი.

ჟენტი 1936 – ჟენტი ს. (1936). გურული კილო (გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი), ტფილისი.

ჟენტი 1953 – ჟენტი ს. (1953). ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბილისი.

რელიგიები საქართველოში 2008 – რელიგიები საქართველოში (2008). რედაქტორი ზ. კიკნაძე, მოძიებული 10 მაისს, 2018. <http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/8483/1> გამოიცა საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ.

ნიჟარაძე 1957 – ნიჟარაძე შ. (1957). ზემოაჭარულის თავისებურებანი, ბათუმი.

საღინაძე 2008 – საღინაძე რ. (2008). ძველი ქართული ენა, თბილისი.

საღინაძე, ფეიქრიშვილი 2009 – საღინაძე, ფეიქრიშვილი (2009). ბრუნვათა რაოდენობის საკითხი ქართულ ლინგვისტიკაში, ნაშრომი შესრულებულია 1998 წელს, ქართული ენის კათედრაზე საკვლევ თემად და შესულია წიგნში – ფეიქრიშვილი ჟ. ენათმეცნიერული ძიებანი. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.

საღინაძე 2011 – საღინაძე რ. (2011). ქართული პერიოდიკისა და პრესის ენის ისტორიიდან, თბილისი.

საღინაძე, ენოხი, ქართული ენის ზოგიერთი დიალექტური თავისებურების წარმოჩენა ქართველ ებრაელთა მეტყველებაში: III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, „თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება“ (აწსუ, ქუთაისი), 2017 (გვ. 121) (ელექტრონული).

სარჯველაძე 1997 – სარჯველაძე ზ. (1997). ძველი ქართული ენა, თბილისი.

სარჯველაძე 1984 – სარჯველაძე ზ. (1984). ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი.

სიხარულიძე 2017 – სიხარულიძე ჟ. (2017). მხატვრული ტექსტის ლინგვისტური ადაპტაცია (რუსული ჯადოსნური ზრავრის მაგალითზე), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სურმავა 2014 – სურმავა ნ (2014). -ვე ნაწილაკის უცნობი ფუნქციისათვის ქართველ ებრაელთა მეტყველებაში, არნოლდ ჩიქობავას საკითხავები XXV, 14-17 აპრილი, მასალები, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი.

ტაბიძე 2014 – ტაბიძე მ. (2014). როგორ მეტყველებენ ებრაელები ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებებში, წელიწდეული, ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული, VI, ქუთაისი, საგამომცემლო ცენტრი „ქუთაისი“.

უთურგაიძე 1986 – უთურგაიძე თ. (1986). ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

უთურგაიძე 2008 – უთურგაიძე თ. (2008). სახელთა მრავლობითი რიცხვი ქართულში, ჟურნალი „ქართველოლოგია“, 2008, № 1, თბილისი.

უთურგაიძე 2009 – უთურგაიძე თ. (2009). ქართული ენის დონეთა ძირითადი მახასიათებლების ურთიერზემოქმედებისათვის გლობალურ ენობრივ სისტემაში, თბილისი.

ფეიქრიშვილი., საღინაძე 2002 – ფეიქრიშვილი ჟ., საღინაძე რ. (2000 ა). ბრუნვათა რაოდენობის საკითხი ქართულ ლინგვისტიკაში, ქსუ პროფესორ-მსწავლებელთა VI სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ქუთაისი.

ფეიქრიშვილი 2008 – ფეიქრიშვილი ჟ. (2008). სახელთა დერივაცია თანამედროვე ქართულში, გამომცემლობა „ჯანსუღ ღვინჯილია“, თბილისი.

ფეიქრიშვილი ჟ., საღინაძე რ. (2016). ქართული ენა (ფონეტიკა, მორფოლოგია), გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.

ფუტკარაძე 1997 – ფუტკარაძე ტ. (1997). ბრუნვა როგორც სახელის ფორმაწარმოების ერთ-ერთი ასპექტი (სახელის სინთეზისა და ანალიზის ფორმალური მოდელებისათვის), გ. როგავას საიუბილეო კრებული, თბილისი.

ფუტკარაძე 1986 – ფუტკარაძე ტ. (1986). სახელის ფორმაწარმოების თავისებურებანი ქართული ენის სამხრეთ-დასავლურ დიალექტებში, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

ფუტკარაძე 1998 – ფუტკარაძე ტ. (1998). თანამედროვე ქართული ენის ხმოვანთა სისტემა, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1998.

ფურცხვანიძე 1991 – ფურცხვანიძე ზ. (1991). ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების თავისებურებანი, რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია,

მიძღვნილი ქართული ენის დიალექტოლოგიური ატლასის შედგენის პრინციპებისა და დიალექტოლოგიისა და ენის ისტორიის ზოგადი საკითხებისადმი, 21-23 ნოემბერი, 1991, ქ. გორი.

ქართლის ცხოვრება 4, 1973 – ქართლის ცხოვრება (1973). ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

ქართლის ცხოვრება 1, 2011 – ქართლის ცხოვრება 1 (2011). დეკანოზ მაქსიმე ჭანტურიას რედაქციით, თბ., გამომცემლობა „ახალი ივირონი“.

ქდვ 2017: ქართული დიალექტური კორპუსი, ტექსტები, შემდგენლები: მ. ბერიძე, ნ. სურმავა: <http://www.corpora.co>

ქუთაისის სამაზრო აღმასკომი (1925-1937 წწ.) – ფონდი №296, აღწერა №1, ქუთაისი, ცენტრალური სახელმწიფო არქივი.

ქურჩიშვილი 1945 – ქურჩიშვილი (1945). ახალციხეში მცხოვრებ ებრაელთა ხალხური მკურნალობა, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ. III, თბილისი.

ხვედელიანი 2007 – ხვედელიანი თ. (2007). სული – მარად საქართველოზე მაფიქრალი (ეძღვნება ვიქტორ ნოზაძეს), <http://www.nplg.gov.ge/>, მოძიებული 20.06.2017.

შალვაშვილი 1988 – შალვაშვილი ლ. (1988). „თვით, თვითონ, თავად ნაცვალსახელთა განაწილება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი VIII, თბილისი.

შამელაშვილი 1983 – შამელაშვილი რ. (1983). ებრაელთა ქართული გვარსახელები, არ გავცვლი სალსა კლდეებსა... გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, ქუთაისის ფილიალი.

შანიძე 1920 – შანიძე ა. (1920). სუბიექტური პრეფიქსი მეორეპირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, თბილისი.

შანიძე 1953 – შანიძე ა. (1953) ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I. მორფოლოგია, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი.

შანიძე, 1956 – შანიძე ა. (1956). წოდებითი ფორმის ადგილისათვის გრამატიკაში, სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბილისი.



შანიძე 1973 – შანიძე ა. (1973). ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I. „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი.

შანიძე 1976 – შანიძე ა. (1976). ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი.

შანიძე 1976 – შანიძე ა. (1980). ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ტ. III, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი.

შანიძე 1956 – შანიძე მზ. (1956). გეოგრაფიულ და წარმომავლობის სახელთა გადმოცემა ძველი აღთქმის ტექსტებში: სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბილისი.

შარაშენიძე 1956 – შარაშენიძე (1956). მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში: სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბილისი.

შარაშენიძე 2016 – შარაშენიძე ნ. (2016). სახელთა ბრუნება; ბრუნვები და ბრუნვის ნიშნები, მისი ვარიანტები და განაწილება (დასავლურ დიალექტებში): თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია II, დიალექტები, რედ. გ. გოგოლაშვილი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი.

ჩიქობავა 1939 – ჩიქობავა ა. (1939). მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისთვის ქართველურ ენებში, თსუ შრომები, X, თბილისი.

ჩიქობავა 1952 – ჩიქობავა არნ. (1952). ენათმეცნიერების შესავალი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

ჩიქობავა 1956 – ჩიქობავა არნ. (1956). ისტორიულად განსხვავებული ორი მორფოლოგიური ტიპისათვის ქართულ ბრუნვათა შორის: სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბილისი.

ჩიქობავა 1976 – ჩიქობავა არნ. (1976). იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი.

ჩოხარაძე 2017 – ჩოხარაძე თ. (2017). დისერტაცია სახელი სამხრულ კილოებში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბათუმი.

ცინცაძე... 1998 – ცინცაძე მ., ფაღავა მ., (1998). სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა (V-XVIII სს), გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი.

ცოცანიძე 2016 – ცოცანიძე გ. (2016). მრავლობითი რიცხვის წარმოება ქართულ დიალექტებში: თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, II, გამომცემლობა არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი.

ღლონტი 1936 – ღლონტი ალ. (1936). ორმაგი მრავლობითობის შემთხვევები გურულში: უნივერსიტეტის შრომები, I, თბილისი.

ღლონტი 1967 – ღლონტი ალ. (1967). ქართველური საკუთარი სახელები: ანთროპონიმთა ლექსიკონი, თბილისი.

ჭაბაშვილი 1972 – ჭაბაშვილი მ. (1972). მრავლობით რიცხვში ხმარებული ზოგი არსებითი სახელის შესახებ ქართულში, ქსკს, წიგნი I, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

ჭიჭინაძე 1990 – ჭიჭინაძე ზ. (1990). ქართველთ ებრაელნი, გამომცემლობა „მეცნიერება“; კოოპერატივი „არმაზი – 89“, გამოსაცემად მოამზადა და ბოლოსიტყვაობა დაურთო ვახტანგ ჩიქოვანმა, თბილისი.

ჭავჭავაძე 1998 – ჭავჭავაძე ი. (1998, 4-11 სექტემბერი). ებრაელთა საკითხი: გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, თბილისი.

ჭილაძე 1998 – ჭილაძე თ. (1998). ქართველ ებრაელთა შესახებ: ჟურნალი „მნათობი“, № 9-10, თბილისი.

ჭუმბურიძე 1999 – ჭუმბურიძე ზ. (1999). ქართველ ებრაელთა გვარების სტრუქტურა, „საქართველო-ისრაელი 2600“, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის კრებული.

ჭუმბურიძე 1992 – ჭუმბურიძე ზ. (1992). რა გქვია შენ? თბილისი.

ჭუმბურიძე 2003 – ჭუმბურიძე ზ. (2003). რა გქვია შენ? გამომცემლობა „ლოგოს პრესი“, თბილისი.

ჭუმბურიძე 2016 – ჭუმბურიძე ნ. (2016). მავრცობი ხმოვნები სალიტერატურო ქართულში და მათი ნაირსახეობანი დიალექტებში: თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, II (რედ. გ. გოგოლაშვილი), არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი.

ძიმიგური 1954 – ძიმიგური შ. (1954). ძიეზანი ქართული დიალექტოლოგიდან, სამეცნიერო მეთოდური კაზინეტის გამომცემლობა, თბილისი.

ძიმიგური 1970 – ძიმიგური შ. (1970). დიალექტოლოგიური ძიეზანი, თბილისი.

ძიმიგური 2011 – ძიმიგური თ. (2011). ქუთაისელ ებრაელთა ოხუნჯობანი, ქუთაისი.

ძოწენიძე 1956 – ძოწენიძე ქ.(1956). ემფატიკური -ა ახალ ქართულში: სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბილისი.

ძოწენიძე 1973 – ძოწენიძე ქ. (1973). ზემოიმერული კილოკავი, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

წერეთელი 1979 – წერეთელი კ. (1979). „ებრაელის“ აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინები ქართულში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 206, აღმოსავლეთმცოდნეობა. თბილისი.

წერეთელი 1998 – წერეთელი კ. (1998, სექტემბერი 8-9): გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, თბილისი.

წერეთელი 1998 – წერეთელი კ. (1998). ქართულ-ებრაული ურთიერთობისთვის: „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, № 1-4, თბილისი.

წერეთელი 2001 – წერეთელი კ. (2001). ბიბლიის ებრაული, თბილისი.

წერეთელი 1969 – წერეთელი გ. (1969). მოსეს ხუთი წიგნის თბილისური ებრაული ხელნაწერი: აღმოსავლური ფილოლოგია, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

წერეთელი 1898 – წერეთელი აკ. (1898, № 7): ჟურნალი „აკაკის თვიური კრებული“.

ჯორბენაძე., კობაიძე., ბერიძე 1988 – ჯორბენაძე ბ., კობაიძე მ., ბერიძე მ. (1988): ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

ჯორბენაძე 1989 – ჯორბენაძე ბ. (1989). ქართული დიალექტოლოგია I, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

ჯორბენაძე 1993 – ჯორბენაძე ბ. (1993). ონომასტიკური გულანი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

ჯორბენაძე 1998      ჯორბენაძე ბ. (1998). ქართული დიალექტოლოგია 2, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=16&t=54>

<http://www.orthodoxy.ge/tserili/gadasatseri/dzveli/gamosvla/gamosvla-17.htm>

<http://eleven.co.il/diaspora/ethno-linguistic-groups/11322/>

<http://speak-hebrew.ru/raznica-mejdu-ivritom-i-idishem/>

<http://sknews.ge/index.php?newsid=8894>

<https://burusi.wordpress.com/2016/05/02>

### **წყაროები:**

ენობი 2008 – ენობი რ. (2008). PUBLICATION OF THE HEBREW UNIVERSITY JEWISH ORAL TRADITION RESEARCH CENTER – TAVSILI – THE TRADITIONAL ORAL TRANSLATION OF THE BIBLE IN JUDEO-GEORGIAN, PART(1) THE TEXST;

ენობი 2014 – ენობი რ. (2014) – PUBLICATION OF THE HEBREW UNIVERSITY JEWISH ORAL TRADITIONS RESEARCH CENTER, EDITED BY AHARON MAMAN, JERUSALEM 2014, THE PASOWER HGGADAH IN JUDEO-GEORGIAN: A CRITICAL EDITION;

თავდიდიშვილი 1925 – თავდიდიშვილი რ. (1925). ქუთაისის ქართველ ისრაელ ქალთა ცხოვრება, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივი;

თავდიდიშვილი 1940 – თავდიდიშვილი რ. (1940). „ეთნოგრაფიული ნარკვევი ქართველ ებრაელთა ძველი ყოფა-ცხოვრებიდან“, რედ. ს. მაკალათია, გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“; თბილისი;

თსუფა 1982 – თსუფა (1982). ჩამწერი ჯაფარიძე გ., თსუ ფოლკლორისტიკის კათედრის ზამთრის სამეცნიერო-ფოლკლორული ექსპედიციის ონის მასალები;

წერეთელი 1898 – წერეთელი აკ. (1898, № 7); ჟურნალი „აკაკის თვიური კრებული“;

ქდკ 2017: ქართული დიალექტური კორპუსი, ტექსტები, შემდგენლები: მ. ბერიძე, ნ. სურმავა: <http://corpora.co/#/texts>

### **ტექსტების ნუსხა:**

(ქდკ 2017: „ბატის მწყემსი“, № 3939, მ. ბერიძე, ნ. სურმავა);

(ქდკ 2017: „ბატონი სანატრელი“, №3940, მ. ბერიძე, ნ. სურმავა);

- (ქდვ 2017: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, № 3941, მ. ბერიძე, ნ. სურმავა);
- (ქდვ 2017: „დაკვირებული კაცი“, № 3942, მ. ბერიძე, ნ. სურმავა);
- (ქდვ 2017: „ვაშკაცის სიბრძნე“, № 3943, მ. ბერიძე, ნ. სურმავა);
- (ქდვ 2017: „იეკუთიელ მხატვარი“, № 3944, მ. ბერიძე, ნ. სურმავა);
- (ქდვ 2017: „იოსეფი \_ დამაპატიოსნებელი შაბათისა“, № 3945, მ. ბერიძე, ნ. სურმავა);
- (ქდვ 2017: „ორი ძმა“, № 3946, მ. ბერიძე, ნ. სურმავა);
- (ქდვ 2017: „ორმოცი წლის თავზე“, № 3947, მ. ბერიძე, ნ. სურმავა);
- (ქდვ 2017: „სულამითი“, № 3948, მ. ბერიძე, ნ. სურმავა);
- (ქდვ 2017: „უდარდელი კაცი“, № 3949, მ. ბერიძე, ნ. სურმავა);
- (ქდვ 2017: „ფარჩხების მხიკავი“, № 3950, მ. ბერიძე, ნ. სურმავა);
- (ქდვ 2017: „ღარიბი კაცის ამბავი (სიძმარის ახსნა)“, № 3951, მ. ბერიძე, ნ. სურმავა);

ქუთაისის ცენტრალური არქივი – ქუთაისის სამაზრო აღმასკომი (1925-1937 წწ.), ფონდი №296, აღწერილობა №1, შესანახი ერთეული №212;

ქუთაისის ცენტრალური არქივი – ონის ებრაელთა სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (1936-1938წწ.), პირადი ანგარიშები, ფონდი № 25;

ქურჩიშვილი 1945 – ქურჩიშვილი (1945). ახალციხეში მცხოვრებ ებრაელთა ხალხური მკურნალობა, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ. III, თბილისი.

ქართველური დიალექტური ტექსტები: ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიალექტოლოგიური სამეცნიერო ინსტიტუტის (დირექტორი პროფ. ტ. ფუტკარაძე) თანამშრომელთა მიერ 1998 და 2005 წლებში ჩაწერილი ქუთაისში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველი ყოფითი ხასიათის ტექსტები, რომლებიც გამოქვეყნებულია (ე. დადიანის მიერ) ჟურნალში „ქართველური მემკვიდრეობა“ (2014 წ.; 2016 წ.).

ბერეშითი (რედ. რ. ენოხი), 2008: ქართული ენის ეროვნული კორპუსი, 2017 წელი ქართული ენის ეროვნული კორპუსი, 2017, ტექსტის დასახელება: ბერეშით 1 <http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=243713594613257&cpos=15>

დადუნაშვილი... 1999 – დადუნაშვილი ე. ... (1999). ქართველ ებრაელთა ყოფა და ფოლკლორი“ (შესავალი წერილი და შენიშვნები ელგუჯა დადუნაშვილისა).

ბოთერა 2016 – ბოთერა დ. (2016). „ჩანახატები რაბათის ებრაელთა ყაიდებისა“, ჟურნალი „არავი“, სამცხეთ-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, №9.

ს. გუმბერიძე – 2016-2017 წლებში ჩაწერილი მასალა როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (თბილისი, ქუთაისი, ონი, ახალციხე...), ისე ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველი.

პირადი წერილები (მიმოწერა ისრაელში მცხოვრები ქუთაისელი ებრაელებისა საქართველოში)

#### **ინტერნეტმასალები:**

ებრაელი ტურისტები საქართველოში: <http://newpress.ge> მოძიებული 04.09.2017 წელი;

ისრაელში მცხოვრები ქართველი ებრაელის სტუმრობა ქუთაისში: ჯგუფი „მსოფლიოს ქართველი ებრაელები“ [file:///C:/groups/309989872702198/?ref=group\\_header](file:///C:/groups/309989872702198/?ref=group_header) განთავსებულია 15 ივნისს 2017 წელს: <https://www.facebook.com/mario.tzur.7/videos/711122302415267/> მოძიებული 10. 05 2018 წელი;

1984 წლის ვიდეომასალა, რესპონდენტი რაფი ბალუაშვილი, ფბ, ჯგუფი „მსოფლიოს ქართველი ებრაელები“ [file:///C:/groups/309989872702198/?ref=group\\_header](file:///C:/groups/309989872702198/?ref=group_header), მოძიებული 10.06.2018;

ქართველი ებრაელის ღია წერილი საქართველოს მთავრობას, 30 იანვარი 2018 წელი: <http://diaspora.ge/> მოძიებული 15.06. 2018 წელს.

**შემოკლებანი:**

**ბერეშ.** - ბერეშითი

**თავდ.** - თავდიდიშვილი

**ტექსტები 2014** – ქართველური დიალექტური ტექსტები (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მასალები, ჩაწერილი ქუთაისში)

**ტექსტები 2016** – ქართველური დიალექტური ტექსტები (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მასალები, ჩაწერილი ქუთაისში)

ახალი მასალები 2016, ჩამწ. ს. გუმბ. – 2016 წელს ჩაწერილი ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველი მასალა (ჩამწერი სალომე გუმბერიძე)

ახალი მასალები 2017, ჩამწ. ს. გუმბ. – 2017 წელს ჩაწერილი ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველი მასალა (ჩამწერი სალომე გუმბერიძე)

**ფა** – შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივი

**თსუფა** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორის არქივი

**ქდკ** – ქართული დიალექტური კორპუსი

**ქცა** – ქუთაისის ცენტრალური არქივი

## დანართი

### ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველი მასალა

(ჩაწერ. 2016-2017 წწ., ჩამწერი სალომე გუმბერიძე)

1. რესპონდენტი: **სიმონ ლევიშვილი** (სინაგოგის ზედამხედველი), **ახალციხე**, 2016 წელი.

ჩვენ რელიგიაში არის ძველი აღთქმა ქრისტემდე. რაც კი არის, ყველაფერი არის... ძველი აღთქმა მთავრდება იქ, სადაც ქრისტე იბადება, მაგაზე არც ცუდს ვიძახით, არც კარგს, არც არაფერ, ჩვენთან... იამაში... სარწმუნოებაში არ არის, მაგრამ მაგის ისტორიის შესახებ არაფერი არ წერია.

### დაკრძალვა

ებრაელი ადამიანი გარდაიცვლება, მეორე დღესვე იკრძალება. აი, დღეს თუ გარდაიცვალა, ხვალე, წესის თანახმად, იკრძალება მეორე დღეს. მეორე დღეს იკრძალება ჩვეულებრივად, იმას... მიდის განზანის რიტუალი... ქრისტიანეფშიც არი დაკრძალვამდე მიცვალებულს აპატოოსნებენ.

ჩვენთან კუბოს გარეშე ასაფლავებენ, ეგეც რატომ? ადამიანი მიწიდან არი შექმნილი და მიწა... მიწათ უნდა იქცეს... ანუ თუ იმით დაიკრძალა, კუბოთი ხო, ბოლო ფიცრები, ხო ბოლოა ბოლოში არი ფიცარი, რაზეც წევს ხო მიცვალებული, ის უნდა დაიხვრიტოს წესით, რომ მიწასთან ჰქონდეს შეხება... ანუ ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი საფლავდება სუდარით. სუდარა (ყოვნდება – ს. გ.)... იცით რა არი? ...სუდარას... სპეციალურ ტანსაცმელზე იკერება, ჩითით, თეთრი ფერის ჩითია, იკერება იმით თავისი ჩოხაც აქ, ანუ ყველაფერი აქ (ცვლის საუბრის თემას – ს. გ.) ახლა ცხრაში, კვირას, ხსოვნის დღე არის, ჩვენი... ტამარი რო დაანგრის, აი, მაგის აღსა... აღსანიშნავად საფლავზე გავდივართ. კვირას საფლავზე გავდივართ.... ხსოვნის დღე, მიცვალებულების ხსოვნის დღე არის.

ჩვენთან ეგეთი ქელები და ის... ის არ არი... თუ ძან ახლო წრე... ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები და სტუმრები. თუ ახლო სტუმრები, ვისაც აი,



გარდაცვალებასთან, გულთან ახლოს... ჩვენთან ფულის აკრეფა (ყოვნდება) ეგეთი რამე არ არი. ჩვენთან იგივე შვიდია, მერე ოცდაათი, თქვენთან ხო ორმოცია?

2. რესპონდენტი: **ალა ხოტოველი** (ქუთაისში მცხოვრები ქართველი ებრაელი), ქუთაისი, 2016 წელი.

**დიალოგი:**

- მე ალა მქვია, ხოტოველი ვარ გვარად. დაბადებული ქუთაიში და ვცხოვრობ შაომიანის ქუჩაზე, ყოფილ შაომიანის ქუჩაზე.
- *თქვენი პროფესია?*
- ექიმი ვარ, მაგრამ დიდი ხანია, არ მიმუშავია. დამთავრებული მაქ მოსკოვში, იქ ვმუშაობდი, საქართველოში არ მიმუშავია საერთოდ.
- *თქვენი ტრადიციის შესახებ...*
- მე ყველაფერს ვიცავ, ვარ მორწმუნე ადამიანი, შაბათს არ ვანთებ შუქს. პარასკევ საღამოს ინთება სანთელი. თავის დრო აქ ამას ველაფერს. შემდეგ კეთდება ყველაფერი შაბათის სახელზე. ყველაფერი სიკეთე უნდა გაკეთდეს. რაც კი საუკეთესოა და მთელი დღის განმავლობაში შაბათ დღეს არ ვანთებთ, არ ვმუშაობთ ზედმეტი, არ გავდივართ არსად, არ ვყიდულობთ არაფერს და ნუ, ესე ვისაც შეუძლია ლოცულობს და საღამომდე სანთლები აინთება, უკვე ვარსკვლავები, რომ ამოვა და შაბათი გაბრძანდება.
- *ანუ, შაბათია თქვენთვის განსაკუთრებული?*
- დიახ, როგორი დღესასწაულიც არ უნდა იყოს, შაბათი არის მაინც პირველი. შაბათი არის ერთ-ერთი დიდი დღესასწაული, რომელიც ღმერთმა გვაჩუქა.
- *სხვა რა დღესასწაულები გაქვთ?*
- ძალიან ბევრი. ეხლა თუ გნებავთ, ჩვენ გვაქვს ახალი წელი სულ მალე, მობრძანდით სალოცავში, მე შეგიყვანთ, არ არის პრობლემა აბსოლუტურად და მერე იქ კიდევ შიგადაშიგ გაიგებთ ყველაფერს.

3. ტატიკიშვილი ია (მარო), 80 წლის, **ონი, 2017**

(რესპონდენტი გვაცნობს თავის ვინაობას, ამბობს): გერცელ ბააზოვის რძალი ვაარ, მთავარი პროფესორის, 37-ში რო დააპატიმრეს. მე წიგნი მაქ გერცელის,

სალოცავში რო ახვიდეთ იქაცაა მისი სურათი. დავით ბააზოვის სახელი ქვეყანაზე იყო განთქმული. სუყველა ექიმებია. მთავარი ხალხი მყავდა მშობლები. შვილებისთვის რო ეჭმია კვერცხ და ტაროს ყიდდენ. მთავრობა ისეთი გვეამდა, უშლიდა ხეს, უყვიროდა კვერცხ რას ყიდიო.

ებრაელობას ურიებ უძახოდენ. ყველას არ გახარებია მათი წასვლა (ისრაელს გულისხმობს). მე ქართველების გულიზა ვერ წავედი. ქართველები მიყვარდა და ვერ შეველიე. მეც შემემლო წასვლა ისრაელში.

(რესპონდენტი იგონებს ეგვიპტიდან ებრაელთა გამოსვლის ამბავს):

ებრაელები იყვენ გარეკილები რომაელების მიერ. იქ ჩვენ ხალხს ცუდად ექცოდენ, გოგოებს აუპატიურებდენ, ბიჭებს ახრჩობდენ. ძალიან მძიმე სამუშაოზე, სიკვდილზე იყვენ მისულები. მოსე რაბინი წაუძღვა თავის ხალხს და გადალახა ზღვა. მოსემ შეეხვეწა გამჩენს: ნუ დაგვლუპავო. გამჩენმა ისმინა და უშველა, ზღვა გააპო და ...იმის საპასუხოთ ისინი (რომაელებს გულისხმობს) დახოცა. რო წამოვიდენ ვეღარ მოასწრეს პურის გამოცხოვა, ქვაზე გადააკრეს უმარილო ცომი და შეჭამეს პური ტანჯულობისა. ეს არის მაცა, მას ვჭამთ აღდგომას.

### **ქორწილისა და ოჯახის შესახებ**

ქეთუბას წაუკითხავენ დედოფალს, ე.ი. რა ევალებათ. კანონებია, ცოლ-ქმრის მოვალეობები. პატივი უნდა ცენ ერთმანეთ. თუ ქალი წავიდა სხვა გზით, მას უშვებენ. თავისუფალია კაცი. ქალი ქმრის მორჩილია, ქალსაც უნდა პატივისცემა. ქალი არი ოჯახის საძირკველი. კაცი სტუმარია სახლში. ქალმა უნდა აწარმოოს ოჯახის საქმე.

კაცმა ჩამოიარა, უნდოდა შეემოწმებია როგორი იყო ქალი. დაუძახა, ქალმა უთხრა, რა გინდაო, იმან თავისი უთხრა და... ამ კაცმა ქმარს უთხრა: საძირკველი გაქ გამოცლილიო. ყველაფერი არ ითქმება... ქალი იყო ძალიან მდიდარი. ქალი არი შემცოდი ყველაფრისა. ადგა ეს ქალი, გაგიჟდა, საიდან გაქ ამდენი სიმდიდრეო. ქმარმა არ უთხრა. ქალმა დაკლა ქათამი, გამოაცალა წელები და შემოიკრა კისერზე. რო მოვიდა ქმარი ხელი დაიშინა, თავში იყო ცემი ძალა, ეს რა ქნაო. თავში იყო შენი ძალავო - წამოხტა ქალი, მაგრამ სიმდიდრე დაკარგა...

ადამიანმა სიკეთე უნდა ქნას, სხვა არ უნდა შეარცხვინოს. თბილისში ვიყავი, კოჭლი ქალი მოდიოდა, არ შევხედე, არ ითაკილოსთქო, გვერდზე გადავედი და კინალამ ხრამში ჩავარდი. არ უნდა შეარცხვინო სხვა. შეურაცყოფა არავის არ უნდა მიაყენო.

### ყალია

ხორც გარეცხამ, დუღარეში 3-ჯერ, 4-ჯერ, ჩაადგამ, მოქაფამ, უზამ ხახვს, მერე ნიგოზს, საკაზმავებ: შავი პერიცა, ქინძი – მარცვალი ქინძი, დანაყულ ნიგოზს, გახსნი ნელთბილ წყალში, უზამ მოხარშულ ქათამს და შეჭამ.

### შეჭამანდი

ნიახური, ტყლაპი, ხახვი, პირპილა, მოხარშავ ხორც და უზამ ამაებს და მიირთმევ.

#### 4. სულიკო შიმშილაშვილი, 68 წლის, ონი, 2016

### ფახლავა

ჯერ გააბრტყელეფ ათ ცომს.

**ცომი წესი:** ნახევარ კილოიანი ბანკა რომ არის, იმ წყალს ავიღებ წყალს ავიღებთ, 3 ცალ კვერცხს. ისე 5 კვერცხს ავიღებ. ერთ ცალ კვერცხს ცომის შესაკრავად ვიყენებთ, გულეებს აქეთ გადმოვდებთ. ცომში უნდა წყალი, 3 კოვზი ძმარი, 3 კოვზი ზეთი. ძალა უნდა, კარგად უნდა დაზილო, მაგარი ცომი უნდა გააკეთო, რაც შეიძლება უფქვილოთ. ხელი დაისველო ფქვილში. რომ გამზადდება ცომი, ცოტა ხანი დავასვენებ და გავაკეთებ 30 გუნდას.

**სართი გული:** (ე.ი. შიგთავსი) ასე უნდა მოამზადო: 400-500 გრამი ნიგოზი, ამდენიმე ქიშმიში, შაქარი 2 პატარა ჭიქა, ღვინის, თითო სტოლის კოვზი სანელებელი აურიოთ ერთმანეთში. ზეთი არ უნდა შიგთავსში, რომ არ დაიშალოს. მოვამზადოთ ისინი, რაზეც უნდა გამოვაცხოთ, ჯერ თავზე, შემდეგ შიგ ფერში. გული უნდა გავყოთ შუაზე. გამზადებულ სინზე პერგამენტის ქაღალდს დავუფენთ, ქაღალდიც და სინიც

უნდა გაიზეთოს. ავღები, 3 ცალს დავამუშავებ, კიდევ ავიღებ, ფქვილში ამოვსვრი, დავამუშავებ წინ და უკან. გავათხელებ ერთს, უნდა გაბრტყელდეს სინის ფორმაზე, თხელი უნდა იყოს, ერთს დააპკურებ ზეთს, ჯამზე დაასხამ ზეთს და ყოველ ფენას დავაპკურებ ფქვილს და ზეთს. ჯერ გააბრტყელებ 10 ცომს. ამის შემდეგ ნახევარ გულს დააყრი, გაანაწილებ კარგათ, 10-ს გადააფენ მას, კიდევ ათსა გადააფენ, მერე კიდევ ათი... შემდეგ კიდევ დააყრი გულს და მერე კიდევ 10 ფენას გავაკეთებ. ზედა ფენა უნდა იყოს გაუხეველი, ლამაზი. ყოველთვის უნდა ეცადო, რომ ცომები არ გაგებხეს. ამის შემდეგ კარგათ გადავუსვამ ზეთს, შემოვუსწორებ გვერდებს. ოცდაათივე შეიწვება. შემდეგ ვჭრი დიაგონალურად, ანუ რომბივით და მივირთმევთ.

### სხვადასხვა

რესპოდენტი (ს. შიმშილაშვილი) ამბობს: ღმერთი მოიშიშე (განმარტავს თავად), ანუ ღმერთის უნდა გეშინოდეს... ოთხივე კუთხეში გადაგეფარათ იმისი კალთა, ვენაცვალე იმის მადლს... კამპანია გრძელდება კვირე ღამემდე. ჩემ ბავშვობაზე. გოგოს ოჯახში ხდებოდა კაბის ჭრა, ანუ შეკერვა. გაიარა ერთმა კვირემ... დედოფალ პირველად სალოცავს გამოარონიებდნენ... (წყვეტს საუბრის თემას – ს. გ.) მის გარდაი არაფერი არ ვიცოდით.

რესპოდენტი (ს. შიმშილაშვილი) განმარტავს ზოგიერთ სიტყვას:

**მაზალი** – ბედი; **სავთა** – ბებია; **ორი** – ქვია ბიჭუნას, **ორ** – ნიშნავს სინათლეს; **მიცვის** – გაკეთება, სიკეთე; **ცედაკობა** – მოწყალება; **სისიტი/ციციტი** – ეს არის მატერია; **ქეთუბა** – ჯვრისწერა; **ლაფტა** – არის დაფქვილი ნიგოზი; **ხათუნა** – ქორწილი.